საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
26 ოქტომბერი - 1 ნოემბერი, 2011
№38 (128)
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

2 ვინ და რისთვის მოკლა კადაფი?

# მიშა, ფილოსოფიური ქვა და კუდიანებზე მონადირე ვანო

«საქართველოს მისწრაფება — ნატოს წევრი გახდეს, რუსეთთან ურთიერთობების სტრატეგიული დარეგულირების შესაძლებლობას გამორიცხავს, შესაბამისად, კრემლთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე საუბრის შესაძლებლობას სპობს»

4



ძნელი სათქმელია, რა უნდა ვუწოდოთ ამას — „მიხეილ სააკაშვილი და ფილოსოფიური ქვა“ თუ „ჰარი პოტერი და ასათიანის ქუჩა“, თუმცა, ალბათ, აშკარაა, რომ ხელისუფლების ქცევას მძიმე პათოლოგიის გამოკვეთილი ნიშნები დაეტყო.

ზურაბ კვარაცხელია:

## ხელისუფლება გასამხე-დროებულ ფორმირებებს 10 აყალიბებს

„რამდენიმე პრინციპული საკითხის გარკვევის შემდეგ უნდა გადაწყდეს, დაუჭერს თუ არა სამეგრელო მხარს ბიძინა ივანიშვილს“

გელა ნიკოლაიშვილი:

## კალმახელიძე უკვე მოხსნილია და რამდენიმე 6 დღეში ეს ოფიციალურად გამოცხადდება

## მერაბიშვილი შვეიცარიული 3 კომპანიის აბარაკში შეიჭრა

გურამ ფირცხალავა:

## ჯონ ბასები და კლინტონები 11 ხალხის ნებას წინ ვერ აღუდგებიან

## სპეციალური რეპორტაჟი ივანიშვილის მშობლიური სოფლიდან 8



მეუფე ილარიონი:

## «საკუთარი ხალხის ასე გამეტება, ასეთი სისასტიკით ხოცვა-ჟლეტა კაენის ცოდვაზე უფრო მეტია!.. ამხელა ბოროტება ღვთისაგან დაუსჯელი არ რჩება» 16



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრადიციული ღირებულებების მატარებელი არაბი არასოდეს იამაყებდა იმით, რომ ბაბუისტოლა კაცს ცემით კლავდა მაშინ, როდესაც ის უფროს-უმცროსობაზე მიუთითებდა, თუნდაც მოსისხლე მტერი ყოფილიყო, მაგრამ ის ხომ „ახალი ტიპის ლიბიელი“ გახლდათ; ყველაზე პარადოქსული კი, ალბათ, ისაა, რომ ამ გენერაციის აღმოცენებას ხელი თავად კადაფიმ შეუწყო.**



# ჩვეულებრივი ბარბაროსობა

## ვინ და რისთვის მოკლა მუამარ კადაფი?

**„სიკვდილი თავისას ყოველთვის აღწევს, რამდენიც უნდა გაგრძელდეს ორთაბრძოლა მასთან. სიკვდილი მოწინააღმდეგეს მაშინაც არ ინდობს, როდესაც ის დანებდა, — წერდა მუამარ კადაფი 1993 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში მარტივი და ტევადი სათაურით „სიკვდილი“, — სწორი პოზიცია წინააღმდეგობის გაწევაა, ხოლო სიკვდილისგან გაქცევა, თუნდაც საზღვარგარეთ, მისგან ვერ გადაგარჩენს. სადაც არ უნდა იყო, თუნდაც გამაგრებულ ციხესიმაგრეში, მაინც გიპოვის“.**

**კადაფიზე ბევრი ნეგატიური რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ ფაქტია, ის საზღვარგარეთ არ გაქცეულა, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა ნამდვილად ჰქონდა. სიკვდილმა პოლკოვნიკი 20 ოქტომბერს ღვთისაგან მივიწყებულ ლიბიურ ქალაქ სირტთან იპოვა.**



**„გაივლის წლები და კედელთან დახვრეტის მოლოდინში მდგარი პოლკოვნიკი იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, როდესაც მამამ ყინულის სანახავად წაიყვანა“.** ნურას უკაცრავად, ის დრო დასრულდა, ხოლო მსოფლიო შეიცვალა: არანაირი დახვრეტა, მოლოდინი და მოგონებები, მხოლოდ მყისიერი ჩაქოლვა და Youtube-ზე სასწრაფო წესით ატვირთული ვიდეო, რომელსაც მრავალმილიონიანი, მძაფრ შეგრძნებებს მოწყურებული აუდიტორია ელოდება.

21 ოქტომბერს ინტერნეტში კიდევ ერთი ჩანაწერი გამოჩნდა: **ქალაქ ბენღაზის 22 წლის მკვიდრმა სანად ალ-სადეკ ალ-ურეიბიმ მოყვა, თუ როგორ მოკლა ყოფილი დიქტატორი: „სახეში ჩავარტყი და მან მითხრა: „ჩემი შვილის ტოლი ხარ“. კიდევ ერთხელ ჩავარტყი, მან კი მითხრა: „მამისტოლი კაცი ვარ“. ამის შემდეგ თმაში ხელი წავავლე და წავაქციე“. შემდეგ, ალ-ურეიბის თუ დავუჯერებთ, მან კადაფის ორჯერ ესროლა და სასიკვდილოდ დაჭრა.**

ამ ისტორიის ქვეტექსტი და სიმბოლური დატვირთვა რომ გავიგოთ, ყურადღება შემდეგ გარემოებას უნდა მივაქციოთ: კადაფი ლიბიის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის კურსს ატარებდა და ამას, ბუნებრივია, თან ზვავისებური ურბანიზაცია სდევდა. 40 წლის განმავლობაში ქალაქების მოსახლეობა 8-10-ჯერ გაიზარდა. ქალაქებში ჩასახლებულთა პირველი თაობა თავისი მენტალობითა და ადათ-წესებით უდაბნოში მცხოვრები ბედუინებისგან არაფრით განსხვავდებოდა, თუმცა ამ ადამიანების შვილები ძველ ტრადიციებს მოსწყდნენ და თავი ქალაქური ცივილიზაციის ნაწილად იგრძნეს. ცხოვრების შედარებით მაღალი დონის მიუხედავად, ამ ახალგაზრდებს აღარ აკმაყოფილებდა ის, რის შეთავაზებაც კადაფის რეჟიმს შეეძლო. ეს გუშინდელი პროვინციალებისა და ჯერაც არშემდგარი ქალაქელების გენერაცია ოპოზიციის საყრდენად იქცა.

**განხილულ ეპიზოდში კადაფი და მისი სავარაუდო მკვლელი აშკარად „სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ“. ლიბიის ყოფილი მმართველი ბედუინების ტრადიციული ადათ-წესების მიმართ აპელირებდა, რომელიც ალ-ურეიბისთვის განსაკუთრებულს, როგორც ჩანს, არაფერს ნიშნავდა. დავუშვათ, რომ უშუალოდ მკვლელობის მომენტში ის აფექტის მდგომარეობაში იყო, თუმცა მოგვიანებით გადაღებულ ვიდეოში, აშკარად ჩანს, რომ ამ ისტორიას თანამებრძოლებს სიამაყით უყვება. ტრადიციული ღირებულებების მატარებელი არაბი არასოდეს იამაყებდა იმით, რომ ბაბუისტოლა კაცს ცემით კლავდა მაშინ, როდესაც ის უფროს-უმცროსობაზე მიუთითებდა, თუნდაც მოსისხლე მტერი ყოფილიყო, მაგრამ ის ხომ „ახალი ტიპის ლიბიელი“ გახლდათ; ყველაზე პარადოქსული კი, ალბათ, ისაა, რომ ამ გენერაციის აღმოცენებას ხელი თავად კადაფიმ შეუწყო.**

ერთ-ერთი ვერსიით, კადაფის ბოლო სიტყვები იყო: „რასაც აკეთებთ, არამია“. ცხადია, სამოქალაქო ომი ძალზე სასტიკი რამ არის და მასში მონაწილე ადამიანებმა შეიძლება უკიდურესად ანტიჰუმანური რამ ჩაიდინონ. კადაფის მკვლელობა და მისი ცხედრის შემდგომი დემონსტრაციული შეურაცხყოფა კი ამ გარემოების გათვალისწინებითაც უპრეცედენტოა.

მოვლენათა განვითარების სხვა ვარიანტი, ალბათ, გამორიცხული იყო. **კადაფის სასამართლოს წინაშე, მითუმეტეს ჰააგაში, წარდგომა, მისთვის ტრიბუნის მიცემას ნიშნავდა. მან კი, სავარაუდოდ, ლიბიის ახალ მმართველებზე და უცხო ქვეყნების ლიდერებზე, თუნდაც სარკოზისა და ბერლუსკონიზე, ძალიან ბევრი რამ იცოდა;**

**მის განცხადებებს, მაგალითად, შეეძლო ნიკოლა სარკოზის საარჩევნო კამპანიაზე დრამატული ზეგავლენა მოეხდინა. მოკლედ, ბევრ გავლენიან ადამიანს აწყობდა, რომ კადაფი სამუდამოდ დადუმებულიყო.**

ლიბიური ოპოზიცია ნატოსთან მჭიდროდ თანამშრომლობდა, პრაქტიკულად გამორიცხულია (განსაკუთრებით, ომის დასკვნით ეტაპზე), მხარეებს არ ემსჯელათ იმაზე, რა უნდა მოიმოქმედონ, თუ კადაფის ტყვედ აიყვანენ. თუ ოპოზიციის მებრძოლები რამდენიმე საათით მაინც დააყოვნებდნენ, დასავლეთის ქვეყნები იძულებულნი გახდებოდნენ, მოეთხოვათ, რომ ლიბიის ახალ ხელისუფლებას დატყვევებული კადაფის მიმართ კანონით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით ემოქმედა. მყისიერმა ანგარიშსწორებამ კი ამის აუცილებლობა მოხსნა. მუამარ კადაფის ბევრი ცუდი რამ ჰქონდა ჩადენილი, თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა იმას, რომ ის სასამართლოს გარეშე, ლინჩის წესით უნდა გაესამართლებინათ.

შემდეგ კი ლიბიაში აბსოლუტური სიგიჟე დაიწყო. კადაფის ცხედარი ქალაქ მისურატას ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის მაცივარში დაასვენეს, სადაც მის სანახავად და მის ფონზე ფოტოს გადასაღებად უამრავი ადგილობრივი მოსახლე მივიდა. ბოლო შემთხვევას, როდესაც გარდაცვლილის ფონზე ფოტოს გადაღების სურვილი ასე მასობრივად გამოვლინდა, ადგილი II მსოფლიო ომის დროს ჰქონდა, მაგრამ გერმანელ ფაშისტებსაც კი საკუთარი შვილებისთვის სურათი გვამების ფონზე არ გადაუღიათ. **ის, რაც მისურატაში ხდებოდა, ისლამის ტრადიციებს ეწინააღმდეგებოდა და ადამიანურობის ჩარჩოებსაც გასცდა. კადაფის დაუძინებელი მტრების, საუდიტების დინასტიის წარმომადგენელმაც კი, პრინცმა ტალალ ბენ აბდელ აზიზმა განაცხადა, რომ „კადაფი იმსახურებდა სიკვდილს, მაგრამ ის, როგორც ეს მოხდა, ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისით, დაუშვებელია“.**

ყველა ნორმალური ადამიანის შოკური რეაქცია მომხდარზე ყველაზე ზუსტად, ალბათ, გერმანიის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის თავმჯდომარემ რობერტ ცოლიჩმა გამოხატა: **„ეს მორალურად მიუღებელია. კადაფის მოწინააღმდეგეებს არა იმდენად მისი სიკვდილის დადასტურება, რამდენადაც სენსაციის გამოწვევა სურდათ“.**

ნუთუ რამდენიმე ზარს ვაშინგტონიდან არ შეეძლო ეს შეეჩერებინა? ალბათ, შეეძლო, მაგრამ, როგორც ჩანს, ყურმილი ხელში არავის აუღია.

იქნებ საქმე ლიბიელების რაღაც განსაკუთრებულ ველურობაშია? მაგრამ დიდად თუ განსხვავდებიან მათგან სააკაშვილის პოლიციელები, რომლებიც 26 მაისს დაპატიმრებულ, სასტიკად ნაცემ ლუკა კურტანიძესთან ერთად ფოტოებს იღებდნენ. მართალია, პირველ შემთხვევაში საუბარი გარდაცვლილზეა, ხოლო ლუკა კურტანიძე, მადლობა ღმერთს, ცოცხალია, თუმცა არსებითი სხვაობა ამ ორ ეპიზოდს შორის არც ისე დიდია. ამ დროს, ალბათ, უნდა ვისაუბროთ არა ქართველებისა და ლიბიელების მენტალობაზე, არამედ ზნეობრივ ორიენტირებს მოწყვეტილ „ახალი ტიპის ადამიანებზე“, გლობალურ ბიომასაზე, რომელმაც არ იცის, თუ სად გადის ზღვარი ალალსა და არამს, კაცობასა და არაკაცობას შორის და ეს სულაც არ ანაღვლებს.

**დასავლეთმა არ აიძულა ლიბიის ახალი ხელისუფლება, დაუყონებლივ შეეწყვიტა კადაფის ცხედრის შეურაცხყოფა და ამის მიღმა შესაძლოა იდგეს მკაფიო გზავნილი სხვა ქვეყნების მმართველების მიმართ, რომ, თუ ისინი დამჯერები, 100%-ით მორჩილები არ იქნებიან, შეიძლება იგივე ხვედრი გაიზიარონ.** შევადაროთ ერთმანეთს სამი არაბული ქვეყნის ყოფილი მმართველების ბედი: **კადაფი, რომელიც გააფთრებით იბრძოდა, ლინჩის წესით გაასამართლეს. ტუნისის პრეზიდენტმა ბენ ალიმ მხოლოდ მცირედი წინააღმდეგობა გაწია და დღეს ემიგრაციაში, საუდის არაბეთში ცხოვრობს. ჰოსნი მუბარაქი ერთობ გაჯიუტდა და დღეს სასამართლოს განაჩენს ელოდება.** ეგვიპტური მედიის ცნობით, **„როდესაც მას მოკლული კადაფის ფოტოები აჩვენეს, ყოფილი პრეზიდენტი ატირდა და გული შეუწუხდა, რადგან შეეშინდა, რომ შეიძლება ასეთივე ბედი ეწიოს“.** ძნელი სათქმელია, რამდენად შეიძლება ვენდოთ ამ შემთხვევაში ეგვიპტურ წყაროებს, რადგან ადრე მუბარაქი სიმამაცის დეფიციტს არ უჩიოდა. თუმცა ერთი ფაქტია, ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ მსგავსი მასალების გაცნობისას, თუნდაც ერთი წამით საკუთარ თავს მსხვერპლის ადგილას წარმოიდგენს.

**სავარაუდოდ, კადაფის სასტიკად მოკვდინების კადრებმა მსოფლიოს ყველა დიქტატორზე საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. გამონაკლისი, ალბათ, არც მიხეილ სააკაშვილი გახლდათ; თუ მისი წარმოსახვის ზოგად სიმდიდრეს გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ კადრებმა მასზე სერიოზულად იმოქმედა.**

ბოლო დროს, სულ უფრო მეტი ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილის მმართველობა შეიძლება საკმაოდ მალე, მაქსიმუმ 1-2 წლის განმავლობაში დასრულდეს. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების გარანტიების საკითხი მისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ხდება. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ არსებობს გლობალური მოთამაშეების შეთანხმება იმაზე, რომ სააკაშვილმა პოლიტიკური ასპარეზი უნდა დატოვოს, ალბათ, მისთვის ოპტიმალური იქნება, ცვლილებებს რამდენადმე სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწიოს, არჩევნების შედეგები არ გააყალბოს და ა. შ.

გავითვალისწინოთ, რომ სააკაშვილი, ისევე, როგორც კადაფი, არის „მოწმე №1“ და, შესაძლოა, გარკვეულ ძალებს საქართველოს ფარგლებს გარეთ არ სურთ, რომ ის განსასჯელის სკამზე აღმოჩნდეს და სასამართლოს დარბაზში „ზედმეტი ლაპარაკი“ (რაც ზოგადად სჩვევია) დაიწყოს. მართალია, კადაფისგან განსხვავებით, სააკაშვილი არ ფლობს ნავთობთან და მრავალმილიარდიან საიდუმლო გარიგებებთან (ან საერთაშორისო დონის პოლიტიკურ კორუფციასთან) დაკავშირებულ ინფორმაციას, თუმცა **2008 წლის აგვისტოს ომის წინარე პერიოდზე მან, სავარაუდოდ, ბევრი რამ იცის. წარმოიდგინეთ, ბრალდების მიერ კუთხეში მიმწყვდეულმა სააკაშვილმა რაღაც მომენტში რომ დაიწყოს საუბარი იმაზე, რომ ესა თუ ის ამერიკელი მაღალჩინოსანი ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისკენ უბიძგებდა; ეს პერსპექტივა ვაშინგტონში, ცხადია, არავის ხიბლავს.**

**სავარაუდოდ, სააკაშვილის შემდგომი ბედი იმის მიხედვით გადაწყდება, თუ რამდენად კეთილგონიერად მოიქცევა ის ხელისუფლებიდან წასვლამდე დარჩენილ პერიოდში; ყველაზე რეალისტური და ხელშესახები მისთვის, ალბათ, მაინც ემიგრაცია, ანუ „ბენ ალის ვარიანტი“ ჩანს, მაგრამ ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ სადღაც იქ, ატლანტიკის მეორე მხარეს, დამტვერილ სეიფში არ ინახება საქაღალდე, რომლის ყდას აწერია „ვარიანტი ბ“. ასე რომ, სააკაშვილმა, ალბათ, ძალიან ფრთხილად, წინდახედულად უნდა იმოქმედოს.**

მისი დარჩენა საქართველოში კი ნაკლებად სავარაუდო ჩანს, რადგან აქ შეიძლება დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცეს, თანაც რეჟიმისგან დაზარალებული მოქალაქეები მის გასამართლებას მუდმივად მოითხოვენ, რაც ახალ ხელისუფლებას მეტად ორჭოფულ მდგომარეობაში ჩააყენებს.

ყოველივე ეს შორეული, ზოგისთვის, შესაძლოა, ძნელად წარმოსადგენი პერსპექტივაა. თუმცა, ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ სააკაშვილი ამ თემაზე გამუდმებით ფიქრობს.

ზურაბ ლობჟანიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმეჯერ აღიძრა. პირველი ორი ბრალდება მის სამსახურს უკავშირდებოდა. გამოძიება მტკიცებულებების არარსებობისა და სსსკ-ის ცალკეული მუხლების დეკრიმინალიზების შემდეგ შეწყდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ერთწლიანი გამოძიებით ხელისუფლებამ წარდგენილ ბრალდებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ მოიპოვა, მისი დევნა მაინც არ შეუწყვეტიათ.

პანორამა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩვეულებრივი ბანდიტიზმი

## ვანო მერაბიშვილი შვეიცარიული კომპანიის კუთვნილ აგარაკში შეიჭრა

„ნაცხელისუფლების“ ექსპროპრიაციულმა პოლიტიკამ მუტაცია განიცადა. „სახელმწიფოს სახელით“ მოქმედი ნაცბობოლები თავიდანვე დახარბდნენ არამხოლოდ თანამდებობებს, არამედ ყველა სიკეთეს. თანაც სიხარბემ იმდენად სძლია, რომ არაფერს ერიდებოდნენ. ყველას გვახსოვს, „სხვისთვის ქონების ჩუქების სურვილით გულანთებული ადამიანები“ შუაღამისას როგორ მიდიოდნენ ნოტარიუსთან და უფორმებდნენ ბიზნესწილებს თუ სხვა ქონებას მათთვის სრულიად უცნობ პირებს. მაგრამ ფაქტი, რომლის შესახებაც ახლა გიამბობთ, ნაცრეალობისთვისაც კი უპრეცედენტოა.

**შინაგან საქმეთა მინისტრი უკანონოდ, ყოველგვარი საბუთის გარეშე ცხოვრობს კვარიათში, შვეიცარიული კომპანიის „მეტალიკ 1871“-ის კუთვნილ აგარაკზე. კომპანიამ არაერთხელ მისწერა პრემიერ-მინისტრს და იუსტიციის მინისტრს, გამოიყვანეთ ჩემი სახლიდან შინაგან საქმეთა მინისტრიო, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რისი და ვისი გამომყვანები არიან ზურაბ ადეიშვილი და, მით უმეტეს, ნიკა გილაური.**

ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ფოტოგრაფების ცნობილ საქმესთან დაკავშირებით წლეულს, 4 აგვისტოს, ვებგვერდმა copoka.net-მა გამოაქვეყნა ფარული სატელეფონო ჩანაწერები. ერთ-ერთ ასეთ ჩანაწერში თითქოსდა შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი საუბრობენ. „მერაბიშვილი“ „ადეიშვილს“ ახარბებს: **„ბიჭო, როგორი პონტია, იცი, ისეთი გრილი ნიავია ზღვიდან, სულ ნიავია რაა. ვაბშე ვერა გრძნობ სიცხეს. აი ნიავია, ჩქარი კი არ არი, ნიავია რა...“**

მაინც სად იყო მერაბიშვილი ამ „საუბრის“ დროს და საიდან უბერავდა „სულ ნიავი“? თვითმხილველების თქმით, მინისტრი ოჯახთან და ამალასთან ერთად აგვისტოში კვარიათში ისვენებდა სწორედ იმ აგარაკზე, სადაც ბანდიტურად შეიჭრა.

ამ აგარაკს კი ტრაგიკული ისტორია აქვს.

**კვარიათში აგარაკი სახელმწიფო საწარმოების — „მადნეულისა“ და „კვარციტის“ ყოფილმა ხელმძღვანელმა ზურაბ ლობჟანიძემ 1999 წელს ააშენა და მისი სიდედრის — ფატი ფერაძის სახელზე იყო გაფორმებული.**

**ზურაბ ლობჟანიძემ „ვარდების რევოლუციას“ გაასწრო და 2003 წლიდან ოჯახთან ერთად შვეიცარიაში ცხოვრობს. პოლიტიკური თავშესაფარიც მიიღო. შვეიცარიაში ცხოვრების პირობების შექმნის მიზნით კი საქართველოში ქონება მთლიანად გაასხვისა — თბილისში, კანდელაკის ქუჩაზე მდებარე ბინა, მარგიანის ქუჩაზე არსებული სახლი და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში (კვარიათში) მდებარე აგარაკი. მაგრამ, რაკი „ვარდოსნებმა“ ლობჟანიძე ხელში ვერ ჩაიგდეს და სხვებივით ვერ გამოწურეს, მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 მაისის ბრძანებით, ზემოაღნიშნულ, უკვე გასხვისებულ ქონებას ყადაღა დაედო.**

ზურაბ ლობჟანიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმეჯერ აღიძრა. პირველი ორი ბრალდება მის სამსახურს უკავშირდებოდა. გამოძიება მტკიცებულებების არარსებობისა და სსსკ-ის ცალკეული მუხლების დეკრიმინალიზების შემდეგ შეწყდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ერთწლიანი გამოძიებით ხელისუფლებამ წარდგენილ ბრალდებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ მოიპოვა, მისი დევნა მაინც არ შეუწყვეტიათ.

მესამედ სს საქმე უკვე ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადების წაქეზების ბრალდებით აღძრეს და ხელვაჩაურის სასამართლომ 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ლობჟანიძეს და მის სიდედრს — ფატი ფერაძეს, თუმცა დამატებით სასჯელად ქონების, ანუ ჯერ კიდევ 2004 წელს დალუქული სახლის ჩამორთმევა არც უხსენებიათ. საქმის მასალების მიხედვით, ზურაბ ლობჟანიძემ ფატი ფერაძე და ცნობილი ქართველი ფეხბურთელი მიხეილ ყაველაშვილი წააქეზა. ლობჟანიძეებმა კვარიათის სახლი, რომელიც ფატი ფერაძეზე იყო დარეგისტრირებული, ყაველაშვილს მიჰყიდეს. **პროკურატურამ ამ საქმეზე ყაველაშვილის ეპიზოდი ცალკე გამოჰყო. ნიშანდობლივია, რომ იგი სასამართლო პროცესზე არც კი დაუკითხავთ, მიუხედავად იმისა, რომ მზად იყო, ჩვენება მიეცა და ხელშეკრულების ნამდვილობა დაედასტურებინა. პროკურატურასა და სასამართლოს მისი ჩვენება არაფერში სჭირდებოდა, ისედაც ნათელი იყო, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილი იყო.**



**ამ სახლში ხშირად ხედავენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს თანმხლებ პირებთან ერთად. აქაურთა თქმით, ვანო მერაბიშვილი 2009 წლიდან სისტემატურად სტუმრობს კვარიათს და გირგვლიანის მკვლელების განთავისუფლების აღსანიშნავი წვეულებაც აქ გადაიხადეს.**

ლობჟანიძე-ფერაძის სასამართლო პროცესამდე აგარაკს ახალი მეპატრონისთვის — ყაველაშვილისთვის არ უცნობებიათ, რომ სახლი დალუქული იყო და დასასვენებლად ჩასული ფეხბურთელის ოჯახი სახლში ვერ შევიდა. ყაველაშვილებმა საკუთარი ქონების დაცვა სასამართლოს გზით სცადეს. ვერაფერს მიაღწიეს და ლობჟანიძეს ფულის უკან დაბრუნება მოსთხოვეს. ნასყიდობის ხელშეკრულება გაუქმდა და ყაველაშვილმა ფული უკან დაიბრუნა. ეს ფული ლობჟანიძეს შვეიცარულმა კომპანიამ „მეტალიკ 1871“-მა მისცა და სახლიც დაისაკუთრა.

მაგრამ შვეიცარიული კომპანია მხოლოდ იურიდიული მფლობელია, ლობჟანიძისა და ფერაძის კვარიათელი მეზობლები კი არც მალავენ, რომ **ამ სახლში ხშირად ხედავენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს თანმხლებ პირებთან ერთად. აქაურთა თქმით, ვანო მერაბიშვილი 2009 წლიდან სისტემატურად სტუმრობს კვარიათს და გირგვლიანის მკვლელების განთავისუფლების აღსანიშნავი წვეულებაც აქ გადაიხადეს.**

**სახლში ავეჯიც გამოცვალეს და გაარემონტეს კიდეც, მეზობელთან საზიარო მისასვლელი გზის ნაცვლად კი ცალკე გზაც გაიყვანა მერაბიშვილმა და აგარაკიდან ზღვამდე არხიც გაჭრა — შს მინისტრს და მის თანამეინახეებს სკუტერებით შეჯიბრი ძალიან ყვარებიათ და ღია ზღვაში გასასვლელიც ხსნილი აქვთ.**

მერაბიშვილისთვის ცხოვრება მშვენიერია, ლობჟანიძეს და ფერაძეს კი „წითელი ცირკულარით“ ეძებენ. არადა, ყველასთვის ცნობილია „ძებნილების“ მისამართი. საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმეჯერ მოითხოვა მათი ექსტრადირება, მაგრამ შვეიცარიის ხელისუფლებამ უარი უთხრა, რადგან შესაბამისი მტკიცებულებები ვერ წარადგინა. **საქართველოს ხელისუფლებამ ლობჟანიძესა და მისი ოჯახის წევრებს, ვადის გასვლის შემდეგ, პასპორტებიც არ მისცა, ამიტომ შვეიცარიის ხელისუფლებამ 14 დღეში უზრუნველყო ისინი შვეიცარიის მოქალაქის პასპორტებით.**

ზურაბ ლობჟანიძის თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ მას არაერთგზის შესთავაზა გარიგება. 2003-2004 წლებში **კოტე კემულარია, დავით ბეჟუაშვილი, ბადრი პატარკაციშვილი, ზურაბ ხარატიშვილი** აქტიურობდნენ. ლობჟანიძე აცხადებს, რომ **მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, მიხეილ მაჭავარიანი, დავით და გელა ბეჟუაშვილები, კობა ნაყოფია, კოტე კემულარია, კახა ბენდუქიძე, თემურ ალასანია...** „მოქალაქეთა კავშირი“ და „ნაციონალური მოძრაობა“ იყვნენ და არიან დაინტერესებული მისთვის პრობლემების შექმნით. შეუქმნეს კიდეც: ყველა წილი, რომელიც მას სხვადასხვა საწარმოში ჰქონდა, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე წაართვეს. **ვანო მერაბიშვილი კი, კვარიათის სამსართულიანი სახლის გადაფორმების სანაცვლოდ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას ჰპირდებოდა. ამ მიზნით შინაგან საქმეთა მინისტრმა ლობჟანიძეს მიუგზავნა... ჭყონდიდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი — მეუფე პეტრე (ცაავა)!**

ბიზნესმენი არ აპირებს, მერაბიშვილს რამე გადაუფორმოს და ბრძოლას სტრასბურგის სასამართლოში განაგრძობს.

**წარმოიდგინეთ ევროპელი მოსამართლეების გაოცება, როდესაც გაიგებენ, რომ ბიზნესმენისთვის წართმეულ სახლში შინაგან საქმეთა მინისტრი შეიჭრა და ნებივრობს „სულ ნიავზე“. ეს მათ გააკვირვებთ, ჩვენ კი სხვა რამ უფრო გვაინტერესებს: რატომ უნდა გასჩენოდა ყოვლისშემძლე შინაგან საქმეთა მინისტრს სხვისი ქონების ბანდიტური გზით ხელში ჩაგდების სურვილი, როცა ნებისმიერ ადგილზე შეეძლო ლობჟანიძე-ფერაძისეულ აგარაკზე გაცილებით უკეთესი აეშენებინა და არც შვეიცარიულ კომპანიასთან ექნებოდა სასამართლო პროცესები საქართველოს ხელისუფლებას?**

**პასუხი მარტივია და მის სიღრმეებს ვერც სტრასბურგელი მოსამართლეები ჩასწვდებიან და ვერც შვეიცარიელები მიხვდებიან — თავდაჯერებულობა. მერაბიშვილი იმდენად დარწმუნებულია საკუთარ უძლეველობაში, რომ ჰგონია, კანონზე მაღლა დგას. ანდა ვის უკვირს ეს იმ ქვეყანაში, სადაც რამდენიმე კაცმა სახელმწიფო შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოდ გადააქცია. მაგრამ რეალობა იცვლება და ამ რეალობით გახურებულ შუბლს ვერ გაუგრილებს ზღვიდან მონაბერი „ისეთი გრილი ნიავი...“**

**ვანო მერაბიშვილი ზურაბ ლობჟანიძეს კვარიათის სამსართულიანი სახლის გადაფორმების სანაცვლოდ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას ჰპირდებოდა**

**ბონდო მძინარაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ივანიშვილის შეფასება ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით, ალბათ, სავსებით ადეკვატურია, რადგან დღეს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე „ახალი ფინეთის“ გაჩენა თითქმის შეუძლებელი ჩანს, თუნდაც ამის მოსურნე მცირე სახელმწიფოს „ძლიერი სახელმწიფო და ეკონომიკა“ ჰქონდეს. დღევანდელ მსოფლიოში, სადაც გავლენის სფეროების გამალებული გადანაწილება მიმდინარეობს, რომელიც თავისი ცინიზმით შეიძლება „ველურ პრივატიზაციას“ შევადაროთ, ამის მიღწევა თითქმის შეუძლებელია.**

# მიშა, ფილოსოფიური ქვა და კუდიანებზე მონადირე ვანო

**24 ოქტომბერს, ალბათ, ყველანი საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ საგიჟეთში ვცხოვრობთ. იმ დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ოფიციალური(!) განცხადება გაავრცელა: „22 ოქტომბერს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვალერი ლევინს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას აღმოაჩნდა უჩვეულო მინერალები და ბეჭდური მასალა. ლევინის განცხადებით, მოცემული მინერალები და ლიტერატურა ოკულტური დანიშნულების იყო და მომავლის განჭვრეტისთვის გამოიყენებოდა. აღნიშნული მინერალები გადაიგზავნა ექსპერტიზაზე. ჩატარებულმა ექსპერტიზამ ცხადყო, რომ მოცემული მინერალები ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს. ოკულტური მინერალები და ლიტერატურა ბიძინა ივანიშვილს დაუბრუნდა“. ძნელი სათქმელია, რა უნდა ვუწოდოთ ამას — „მიხეილ სააკაშვილი და ფილოსოფიური ქვა“ თუ „ჰარი პოტერი და ასათიანის ქუჩა“, თუმცა, ალბათ, აშკარაა, რომ ხელისუფლების ქცევას მძიმე პათოლოგიის გამოკვეთილი ნიშნები დაეტყო.**



**მეტი რაღა უნდა ვთქვათ: ეს, ალბათ, კლასიკური შიზოფრენიაა; ქვეყნის ხელისუფლებამ აშკარად რეალობის შეგრძნება დაკარგა და რაღაც მისტიურ ქვებზე ოფიციალურ განცხადებებს აკეთებს (შეკითხვა ექსპერტებს: შეუძლია თუ არა გაეროს, საქართველოში ფსიქიატრების შეზღუდული კონტინგენტი შეიყვანოს? ორიოდე დივიზია ნამდვილად არ გვაწყენდა)**

## მიხეილ ნგემა მბასოგო

სამწუხაროდ, შსს-ს განცხადება მოკლეა; გაურკვეველია, თუ როგორ ჩაუტარდა ექსპერტიზა „მომავლის განჭვრეტისთვის“ განკუთვნილ მინერალს (დაწვრილებით აღწერეთ, please, და ბარემ დასკვნაც გამოაქვეყნეთ). მეტიც, ისიც კი გაუგებარია, თუ რატომ დაუბრუნეს ივანიშვილს ის, რაც ლევინს ჩამოართვეს. თუმცა პოლიტიკური ოპონენტების ოკულტურ ძალებთან კავშირში დადანაშაულების პრეცედენტი უახლეს ისტორიაში ნამდვილად არსებობს; ეს ამბავი 1994-ში ეკვატორიალურ გვინეაში მოხდა. როდესაც აშშ-ს ელჩმა ამ ქვეყანაში, ჯონ ბენეტმა ხელისუფლებას მოუწოდა, ოპოზიციონერების წამება შეეწყვიტა, ხელისუფლებამ უპასუხა, რომ **„ელჩი სასაფლაოზე დადიოდა და იქ ოპოზიციონერებისგან მიღებულ ჯადოსნურ ელექსირებს სვამდა, რათა არჩევნების შედეგებზე ზეგავლენა მოეხდინა“.**

თუ იმ აქცენტების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებიც აშშ-ის ელჩმა საქართველოში, ჯონ ბასმა კვირას გადაცემა „აქცენტებში“ გააკეთა (მარტივად რომ ვთქვათ, მან მკაფიოდ მიანიშნა, რომ ვაშინგტონი სააკაშვილს არჩევნებს არ გააყალბებინებს), ალბათ, **შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილი ეკვატორიალური და ბედკრული გვინეის პრეზიდენტის — თეოდორ ობიანგ ნგემა მბასოგოს გზას გაუყვება (კაცმა რომ თქვას, ისედაც ამ გზას ადგას) და იტყვის, რომ რუსეთის მოქალაქე ვალერი ლევინისგან მიღებული ქვა ივანიშვილმა ამერიკის მოქალაქე ჯონ ბასს გადასცა, რომელმაც მისი გამოყენებით შესაბამისი რიტუალი ჩაატარა.**

**მეტი რაღა უნდა ვთქვათ: ეს, ალბათ, კლასიკური შიზოფრენიაა; ქვეყნის ხელისუფლებამ აშკარად რეალობის შეგრძნება დაკარგა და რაღაც მისტიურ ქვებზე ოფიციალურ განცხადებებს აკეთებს (შეკითხვა ექსპერტებს: შეუძლია თუ არა გაეროს, საქართველოში ფსიქიატრების შეზღუდული კონტინგენტი შეიყვანოს? ორიოდე დივიზია ნამდვილად არ გვაწყენდა).**

ასეთი გამოხდომების შემდეგ სერიოზული საუბარი სააკაშვილსა და მის ხელისუფლებაზე, ალბათ, უკვე შეუძლებელია. ასე რომ, აჯობებს, ისევ ივანიშვილზე ვისაუბროთ. ემოციური ვნებათაღელვა, რომელიც პოლიტიკურ ავანსცენაზე მისმა გამოსვლამ გამოიწვია, აგერ უკვე სამი კვირაა, გრძელდება. ასეთ ფონზე ძნელია, ერთმანეთისგან გამიჯნო პრინციპულად მნიშვნელოვანი ფაქტები და მეორეხარისხოვანი დეტალები; დღეს მსჯელობა, უპირველესად, ტაქტიკაზე მიდის, ხოლო სტრატეგიულ საკითხებს, კომენტატორები ჯერჯერობით იშვიათად ეხებიან. თუმცა „მთავარ თემებზე“ დისკუსიის დაწყების ცალკეულ მცდელობებს ადგილი ნამდვილად აქვს.

**„დააყენებს თუ არა ნატოს გზაზე საქართველოს სააკაშვილის მილიარდერი ოპონენტი? — კითხულობს EurasiaNet-ი: — გაგრძელდება თუ არა კვლავ ის პროდასავლური, ნატოზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა, რომელსაც დღევანდელი მთავრობა ატარებს? დამოკიდებულია თუ არა ეს ორიენტაცია ერთ ადამიანზე, დღევანდელ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე“?**

EurasiaNet-ის კითხვებში (წერილის ავტორია ჯოშუა კუცერა) „პროდასავლური“ და „ნატოზე ორიენტირებული“ ერთმანეთზეა მიბმული, რაც ქართული პოლიტიკური მითოლოგიის სტერეოტიპებს სავსებით შეესაბამება. ამ პოზიციის ჩარჩოებში ის ფაქტი, რომ ქვეყანა შეიძლება თხემით ტერფამდე პროდასავლური (უფრო ზუსტად კი — დასავლური) იყოს და ამავე დროს ნატოში არ შედიოდეს, როგორც ფინეთი ან ავსტრია, სერიოზულად არ განიხილება, თითქოსდა ამ მეტად წარმატებული ქვეყნების მაგალითი ბუნებაში არ არსებობს. **ეს მიდგომა, AS DEFAULT, გულისხმობს, რომ საქართველოს პროდასავლური ხელისუფლება ნატოს დროშას ისევე აქტიურად უნდა აფრიალებდეს, როგორც მატადორი წითელ ქსოვილს გამძვინვარებული ხარის ცხვირწინ.**

## ლოდები ოცნებების სასაფლაოზე

ბიძინა ივანიშვილმა თავისი პოზიცია განხილულ საკითხებზე ია ანთაძესთან საუბარში ასე ჩამოაყალიბა: **„ნეიტრალიტეტს, მე მგონი, ჩვენ ვერ შევძლებთ. ასეთი სუსტი სახელმწიფოს პირობებში, სუსტი ეკონომიკით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე რომ ვთქვა, ნეიტრალიტეტისთვის ვიბრძოლებ-მეთქი, ამის მოლოდინი ნუ გვექნება. იდეალური, რა თქმა უნდა, ნატო იყო ჩვენთვის და მასთან დაახლოებას კვლავაც ვეცდები. ნატო საუკეთესო ვარიანტი იქნება ჩვენი უსაფრთხოებისთვის, მაგრამ არ მაქვს ილუზია, რომ ამ მიმართულებით ვითარება სწრაფად შეიცვლება. ის შანსი, რაც გაუშვეს ხელიდან დიდი ხნით, იმედი მაქვს, რომ სამუდამოდ არ დაგვიკარგავს და ამ საკითხს უნდა დავუბრუნდეთ“.**

**ივანიშვილის შეფასება ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით, ალბათ, სავსებით ადეკვატურია, რადგან დღეს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე „ახალი ფინეთის“ გაჩენა თითქმის შეუძლებელი ჩანს, თუნდაც ამის მოსურნე მცირე სახელმწიფოს „ძლიერი სახელმწიფო და ეკონომიკა“ ჰქონდეს. დღევანდელ მსოფლიოში, სადაც გავლენის სფეროების გამალებული გადანაწილება მიმდინარეობს, რომელიც თავისი ცინიზმით შეიძლება „ველურ პრივატიზაციას“ შევადაროთ, ამის მიღწევა თითქმის შეუძლებელია.** მართალია, ზოგიერთი ამერიკელი ექსპერტი დღეს „უკრაინის ფინეთიზაციაზე“ მსჯელობს, თუმცა ეს საუბრები, ალბათ, უფრო ვაშინგტონის გეოპოლიტიკურ უკანდახევას ნიღბავს. სინამდვილეში, კიევი ნაბიჯ-ნაბიჯ აღმოსავლეთისკენ მიიწევს და მისი დღევანდელი მოჩვენებითი ნეიტრალიტეტი ახლო მომავალში, სავარაუდოდ, რუსეთთან სტრატეგიული ალიანსით შეიცვლება. **„ახალ ფინეთად“ გადაქცევის შესაძლებლობა, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის რაღაც ეტაპზე სავსებით ხელშესახები იყო, დღეს, ალბათ, მაინც ილუზორულია.**

რაც შეეხება ივანიშვილის ინტერვიუს იმ ნაწილს, სადაც ნატოზე საუბრობს, აშკარად ჩანს, რომ ის სკეპტიკურად უყურებს ახლო მომავალში საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივას და მას შედარებით შორეულ მომავალს უკავშირებს. აქ ჩვენ პრინციპულ მომენტს ვუახლოვდებით, რადგან **საქართველოს მისწრაფება — ნატოს წევრი გახდეს, რუსეთთან ურთიერთობების სტრატეგიული დარეგულირების შესაძლებლობას გამორიცხავს, შესაბამისად, კრემლთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე საუბრის შესაძლებლობას სპობს.** ▶

მოკლედ

## კლინტონის დამსახურებით

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის განცხადებით, „აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა“. ამის შესახებ მან დუშანბეში ვიზიტის დროს განაცხადა.** „რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები ახლა პოზიტიურია, განსაკუთრებით სიტუაცია სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ჩემი დანიშნვის შემდეგ გაუმჯობესდა. ჩემი დანიშნვის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან რიგი კონსტრუქციული შეხვედრები გაიმართა, რომელთა შედეგები პოზიტიურ ხასიათს ატარებდა,“ — განაცხადა კლინტონმა.

## ნატოს სამშვიდობოები სერბებს დაერივნენ

**კოსოვოს ჩრდილოეთით ნატოს სამშვიდობოებსა და ადგილობრივ სერბებს შორის შეტაკება მოხდა.** ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა სამშვიდობოები სერბების აქციის დასაშლელად გაგზავნა. მომიტინგეები სერბეთის საზღვართან საბაჟო და საპოლიციო კონტროლის პუნქტების დადგმის წინააღმდეგ გამოდიან. საკონტროლო-გამშვები პუნქტისკენ სამშვიდობოების ორი 100-მანქანიანი კოლონა გვიან ღამით გაემართა და სერბეთის საზღვარი გამთენიისას გადაკვეთა. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, დაახლოებით 150 ადამიანმა გზაზე, რომელზეც სამშვიდობოებს უნდა გაევლოთ, ბარიკადები აღმართა. სამშვიდობოებმა მომიტინგეების დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

**მოსკოვი სეპარატისტული რესპუბლიკებიდან, სავარაუდოდ, უკან ერთი ნაბიჯითაც არ დაიხევს, ვიდრე იარსებებს თუნდაც მცირე შანსი იმისა, რომ ნატო სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებას მოახერხებს. დისკომფორტი საერთაშორისო არენაზე ამ კონტექსტში მოსკოვისთვის მეორეხარისხოვანია. მეტიც, თუ კრემლი იგრძნობს, რომ საფრთხე იზრდება, მისი განეიტრალებისთვის ყველაფერს გააკეთებს, რაც შეიძლება საქართველოზე ზეწოლის გაძლიერებაში გამოიხატოს.**

## პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «საქართველოს მისწრაფება — ნატოს წევრი გახდეს, რუსეთთან ურთიერთობების სტრატეგიული დარეგულირების შესაძლებლობას გამორიცხავს, შესაბამისად, კრემლთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე საუბრის შესაძლებლობას სპობს»

◀ საქართველოს მომავალი ხელისუფლება, სავარაუდოდ, განსაკუთრებული პრობლემების გარეშე რუსეთთან შემდეგი საკითხების მოგვარებას მოახერხებს: დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, სავიზო რეჟიმის შერბილება შემდგომი გაუქმების პერსპექტივით, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნება, ომის განუახლებლობის დამატებითი გარანტიების შექმნა და შესაძლოა, კონფლიქტური ზონის ნაწილობრივი (მცირე) დემილიტარიზაცია. თუმცა, ვიდრე ოფიციალური თბილისი ნატოში გაწევრიანებაზე უარს არ იტყვის, მოსკოვი ჩამოთვლილის იქით, უბრალოდ, არ წავა.

**„ჩვენი ტერიტორიის ოკუპაცია, მე მგონი, რუსეთსაც ყელში აქვს გაჩხერილი. თუ რუსეთი გეგმავს ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობების დალაგებას, წინსვლას ამ კუთხით, რა თქმა უნდა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი მას ლოდივით ექნება ჩამოკიდებული,“** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. კაცმა რომ თქვას, მსგავსი ლოდების თრევა რუსებისთვის განსაკუთრებულ პრობლემას არასოდეს წარმოადგენდა, გარკვეული თვალსაზრისით, ეს მათი ეროვნული სპორტია. თუმცა აქ მთავარია, თუ რამდენად პრიორიტეტულია კრემლისთვის ესა თუ ის საკითხი: **მოსკოვი სეპარატისტული რესპუბლიკებიდან, სავარაუდოდ, უკან ერთი ნაბიჯითაც არ დაიხევს, ვიდრე იარსებებს თუნდაც მცირე შანსი იმისა, რომ ნატო სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებას მოახერხებს. დისკომფორტი საერთაშორისო არენაზე ამ კონტექსტში მოსკოვისთვის მეორეხარისხოვანია. მეტიც, თუ კრემლი იგრძნობს, რომ საფრთხე იზრდება, მისი განეიტრალებისთვის ყველაფერს გააკეთებს, რაც შეიძლება საქართველოზე ზეწოლის გაძლიერებაში გამოიხატოს.**

### პატიოსანი ადამიანის თვალები

**საერთოდ, ივანიშვილის მიერ ამ ეტაპზე რევოლუციური საგარეოპოლიტიკური იდეების წამოყენება ხელისუფლებას მისი კრიტიკის (ვარიაციები თემაზე „კრემლის აგენტი“) გაშლის შესაძლებლობას მისცემდა; ამ პროცესში დასავლური მედიის ნაწილიც ჩაერთვებოდა, რაც ნეგატიურ ფონს შექმნიდა. ეს ივანიშვილს დღეს არაფერში სჭირდება.**

თუმცა დავუკვირდეთ განხილული ინტერვიუს ერთ საგულისხმო მონაკვეთს. ია ანთაძის კითხვაზე: **„როგორ ფიქრობთ, რას ითხოვს რუსეთი საქართველოსგან, თუ არსებობს რაღაც ისეთი, რისი დათმობაც რუსეთს დააკმაყოფილებდა და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს არ დააზარალებდა?“,** ივანიშვილი პასუხობს: **„არ ვიცი, რა არის ისეთი, რაც შეგვიძლია დავთმოთ. დამოუკიდებლობა იყო და ყოველთვის იქნება უმთავრესი. თავისუფლების გარეშე არაფერი გვინდა. ეს არც კი შეიძლება კითხვის საგანი გახდეს. ეკონომიკიდან რამე სერიოზული, რაც რუსეთს შეიძლება აინტერესებდეს, მგონი, არაფერი დაგვრჩა. ის, რაც მოხდა, საშინელებაა ჩვენთვის და არც მათთვის არის მომგებიანი. იმედი მაქვს, ამას ჩემ გარეშეც მიხვდებიან და მეც შევეცდები, დავარწმუნო. ამის იმედი მაქვს, ძირითადად. ასეთი სამხრეთ ოსეთი და ასეთი აფხაზეთი რუსეთისთვისაც მძიმე ტვირთია. სხვა რამ დამატებით შეთავაზებებს რუსეთისთვის მე ვერ ვხედავ. თუ რამე გამოჩნდა მომავალში, საზოგადოებას დავეკითხები“.**

ზოგადად, მოლაპარაკებების დაწყების წინ ესა თუ ის (განსაკუთრებით კი სუსტი) მხარე, როგორც წესი, აფიქსირებს არა მხოლოდ იმას, თუ რის მიღება სურს, არამედ (და უპირველეს ყოვლისა) იმას, თუ რის დათმობას არავითარ შემთხვევაში არ აპირებს. როგორც ვხედავთ, ივანიშვილმა ეს გააკეთა, შემდეგ კი მისი რეპლიკები ერთობ ბუნდოვანი გახდა. მაგალითად, ეკონომიკასთან მიმართებაში მან, სავარაუდოდ, მშვენივრად იცის, რომ რუსებს რკინიგზა, მაგისტრალური გაზსადენი (და ზოგიერთი სხვა ობიექტი) აინტერესებთ, თუმცა ამაზე არაფერს ამბობს. ის ასევე არ საუბრობს საქართველოს ნატოში არგაწევრიანებაზე, მიუხედავად იმისა, რომ იცის, კრემლისთვის ეს საკითხი მეტად აქტუალურია. **საბოლოო ჯამში, ის თითქოსდა სთავაზობს მოსკოვს, საკუთარი ინტერესების ფორმულირება თავად მოახდინოს და იქვე დასძინს, რომ მომავალი შეთანხმება რუსეთთან შიდაქართულ კონსენსუსს („საზოგადოებას დავეკითხები“) დაეფუძნება; ეს სერიოზული საუბრის დაწყებისთვის არცთუ ურიგო შესავალია.** სინამდვილეში, არაფერი ზებუნებრივი ამაში არ არის, ეს ჩვეულებრივი, ნორმალური პრაქტიკაა, უბრალოდ, ჩვენი პრობლემა ისაა, რომ „ნორმალურს“, როგორც ასეთს, ბოლო წლების განმავლობაში გადავეჩვიეთ.

შესავალი სერიოზული საუბრისთვის, ალბათ, სჯობს, ასეთი იყოს, ვიდრე მაგალითად, ასეთი: **„მე რომანტიული ადამიანი ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, არცთუ ცოტა რამ მინახავს. მას (პუტინს) პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს — ეს სწორედ ასეა. მე მას ვენდე და არ შევმცდარვარ. მან გააკეთა ყველაფერი, რასაც დამპირდა. ამიტომ დღეს რუსეთში თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ, ვიდრე სხვა ქვეყნებში! პუტინი უფრო პრაგმატულია, აზროვნების სტილით უფრო თანამედროვეა, ვიდრე დასავლეთის ბევრი პოლიტიკოსი“ (მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუ, გაზეთი Известия; 2004 წლის 12 აპრილი).** მსგავს ლაქლაქს ისტერიის ზღვარზე, რომელიც ყველამ ვიცით, რითაც დასრულდა, ალბათ, მაინც ფრთხილი და გააზრებული მინიშნებები სჯობს.

**სიფრთხილე ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია, რადგან რუსების შემოთავაზება საქართველოს მომავალი ხელისუფლებისადმი, სავარაუდოდ, საკმაოდ ხისტი იქნება; ალბათ, დაახლოებით ასეთი: ა) საქართველო უარს ამბობს ნატოში გაწევრიანებაზე; ბ) საქართველო უარს ამბობს ვაშინგტონის სატელიტობაზე და მასთან მიმართებაში დაახლოებით ისე იქცევა, როგორც — დღევანდელი უკრაინა (ზრდილობიანი დისტანცირება); გ) საქართველო თანდათან ერთვება ინტეგრაციულ პროექტებში, რომელთაც მოსკოვი პოსტსაბჭოთა სივრცეში ახორციელებს. ყოველივე ამის სანაცვლოდ, კრემლმა შეიძლება ქვეყნის მთლიანობის ეტაპობრივი აღდგენა შემოგვთავაზოს.**

რაც შეეხება უსაფრთხოების საკითხებს, აქ, ალბათ, ორი ვარიანტი გამოიკვეთება: ან უსაფრთხოების რუსული „ქოლგა“, ან „ფინური ვარიანტის“ ადაპტირებული ნაირსახეობა სეპარატისტულ რესპუბლიკებში ბაზების დროებითი დატოვებით (სსრკ ფინეთში ბაზებს 1955 წლამდე ინარჩუნებდა, თუმცა შეთანხმება შესაძლებლობას აძლევდა, იქ კიდევ 40 წელს დარჩენილიყო). ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსკოვი ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას უფრო მცირე ფასად დათანხმდეს. აქედან გამომდინარე, ახალ ხელისუფლებას კრემლთან საკმაოდ რთული საუბარი მოელის და ამ შემთხვევაში წინმსწრები განცხადებების გაკეთება „ნაციონალური მოძრაობის“ სააგიტაციო სტილში („მე და მიშა გპირდებით, მალე სოხუმში ვიქნებით“, „მიშა ამ ქვეყნის ნაღდი შვილია, მიშას რუსეთის არ ეშინია“ და ა.შ.), ალბათ, ყოვლად უადგილო იქნებოდა.

**საბოლოო ჯამში, ივანიშვილის ინტერვიუს „საგარეოპოლიტიკური ნაწილი“ შემდეგ შთაბეჭდილებას ტოვებს: ის, სააკაშვილისგან განსხვავებით, საერთაშორისო ურთიერთობებში დინების საწინააღმდეგოდ ცურვას არ აპირებს. ის არ შეეცდება, ვაშინგტონისა და მოსკოვის წინააღმდეგობებზე ითამაშოს და იმ შესაძლებლობებს გამოიყენებს, რომელთაც „გადატვირთვა“, ორი გლობალური მოთამაშის კონსენსუსი მისცემს; ეს პრინციპული ხასიათის ცვლილება იქნება.**

ამასთანავე, ივანიშვილი, როგორც ჩანს, აპირებს, ორივე მხარისგან მაქსიმალური სარგებელი მიიღოს (აქ, ალბათ, ბიზნესში მიღებული გამოცდილება გამოადგება). ფინეთი დღეს არაერთგზის ვახსენეთ და ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ „ცივი ომის“ წლებში ის ორივე დაპირისპირებული მხარის გამორჩეული, პრივილეგირებული ეკონომიკური პარტნიორი გახდა, რამაც საფუძველი მის დღევანდელ კეთილდღეობას ჩაუყარა, თორემ ადრე (თუნდაც მანერგეიმის მემუარებს თუ ვენდობით) ამ ქვეყანას საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური პრობლემები ჰქონდა.

**ასეთი შეფასების შემდეგ, როგორც წესი, მიღებულია პოლიტიკოსის მთავარი ოპონენტის დახასიათება და მათ შორის სხვაობის დაფიქსირება, თუმცა სააკაშვილი დღეს იმდენად კომიკურ მდგომარეობაშია („ჯადოსნური ქვების“ ისტორია და სხვა მსგავსი ფაქტები), რომ მისი პოლიტიკის სერიოზული ანალიზი ერთობ უადგილო იქნებოდა. სჯობს, ვაცალოთ, ვიდრე ხელქვეითებთან ერთად „უჩვეულო მინერალების“ მორიგ პარტიას ექსპერტიზას ჩაუტარებს. ისე, კაცმა რომ თქვას, რა დარჩენია სხვა?!**

**დიმიტრი მონიავა**

**1994-ში ეკვატორიალურ გვინეაში, როდესაც აშშ-ის ელჩმა ამ ქვეყანაში, ჯონ ბენეტმა ხელისუფლებას მოუწოდა, ოპოზიციონერების წამება შეეწყვიტა, ხელისუფლებამ უპასუხა, რომ «ელჩი სასაფლაოზე დადიოდა და იქ ოპოზიციონერებისგან მიღებულ ჯადოსნურ ელექსირებს სვამდა, რათა არჩევნების შედეგებზე ზეგავლენა მოეხდინა»**





**სააკაშვილი ეკვატორიალური და ბედკრული გვინეის პრეზიდენტის — თეოდორ ობიანგ ნგემა მბასოგოს გზას გაუყვება (კაცმა რომ თქვას, ისედაც ამ გზას ადგას) და იტყვის, რომ რუსეთის მოქალაქე ვალერი ლევინისგან მიღებული ქვა ივანიშვილმა ამერიკის მოქალაქე ჯონ ბასს გადასცა, რომელმაც მისი გამოყენებით შესაბამისი რიტუალი ჩაატარა**

მოკლედ

## თურქეთის არმია ქურთებს უტევს

**თურქეთის არმია ერაყის ჩრდილოეთით ერთდროულად 5 რაიონში ატარებს ფართომასშტაბიან ოპერაციას, რომელშიც ქვეყნის შეიარაღებული ძალების 22 ბატალიონი მონაწილეობს.** თურქეთის საჰაერო სამხედრო ძალებმა კანდილში, ზაპში, ჰინერში, ჰაკურკსა და მეტინაში ქურთების მუშათა პარტიის რიგ ობიექტებზე სარაკეტო დარტყმები განახორციელეს. თურქული დაზვერვის ინფორმაციით, ამ რაიონებში ექსტრემისტების ბაზები და ბანაკებია განლაგებული. შეგახსენებთ, ქურთების მუშათა პარტიამ პროვინცია ჰაკარიაზე შეტევა განახორციელა, რომელსაც 24 ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა, 18 კი დაიჭრა. ამ ინციდენტის შემდეგ თურქეთის არმიამ ავიაციის გამოყენებით ერაყის ჩრდილოეთით სამხედრო ოპერაცია დაიწყო.

## ბაქომ თეირანისგან საპროტესტო ნოტა მიიღო

**აზერბაიჯანის საზღვარზე მოკლული ირანის მოქალაქე ირანის სასაზღვრო სამსახურის თანამშრომელი აღმოჩნდა, რის გამოც ბაქომ თეირანისგან საპროტესტო ნოტა მიიღო.** ირანის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლის — პოლკოვნიკ მოიტაბა მუსაევის თქმით, მისი კოლეგა პატრულირების დროს შეცდომით საზღვრის იქეთ აღმოჩნდა, რის შემდეგაც იგი აზერბაიჯანელმა ჯარისკაცებმა მოკლეს. მანამდე აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა განაცხადეს, რომ საზღვრის დამრღვევი აზერბაიჯანელ მესაზღვრეებზე თავდასხმას შეეცადა და იარაღი გამოიყენა.

საქართველო და მსოფლიო
სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საპყრობილეებში, სამწუხაროდ, სიკვდილიანობა კატასტროფულად იზრდება, იზრდება ავადმყოფობის მაჩვენებელიც და ეს ბუნებრივიცაა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, თვითონ პატიმრების რაოდენობაც იზრდება, და მეორეც, პირობებია საპყრობილეებში იმდენად გაუსაძლისი, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელია, იქიდან ადამიანმა ჯანმრთელმა გამოაღწიოს.“



### გელა ნიკოლაიშვილი:

# ხათუნა კალმახელიძე უკვე მოხსნილია და რამდენიმე დღეში ეს ოფიციალურად გამოცხადდება

**ხელისუფლების მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებებსა და ზოგადად, ადამიანის უფლებების დარღვევის ბოლოდროინდელ ფაქტებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი გელა ნიკოლეიშვილი.**

**— ბატონო გელა, იმ დღიდან, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა, ამ ადამიანის მიმართ უფლებაშემლახველი ქმედებები არ წყდება: ჯერ იყო და, მოქალაქეობა ჩამოართვეს, შემდეგ რუსეთის აგენტად შერაცხეს, ბანკის ფული მოსტაცეს და ბოლოს დაცვაც განაიარაღეს. თქვენ, როგორც ადვოკატი და უფლებადამცველი, კონკრეტულად რა სახის დანაშაულებებს ხედავთ ამ ყველაფერში?**

— დავიწყოთ იმით, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ თავისი განზრახვების გამჟღავნებისთანავე ხელისუფლება ჩავარდა პანიკაში და ბოლომდე თვითონაც არ აქვთ გააზრებული, რას აკეთებენ ან რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ ამა თუ იმ ქმედებას. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ, ზოგადად, იმ მოქმედების სტილსაც, რომელიც ამ რეჟიმს ახასიათებს ოპონენტებთან მიმართებაში, გასაკვირი და მით უფრო მოულოდნელი იმაში, რაც ბიძინა ივანიშვილის მიმართ განხორციელდა, ნამდვილად არაფერია.

რაც შეეხება კონკრეტულ კანონდარღვევებს, სამართლებრივად თუ შევაფასებთ, რა თქმა უნდა, აქ იკვეთება დანაშაულის ნიშნები, მაგრამ, მეორეს მხრივ, როგორ გინდა, ეს ნიშნები გამოკვეთო იმ ხელისუფლების პირობებში, რომელიც თვითონ სჩადის ამ დანაშაულს და მერე თვითონვე იძიებს ამ ყველაფერს? თავისთავად ცხადია, ის თავის ქმედებებზე არ იტყვის, რომ ეს დანაშაულია, სხვა მართლმსაჯულების ორგანოები კი ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს, მიუკერძოებლად რომ გამოიძიოს ეს საქმეები და ხელისუფლების ან ცალკეული პიროვნებების პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს; თუმცა **დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან მოვა დრო, როცა ამ ყველაფერზე იმსჯელებს ობიექტური სასამართლო და დადასტურდება ყველა ის დანაშაული, რომელთაც ადგილი ჰქონდა არსებული ხელისუფლების პირობებში...**

**— წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, კონკრეტულად რა სახის სამართალდარღვევა განხორციელდა ბიძინა ივანიშვილის მიმართ?**

— მაგალითად, ბანკის თანამშრომლებისთვის ფულის წართმევა; ეს იყო ტიპური ყაჩაღობა, რომელიც ნორმალურ სახელმწიფოში, ჯერ ერთი, არ მოხდებოდა, მაგრამ, თუ მოხდებოდა, დაისჯებოდა კანონის სრული სიმკაცრით იმ მუხლების თანახმად, რომლებიც კონკრეტულად ამ ტიპის დანაშაულს მიესადაგება. რაც შეეხება დაცვის განიარაღებას, ეს უკვე არანაირი კანონმდებლობის ფარგლებში არ ჯდება, ვინაიდან ამ ადამიანს ჰქონდა ხელშეკრულება დადებული, რომ მას უნდა ჰყოლოდა დაცვა და ამ ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

სხვათა შორის, **როცა დაცვის განიარაღებაზე იყო საუბარი, ითქვა, რომ ივანიშვილი არ არის საქართველოს მოქალაქე და არამოქალაქის დაცვა არ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ, ეს, რა თქმა უნდა, არ არის არგუმენტი, რადგან, მაგ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, არამოქალაქეები არიან ყველა ის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან და, შესაბამისად, მაშინ სახელმწიფომ ასევე არ უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა და მათი უსაფრთხოება.** მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ, ცხადია, ივანიშვილის მიმართ ადგილი აქვს უხეშ კანონდარღვევას, რისთვისაც, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა აგონ კონკრეტულმა პიროვნებებმა, მაგრამ, მეორეს მხრივ, როცა ამ უკანონობას სჩადიან ფორმიანი ადამიანები, რომლებიც გველაპარაკებიან ვითომდა კანონის სახელით, ბუნებრივია, იქ რამე დასჯაზე და პასუხისმგებლობის დაყენებაზე საუბარი ზედმეტია.

**— მოქალაქეობის ჩამორთმევის ფაქტს როგორ უყურებთ, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი?**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს იყო წმინდა ვოლუნტარისტული, უკანონო მოქმედება, ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ისეთ სიტუაციაში მოქალაქეობის ჩამორთმევის პრეცენდენტს, როგორც ეს მოხდა ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში. ერთი საკითხია, რომ ჩვენი კონსტიტუცია კრძალავს ორი ქვეყნის მოქალაქეობას ერთდროულად, მაგრამ, თუკი ამ უფლებას უშუალოდ პრეზიდენტი მიანიჭებს ადამიანს, მაშინ ეს შესაძლებელია. საქმეც ისაა, რომ ივანიშვილისთვის პრეზიდენტს უკვე ჰქონდა ეს უფლება მინიჭებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად კიდევ სხვა ქვეყნის მოქალაქეობაც მიიღოს; ამდენად, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ის, რაც ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილის მიმართ განხორციელდა, არის ამ ხელისუფლების ვოლუნტარისტული პოლიტიკისა და, ზოგადად, ადამიანებისადმი დამოკიდებულების კიდევ ერთი ნათელი მაგალითი, რომლის მსგავსიც აქამდეც არაერთი გვინახავს, ოღონდ სხვა ფორმით გამოხატული...



## «ხელისუფლების მთავარი მიზანი ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციაა»

**— თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ ჰკითხოთ, არანაირი პოლიტიკური სარჩული ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას არ ჰქონია.**

— მარტივ მაგალითს მოგიყვანთ, არის ასეთი მოქალაქე — ნუგზარ ბოჭორიშვილი, რომელზეც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და სასჯელიც გამოტანილია დაუსწრებლად. ეს ადამიანი ამჟამად საბერძნეთში ცხოვრობს, იქაური მოქალაქეობაც მიიღო და, დიდი ხანია, ითხოვს, რომ გაუუქმონ საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ დღემდე არ უკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას. არ უკმაყოფილებენ იმიტომ, რომ მისი ექსტრადირება უნდათ. არადა, კანონის თანახმად, მას უკვე არ უნდა ჰქონდეს საქართველოს მოქალაქეობა. ერთი სიტყვით, ეს ფაქტიც ადასტურებს სწორედ იმას, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებები მსგავს შემთხვევებში ყოველთვის არის სუბიექტური და მისივე ინტერესებიდან გამომდინარე. ასე რომ, რაც უნდა ამტკიცონ, ივანიშვილის შემთხვევაში პოლიტიკა არაფერ შუაშიაო, ფაქტია, რომ ამ ადამიანს მოქალაქეობა ვიღაცის პირადი ინტერესების გამო ჩამოერთვა.

**— როგორ ფიქრობთ, მომავალში უნდა ელოდეს თუ არა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებისგან რაიმე პროვოკაციას?**

**— ჩემი აზრით, დღეს ამ ხელისუფლების მთავარი მიზანია, ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია, ან, უარეს შემთხვევაში, დაპატიმრება და დიდი ხნით (სანამ ესენი იქნებიან ქვეყნის სათავეში), მისი იზოლირება საზოგადოებისგან...**

**— გამომდინარე იქიდან, რომ ბიძინა ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა, შეუძლია თუ არა საფრანგეთს ან უნდა მოახდინოს თუ არა მან რაიმე რეაგირება იმაზე, რაც ამ ადამიანის მიმართ ხორციელდება?**

— საერთოდ, როცა საქმე ეხება კანონდარღვევას ისეთი მნიშვნელობის ადამიანის მიმართ, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, არამარტო რომელიმე ერთმა ქვეყანამ უნდა მოახდინოს ამაზე რეაგირება, რომლის მოქალაქეც ის არის, არამედ ასევე საერთაშორისო საზოგადოებამაც; მაგრამ ისეთ ეტაპზეა, როცა ესენი აცხადებენ, რომ ვითომდა რაღაც ეკონომიკურ დანაშაულს იძიებენ, ნაადრევი დასკვნების გამოტანას და, მით უფრო, ჩარევას, ყველა ერიდება. ისე, მე დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფერს ძალიან დიდი ყურადღებით ეკიდება იმავე საფრანგეთის საელჩოც, რომლის წარმომადგენლებიც და პირადად ელჩიც უკვე იმყოფებოდნენ ივანიშვილთან შეხვედრაზე, და ასევე დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლებიც, რომელთა კონკრეტულ განცხადებებს, იმედია, მომავალში მოვისმენთ, თუ კი ამ ადამიანის მიმართ არ შეწყდება მსგავსი უკანონო ქმედებები.

**— 7 ოქტომბერს, სარკოზის ვიზიტის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი შესაბამის პირებს აეროპორტში არ გაუცილებია. აქედან გამომდინარე, საუბრობენ იმაზეც, რომ სააკაშვილმა თავისი კოლეგისგან დახურულ კარს მიღმა მწვავე კრიტიკა მოისმინა. თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება ეს ფაქტი ივანიშვილის მიმართ განხორციელებულ ქმედებებთან დავაკავშიროთ, მით უფრო, რომ სარკოზის ვიზიტი და ივანიშვილის განცხადების გამოქვეყნება დროში დაემთხვა ერთმანეთს?**

— არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა ის, რომ სარკოზი აეროპორტში არ გაუცილებიათ, მაგრამ, თუ მართლა ასე იყო, მაშინ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს დიპლომატიური სკანდალია. როგორც ჩანს, **სააკაშვილს მართლა ჰქონდა გარკვეული გულისწყრომის მიზეზი საფრანგეთის პრეზიდენტის მიმართ, რადგან სარკოზი, ალბათ, შეეხო ამ ხელისუფლებისთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს, თუმცა ჯამში ეს ყველაფერი მათთვის მოულოდნელობა არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, როცა ქვეყანაში ამდენი უკანონობა ხდება და აბსოლუტურად ყველა სფეროში, დაწყებული ადამიანის უფლებებიდან, დამთავრებული სხვა ფუნდამენტური ღირებულებებით, ავტორიტარიზმი ბატონობს, არ უნდა გქონდეს იმის მოლოდინი, რომ ცივილიზებული სამყარო ამას მოიწონებს და ტაშს დაუკრავს...**

**— რაც შეეხება პატიმართა უფლებებს, ამასწინათ ხათუნა კალმახელიძე გამოვიდა და თქვა, რომ წინა წლებთან შედარებით, მსჯავრდებულებს გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ შექმნილი. რა ხდება დღეს რეალურად საპყრობილეებში და რა გარემოში უწევთ პატიმრებს სასჯელის მოხდა?**

— კალმახელიძისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა განცხადებებზე საუბარი, მე მგონი, არ ღირს, ვინაიდან ყველამ ვიცით, რომ მათი არც ერთი სიტყვის არ დაიჯერება. რაც შეეხება მდგომარეობას საპყრობილეებში, სამწუხაროდ, სიკვდილიანობა კატასტროფულად იზრდება, იზრდება ავადმყოფობის მაჩვენებელიც და ეს ბუნებრივიცაა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, თვითონ პატიმრების რაოდენობაც იზრდება, და მეორეც, პირობებია საპყრობილეებში იმდენად გაუსაძლისი, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელია, იქიდან ადამიანმა ჯანმრთელმა გამოაღწიოს. ერთი სიტყვით, უმძიმესი მდგომარეობა ამ თვალსაზრისით და, რაც ყველაზე დამაფიქრებელია, ეს მდგომარეობა დღითიდღე უარესდება...

**— ბოლო დროს არ მსმენია უფლებადამცველებისგან, რომ პატიმართა უფლებები უხეშად ირღვეოდეს.**

— ჯერ ერთი, უფლებადამცველებს, აგერ უკვე ხუთი წელია, საპყრობილეში არავინ უშვებს და, შესაბამისად, მსჯავრდებულებთან ურთიერთობის საშუალება, ფაქტობრივად, არ გვაქვს და კიდევ — თვითონ პატიმრები ისე არიან დაშინებული, რომ ვერც გაბედავენ, ვინმეს თავიანთი მდგომარეობის შესახებ უამბონ. ასე რომ, თუ კი დღესდღეობით გარკვეულწილად მიჩუმათებულია ეს ყველაფერი, ნურავის ეგონება, რომ ქვეყანაში წესრიგია. ვიმეორებ, გაუსაძლისი პირობებია საპყრობილეებში და მსჯავრდებულთა ოთხმოცი პროცენტი განწირულია სწორედ ამ პირობების გამო...

**— იმ ახალაშენებულ საპყრობილეებშიც ასეთი მდგომარეობაა, ხელისუფლება რომ გვიმტკიცებს, ევროსტანდარტების შესაბამისიაო?**

— არავითარი ევროსტანდარტების შესაბამისი ციხე საქართველოში არ აშენებულა და ამას მოწმობს ის სტატისტიკაც, რომელიც რეალურად არსებობს და რომელიც გვიჩვენებს, რომ პატიმართა სიკვდილიანობა კატასტროფულად იზრდება. ამასთან, ყველა ის ცვლილება, რომლებიც რეფორმის ფარგლებში განხორციელდა პენიტენციარულ სისტემაში, იყო მხოლოდ ფასადური და, ბუნებრივია, შედეგი ამას ვერ მოჰყვებოდა. პირველ რიგში კი ეს ეხება საკადრო ცვლილებებს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რომ განხორციელდა ამ მიმართულებით. სხვათა შორის, ცვლილებას რაც შეეხება: **მაქვს ინფორმაცია, რომ ხათუნა კალმახელიძე უკვე მოხსნილია და რამდენიმე დღეში ეს ოფიციალურად გამოცხადდება. მის ადგილზე კი ყოფილი პროკურორის, გიორგი ღვინიაშვილის დანიშვნა იგეგმება...**

**— და რას გეუბნებათ ეს ფაქტი?**

— არაფერს. ყველამ ვიცით, რომ რეალურად ხათუნა კალმახელიძეს დეკორაციის ფუნქცია ჰქონდა და სინამდვილეში ის იქ ვერაფერს წყვეტდა, მაგრამ ეს არის ამ ხელისუფლების პოლიტიკა — ხან ვიღაცას ხელს შეაწმენდენ, ხან მოხსნიან, მერე ისევ დანიშნავენ და ა. შ. რეალურად კი ცვლილების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, ვინაიდან არსებულ რეჟიმს შესაბამისი არც გეგმები აქვს და არც რესურსი...

ესაუბრა
**ჯაბა ჭვანია**

**ზოგიერთებს ჩვენი მოქალაქეები აფრიკიდან ჩაყვანილი ზანგები ჰგონიათ, რომლებსაც, რასაც უნდა, იმას უზამენ თავიანთ პლანტაციებში, როგორც ეს ლათინური ამერიკის ქვეყნებში ხდებოდა და, სამწუხაროდ, აი, ასეთი ადამიანები არიან მეწარმეებიც და მთავრობაშიც ასეთი ხალხია.**

ნაც-ჩელობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ირაკლი პეტრიაშვილი:

# შუასაუკუნეობრივი შრომის კოდექსი უნდა შეიცვალოს

**რამდენად უზრუნველყოფს მოქმედი შრომის კოდექსი დასაქმებულთა უფლებების დაცვას, როგორ იცავს საქართველოს პროფკავშირები მშრომელთა ღირსებას და რა ხდება ამჟამად ქუთაისის მეტალურგიულ ქარხანა „ჰერკულესის“ ირგვლივ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი გვესაუბრება.**



## ქურდული მენტალიტეტი აქვს ხელისუფლებას და «ობშიაკსაც» თავად კრებს

**— ბატონო ირაკლი, სულ ახლახან მსოფლიოში საუკეთესო პროფკავშირების ლიდერის წოდება მოგანიჭეს. გილოცავთ ესოდენ მნიშვნელოვან ჯილდოს. როგორ ფიქრობთ, რა დამსახურებისთვის დაგაჯილდოვეს?**

— პირადად ჩემს დამსახურებებზე მე ვერ ვილაპარაკებ, ეს, ალბათ, იმათ უნდა ვკითხოთ, ვინც ღირსად ჩამთვალა, ეს საპატიო ჯილდო მიმეღო. თუმცა შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი ისაა, თუ რა გარემოში უწევთ მუშაობა პროფკავშირების ლიდერებს, რადგან სულ სხვაა, იყო პროფკავშირების ხელმძღვანელი ბრიტანეთში ან საბერძნეთში და სულ სხვა — საქართველოში, სადაც შენი საქმიანობა თავისუფლებისა თუ სიცოცხლისთვის სახიფათო რისკს შეიცავს. თავადაც ნახეთ, რა მოხდა ქუთაისში, როცა ქარხანა „ჰერკულესის“ თანამშრომლები აბსოლუტურად კანონიერი ქმედების გამო დააპატიმრეს.

**— ქარხანაში არსებული უმძიმესი პირობების გამო, ქუთაისის მეტალურგიული ქარხანა „ჰერკულესის“ თანამშრომლებმა საპროტესტო აქციები მოაწყვეს, რასაც ზოგიერთი მათგანის დაპატიმრება და სამსახურიდან გათავისუფლება მოჰყვა. რა ვითარებაა ამჟამად და რას აკეთებს თქვენი ორგანიზაცია მათ დასახმარებლად?**

— ჩვენი ორგანიზაცია მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებს და ის დაპატიმრებული ადამიანებიც ჩვენი ორგანიზაციის წევრები არიან. შემიძლია წარმოგიდგინოთ უამრავი სტატია თუ საპროტესტო წერილი, რომელიც აღნიშნული ფაქტის გამო ხელისუფლებას გაეგზავნა. **საკითხი იხილება ევროკავშირში, ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოუგზავნეს საპროტესტო წერილები საქართველოს მთავრობას. ქარხნის დირექტორი სამსახურიდან გაათავისუფლეს. არ ვიცი, რამდენად ობიექტურად წარიმართება გამოძიება, მაგრამ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ფაქტია, რომ უკან დაიხიეს. თანამშრომლების უმრავლესობა ისევ აღდგენილია სამსახურში, ხოლო მათი მოთხოვნების დაახლოებით 80% უკვე შესრულებულია. აქვე მინდა გითხრათ, რომ ეს მოთხოვნები იმდენად ელემენტარული იყო, ცივილიზებული ქვეყნების პროფკავშირების წარმომადგენლებს შეიძლება ღიმილი მოჰგვაროს იმის გაგებამ, რომ 21-ე საუკუნეში მეტალურგები საშხაპეებს ითხოვდნენ.**

**საინტერესოა, რომ სასადილოში შესვლის უფლება ჰქონდათ ინდოელებს და არ ჰქონდათ ქართველებს. ეს ადამიანები ასევე ითხოვდნენ მეტალურგისთვის შესაფერის სპეცტანსაცმელს, ტრანსპორტირებას, ღამის ცვლებში მედპუნქტების მუშაობას... სურდათ მათი ჯიბიდან ამოღებული მოპარული ხელფასის დაბრუნება.**

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების აქტიურობის შედეგად გამოუშვეს ეს ადამიანები ციხიდან, ვინაიდან მთელ მსოფლიოს გავაგებინეთ, რა უსამართლობაც ხდებოდა ქარხანაში და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩავრიეთ.

**— თუმცა, გავრცელებული მოსაზრებით, ქართული პროფკავშირები სუსტია და მშრომელთა უფლებების დაცვას სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს.**

— საქართველოს პროფკავშირები რომ სუსტია, პირველი ამას მე ვაღიარებ. უსუსტესია, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. ვინც ამას ამბობს გონებაჩამორჩენილია. პროფკავშირების სიძლიერეს ყველა მისი წევრის აქტიურობა განაპირობებს.

როცა შრომის კოდექსს ვაპროტესტებდით, მხოლოდ 14 ათასი კაცი გამოვიდა და ეს მაშინ, როცა ამ ორგანიზაციაში 300 ათასი წევრი იყო გაერთიანებული. წარმოიდგინეთ, 300 ათას კაცს რომ გაეპროტესტებინა შრომის კოდექსი, მაშინ ხომ არ იქნებოდა სუსტი? პროფკავშირებს რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია არც ერთი განცხადება, კანონი თუ ქმედება, რაც დასაქმებულთა წინააღმდეგ იქნა დაშვებული, თუმცა, პირველ რიგში, აუცილებელია სოლიდარობა. ყოველთვის მესიის მოლოდინში ვართ, ვილაც ერთი კაცის მოლოდინში, რომელიც საქართველოს გაათავისუფლებს. ამ დღეებშიც ამ რეალობაში იმყოფება საქართველო. მესიის მომლოდინე ხალხი კი, შევარდნაძეს რომ უჩოქებდა და ცრემლებს აღვარღვარებდა, მუდამ ასე გაწბილებული დარჩება, სანამ უკანონობაზე ხმას თავად ხმას არ ამოიღებს. ყველა სოლიდარული უნდა იყოს — ქარხნის მუშა იქნება ის თუ სკოლის მოსწავლე.

ცოტა ხნის წინათ ვნახეთ, 53-ე სკოლის დირექტორმა, ავადმყოფმა ტარიელ შავშიშვილმა როგორ გადასცა პოლიციას სკოლის მოსწავლეები, თითის სიგრძე ბავშვები. ეს ადამიანი არის ავადმყოფი, არადა, სკოლის დირექტორია. ტარიელ შავშიშვილი ხელისუფლების ხელის ბიჭია, ჩინოვნიკების მეშვეობით პროფკავშირები ჩამოაყალიბა, რადგან, თუ საერთაშორისო ორგანიზაციები უსაყვედურებდნენ ხელისუფლებას, სათქმელი ჰქონოდათ, აი, შავშიშვილი მშვენივრად თანამშრომლობს ხელისუფლებასთანო. სასათბურე პირობებს უქმნიდნენ და ამ „დამსახურების“ გამო 53-ე სკოლის დირექტორად დანიშნეს.

მოსწავლე, რომელმაც თანატოლი დაიცვა, მარტო დარჩა. მშობლებმა არ მისცეს ბავშვს საშუალება, მეგობრის გვერდით დამდგარიყო. არადა, ორივე ბავშვი ხომ ითრგუნება ამ ყველაფრის შედეგად? როგორ უნდა დამიბრუნოს მომავალში ამ ბავშვმა აფხაზეთი? როგორღა უნდა გააერთიანოს საქართველო? თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემს შვილსაც მინდა ვუთხრა, როგორც არ უნდა დაისაჯოს, სკოლიდანაც რომ გარიცხონ, მისი თანატოლების გვერდით უნდა დადგეს — მათ გვერდით, ვინც უსამართლოდ იჩაგრება.

**ხელისუფლებას დისკრედიტაციის ორი მეთოდი აქვს: ან რუსეთის აგენტობას აბრალებენ ადამიანებს, ან ქურდული მენტალიტეტის ქონაში სდებენ ბრალს. ვინაიდან ამ ბავშვებზე ვერ იტყოდნენ აგენტები არიანო, ისევ კრიმინალური მენტალიტეტი დააბრალეს, რადგან ეს ბავშვებიც ისეთივე კოლბაში ჩამოსხმული მძორები არ არიან, როგორც ტარიელ შავშიშვილია, და საკუთარი აზრი და პროტესტის გრძნობა გააჩნიათ.**

**— თქვენ, დიდი ხანია, მოქმედ შრომის კოდექსს აპროტესტებთ, რამდენად უზრუნველყოფს ის დასაქმებულთა უფლებების დაცვას და რა არის დღევანდელ შრომის კოდექსში ყველაზე მიუღებელი?**

— დღეს მოქმედი შრომის კოდექსი შუა საუკუნეების აზრობრივი სიმახინჯეა. უკვე ხუთი წელიწადია, ამ შრომის კოდექსს ვაპორტესტებთ და იმას მივაღწიეთ, რომ ჩვენი აქტიურობის შედეგად რამდენიმე მუხლი შესწორდა. მაგალითად, 15-დღიანი შვებულება შეიცვალა 24-დღიანით; ასევე უნდა ყოფილიყო 48-საათიანი სამუშაო კვირა და ახლა არის 41-საათიანი, რაც ისევ ჩემი და იმ 14 000 ადამიანის დამსახურებაა, რომლებიც ამ კოდექსთან დაკავშირებით პროტესტს გამოვხატავდით. დანარჩენებმა სახლში ჯდომა ამჯობინეს, 14 000 ადამიანის აქტიურობამ კი მეტი ვერ შეძლო.

ვცდილობთ, ეს კოდექსი 21-ე საუკუნის შესაბამისი გახდეს და იმ ევროპულ ნორმებთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს, რომლისკენაც საქართველო დეკლარირებულად მიისწრაფვის, რეალურად კი ამისთვის არაფერი კეთდება. ჩვენი შრომის კოდექსით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები, ევროპის სოციალური ქარტია, აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულება საერთოდ იგნორირებულია. უგულებელყოფილია GCP plus-ი, რომელიც ქართველ მეწარმეებს საშუალებას აძლევს, ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავსი შეღავათებით ისარგებლონ.

შუასაუკუნეობრივი შრომის კოდექსი უნდა შეიცვალოს და საქართველოში დასაქმებული ადამიანი — ჩაითვალოს ადამიანად და არა ნივთად ან რობოტად. **37-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებელს სრულიად უმიზეზოდ შეუძლია გაათავისუფლოს სამსახურიდან დასაქმებული; მაგალითად, — თუნდაც იმიტომ, რომ მისი თმის ფერი ან საყურე არ მოეწონა, ან მისი სექსუალური სურვილები არ დააკმაყოფილა. ის დაწერს, რომ 37-ე მუხლის საფუძველზე გაათავისუფლა. სამსახურიდან დათხოვნილი ადამიანი კი ვერსად დაამტკიცებს, ყველა ზემოჩამოთვლილი უზნეო მიზეზიდან რეალურად რა გახდა სამსახურიდან მისი გათავისუფლების მიზეზი.**

რა თქმა უნდა, კოდექსში კიდევ სხვა უამრავი უმსგავსობა წერია, რაც ზეგანაკვეთურ შრომასა თუ სამსახურში მიღების წესებს ეხება, მაგრამ განსაკუთრებით დისკრიმინაციული და საშიში 37-ე მუხლია. უფრო მეტიც, შემიძლია გითხრათ, დასაქმებული შეიძლება სამსახურიდან პროფკავშირების წევრობის გამოც კი გაათავისუფლონ. სწორედ ასე მოხდა „ჰერკულესში“.

**— მართლაც, დასაწყისში ადმინისტრაციის ასეთი მძაფრი რეაქცია „ჰერკულესის“ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნას მოჰყვა. ის იატაკქვეშა ორგანიზაციად გამოაცხადეს და ექვსი თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს. არადა, ქარხნის თანამშრომლებს არ დაურღვევიათ კანონი არც მაშინ, როცა პროფკავშირებს აარსებდნენ, და არც მაშინ, როცა აქციებს მართავდნენ. რამ გამოიწვია ადმინისტრაციის აღშფოთება?**

— იმიტომ აღშფოთდნენ, რომ პროფკავშირი არის ორგანზიაცია, რომელიც საწარმოსა თუ ორგანიზაციაში მომხდარ უმსგავსობებს არავის პატიობს და ყველაფერი სააშკარაოზე გამოაქვს, ანუ გამოდის, რომ არის პროფკავშირი — არის პრობლემა, არ არის პროფკავშირი — არ არის პრობლემა. ზოგიერთ სამსახურში ადამიანები იმ მოვალეობებსაც ასრულებენ, რაც მათ კომპეტენციაში არ შედის. პროფკავშირები კი ფარდას ხდის შუა საუკუნეების აზროვნების მქონე ადამიანებს, რომლებსაც ისეთივე აზროვნება გააჩნიათ, როგორიც ესპანელ კოლონიზატორებს ჰქონდათ. ზოგიერთებს ჩვენი მოქალაქეები აფრიკიდან ჩაყვანილი ზანგები ჰგონიათ, რომლებსაც, რასაც უნდა, იმას უზამენ თავიანთ პლანტაციებში, როგორც ეს ლათინური ამერიკის ქვეყნებში ხდებოდა და, სამწუხაროდ, აი, ასეთი ადამიანები არიან მეწარმეებიც და მთავრობაშიც ასეთი ხალხია.

**— „საიას“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლებამ აგრესიულად ჩაახშო პროტესტი და დაკავებულებს ხელწერილები დააწერინეს, რომ ქარხანაში არსებულ პირობებს აღარ გააპროტესტებდნენ. მეტიც, ერთი თვის განმავლობაში მათ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ უწევდათ მუშაობა. რატომ ერევა ხელისუფლება ასე უხეშად ქარხნის საქმიანობაში?**

— იმიტომ, რომ ხელისუფლების რიგით წარმომადგენლებს ან თავიანთი საწარმოები აქვთ, ან ამ მეწარმეებს ართმევენ დამატებით თანხას არჩევნებისთვის, კონცერტებისთვის. ამ შემთხვევაში „ჰერკულესს“ არ ვგულისხმობ, ზოგადი სურათია ასეთი. ეს მეწარმეებიც ჩივიან, რამდენს ვუხადოთ ფული — ხელისუფლებას თუ მუშებსო, ამდენი საშუალება არ გვაქვსო. მეწარმეები რომ ჩივიან, ხელისუფლებაც ერევა, ამიტომაც იყო, რომ „ჰერკულესის“ აქციის დარბევას იმერეთის გუბერნატორი ლაშა მაქაცარია ხელმძღვანელობდა.

ქურდულ მენტალობას ვებრძვითო, რომ იძახიან, ეგეთი ქურდული მენტალიტეტი აქვს ხელისუფლებას და „ობშიაკსაც“ თავად კრებს.

**— გავრცელებული ინფორმაციით, ქარხანაში მომუშავე ინდოელებს პასპორტები ჩამოართვეს და ქვეყნიდან გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. რამდენად კანონიერია ქარხნის ადმინისტრაციის ქმედება?**

— გამოდის, რომ ტრეფიკინგთან გვაქვს საქმე. მე და ჩემი მოადგილე პირადად შევხვდით ინდოელებს, რომლებმაც ეს ფაქტი დაგვიდასტურეს, მაგრამ, რადგან არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია და ვინაიდან მე ხელთ არ მქონდა ამ ყველაფრის დამადასტურებელი დოკუმენტები, მივმართეთ პროკურატურას, კეთილი ინებონ და სიმართლე გაარკვიონ, თუმცა მგონია, რომ ეს ყველაფერი მოჩვენებითია — საზოგადოების თვალის ახვევის მიზნით დაიბარეს და დაკითხეს ხელმძღვანელობა პროკურატურაში, რადგან მაქვს ინფორმაცია, რომ, როგორც კი ეს საქმე დასრულდება, შემდეგი ნაბიჯი პროფკავშირების ლიდერებისა და პირადად ჩემი დისკრედიტაცია იქნება.

**— ინფორმაცია გაქვთ, რომ თქვენს დაჭერას აპირებენ?**

— ჩემი უცხოელი მეგობრებისგან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისგან ზუსტი ინფორმაცია მაქვს, რომ ჩემს დისკრედიტაციას აპირებენ. მათი აზრით, სახელმწიფოსთვის საფრთხეს წარმოვადგენ და სასწრაფოდ ჩემი განეიტრალება უნდა მოხდეს. მიუხედავად ამისა, არსად გაქცევას არ ვაპირებ. მე ვარ ამ ქვეყანაში და ზუსტად ვაცნობიერებ იმ რისკებს, რასთანაც ჩემი საქმიანობა არის დაკავშირებული, და, სადაც საჭირო იქნება, ისევ სიმართლეს ვიტყვი. მე ვერ მოვიგებ ამ ბრძოლას, მაგრამ იმის საფუძველს მაინც შევქმნი, რომ ამ ქვეყანაში სამართლიანობა დამკვიდრდეს.

ესაუბრა **შორენა ციჭქარაშვილი**

რეპორტაჟი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მთავარი მაინც ისაა, რომ იშვიათად მიდის ხალხი მასთან რაიმეს სათხოვნელად — თუ ვინმეს რაიმე უსაშველოდ გაუჭირდა და მაინც და მაინც ბიძინა ივანიშვილის ჩარევაა საჭირო, ეს კაცი სხვაზე ადრე გებულობს ყველაფერს, თხოვნამდე ასწრებს და იმაზე მეტით ეხმარება, ვიდრე რომელიმე გაჭირვებული აპირებდა რაიმეს თხოვნას მისთვის.“

# სპეციალური რეპორტაჟი ბიძინა ივანიშვილის მშობლიური სოფლიდან

**ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ საჩხერის რაიონში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. რაიონის მოსახლეობის უმრავლესობა ივანიშვილის ამ ნაბიჯს მიესალმება, მასზე უკეთესი ქვეყნის მმართველი დღევანდელ საქართველოში არ ეგულება. თუმცა უმცირესი ნაწილი, ერთეულები შიშობენ, რომ ივანიშვილის პოლიტიკოსობა მისგან სოლიდურ ფინანსურ რესურსს მოითხოვს და საჩხერეში იმ საქველმოქმედო პროექტების შეწყვეტას გამოიწვევს, რომელთაც, უკვე 15 წელია, ანხორციელებს. ამ ადამიანებს მერკანტილური დამოკიდებულება აქვთ იმ საქვეყნო და მასშტაბური პროცესების მიმართ, რომლებშიც ბიძინა ივანიშვილი ჩაერთო და რომელთაც პირობითად „საქართველოს გადარჩენა“ ჰქვია, თუმცა მათაც უნდა გავუგოთ, ვისთვისაც სამშობლო საკუთარი სახლის ჭიშკართან სრულდება. საბედნიეროდ, ასეთები ერთეულები არიან, უმრავლესობა მზადაა, ბიძინა ივანიშვილს ყველაზე მძიმე და უკომპრომისო ბრძოლაში გაჰყვეს.**



საჩხერეში თუ რაიმე სასიკეთო გაკეთებულა, ყველაფერი ივანიშვილის ფულით კეთდება. ბატონი ბიძინა ან საკუთარი ხელით, საკუთარი სამშენებლო კომპანიის მეშვეობით აშენებს საჩხერეში, ან ადგილობრივ თვითმმართველობას ეხმარება ფინანსურად, ისინი აკეთებენ ივანიშვილის ფულით, საკუთარი კადრებით, რომელთაც ისევ ქველმოქმედის ფულს უხდიან ხელფასად და არა — საბიუჯეტოს. ივანიშვილმა საკუთარი სამშენებლო კომპანიით, საკუთარი ხარჯით საჩხერეში ააშენა პროკურატურის, სასამართლოს შენობები, კინოთეატრი, მოსწავლეთა და ახალგაზრდული კულტურის ცენტრი, 2 სტადიონი, საცურაო აუზი; პოლიციის შენობა და კულტურის სახლი გაარემონტა; საჩხერის საფეხბურთო კლუბ „ჩიხურას“ ფეხბურთელებიან-მწვრთნელებიანად ინახავს და დღეს „ჩიხურა“ პირველ ლიგაში ლიდერობს; გაისად, ალბათ, უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. კლუბს თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ბაზა მოუწყო. ეს პროექტი ყოველწლიურად 2 მილიონი ლარი უჯდება. ამას გარდა, შექმნა ბავშვთა საფეხბურთო სკოლა, სადაც 300 ბავშვი დადის და მწვრთნელებს ხელფასს ივანიშვილი უხდის.

ბიძინა ივანიშვილმა ყველა სოფელში შეიყვანა გაზი, დააგო ასფალტი. საჩხერეში, ერთადერთი, პერევის საშუალო სკოლაღა დარჩა ასაშენებელი და ისიც იმიტომ, რომ რუსის ჯარი იდგა პერევში, რუსები გავიდნენ და სასწავლო პროცესს ხომ არ ჩაშლიდა — სკოლას ხომ არ დაანგრევდა, ახალი უნდა ავაშენოო? ზაფხულში, როცა სწავლა დასრულდება, პერევშიც ახალ სკოლას ააშენებს — ეს უკვე 35-ე სკოლის შენობა იქნება ქველმოქმედის მიერ აშენებული. მაშინ, როცა ქვეყანაში ერთმანეთის მიყოლებით იხურება სკოლები, საჩხერეში ერთი სკოლაც არ დახურულა, პირიქით, სადაც არ იყო, იქაც ააშენა. 34-ე სკოლაში ყველა პედაგოგი, სახელმწიფო ხელფასის გარდა, ივანიშვილის დანამატს იღებს: 11 სასწავლო საათზე — 200 ლარს, 11-ს ზემოთ — 300 ლარს. ცოტა მეტი აქვს დირექციის წარმომადგენლებს.

მთელს რაიონში გაკეთდა საკანალიზაციო სისტემა, რომელიც მანამდე არ იყო. მალე ხალხს უგრაფიკოდ ექნება წყალი. ელექტროენერგიის პრობლემა კი ბიძინა ივანიშვილმა მაშინ მოუგვარა საჩხერლებს, როცა დანარჩენ საქართველოში ბნელი და უკუნი მეფობდა.

**გოჩა გუდაძე** ბიძინა ივანიშვილის სამშენებლო-სამრეწველო კომპლექს „ატუ“-ში იმ პერიოდიდან მუშაობს, როცა მან თავისი საქველმოქმედო საქმიანობის ფართოდ გაშლა დაიწყო; მშობლიური ჭორვილის პარალელურად, საჩხერესა და რაიონის სხვა სოფლებშიც ანხორციელებდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

— აუგს საჩხერეში კაცი ვერ იტყვის ბატონ ბიძინაზე, ან ვის მოუბრუნდება ენა, რომ მასზე გადაბრუნებული თქვას, ერთ კაცს ამდენი გაეკეთებინოს, მსგავსი არსად მსმენია. ერთს გეტყვით მხოლოდ: რამდენიმე წლის წინ 5 ათას კაცზე მეტი იყო დასაქმებული სამუშაოებზე; კარგად მახსოვს, 5 დღე უნდებოდა 2 მოლარე დასაქმებული ხალხის ხელფასების დარიგებას, მაშინ გადარიცხვები არ იყო. ვიმეორებ, მხოლოდ ხელფასებს 5 დღე არიგებდნენ. მე საქველმოქმედოდ გაცემულ თანხებს არ ვგულისხმობ. და ეს მშენებლობის ბუმი 4-5 წელიწადს გრძელდებოდა. პირადად შევხვედრივარ ბატონ ბიძინას, ისე შემხვდება და მომიკითხავს, თითქოს უახლოესი მეგობარი ვიყო. თან, აუცილებლად უნდა გკითხოს, რამე ხომ არ გიჭირს, რამეში ხომ არ დაგეხმაროო.

**— მერე, არ თხოვეთ არაფერი?**

— რა ნამუსით მეთხოვა? კაცმა დამასაქმა, ხელფასს მიხდის, მთელ ოჯახს უფასოდ გვმკურნალობს, 5 წელი გაზისა და დენის ფული გვიხადა და, რავა, ჩემზე გაჭირვებული აღარ არის საჩხერეში? იმათ თხოვონ. ისე, ვინც რამე სთხოვა ამ კაცს, გაწბილებული არავინ დაუტოვებია. **მთავარი მაინც ისაა, რომ იშვიათად მიდის ხალხი მასთან რაიმეს სათხოვნელად — თუ ვინმეს რაიმე უსაშველოდ გაუჭირდა და მაინც და მაინც ბიძინა ივანიშვილის ჩარევაა საჭირო, ეს კაცი სხვაზე ადრე გებულობს ყველაფერს, თხოვნამდე ასწრებს და იმაზე მეტით ეხმარება, ვიდრე რომელიმე გაჭირვებული აპირებდა რაიმეს თხოვნას მისთვის.**

**სოსო ჭიღლაძე:** — საჩხერეში თითო-ოროლა თუ გამოერევა ისეთი, რომელიც ამბობს, თუ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ხელისუფლებაში მოვა, ჩვენ რა გვეშველება, პრივილეგიებს დავკარგავთო. საბედნიეროდ, ასეთები ძალიან ცოტანი არიან. **ვინც ამ ადამიანს იცნობს, ყველამ იცის, რომ უდიდესი პატრიოტია. თუ პირველი კაცი გახდა, ეშველება ქვეყანას. შინ რომ არ წაიღებს საქვეყნო ფულს, ამას, აბა, რა ლაპარაკი უნდა?** 15 წელია, შინიდან ეზიდება და ქვეყანასა და ხალხს ახმარს. არც სხვას დაანებებს, რომ ბიუჯეტიდან ერთი თეთრი მაინც მოიპაროს და, რაც არ ეკუთვნის, მიითვისოს. სამართლიანი ადამიანია.

**გოჩა ერაძე** ერთი იმ საჩხერელთაგანია, რომლისთვისაც სამშობლო უფრო ფართო მცნებაა, ვიდრე საკუთარი ბაღბოსტანი. ეს ახალგაზრდა სავანელი კაცი მზადაა, ბიძინა ივანიშვილს ყველაზე სარისკო საქმეში გაჰყვეს.

— კი, მაგრამ მთელი ცხოვრება ამ კაცის კმაყოფაზე ხომ არ უნდა ვიყოთ საჩხერლები? უამრავი რამ გაგვიკეთა, თან მადლობასაც არ გვათქმევინებს. უამრავია ისეთი ადამიანი, რომელთაც სახლები აუშენა; როცა დაოჯახდნენ, ქორწილი გადაუხადა და სამ-სამი ათასი დოლარი საქორწინო საჩუქრად მისცა; უნივერსიტეტები დაამთავრებინა — 5-5 წელი უხადა სწავლის გადასახადი. ახლა გეკითხებით, ჩვენში რამდენი მამა ვერ ახერხებს, ამის ნახევარი გაუკეთოს საკუთარ შვილებს. სხვა სიკეთეებზე, რომლებიც რაიონული მასშტაბით განხორციელდა და ყველას შეეხო, არაფერს ვამბობ. **ასეთ კაცს, ჯერ ერთი, იმიტომ უნდა უერთგულო, თან რომ გადაგყვა წლების მანძილზე, და, თუ ერთხელ დასჭირდება შენი თანადგომა, არც უნდა დაფიქრდე, ისე უნდა გაჰყვე და არც უნდა ჰკითხო — ბატონო ბიძინა, საით მივდივართო. ცუდ გზაზე და ცუდ ადგილას ეს კაცი არ წაგიყვანს. მეორეც, იმიტომ უნდა უერთგულო, რომ ასეთი დიდი ადამიანია. ასეთ ხალხს უნდა გავუფრთხილდეთ და უნდა გავიტანოთ.** იმიტომაც უნდა ვუერთგულოთ კიდევ, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის მარტო საჩხერელი ბიზნესმენი, მან უამრავი რამ გააკეთა თბილისში, ბათუმში, ურეკში, სიღნაღში. მისი სიკეთე მთელ საქართველოს გადასწვდა. ახლა მეტი რა გითხრათ, დანარჩენი კი იცით თავადაც. მოკლედ, ამ კაცს გაჭირვებაში არავინ მიუტოვებია და მე პირადად მზად ვარ, ყველაფერი გავაკეთო, თუ ჩემგან დაჭირდება რაიმე. უკეთეს პრეზიდენტს ვის ინატრებ კაცი?! პოლიტიკა არაა ჩემი საქმე, მარა ავის და კარგის გარჩევა ვიცი და ვერ დავიბრმავებ ახლა თვალს!

**ბიძინა ივანიშვილმა მთელი საჩხერე გაზის 15 მილიონი მეტრი პოლიეთილენის მილით დაქსელა, მთელ რაიონს კანალიზაციის სისტემა გაუკეთა, თანაც — სუპერთანამედროვე, რაზეც გერმანული კომპანიები მუშაობენ. 3 მილიონ ლარს ყოველთვიურად მარტო სამშენებლო-ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დასაქმებულ ხალხს უხდის ხელფასის სახით და ლამის ათი წელია, ეს პროცესი მიმდინარეობს.**

## ჭორვილა – ქართული ზღაპარი

**ბუნებრივია, კაცი როცა მატერიალურად ზურგს მოიმაგრებს, ცოტა ფულს იშოვის და, თუ ვინმეს დაეხმარება, უპირველესად, თავის ნათესავ-მეგობრებს, მეზობლებს... იმ ხალხს, ვის გარემოცვაშიც გაიზარდა. ვიღაცამ ამაგი დასდო ბავშვობაში და სიჭაბუკეში და მის წინაშე მოვალედ თვლის თავს, ვიღაცამ მის ოჯახს გაუმართა ხელი გაჭირვებისას, ბუნდოვნად ახსოვს, გადმოცემით იცის და, უნდა, ერთი ასად გადაუხადოს. საკუთარ კლასელს, რომელთანაც წლები ერთ მერხზე გაატარა, ავი სენი შეყრია და, ცხადია, უნდა უმკურნალოს... ქართველი კაცი სხვაგვარად ვერ მოიქცევა, საკუთარ ფესვებს ვერ მოსწყდება და სიკეთის თესვასაც სწორედ იმ ადგილიდან იწყებს, სადაც გაიზარდა, დაკაცდა, ავისა და კარგის გარჩევა ისწავლა, ცნობიერება ჩამოუყალიბდა და მერე, ამ უკუღმართი ცხოვრებისკენ მიმავალ დიდ და მრუდე გზას გაუყვა.**

ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედების შესახებ ჭორვილაში არაერთხელ დაწერილა და ყველაფრის ჩამოთვლას გაზეთის რამდენიმე გვერდიც არ ეყოფა. მხოლოდ, ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას. ჭორვილაში 500-მდე კომლი ცხოვრობდა, ვიდრე ბატონი ბიძინა ხალხს დახმარების ხელს გაუწოდებდა, ახლა 1000 კომლზე მეტი ცხოვრობს. ხალხი ზესტაფონიდან, ქუთაისიდან, ჭიათურიდან, რუსთავიდან, თბილისიდან დაბრუნდა. **ყველას, ვინც მშობლიურ სოფელს მიაშურა, ბიძინა ივანიშვილმა ან სახლი შეუკეთა კაპიტალურად, ანდა ახალი აუშენა. ყველა „ემიგრანტ ჭორვილელს“ ყოველთვიური დახმარება — 200 ლარი და 100-პროცენტიანი ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი მისცა; უხდიდა დენისა და გაზის გადასახადს. მოკლედ, ძველი და ახალი თანასოფლელები არ გაურჩევია ერთმანეთისგან. ბევრს, ცხადია, საერთოდ არ იცნობდა; არც ის იცის, ვინ როდის წავიდა ჭორვილადან და როდის დაბრუნდა, მაგრამ ახალი კომლი შეემატებოდა თუ არა სოფელს, მყისიერად მის საქველმოქმედო ფონდშიც ახალი ადამიანები ჩნდებოდნენ და ხარჯი მატულობდა.**

საახალწლოდ, 31 დეკემბერს, 8 ახალი ოჯახი შევა ახალ აშენებულ სახლში. სახლი აშენდა ახლადდაქორწინებულთათვის — ეს მათი საქორწინო საჩუქარია. ბატონი ბიძინა ცარიელ სახლებს კი არ ჩუქნის, ყველა სახლი ავეჯითაა გაწყობილი, სააბაზანო და სამზარეულო მოწყობილია, მაცივარი, ტელევიზორი (სახლზე დამონტაჟებული სატელიტური ანტენით), გაზის გამათბობელი და დენზე მომუშავე ღუმელი. მოკლედ, შედი და იცხოვრე, ხელის გატოკება აღარ გინდა, დიდი-დიდი, ავეჯის წყობა არ მოგეწონოს და დივანი ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში გადადგა და ტელევიზორი გადაანაცვლო. ჯამ-ჭურჭელი და დანა-ჩანგალიც კი არ აქვს ახლადდაოჯახებულ (და არა მარტო მათ) ოჯახებს საყიდელი. თან, ყოველთვიური დახმარება, მინიმუმ იმდენია, რომ თავი ირჩინო. აი, ასე იწყებენ ჭორვილაში ახლადშექმნილი ოჯახები ცხოვრებას.

**ახლახან სარიტუალო სასახლე ააშენა ბიძინა ივანიშვილმა სოფელში, 300-კაციანი დარბაზით. ქორწილია თუ ქელეხი, ნებისმიერ ჭორვილელს შეუძლია, 300 კაცზე შეუკვეთოს სუფრა, იქორწინოს, მიცვალებული გააპატიოსნოს და ერთ თეთრსაც არ გადაიხდის — არც დარბაზის ქირას, არც სასმელ-საჭმელისას და არც — მომსახურე პერსონალისას. ესეც ბიძინა ივანიშვილის საჩუქარია სოფლისთვის.**

არის, რა თქმა უნდა, შემთხვევები, როცა ბიძინა ივანიშვილი თავად ვერ გებულობს თანასოფლელთა გასაჭირს და მის ოჯახში მიდიან დახმარების სათხოვნელად. ბოლო ასეთი შემთხვევა ამ რამდენიმე დღის წინ მოხდა. ბიძინა ივანიშვილის დედას შინ თანაკლასელი, ალიოშა ხეტელიშვილი ესტუმრა. ბატონ ალიოშას სიძე ახალი დაღუპული ჰყავდა და ქალბატონ ციცინოსთვის უთხოვია, ჩემს ქალიშვილს სახლისთვის სამზარეულოს მიშენება უნდა, ფული არ აქვს და ეგებ, ბიძინა დაეხმაროსო; თან დაუძენია: ციცინო, კლასელებიდან მარტო მე და შენ დავრჩით ცოცხალი და იმედია, უარს არ მეტყვიო. ქალბატონ ციცინოს გაუცილებია თანაკლასელი, იმავე წამს დაურეკია ბიძინასთვის — ასე და ასეა საქმეო და რას იზამო? დედა, რა უნდა ვქნა, თავად არ იცი, უარი ვისთვის ან რაზე მითქვამს, ახლა შენს ერთადერთ კლასელს არ დავეხმარებიო? მეორე დღეს, დილაადრიან, სამშენებლო ბრიგადა მიადგა ალიოშა ხეტელიშვილის ქალიშვილის სახლს, სამზარეულოც მიუშენეს, კიდევ ორი ოთახის მიშენებას აპირებენ და, თუ რამეა სარემონტო, იმასაც მიხედავენ. ბრიგადირს უთქვამს, ციცინომ გვითხრა, თუ თავად მოისურვეს, მეორე სართულიც დაადგითო. ალბათ, დაადგამენ მეორე სართულსაც.

ბიძინა ივანიშვილი როცა იცლის, ხშირად თავად აკონტროლებს სამშენებლო პროცესს. ცხადია, საკუთარი ახალი სახლი რომ აიშენა ჭორვილაში, მუდამ იქვე ტრიალებდა, თუმცა ბუნებით სადა და უბრალო ადამიანი მუშებში ისე გაერეოდა, ვერც ამჩნევდნენ. ერთხელ „ტელეგრეიკა“ და ჩექმები ეცვა, ციოდა და თავზეც ნაქსოვი თბილი ქუდი ეხურა. საჩხერელი მუშები სახეზე ვერ ცნობდნენ ბიძინას. **ერთ მუშას რაღაც კონსულტაცია დასჭირდა და იქვე, ეზოში, შავტყავისპიჯაკიან, ჰალსტუხიან ჯეელს მიეჭრა: ბატონო ბიძინა, ეს ასე გავაკეთო, თუ ისეო? ეს ახალგაზრდა კაცი ბიძინა**

ხალხი ფიქრობს — თუ ბიძინა ჩვენ გვეხმარება, მისი მოცემული ფულით, ჩვენც მოვალენი ვართ, სხვას დავეხმაროთო. პატარ-პატარა ქველმოქმედების ფაქტები გახშირდა საჩხერეში, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ხალხმა სიკეთის კეთება დაიწყო — ზოგადად, სიქველე სახასიათო თვისებაა, მაგრამ ქონებაზეც არის დამოკიდებული.

რეპორტაჟი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხალხი ფიქრობს — თუ ბიძინა ჩვენ გვეხმარება, მისი მოცემული ფულით ჩვენც მოვალენი ვართ, სხვას დავეხმაროთო. პატარ-პატარა ქველმოქმედების ფაქტები გახშირდა საჩხერეში, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ხალხმა სიკეთის კეთება დაიწყო — ზოგადად, სიქველე სახასიათო თვისებაა, მაგრამ ქონებაზეც არის დამოკიდებული

**ივანიშვილის ოჯახის დაცვის წევრი აღმოჩნდა. მან მუშას მიანიშნა — აი, ის კაცია ბიძინა, მაგას ჰკითხეო. საჩხერელი მუშა გაკვირვებული უცქეროდა თურმე „ტელეგრეიკასა" და ტალახიან ჩექმებში გამოწყობილ კაცს, რომელიც ერთ-ერთ მუშას ელაპარაკებოდა.** იმ საჩხერელმა არ დაიჯერა დაცვის წევრის ნათქვამი და განაწყენებულა: — რას მემასხრებით, კაცო, ეგ ბიძინა ივანიშვილი როგორ იქნება, „ტელეგრეიკა" და ჩექმები აცვია და ჩემსავით ტალახს ზელსო. თავად ბიძინას დაუწყნარებია ეს კაცი.

ჭორვილის სკოლის მშენებლობისას ბიძინა ივანიშვილი სოფელში იყო. მიაკითხა მშენებლებს, მანქანა მოშორებით გააჩერა, დაცვაც მანქანასთან იდგა, თავად კი მშენებლებში გაერია. ზაფხული იყო, სპორტული შარვლით, მაისურით, კეპით და ბოტასებით — მსუბუქად იყო გამოწყობილი. ნაცნობებს დაელაპარაკა, მერე, იქვე დადგა და თვალყურს ადევნებდა მოფუსფუსე ხალხს. **ერთმა კორბოულელმა მუშამ (სოფელია საჩხერეში), უქმად მდგარი კაცი დაინახა, იფიქრა, ესეც მუშააო და შესძახა — აბა, ძმობილო ეს „ბალკა" ამატანინე მეორე სართულზეო. ბიძინამ აღარ გაამეორებინა, „ბალკის" მეორე მხარე აიტაცა და აიტანეს მეორე სართულზე. ჭორვილელები გაოგნებულნი უცქერდნენ ამ ამბავს, თან კორბოულელ მუშაზე ბრაზობდნენ — როგორ გაბედა და ბიძინა დაასაქმაო. ხუთი „ბალკის" ატანაში მიეხმარა ბიძინა მუშას. ჩამოვიდა ძირს, ხელები დაიბანა, ოფლი შეიმშრალა და ისევ იმ ადგილას დადგა, სადაც არ დააყენეს. გაიგო მერე ამ კორბოულელმა, ვინც დაასაქმა და თურმე თავში წაიშინა ხელი. ბიძინასთან მივიდა, — ბოდიში, ბატონო ბიძინაო, — ერთი ესლა მოასწრო, როცა ბიძინამ მხარზე გადახვია ხელი — რას ჯავრობ, ჩემო ძმაო, რა, პირველად ავწიე რკინა და სიმძიმე? რაც მე მშენებლობებზე მიმუშავია, ვინ მოთვლის მაგას. ეგეც არ იყოს, ეს სკოლა ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისთვის შენდება და მოვალეც ვარ, კიდეც მოგეხმაროთო.** ამ ამბის გახსენებაზეც ხალისობენ ჭორვილელები.

## კლასელი

**ტარიელ გოგოტიშვილი ბიძინა ივანიშვილთან ჭორვილის სკოლაში სწავლობდა. თანასოფლელები ერთად გაიზარდნენ. ბატონ ტარიელს „ქუცურას" ეძახდნენ ბავშვობიდან და ეს მეტსახელი დღემდე შემორჩა. ჭორვილაში მიმავალს, პირველი ტარიელ გოგოტიშვილის სახლი შეგხვდებათ ხელმარცხნივ. მასპინძელმა რომ გაიგო, ბიძინა ივანიშვილზე სასაუბროდ მივედი, სახე გაუნათდა. დილამდე ვილაპარაკებ ბიძინაზე, მაგრამ ყველაფერს მაგ კაცზე მაინც ვერ მოგიყვებიო.**

**შინ შემიპატიჟა. სახელდახელოდ გაშალა სუფრა. მისმა რძალმა დოქით ღვინოც შემოდგა მაგიდაზე. ვიდრე პირველ სადღეგრძელოს იტყოდა, თავად დაიწყო ბიძინა ივანიშვილზე ლაპარაკი:**

— შვილო და ძმაო, ასე, 12 წლის წინ რომ მოსულიყავი ამ ოჯახში, ვერც სუფრას გაგიწყობდი, ვერც ღვინის დაგახვედრებდი და რიგიანად ვერ გიმასპინძლებდი. ახლა ჭორვილაში რომელ ოჯახშიც არ უნდა შეხვიდე, ღვთისა და ბიძინას მადლით, რამდენიმე ნაუცბათევ სტუმარს ხელად უმასპინძლებენ, ხოლო თუ ორიოდ საათით ადრე გააფრთხილე, მაშინ ოციოდე კაცსაც გაისტუმრებენ ისე, რომ გარეთ არ გავლენ რაიმეს მოსასესხებლად.

**— ბატონო ტარიელ, თქვენზე მითხრეს, ძალიან უჭირდა და ბიძინამ მოათქმევინა სულიო.**

— კი, ასე იყო, მიჭირდა და ჭირი რა დასამალი და სასირცხვილოა? ბიძინა როცა ჩამოვიდა მოსკოვიდან, როცა შეძლებული კაცი გახდა, ერთ-ერთი პირველი ვიყავი, სახურავი რომ გამომიცვალა, სამშენებლო მასალა მომცა. მერე დამიძახა — „ქუცურა", ჭორვილა ხელახლა უნდა ავაშენო, დამიდექი გვერდითო. დავუდგებოდი, აბა, ასეთ სამადლო საქმეში არ დავუდგებოდი? პირველი „კოვშიანი" ტრაქტორი მე მყავდა აქ, ნახევარი ჭორვილას სახლების ფუნდამენტი ამ ტრაქტორმა ამოიღო, ბიძინას სახლზეც ვიმუშავე. გვარიანად მიხდიდა ხელფასს. მე შენ გეტყვი, დააგვიანებდა.

**— ბატონი ბიძინაც „ქუცურას" გეძახით?**

— კი, „ქუცურას" მეძახის, ასე მეძახიან ბავშვობიდან და... 16 ბავშვი ვიყავით ჭორვილას სკოლაში. მე უფროსი ვარ ბიძინაზე ერთი წლით. რაღა დასამალია და ჩავრჩი ერთი წელი კლასში და ბიძინას კლასელები წამომეწივნენ. ისე, სკოლა ერთად დავამთავრეთ.

**— როგორი ბავშვი იყო ბატონი ბიძინა?**

**— ნიჭიერი ბიჭი იყო, მუყაითი და შრომისმოყვარე. დროის ფასი იცოდა ბავშვობიდანვე, არც სკოლას და სწავლას აკლდებოდა, არც გართობასა და თამაშს და ოჯახსაც დიდი კაცივით ეხმარებოდა. ძალიან მშრომელი ოჯახი ჰყავდა, ოთხი უფროსი და-ძმა ჰყავს, თავად ნაბოლარაა. მამამისი, ცხონებული გრიშა, დიდებული კაცი იყო, კოლმეურნეობის ბრიგადირად მუშაობდა ერთხანს.**

**— ის სიკეთე და გულუხვობა, ახლა ბატონ ბიძინას ცხოვრების წესად რომ ექცა, ბავშვობიდან მოსდევს?**

— არ ულხინდა ბიძინას ოჯახს, უჭირდა, სხვაზე მეტად და სხვაზე ნაკლებად, მაგრამ მადლიანი ბიჭი იყო ბიძინა. თუ რაიმე ებადა, შუაზე გაგიყოფდა. დიდი ჩხუბისთავი არ იყო, მარა, თუ მეგობარს უჭირდა, კიდეც იჩხუბებდა, არასდროს არ დაიმალებოდა და არ განაპირდებოდა. ახლა ამ ყველაფერს იმიტომ არ ვამბობ, რომ ბიძინა დიდი კაცია. სხვაგვარი რომ ყოფილიყო, ამხელა ფულს იშოვნიდა? ამდენ სიკეთეს ასე უანგაროდ დათესდა? კი, ფულს ძაღლები და მამაძაღლებიც კი შოულობენ, მაგრამ ბიძინამ პატიოსნად იშოვა. ეგ ისეთი კაცია, სხვას არ წაართმევდა, სხვისას არ მიითვისებდა. ფულის ხარჯვაზე არ ეტყობა, რავარი კაცია?

**— ყველაზე ახლოს ვისთან იყო ბიძინა კლასში?**

— „ჟიგული წერეთელთან" იყო ყველაზე ახლოს. „ჟიგულის" სერაპიონი ჰქვია, მარა არავის ახსოვს მისი ეს სახელი. სულ ერთად იყვნენ, ერთ მერხზე გაატარეს მთელი ის წლები, თუმცა ყველა კლასელთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

**— და ყველას ეხმარება, არა, ახლა?**

— კი, ყველას დაუნიშნა ყოველთვიურად ფული. ვისაც როგორც უჭირს თუ ულხინს, ისე ეხმარება. ვილაცა შეიძლება კლასელი არ იყოს, მაგრამ მეტად უჭირდეს, მას მეტს უხდის, კლასელს კი, რომელსაც ნაკლებად უჭირს, შედარებით ნაკლებს. მოკლედ, არაფერი ეშლება.

**— თქვენ რამდენს გიხდით, თუ დასამალი არ არის?**

— 500 ლარს თვეში. ჩემი შვილიც ბიძინას ფირმაში მუშაობს, იმიტომ არა — ჩემი ბიჭი რომაა. წაიყვანა, ასწავლა საქმე და მერე დაასაქმა, სოლიდური ხელფასიც მისცა. მისით უდგას ჩემს ოჯახს სული. ქორწილიც გადაუხადა ჩემს ბიჭის და ფულიც მისცა საჩუქრად.

**— ბავშვობისდროინდელს გაიხსენებთ კიდევ?**

— ცუდი არაფერი მაგონდება, ცუდს და ავს ერიდებოდა ბიძინა, არ გარეულა საშარო საქმეში არასდროს, და ამხელა კაცი ხომ არ მოგატყუებთ?

**— გოგოს გულისთვის ერთხელაც არ უჩხუბია?**

— არ მახსოვს მაგისთანა რამ. შეიძლება მოსწონდა ვინმე, მარა ჩემთვის არ უთქვამს და ჩხუბზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დასამალი რაა, მასეთი რამ რომ ყოფილიყო, გეტყოდი. ისე, კი უჩხუბია პატარაობისას, გალახულა კიდეც, მარა წყენა არ ჩაუდვია გულში, სამაგიეროს გადახდაზე არ უფიქრია. ბავშვები ვიყავით, ხან ერთი გაილახებოდა, ხან მეორე. ასე იყო...

**— კლასის ქეიფებს ხომ ვერ გაიხსენებთ? სვამდა ბიძინა?**

— 2-3 ჭიქას დალევდა. წყნარი, ჩუმი ბავშვი იყო. იუმორის გრძნობას არ უჩიოდა, საერთო მხიარულებაში მონაწილეობდა, მაგრამ ყურადღების ცენტრში არ უყვარდა ყოფნა. ეს თვისება ბავშობიდან მოსდევს — დღემდე ათასობით ადამიანს დახმარებია და ყველას ერთადერთს სთხოვს, — ნუ გაამხელთ, რომ მე დაგეხმარეთო. 90-იან წლებში დაიწყო სიკეთის თესვა ბიძინამ. აქაც და სხვაგანაც, საქართველოში. 5-6 წელი ისე გავიდა, მისი გაკეთებული საქმეების კი არა, მისი გვარსახელიც კი არ იცოდა არავინ. მერე ერთ რუსულ გაზეთში დაიბეჭდა, ბიძინა ივანიშვილი მილიარდერიაო და ასე გაიგო საერთოდ ხალხმა მისი არსებობა. **ბიძინას მთელი მადლიც მაგაშია — ისე აფრქვევს ამდენ სითბოს და სიკეთეს, მადლობას არათუ არ თხოულობს, პირიქით, უშლის ხალხს — სამადლობელი არაფერი გამიკეთებია თქვენთვის, რაღაც ქონება მაქვს თქვენზე მეტი, მოვალე ვარ და უნდა დაგეხმაროთო. რატომაა მოვალე, ეს ვერ გაიგო ვერავინ.**

**— თქვენ თუ გაიგეთ?**

— კეთილშობილი კაცია, დიდი გულის პატრონია, როცა სხვას უჭირს, თავს ვერ გრძნობს ბედნიერად. ფული არაა მისთვის ყველაფერი, ბიძინას მილიარდები ახლა აქვს, მაგრამ მცირე შეძლება გაუჩნდა თუ არა, ჯერ სხვებს აუშენა სახლ-კარი, ჯერ სხვისი ღობეყორე გაამაგრა, ჯერ სხვისი მშიერი შვილები დააპურა და მერე აიშენა სახლი, მერე მიხედა საკუთარ და-ძმას. ა, მე ასე მესმის ეს ყველაფერი.

**ბიძინა ივანიშვილმა საჩხერეში არა მარტო ფული დახარჯა, მადლი დადო. დღეს საჩხერეში კაცს რომ უეცრად სოლიდური თანხა დასჭირდეს სასწრაფოდ, უცებ მოისესხებს მეზობლებში, მეგობრებსა და ნათესავებში, შორს წასვლა არ დასჭირდება. ერთი, რომ ბიძინა ივანიშვილის წყალობით სხვისი ხელის გამართვის საშუალება ყველას აქვს; მეორეც, ხალხი ფიქრობს — თუ ბიძინა ჩვენ გვეხმარება, მისი მოცემული ფულით ჩვენც მოვალენი ვართ, სხვას დავეხმაროთო. პატარ-პატარა ქველმოქმედების ფაქტები გახშირდა საჩხერეში, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ხალხმა სიკეთის კეთება დაიწყო — ზოგადად, სიქველე სახასიათო თვისებაა, მაგრამ ქონებაზეც არის დამოკიდებული.**

კი, ისეთებიც გამოერევიან, კაპიკს რომ ვერ გააგდებინებ, მაგრამ ცოტანი არიან ასეთები. ხალხის უდიდესი ნაწილი მზადაა, გვერდში დაუდგეს ერთმანეთს.

## საჩხერეში „ნაცმოძრაობა" „დიდ ღალატს" გეგმავს

საჩხერეში „ნაცხელისუფლებას", შეიძლება ითქვას, ფეხისმოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა, რადგან ამ რაიონის მთელი მოსახლეობა ბიძინა ივანიშვილს ცალსახა და უყოყმანო მხარდამჭერია. „ბიძინას თუ დასჭირდა, ომში გავყვებით," — აი, ასეთია თითოეული საჩხერელის დამოკიდებულება ამ კაცის მიმართ. თუმცა ხელისუფლება, ცხადია, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ყველანაირად ეცდება, რომ ხალხის ერთი ნაწილი მაინც დაუპირისპიროს ივანიშვილს. იმდენად, რამდენადაც ადამიანის ბუნებას, მის სისუსტეებს მეტ-ნაკლებად ვიცნობ, არაერთი ორგულობა და ღალატი მინახავს ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ნაცმოძრაობა" ვილაც-ვილაცების გადმობირებასა და დაშინებას შეძლებს — ფულით, შანტაჟით, მუქარით, ქონების წართმევით, შვილების, ოჯახის წევრების ამოწყვეტითა და ათასი უბედურებით, რაც, არაერთგზის უქნიათ.

მოსალოდნელია, რომ განსაკუთრებით საბიუჯეტო უწყებებში მომუშავე საჩხერელებზე განხორციელდეს ზეწოლა, ამ ხალხს დაემუქრებიან — სამსახურიდან გაგიშვებთ, თუ გვერდით არ დაგვიდგებით და არ იპოვით ისეთ საჩხერლებს, რომლებიც აუგს იტყვიან ბიძინაზეო. არადა, საჩხერეში არ ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის სიკეთე არ ეგრძნოს. სულ მცირე, თუ საჩხერეში ცხოვრობ და ბიძინა ივანიშვილისგან არანაირ ფინანსურ დახმარებას არ ღებულობ, იმ 5 წელს რას უშვრები, ეს კაცი გაზისა და დენის გადასახადს რომ გიხდიდა? მთელი ოჯახის ჯანმრთელობა დაზღვეული რომ გქონდა? დავიჯერო, ამ ათი წლის მანძილზე ოჯახის რომელიმე წევრს კბილი ერთხელაც არ ასტკიებია და არ გამოუყენებია ეს პოლისი?! ანდა, მათი შვილები თუ შვილიშვილები რომ დადიოდნენ იმ ახლადაშენებულ კომპიუტერიზებულ სკოლებში, ეს არ ნიშნავს არაფერს?

**მოკლედ, ყველამ იცოდეს: თუ ვინმე გამოჩენდა რომელიმე „ნაციონალური" ტელევიზიით და თქვა, საჩხერელი ვარ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი არ დამხმარებიაო, არ დაუჯეროთ. ასეთ ადამიანს, საჩხერეში მცხოვრებს, ვერ ნახავთ, შესაძლოა, ისეთი მოიძებნოს, საჩხერეში რომაა რეგისტრირებული და თბილისში ან სხვა ქალაქში რომ ცხოვრობს.**

„ნაცხელისუფლება", ადგილობრივ ჩინოვნიკებთან ერთად გეგმავს საჩხერეში ოპოზიცია შეუქმნას ჯერაც პოლიტიკაში ხეირიანად დაუმკვიდრებელ ბიძინა ივანიშვილს. იქაური ჩინოსნები კი ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდნენ. საჩხერლები ამბობენ, გამგებელს, ზურაბ ცერცვაძეს თან გადაჰყვა ბიძინა — რისი აშენებაც სთხოვა, ყველაფერი აუშენა, თანაც ყველაფერი გამგეობის ბალანსზე გადავიდა. დადიოდა ცერცვაძე დიდი მაკრატლით და ყოველ თვე ბიძინას მიერ აშენებულ თითო ობიექტს ხსნიდა. საჩხერეში კი იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი ბიძინას გაკეთებული იყო, მაგრამ „ნაცტელევიზიები" ამ ყველაფერს ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების წარმატებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებად ასაღებდნენ. ამას გარდა, ზურაბ ცერცვაძისთვისა და მისი ოჯახისთვის ბიძინა ივანიშვილს არაერთხელ გაუმართავს ხელი.

საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ აბჟანდაძეც უხერხულ მდგომარეობაში უნდა იყოს. მასაც არაერთი სიკეთე გაუკეთა ბიძინა ივანიშვილმა, მისი ქალიშვილი ამჟამადაც „ქართუ ჯგუფში" მუშაობს და, ცერცვაძისა არ იყოს, მისი ხათრით, შუამავლობით, ბატონი ბიძინა ბევრ გაჭირვებულს დახმარებია, თანაც — არამარტო საჩხერეში.

საჩხერის პოლიციის უფროსზე მხოლოდ ამას ვიტყვი — გოჩა ბახტურიძეს ბიძინა ივანიშვილმა ისეთი ორსართულიანი სახლი წამოუჭიმა საჩხერის ცენტრში, თვალს მოგტაცებთ. ცხადია, ავეჯით, საყოფაცხოვრებო ტექნიკით გაწყობილ სახლში შეუშვა ბახტურიძის ოჯახი ბატონმა ბიძინამ. სხვა ჩინოსანთა დარად, ბახტურიძის მეგობარ-ნათესავებიც მრავლად მუშაობენ ივანიშვილის ბიზნეს-სტრუქტურებში და ბახტურიძის შუამავლობით, მრავალი წყალობაც გაუღია. საჩხერეში ამბობენ, რომ მათზე ახლა დიდი ზეწოლა მიდის, რათა დაივიწყონ ყველა მადლი და სიკეთე ივანიშვილისა და მის წინააღმდეგ ნებისმიერი ბინძური მეთოდებით იმოქმედონ.

ზეწოლის ქვეშ არიან სხვა, შედარებით დაბალი რანგის ჩინოსნებიც — საკრებულოს წევრები, სოფლების გამგებლები, სკოლების დირექტორები, პედაგოგები, ექიმები... ყველა ის ადამიანი, ვისაც ხელფასს მთლიანად ან ნაწილობრივ ივანიშვილი უხდის. ამდენი წელი ამ ხალხს სულს უბერავდა, გასაჭირში არც ერთი მათგანი არ მიუტოვებია და ცხოვრების ტვირთი შეუმსუბუქა ისე, როგორც არსად არავის არავისთვის — მთელ საქართველოში.

**მოკლედ, ხელისუფლებას სურს, ღალატისა და უმადურობის სარბიელად გადააქციოს საჩხერე. მალე საჩხერეში ერთმანეთს დაუპირისპირდება სიკეთე და ბოროტება, ერთგულება და ღალატი, გამტანობა და გაუტანლობა, დიდსულოვნება და სულმოკლეობა, რაინდობა და ლაჩრობა, შური და უშურველობა, სიხარბე და ზნეკეთილობა, სიყვარული და სიძულვილი.**

**ვნახოთ, რომელი გაიმარჯვებს.**

**ლევან ჯავახიშვილი**



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სამეგრელოს მოსახლეობის მხარდაჭერა ვინმესადმი არ უნდა იყოს უპირობო. ჩვენ ერთხელ უკვე დავუშვით დიდი შეცდომა, როცა ბრმად გავყევით სააკაშვილს უფსკრულისკენ მიმავალ გზაზე. ანალოგიური შეცდომის უფლება ნამდვილად აღარ გვაქვს და ეს კარგად უნდა გააცნობიერონ ჩემი მრავალტანჯული კუთხის შვილებმა.“

## ზურაბ კვარაცხელია: რამდენიმე პრინციპული საკითხის გარკვევის შემდეგ უნდა გადაწყდეს, დაუჭერს თუ არა სამეგრელო მხარს ბიძინა ივანიშვილს

**ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. შეფასებები და დამოკიდებულებაც მის მიმართ სხვადასხვაგვარია. ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გვიზიარებს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია:**



### «ზუგდიდში ხელისუფლება გასამხედროებული ფორმირებების ჩამოყალიბებას ცდილობს»

— ბიძინა ივანიშვილის მიმართ ყველას თავისი პოზიცია გააჩნია: ზოგს — ობიექტური, ზოგს კი, შესაძლოა, — სუბიექტურიც. რაც შეგვეხება ჩვენ, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“, შეგახსენებთ, რომ ეს მოძრაობა გარკვეულწილად სპეციფიკურია. იგი თავის დროზე დაფუძნდა ჩვენი მშობლიური კუთხის, სამეგრელოს უაღესად მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი გზების მოძიებისა და რეგიონული პრობლემების მოგვარების მიზნით. ფაქტია, ხელისუფლები მიდიან და მოდიან, მაგრამ ჩვენი კუთხის პრობლემები კვლავ პრობლემებად რჩება. ასე იყო შევარდნაძის რეჟიმის პირობებში და ასეა სააკაშვილის დროსაც. ორივე ხელისუფლებას სამეგრელო მხოლოდ წინასაარჩევნოდ ან პიარისთვის ახსენდება. არადა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო, სოციალური ინფრასტრუქტურის აღორძინება-განვითარება, სამეგრელოს ისტორიულ-კულტურული, ტრადიციული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარება. ძალიან მნიშვნელოვანია ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, აფხაზეთიდან დევნილების უმრავლესობა ხომ მეგრელები არიან და მათი მომავალი ხვედრისადმი სამეგრელოს მოსახლეობა გულგრილი ვერ იქნება.

**— ბატონო ზურაბ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილისადმი და რას ურჩევთ სამეგრელოს მოსახლეობას?**

— ბიძინა ივანიშვილის სახით გამოჩნდა პიროვნება, რომელიც აცხადებს, რომ ის აუცილებლად მოვა ხელისუფლებაში და მას ამისათვის სჭირდება ხალხის მხარდაჭერა. მიმაჩნია, რომ **სამეგრელოს მოსახლეობის მხარდაჭერა ვინმესადმი არ უნდა იყოს უპირობო. ჩვენ ერთხელ უკვე დავუშვით დიდი შეცდომა, როცა ბრმად გავყევით სააკაშვილს უფსკრულისკენ მიმავალ გზაზე. ანალოგიური შეცდომის უფლება ნამდვილად აღარ გვაქვს და ეს კარგად უნდა გააცნობიერონ ჩემი მრავალტანჯული კუთხის შვილებმა.**

უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია საგარეო პოლიტიკის საკითხთან დამოკიდებულებაც. რა თქმა უნდა, საგარეოპოლიტიკურ ვექტორზე დაბალანსებული პოლიტიკა უნდა გატარდეს, მაგრამ ევროატლანტიკურ ალიანსში, თუნდაც მომავალში, ჩვენს ეფემერულ გაწევრიანებაზე რიტორიკამაც კი უდიდესი ალბათობით, შესაძლოა, ქვეყნის გამთლიანების არანაირი შანსი არ დაგვიტოვოს. საიდუმლო არავისთვისაა, რომ ალიანსში გაწევრიანება ავტომატურად და სრულად გამორიცხავს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაბრუნებას. ამდენად, **ძალიან საინტერესოა, რას ფიქრობს ხელისუფლებაში მოსვლის მსურველი ძალა რუსეთის მომავალი პრეზიდენტის მიერ ამასწინათ გაჟღერებული ევრაზიული კავშირის იდეის აქტუალიზებაზე. და რადგან ალიანსში შესაძლო გაწევრიანება სრულად გამორიცხავს ტერიტორიების დაბრუნებას, ვფიქრობთ, რომ, პირველ რიგში, სწორედ ევრაზიული კავშირის იდეაზე უნდა დაფიქრდნენ ხელისუფლებაში მოსვლის მოსურნე პერსონები თუ პოლიტიკური ძალები; ერთად უნდა ვიფიქროთ, ხომ არ დაგვიბრუნებს ეს იდეა აფხაზეთსა და ოსეთს, უფრო სწორად, ჩვენ ხომ არ დაგვაბრუნებს აფხაზეთსა და ოსეთში.** ეს არის საკითხი, რომელიც ძალიან უნდა აინტერესებდეს ნებისმიერ პიროვნებას, რომელსაც აქვს ხელისუფლების სათავეში მოსვლის პრეტენზია და მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ყოველივე ამაზე მკაფიო წარმოდგენა და რეალური პასუხი.

**გარდა ამისა, ჩვენ ძალიან გვაინტერესებს ბატონ ივანიშვილის წარმოდგენა და გეგმები სამეგრელოს მომავალზე, მის განვითარებაზე, ამ რეგიონის ადგილზე ქართულ ეკონომიკასა და საქართველოს სახალხო მეურნეობაში. ჩვენ ასევე გვაინტერესებს, როგორი დამოკიდებულება აქვს მას საქართველოს ისტორიის, ეროვნული ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა-განვითარებისადმი, გვაინტერესებს მისი შეხედულებები მეგრული ენობრივი კულტურის, სოციოკულტურული თავისებურებების მიმართ და ბევრი სხვა საკითხი, რომელთა გარკვევის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ მის მხარდაჭერაზე.**

ჯერჯერობით კი ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ბატონ ივანიშვილის პარტნიორები ამ ეტაპზე არიან „თავისუფალი დემოკრატები“ და უაღესად დისკრედიტირებული „რესპუბლიკელები“... განსხვავდებიან თუ არა ისინი იდეოლოგიური და კონცეპტუალური თვალსაზრისით ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, ამის განსჯა საზოგადოებისთვის მიგვინდვია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ბიძინას კატეგორიულობა სააკაშვილის რეჟიმის მიმართ, მის მიერ იმ დამღუპველი ნაბიჯების მიულებლობა, რასაც ხელისუფლება ჩადის, ყველას მოგვწონს და უდავოდ იმსახურებს პატივისცემასა და მხარდაჭერას, მაგრამ ჩვენ, როგორც ეს ერთხელ უკვე აღვნიშნე, პრიორიტეტულად მივიჩნევთ ჩვენი კუთხის ინტერესებს და მათ (აგრეთვე, სხვა პრინციპული საკითხების, რაც ზემოთ ჩამოვთვალე) მიმართ ბატონი ივანიშვილის დამოკიდებულებას.

აქედან გამომდინარე, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ჩვენი კუთხის მოსახლეობამ სამომავლოდ მაინც ისეთ პოლიტიკურ ძალას უნდა დაუჭიროს მხარი, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რეალურად გაუწევს ლობირებას მისთვის სასიცოცხლო და უმნიშვნელოვანესი საკითხების სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტას. სწორედ ამ და რამდენიმე სხვა პრინციპული საკითხის გარკვევის შემდეგ უნდა გადაწყდეს, დაუჭერს თუ არა სამეგრელო მხარს ბიძინა ივანიშვილს.

**— არსებობს ინფორმაცია, რომ სამეგრელოში ხელისუფლების დაკვეთით ქალაქად და სოფლად იქმნება სამხედრო ფორმირებები, რომლებშიც გაწევრიანებული არიან არამხოლოდ ვეტერანი მებრძოლები, არამედ კრიმინალებიც. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და მსურს, საგანგებო განცხადება გავაკეთო. ამ ბოლო დროს, არ ვიცი, სხვაგან როგორ, მაგრამ **სამეგრელოში ხელისუფლება გასამხედროებული ფორმირებების ჩამოყალიბებას ცდილობს. შეკითხვაზე, თუ რისთვის სჭირდებათ ეს, პასუხობენ — ყოველი შემთხვევისთვისო. არსებობს ვერსია, რომ ეს ფორმირებები ზოგან 10-15, ზოგან 50 და 100 მებრძოლისგანაა შემდგარი; ერთ-ერთ ენგურისპირა სოფელში ასამდე მებრძოლია ამგვარ გაერთიანებაში და მათ ყოფილი პოლიციელი მეთაურობს. ისინი გარკვეულ გასამრჯელოსაც იღებენ და წვრთნას სენაკის სამხედრო ბაზაზე გადიან. მათ ეუბნებიან, რამე რომ იყოს, თქვენ უკეთ არ იცით და არ დაიცავთ თქვენს სოფელს, ქალაქს, თქვენ შემოგარენსო.**

ვაცხადებ, რომ საგანგაშოა ეს ყოველივე. ხელისუფლებამ, რომელიც რეალურად დადგა ძალაუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე, შეიძლება ნებისმიერი პროვოკაცია მოაწყოს, მათ შორის, სამოქალაქო დაპირისპირების ან სულაც მორიგი სამხედრო ავანტიურის ინსპირირებაც კი სცადოს ენგურს გაღმა. მივმართავ ჩვენს თანამემამულეებს: **ფხიზლად, ძმებო! მანქურთებად არ გაქციონ და საშინელი მიუტევებელი ცოდვა არ ჩაგადენინონ ამ დაუძინებელმა მტრებმა. არ გაცდუნონ და ისე ნუ იზამთ, რომ წყევლაკრულვით მოგიხსენიებდეთ შთამომავლობა. იცოდეთ, რომ მერკანტილურ ინტერესებზე მაღლა სამშობლოს ინტერესები დგას. დაფიქრდით ამაზე.**

ესაუბრა
**ლადო ქირია**

## აგვისტოს ომი მაკკეინის ბრალია

**პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორის — სერგეი მარკოვის განცხადებით, ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაზე პირდაპირ პასუხისმგებლობას ატარებს.** „ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუ ამერიკელი სენატორები გამოძიებას ჩაატარებდნენ და გაარკვევდნენ, როგორ დაიწყო სააკაშვილმა ომი სამხრეთ ოსეთში და მისცა თუ არა მას ამის საშუალება მაკკეინის საარჩევნო შტაბმა. მაკკეინი ამ დანაშაულში დამნაშავეა და კონფლიქტის დროს იგი რუსების, ოსებისა და ქართველების მკვლელობაზე პასუხისმგებლობას ატარებს,“ — განაცხადა მარკოვმა. ამასთან, მარკოვი დარწმუნებულია, რომ მაკკეინი არის რასისტი, რომელიც რუსებს ვერ იტანს და ისწრაფვის, რუსეთს ნებისმიერ საკითხში რაიმე საზიზღრობა გაუკეთოს.

## ოვეიბმა კადაფი ვერ გადაარჩინა

**ლიბიის გარდამავალი საბჭოს იმ შეიარაღებული ძალების მეთაურმა, რომელმაც ხელში ჩაიგდო ჯამახირიის ლიდერი მუამარ კადაფი, ბი-ბი-სის განუცხადა, რომ იგი პოლკოვნიკის გადარჩენას ცდილობდა.** ომრან ოვეიბმა აღნიშნა, რომ სროლა ყველა მხრიდან ისმოდა და ამიტომ ძნელია, გაირკვეს, თუ ვისი ტყვია მოხვდა კადაფის. ომრან ოვეიბი საკუთარ თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას კადაფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. „არ ვიცი, ვინ მოკლა კადაფი და რა იარაღიდან ესროლეს მას,“ — განაცხადა ოვეიბმა და დასძინა, რომ მის რაზმში მრავლად იყვნენ ადამიანები, რომელთაც კადაფის მოკვლა სურდათ, თუმცა იგი ცდილობდა, არ დაეშვა ფატალური შედეგი.

## «რკინის ხელით» მართვის ერა დასრულდა

**ლიბიის ყოფილ ლიდერ მუამარ კადაფის სიკვდილით „რკინის ხელით“ მმართველობის ერა დასრულდა.** ამერიკის შეერთებული შტატები გახდება ლიბიის პარტნიორი ქვეყანა და ნატოს მისი ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყანაში უახლოეს მომავალში დასრულდება. „ლიბიელ ხალხს მიეცა საშუალება, ახალი და დემოკრატიული ლიბიის მომავალი თვითონ განსაზღვრონ,“ — განაცხადა ობამამ. მისი თქმით, კადაფის სიკვდილი არაბულ ქვეყნებში გარდამტეხი იქნება.

მოკლედ

## საპასუხო სია

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ „მაგნიტსკის სიის“ საპასუხოდ იმ ამერიკელ ჩინოვნიკთა სია შეადგინა, რომლებსაც რუსეთში ჩასვლა ეკრძალებათ.** „რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ამ პოლიტიკურ პროვოკაციას უპასუხოდ არ დავტოვებდით. ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე, აშშ-ის იმ მოქალაქეთა სია დავამტკიცეთ, რომელთა ყოფნაც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არასასურველია. სიაში მოხვდნენ მაღალი რანგის ვაშინგტონელი ჩინოვნიკები, რომელთა სახელებიც გახმაურებულ ჰუმანიტარულ დანაშაულებებს უკავშირდება. „მაგნიტსკის სიის“ შედგენა ჩვენს სახელმწიფო სტრუქტურებზე ზეწოლის განხორციელების მცდელობა იყო, რასაც არც ადამიანთა უფლებების დაცვასთან აქვს რაიმე საერთო და არც მომხდარის გარემოებათა გამოძიების სურვილი ამოძრავებთ,“ — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

## «ეტა» ბრძოლას შეწყვეტს

**მსოფლიოში ერთით ნაკლები ტერორისტული ორგანიზაცია იქნება.** ბასკურმა შეიარაღებულმა დაჯგუფება „ეტამ“ ბრძოლის შეწყვეტის შესახებ განაცხადა. ბასკი ხალხის დამოუკიდებლობის სახელით 50 წლის განმავლობაში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად მათ 850 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს. ამ ახალ ამბავს სიხარულით შეხვდნენ დაღუპულთა ოჯახის წევრები და ქვეყნის ხელისუფლება.

ინტერვიუ

„ერთადერთი შემთხვევა, როცა ქართველი ხალხი საბედისწერო ეიფორიამ მოიცვა და სწორედ ამ ეიფორიის ფონზე გაუაზრებელი გადაწყვეტილება მიიღო, ეს იყო სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ხელისუფლებაში მოყვანა.“

### გურამ ფირცხალავა:

# ვერანაირი ჯონ ბასები და კლინტონები ხალხის ნებას წინ ვერ აღუდგებიან

**«ამერიკის ელჩი უკვე მართლა ყველას ყელში ამოუვიდა და ბოლოსდაბოლოს უნდა მიხვდეს ეგ დალოცვილი, რომ საქართველო არ არის მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი»**

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მსახიობი გურამ ფირცხალავა.**



**— ბატონო გურამ, ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულმა სკანდალურმა განცხადებამ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები, ფაქტობრივად, მკვდრეთით აღადგინა, თუმცა დღემდე ამ პროცესებში „სახალხო კრება“ არ მონაწილეობს. როგორ უნდა ავხსნათ თქვენი მხრიდან ასეთი პასიურობა ესოდენ რთულ და დაძაბულ პერიოდში?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ „სახალხო კრება“ პროცესებში არ მონაწილეობს, ჩვენ ვართ ივანიშვილთან, გამოვუცხადეთ მას ნდობა და ვდგავართ მის გვერდით. რაც შეეხება პროცესების გამოცოცხლებას, 26 მაისის იმ ავადსახსენებელი მოვლენების შემდეგ, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ქართველის გულში რამე იმედს თუ ჩასახავდა, მაგრამ ეს ადამიანი, ივანიშვილს ვგულისხმობ, რასაკვირველია, როგორც ჩანს, მართლა ღმერთმა გამოუგზავნა საქართველოს და მიმაჩნია, რომ დღეს თითოეული ჩვენგანი მის გარშემო უნდა გაერთიანდეს...

**— რა აზრის ხართ იმაზე, რომ ივანიშვილმა ოპოზიცია კატეგორიებად დაჰყო: ერთი, ვისთანაც შეიძლება თანამშრომლობა; და მეორე, ვისთანაც რამე ურთიერთობას გამორიცხავს? ბევრმა ამის გამო გააკრიტიკა იგი.**

— იცით რა, ეს დაყოფა კი არ არის, არამედ, ჩემი აზრით, ამით მან გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება ზოგიერთი პარტიისა და მათი ლიდერებისადმი; მიმაჩნია, რომ ამაში ცუდი და უადგილო არაფერია, ვინაიდან დღესდღეობით საქართველოში უამრავი პოლიტიკური პარტიაა ისეთი, რომელიც ნამდვილად არ იმსახურებს საზოგადოების ნდობასა და მხარდაჭერას, იმის მიუხედავად, რომ, როგორც ქრისტიანები, ვალდებულნი ვართ, მიმტევებლები ვიყოთ.

**— ე.ი. თქვენ ფიქრობთ, რომ ივანიშვილმა სამართლიანად გამოუცხადა უნდობლობა ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიას?**

— მე ივანიშვილის ადვოკატი არ ვარ და არც ვინმეს მსაჯულად გამოვდგები, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, იმ პარტიების უმეტესობა, რომელთაც ამ ადამიანმა უნდობლობა გამოუცხადა, ქართულ პოლიტიკაში მხოლოდ სამარცხვინო ლაქას წარმოადგენს, ვინაიდან მათი დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, „ნაციონალური მოძრაობის“ ფილიალია და ხელისუფლების მითითებებს ასრულებს. ამას დადასტურება არ სჭირდება. ასე რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, პირიქით რომ მომხდარიყო და ივანიშვილს მათთვის თანამშრომლობის ხელი გაეწვდინა, რა აზრის იქნებოდა ხალხი ამ ყველაფერზე. მისდამი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, მე პირადად მის გულწრფელობაში ეჭვი შემეპარებოდა...

**— როგორ ფიქრობთ, გადაჭარბებული ხომ არ არის ბიძინა ივანიშვილის განცხადების გარშემო ატეხილი მთელი ეს აჟიოტაჟი და ზოგადად ის მოლოდინები, რაც მასთან დაკავშირებით გაჩნდა?**

— **ერთადერთი შემთხვევა, როცა ქართველი ხალხი საბედისწერო ეიფორიამ მოიცვა და სწორედ ამ ეიფორიის ფონზე გაუაზრებელი გადაწყვეტილება მიიღო, ეს იყო სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ხელისუფლებაში მოყვანა. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მას ჩვენ, დიდი ხანია, ვიცნობთ და ვიცით, რისი გამკეთებელია რეალურად. ასე რომ, რა მოლოდინიც მასთან დაკავშირებით არსებობს, ეს არ არის რაღაც მოზღვავებული ემოციის ფონზე გაჩენილი იმედი, არამედ ეს ყველაფერი ეფუძნება იმ ასობით და ათასობით კეთილ საქმეს, რომლებიც ამ ადამიანს რეალურად აქვს გაკეთებული.**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ივანიშვილმა ხელისუფლებასთან დაახლოებულ ე. წ. ოპოზიციონერებთან ერთად ისეთი პარტიებიც გააკრიტიკა, რომელთა ჭეშმარიტ ოპოზიციონერობაშიც აქამდე ეჭვი არავის შეჰპარვია. მათ შორის იყო ლეიბორისტული პარტიაც. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— ივანიშვილმა დაასახელა ის პარტიები, რომლებიც, მისი აზრით, ხელისუფლების დაკვეთით მოქმედებენ. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, თავიდან ცოტა გამიკვირდა, მათ შორის ლეიბორისტებიც რომ იყვნენ, მაგრამ, მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ გამოქვეყნდა თუ არა ივანიშვილის განცხადება, შალვამ მაშინვე მისი კრიტიკა დაიწყო, ვფიქრობ, ძალიან ბევრ რამეზე მიგვანიშნებს...

**— მაინც რაზე?**

— არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ მიმაჩნია, რომ დღესდღეობით ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა, პირდაპირ თუ ირიბად, ხელისუფლების მხარდაჭერას ნიშნავს.

**— გინდათ თქვათ, რომ შალვა ნათელაშვილი ხელისუფლების საქმეს აკეთებს?**

— ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, თუ კი ვინმეს ხელს აძლევს ივანიშვილის კრიტიკა, პირველ რიგში, ეს არის ხელისუფლება. ამდენად, რა თქმა უნდა, ნათელაშვილი აკეთებს ხელისუფლების საქმეს. სხვათა შორის, ეს ადამიანი, დიდი ხანია, ბიძინა ივანიშვილს ებრძვის და თავიდან მე ეს არ მესმოდა, დღეს კი, როცა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა, ყველაფერი ნათელია...

**— რა აზრის ხართ ეკლესიის პოზიციაზე იმავე ივანიშვილის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიასთან და, ზოგადად, ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით?**

— **სიმართლე გითხრათ, ვერასოდეს ვიფიქრებდი, ეკლესიაზე პრეტენზიული ტონით თუ გავბედავდი საუბარს, მაგრამ დღეს, როცა ქვეყანაში ამდენი უმსგავსობა ხდება, როცა ხელისუფლება პირდაპირ ქუჩაში ხოცავს ადამიანებს და ჩვენი სამღვდელოება ამაზე ხმას არ იღებს, მე პირადად არ შემიძლია, ჩუმად ვიყო...** ამასწინათ რეზო ამაშუკელი ამბობდა ერთ-ერთ ინტერვიუში, ფოთში რომელიღაც მღვდელს თუ მეუფეს დავურეკე და ვუთხარი, მაგ ანაფორას თავზე გადაგახევო. თავიდან, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა რეზოსგან ასეთი განცხადება, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მას ჰქონდა გულისწყრომის მიზეზი...

**— სასულიერო პირის მისამართით, ვფიქრობ, მაინც არ არის მსგავსი განცხადება მისაღები, არ მეთანხმებით?**

— როცა საქმე მართლა სასულიერო პირს ეხება, გეთანხმებით, მაგრამ იმ ადამიანმა, ვისაც რეზო თავზე ანაფორის გადახევით ემუქრებოდა, იცით, რა ქნა? ფოთში ერთადერთი უნიკალური მოედანი შემოღობა და თავის ეკლესიას შეუერთა. ამით თვითონ ეკლესიის ეზოც დაამახინჯა და ქალაქის იერ-სახეც. ახლა მე თქვენ გეკითხებით, არის ის ამის შემდეგ სუფთა სინდისის ადამიანი? ეკლესიებს აქეთ ართმევენ მიწებს და მას რომ მოედნის შემოღობვის უფლება მისცეს, ეს არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ ადამიანს რაღაც კავშირი აქვს ხელისუფლებასთან?!

**— „ნაცმოძრაობის“ აგენტობაში სდებთ ბრალს?**

— ბრალის დადება რა შუაშია, ჩადით ფოთში და ნახეთ, რას ჰგავს იქაურობა — ქალაქი სოფლის ორღობეს დაემსგავსა. მერე კიდევ რეკლამებს გვიჩვენებენ ტელევიზორში, დაგვირეკეთ, ეკლესიის მშენებლობაა დასამთავრებელიო. იმ ეკლესიას რომ რკინის ღობე შემოავლეს, რაც ის დაჯდა, სამჯერ დაამთავრებდა მშენებლობას. ერთი სიტყვით, ეს არის უვიცობა, უზრდელობა და უპატივცემლობა ქალაქის მიმართ და უბედურებაა, როცა სწორედ ასეთი ადამიანები არიან დიდწილად ეკლესიას დაპატრონებულნი...

**«როცა ყოველ ნაბიჯზე უკანონობას ხედავ, როცა ადამიანის ღირსებას ფეხქვეშ თელავენ და შენ ამაზე ხმას არ იღებ, მაშინ არც ღმერთთან ხარ მოციქული და მით უფრო არც ერისკაცად გამოდგები»**

**— თქვენ თქვით, რომ ეკლესიამ ხმა უნდა აიმაღლოს იმ უსამართლობაზე, რაც თუნდაც ბიძინა ივანიშვილის მიმართ ხორციელდება. კონკრეტულად როგორ და რა ფორმით წარმოგიდგენიათ ეს ყველაფერი?**

— როცა ვამბობ, რომ ეკლესიამ ხმა უნდა ამოიღოს, ცხადია, იმას არ ვგულისხმობ, რომ სასულიერო პირებმა ხელისუფლების ლანძღვა-გინება დაიწყონ, მაგრამ მათი მხრიდან მკაფიოდ უნდა იყოს დაფიქსირებული პოზიცია, — მოსწონთ და ეთანხმებიან, ქვეყანაში რაც ხდება, თუ არა. ამასწინათ ერთი ჩემი მეგობარი მეუბნებოდა, მოძღვარს ვკითხე, როგორ უნდა მოვიქცეთო და იმან მიპასუხა, უნდა მოვითმინოთო. კი, მაგრამ როდემდე? სანამდე შეიძლება ასე ვიყოთ?.. **არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, როცა ყოველ ნაბიჯზე უკანონობას ხედავ, როცა ადამიანის ღირსებას ფეხქვეშ თელავენ და შენ ამაზე ხმას არ იღებ, მაშინ არც ღმერთთან ხარ მოციქული და მით უფრო არც ერისკაცად გამოდგები.** ასე რომ, მაპატიოს უფალმა, მაგრამ არ მწამს იმ ხალხის, ვინც ამბობს, რომ უნდა მოვითმინოთ, უნდა დავუყვავოთ და ა.შ. ამდენმა მოთმინებამ სანამდეც მიგვიყვანა, აგერ უკვე ყველა ვხედავთ...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

მოკლედ

## ბუშის მემუარები რუსულად გამოიცა

**ჯორჯ ბუშის მემუარები „საკვანძო გადაწყვეტილებები“ რუსულ ენაზე გამოვიდა.** მემუარებში ჯორჯ ბუში საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან პრეზიდენტებად ყოფნის დროს ეს ორი ადამიანი 40-ჯერ შეხვდა ერთმანეთს. ამას გარდა, მემუარებში განსაკუთრებული ადგილი 2008 წლის აგვისტოს ომს ეთმობა. ბუში ასევე წერს თავის პრობლემებზე, რომლებიც ალკოჰოლის მოხმარებასთან იყო დაკავშირებული, ერაყის ომსა და სხვა შეცდომებზე.

## ევროჯგუფი საბერძნეთს 8 მლრდ ევროს გამოუყოფს

**ევროჯგუფმა საბერძნეთისთვის 8 მლრდ ევროს ოდენობის მორიგი ტრანშის გამოყოფას მხარი დაუჭირა.** როგორც მოსალოდნელია, კრედიტის გამოყოფას საერთაშორისო სავალუტო ფონდიც დაუჭერს მხარს. „ტრანშის ანაზღაურება ნოემბრის პირველ ნახევარში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საბჭოს მიერ ამ ფინანსური დახმარების დამტკიცებამდე, მოხდება,“ — ნათქვამია ევროჯგუფის განცხადებაში. შეგახსენებთ, ევროკავშირის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ საბერძნეთს კრედიტს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოუყოფდა, თუ ის 2011-2012 წლების ეკონომიკური კონსოლიდაციის პროგრამის მიზნებს განახორციელებდა, რასაც, შესაძლოა, დამატებითი ეკონომიკური ზომების მიღება დასჭირდეს. საბერძნეთს ფინანსური სახსრები სასწრაფოდ, ოქტომბერში სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას დეფოლტი ემუქრება.

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ნაცმოძრაობამ“ ბიძინა ივანიშვილთან ბრძოლაში გებელსისეული ლოზუნგიააფრიალა: „რაც უფრო დაუჯერებელია ტყუილი, მით უფრო დამაჯერებელია!“ თანაც ფაშისტებს ამდენი მედიასაშუალება სად ჯანდაბაში ჰქონდათ და, ცხადია, არც თანამედროვე პიართექნოლოგიებისა იცოდნენ რაიმე.



## კიევში ბიძინა ივანიშვილზე არარსებული კომპრომატების მოსაძიებლად ცნობილი «უკრაინოლოგი» გივი თარგამაძე მიავლინეს

# ჟურნალისტის საბუთებით აღჭურვილი სოდ-ის თანამშრომლები ივანიშვილზე კომპრომატის «მოსაჩხრეკად» მოსკოვში გაემგზავრნენ

**მიხეილ სააკაშვილსა და მის უახლოეს გარემოცვას უკვე გაუარა პირველმა ელდამ, რაც მათ ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენით დაემართათ. სახელისუფლო გუნდში დიდი შიშიანობაა. ნაციონალური კულუარებიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციები ჟონავს. თანაც, უწინდელისგან განსხვავებით, ერთი უცნაურობა შეინიშნება: „ნაცელიტასთან“ დაახლოებული პოლიტიკოსებისა და ჩინოვნიკთა ერთი ნაწილი ფარულად გულშემატკივრობს კიდეც ბიძინა ივანიშვილს.**
**ამ ადამიანის უდიდესმა ავტორიტეტმა, ხალხის უდიდესმა სიყვარულმა, მეტიც, მისდამი ქართული საზოგადოების ერთგვარმა მოწიწებამ საფიქრალი თავად „ნაციონალურ“ ბომონდსაც გაუჩინა.**



**„ნაცმოძრაობის“ მაღალ ეშელონებში მრავალი სოლიდური პოლიტიკური ფიგურა გამოჩნდა, რომლებიც ბიძინა ივანიშვილთან სანდო შუამავალს ეძებენ, ისეთს, რომელიც მათ არ გამოააშკარავებს და ივანიშვილს ერთადერთ გზავნილს მიუტანს — მართალია, საპირისპირო ბანაკში ვიმყოფებით, მაგრამ პირად მტრად ნუ ჩაგვთვლით; მიშას შიშით, არ აგვაწიოკოს და ციხეში არ გამოგვკეტოს, ხმას ვერ ვიღებთო.** მოკლედ, მავანნი აქეთ სააკაშვილი-მერაბიშვილის შიშით ღიად ივანიშვილისადმი სიმპათიის გამოხატვას ერიდებიან და თან ცდილობენ, ამ კაცთან მისასვლელი გზა გამოძებნონ სამომავლოდ. ასეთი ადამიანები მრავლად არიან პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც, მთავრობაშიც და პარლამენტშიც, თუმცა ხელისუფლების, უკეთ, იმ პირთა ჯგუფის პოზიცია, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ, უცვლელია:

**1. ბიძინა ივანიშვილი უნდა განადგურდეს პოლიტიკურად, ვიდრე ის პარტიული სტრუქტურების ჩამოყალიბება-სრულყოფას მოასწრებს და ერთგული ადამიანებისგან მყარ დასაყრდენსა და გარემოცვას შექმნის;**

**2. ბიძინა ივანიშვილს ყველა გზით — კანონიერით, უკანონოთი, საკადრისით და უკადრებელით როგორმე უნდა შეუმცირონ ფინანსური რესურსი.**

საქართველოში ივანიშვილის ბიზნეს-სტრუქტურებს რომ სერიოზული საფრთხე ემუქრება, ეს უდავოა. მაგრამ სააკაშვილი და მისი მრჩევლები თავს იმაზე იმტვრევენ, რა მოუხერხონ ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს-აქტივებს უცხოეთში, მათ შორის — რუსეთში. „ნაცმოძრაობა“ შავ დღეშია. სააკაშვილიც და მისი გუნდის ყველა წევრი ცალსახად აღიარებს, რომ აქამდე არნახული სიძლიერის ძალას შეეჯახნენ.

**„ნაცმოძრაობა“ უკვე მუშაობს სტრატეგიულ გეგმაზე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის გასანადგურებლად იქმნება, ამ გეგმის ყველა პუნქტი და დეტალი უცნობია, მაგრამ ერთი რამ ცხადია და კულუარულადაც ცნობილი გახდა ჩვენთვის — „ნაცები“ ივანიშვილთან ბრძოლას მის წინააღმდეგ შავი პიარის აგორებით აპირებენ. ამის ნიშნები „ნაცმოძრაობის“ ტელევიზიებსა და მათ მიერ კონტროლირებად სხვა მედიასაშუალებებში უკვე გამოჩნდა, მათ შორის, — ფსევდოოპოზიციურ გაზეთებშიც.**

სასაცილოა, რომ „ნაციონალური“ მედია, ხაზი რომ გაუსვას ბიძინა ივანიშვილის რუსეთთან კავშირს, რუსულ პროექტად რომ წარმოაჩინოს იგი, ხშირად ბორის ივანიშვილად მოიხსენიებს. ასე იცნობენ ივანიშვილს რუსეთში — რატომ და როდის დაარქვეს ეს მეორე სახელი ივანიშვილს რუსეთში, ეს, ალბათ, გაირკვევა, თუმცა დამეთანხმებით, პიარის თვალსაზრისით, უსუსური არგუმენტია, მეტი რა დარჩენიათ — ამ

## «ნაცები» ბიძინა ივანიშვილთან ბრძოლას მის წინააღმდეგ შავი პიარის აგორებით აპირებენ

კაცის ცხოვრებაში ადეიშვილი-მერაბიშვილის უწყებები, 2 კვირაა, იქექებიან და ერთი რაა, ერთი ხელჩასაჭიდი კომპრომატი ვერ მოიძიეს.

**ნაცკულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციით, სააკაშვილიც მიხვდა, რომ თავისი საყვარელი იარაღით — პიარტექნოლოგიებით ივანიშვილის უმწიკვლო რეპუტაციის შელახვას, ისე, რომ ხალხს ეს კაცი შეაჯავროს, ვერ მოახერხებს. თუმცაღა, პირველად მაინც ამ იარაღის გამოყენებას აპირებს, ცხადია, უფრო მასშტაბურად და ამაზრზენი მეთოდებით, ვიდრე ბოლო დღეებში ახორციელებენ ამას „ნაცმედიის“ წარმომადგენლები.**

**საამისოდ მოსკოვში უკვე გაემგზავრნენ ჟურნალისტების საბუთებით აღჭურვილი სოდ-ის თანამშრომლები, ასევე, სააკაშვილთან დაახლოებული რამდენიმე ბიზნესმენი, რომელთაც რუსეთში აქვთ ბიზნესი და ფართო ბიზნეს-კონტაქტები. ეს ბიზნესმენები შეეცდებიან, ჟურნალისტებად გასაღებულ სოდელებს მოუძებნონ ისეთი ადამიანები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილზე აუგს იტყვიან.**

ივანიშვილი რუსეთში 90-იანი წლებიდან ცხოვრობდა და საქმიანობდა, თხუთმეტიოდე წელი დაჰყო იქ და დიდი ფულიც იშოვა — ეს ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი უაღრესად ფაქიზად ეკიდება ადამიანებთან ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოტყუებული ბიზნეს-პარტნიორი კი არა, ჩვეულებრივი ადამიანი არ არსებობს არც რუსეთში და არც საქართველოში, უნდა ველოდოთ, რომ ასეთებს სოდელები მაინც მოძებნიან — გადაუხდიან და ათას სიბინძურეს ალაპარაკებენ, მერე ამას დაატრიალებენ „ნაციონალურ“ არხებზე და ვიღაც მაინც დაიჯერებს, რომ ეს სიბრიყვე სიმართლეა, თუმცა, ცხადია, არც ივანიშვილის პრესსამსახური იქნება უქმად და ნათელს მოჰფენს ამ ცრუ-კამპანიასა და მის დეტალებს.

**მიხეილ სააკაშვილს თურმე კაბინეტში რუსეთის უშველებელი რუკა დაუკიდია, სადაც მონიშნულია ყველა ის გუბერნია, ქალაქი თუ სოფელი, სადაც ივანიშვილი ერთხელ მაინც გავლით ყოფილა, დიდი სანიშნებლებით კი ის ქალაქებია გაფერადებული, სადაც ივანიშვილის ბიზნეს-კომპანიების სათაო ოფისები და ფილიალები იყო და არის განთავსებული. სააკაშვილი ყველგან აპირებს „დესანტის“ გადასხმას. მალე სახელისუფლო ტელევიზიების ჟურნალისტებს საძულველ რუსეთში ხშირ-ხშირი და ხანგრძლივი მივლინებები მოუწევთ.**

მათთვის ლამის ერთი ფასი აქვს — ოღონდ ივანიშვილზე ვინმეს ავი ათქმევინონ, აღარ დაეძებენ, ვინ იქნება, ქუჩაში რიგითი გამვლელი, რომელსაც ამ კაცთან და მის ბიზნესსაქმიანობასთან შეხება არ ჰქონია, თუ ივანიშვილის ბიზნესკონკურენტები. ჰო, სააკაშვილი სანთლით ეძებს ივანიშვილზე განაწყენებულ რუს ბიზნესმენებს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორს, რომ როგორმე ამ კაცის სახელი რუსულ კრიმინალურ ბიზნესს დაუკავშირონ, მიაწებონ კრიმინალურ ავტორიტეტებს თუ უკვე ყოფილ, მაგრამ სახელგატეხილ რუს ოლიგარქებს, მაგრამ საეჭვოა, რაიმე იპოვონ — ივანიშვილის უნიკალურობაზე როცა ვლაპარაკობთ, უპირველესად, მისი ცხოვრების ბექგრაუნდი იგულისხმება — ამ სამიოდე წლის წინ, ქართველ ჟურნალისტთა მთელი ჯგუფი მუშაობდა, მაგრამ მის ცხოვრებისეულ თუ ბიზნეს-წარსულში ერთი შავი ლაქა ვერ იპოვა; გადააქოთეს ყველა რუსული ინტერნეტ-საიტი, მაგრამ ერთი ფრაზა ვერ აღმოაჩინეს, ნებისმიერი წრისა და რანგის ადამიანის მიერ ივანიშვილზე აუგად ნათქვამი. თუმცა ვანო მერაბიშვილს ფული აქვს, ის ათქმევინებს ავსა და აუგს ივანიშვილზე ადამიანებს, გადაუხდის და ისე. მერე ამ დეზინფორმაციას ხალხს შეაჩეჩებს. ბრიყვები დაიჯერებენ, ცხადია. სამწუხაროდ, ასეთები არც თუ მცირენი არიან ჩვენში.

**თითქმის ანალოგიური პროექტის განხორციელებას აპირებს სააკაშვილი უკრაინაშიც. ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს-სტრუქტურებს, როგორც „ნაციონალები“ ირწმუნებიან, გარკვეული შეხება უკრაინასთან, უკრაინელ ბიზნესმენებთან ჰქონდა. მართალია, ეს იყო ეპიზოდური და ხანმოკლე კავშირები, მაგრამ გასაქექად ულირს სააკაშვილს — იქნებ იქ მაინც იპოვონ რამე ისეთი, რომ სახელი გაუტეხონ კონკურენტს, ან ისეთი მაინც, ტყუილი იყოს და მერე სიმართლეს დაამსგავსონ. კიევში ამ მიზნით, ანუ ბიძინა ივანიშვილზე არარსებული კომპრომატების მოსაძიებლად ცნობილი „უკრაინოლოგი“ გივი თარგამაძე მიავლინეს.** თარგამაძე, თავის უკრაინელ ნაცნობ-პოლიტიკოსთა შემწეობით, შეხვდება იმ ბიზნესმენებს (ვინც ცოცხალია), რომელთაც მცირე დროით მაინც ჰქონდათ ურთიერთობა ივანიშვილთან, მისი ბიზნეს-კომპანიების წარმომადგენლებთან ან, ზოგადად, მის ბიზნესთან. **თარგამაძემ, თუკი ჯერ მოიძია ასეთი ხალხი და მერე დაიყოლია ივანიშვილის გასალანძღად, სააკაშვილი მზადაა, სოლიდურად გადაიხადოს.**

**სააკაშვილის ანტიივანიშვილისეული პიარკამპანიის ძირითადი ნაწილი საქართველოში იწარმოებს. „კომპრომატებს“ სააკაშვილის სპეცსამსახურები და ჟურნალისტები საქართველოში ივანიშვილის ბიზნეს-კომპანიებში მოიძიებენ. ცხადია, რეალურად ვერც ვერაფერს იპოვიან, მაგრამ აქაც მთავარი პიარია — ყველანაირად ეცდებიან, მის ბიზნესში დასაქმებული ხალხი გადმოიბირონ, დააშინონ, დააშანტაჟონ და ივანიშვილზე ნებისმიერი სიბინძურე ათქმევინონ.** ხარისხსა და მასშტაბებს მნიშვნელობა არ აქვს. ვთქვათ, ასეთიც გამოდგება: სავსემთვარეობისას ბიძინა ივანიშვილი მაქციად იქცევა ხოლმე და საჩხერე-ჭიათურის ტყეებში ღამით შემორჩენილ მწყემსებს ყელს ღადრავს. ანდა, ასეთიც გამოდგება: ივანიშვილმა ერთ დღეს საჩხერის რაიონის მთელი მოსახლეობის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური 4 საათით გვიან გადაიხადა და საჩხერლებს მთელი 4 საათი დენი არ ჰქონდათ. ამ დროს კი საჩხერის საავადმყოფოში პაციენტს სასწრაფო ოპერაციას უკეთებდნენ და იძულებული გახდნენ, „დვიჟოკი“ ჩაერთოთ და ისე დაესრულებინათ ოპერაცია. მერე რა, რომ ბიძინა ივანიშვილი, წლებია, საჩხერის რაიონის მოსახლეობას არა მარტო ელ. ენერგიის საფასურს უხდის?! მერე რა, რომ საჩხერის საავადმყოფოს „დვიჟოკები“ ივანიშვილის ნაყიდია და სა-

## ეს იქნება საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტოდ ამაზრზენი პიარ-კამპანია, უპრეცედენტოდ თავზე ხელაღებული და სინდისგაყიდული პიარ-ტექნოლოგების მიერ მომზადებული და იმ ჟურნალისტთა მიერ გავრცელებული, რომელნიც ყველაფერზე არიან წამსვლელნი, ოღონდ «ნაციონალთა» გულები მოინადირონ და სამსახური შეინარჩუნონ



**„ნაციონალები“ საკანონმდებლო ორგანოებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ძირითადი დარტყმა ივანიშვილთან ბრძოლაში აღმასრულებელი ხელისუფლების განშტოებებს მოუწევს — სამინისტროებს, პრეზიდენტის რწმუნებულებს და მათ აპარატებს, გამგეობებს.**

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ წვავსაც მისი ფულით ასხამენ?! მერე რა, რომ ეს სუპერთანამედროვე საავადმყოფო ბიძინა ივანიშვილმა ააშენა, 2003 წელს გახსნა („ვარდების რევოლუციამდე“, ანუ ჩვენს ერამდე) და მთავარი ექიმიდან დაწყებული, დარაჯით დამთავრებული, საავადმყოფოს ყველა თანამშრომელს ხელფასს საკუთარი ჯიბიდან უხდის?! — მთავარი აქ ისაა, რომ 4 საათით გაითიშა დენი საჩხერეში!

**აი, ასეთ უნიათო დღეში არიან „ნაციონალები“; ყელგამოღადრული იხვეწებიან, თუ ვინმემ რაიმე ურიგო იცით ივანიშვილზე, თქვით და გადაგიხდითო. და ასეთები უეჭველად გამოჩნდებიან.** თუნდაც 1991 წელს თბილისის მერი, 2010 წლის თბილისის მერობის კანდიდატი თამაზ ვაშაძე. ეს კაცი ბიძინა ივანიშვილს ერთ-ერთ სამშენებლო პროექტში ჰყავდა ჩართული. საკმაოდ სოლიდური პოზიცია ეკავა, მაგრამ მას სამშენებლო მასალების მითვისება დაბრალდა, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ვაშაძე დაიჭირეს, ციხეშიც ჩასვეს. მას აქეთ ვაშაძე შანსს არ უშვებს, ივანიშვილი არ ლანძღოს. უეჭველია, ამ კაცს ყველა ტელეარხს მოატარებენ „ნაციონალები“. მიუხედავად მხცოვანი ვიცე-მერისადმი ჩემი პატივისცემისა, უნდა ვთქვა — ამ კაცმა ისიც იკადრა, თქვა — ბიძინა ივანიშვილს სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის საქმეში უმნიშვნელო წვლილი მიუძღვის მხოლოდ, ტაძარი სხვა ბიზნესმენებმა ააშენესო. აი, ასეთი ცოცხალი ტყუილების მფრქვეველების ძიებში არიან „ნაციონალები“. ვაშაძე კი თავს იმართლებს — ახალდაბადებულ ყრმასავით უმანკო ვიყავი, რამდენიმე კილოგრამი ლურსმანი დაიკარგა მშენებლობიდან და ამის გამო ჩამსვეს ციხეშიო. მინდა, შევახსენო პატივცემულ ვიცე-მერს, რომ აქლემისა და ლურსმნის ქურდი, ორივე ქურდია. საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას ივანიშვილის ლანძღვით კი არ უნდა ცდილობდეს, სასამართლოს უნდა ედავოს უსამართლო განაჩენის გამო და დაამტკიცოს თავისი სიმართლე.

**სააკაშვილის სპეცსამსახურები (კუდი, სოდი, საგადასახადო დეპარტამენტი, ეროვნული ბანკი, საბაჟო დეპარტამენტი... დიახ, ეს უკანასკნელიც სპეცსამსახურთა კატეგორიაში გადის ამ ხელისუფლების ხელში) უკვე შეესივნენ ივანიშვილის ბიზნესს საქართველოში, ცდილობენ, რაიმე დარღვევა უპოვონ. მართალია, ოფიციალურად არავინ არსად არ შესულა, მაგრამ ამ ზემოჩამოთვლილი სამსახურების თანამშრომლები, ნაცვლად იმისა, ის საქმე აკეთონ, რაც ევალებათ, სხედან და მონაცემთა ბაზაში ივანიშვილის ბიზნეს-კომპანიათა და საქველმოქმედო ფონდის სხვა სტრუქტურების ბოლო წლების საქმიანობას ჩხრეკენ, რათა რაიმე „ისეთი აღმოაჩინონ“, საპიაროდ რომ გამოიყენონ.**

სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა უკვე გადასცა იმ პირთა შესახებ სრული ინფორმაცია მერაბიშვილს, რომლებიც იყვნენ ან არიან ივანიშვილის ბიზნეს- და საქველმოქმედო საქმიანობასთან რაიმე ფორმით დაკავშირებულნი. ცხადია, სიას სათავეში ის ხალხი მოექცა, ვინც ამჟამად მუშაობს ივანიშვილთან. სპეცსამსახურები ამ ხალხის ნაწილის ყიდვას ან დაშინებას შეეცდება, მიზანი იგივეა — როგორმე გადაბრუნებული სიტყვა ათქმევინონ ივანიშვილზე. **ამ ადამიანებზე უდიდესი ზეწოლა განხორციელდება.** თუ ხელისუფლების ნებას არ დაყაბულდებიან, მათ ოჯახის წევრებს, ვინც სახელმწიფო სამსახურებშია დასაქმებული, დაითხოვენ, ასევე, — მათ ნათესავებს. ბევრს უარესსაც უზამენ — საციხედაც გაიმეტებენ. მიზეზი ამათ არ დაელევათ — ვინმეს ბალისტიკურ რაკეტას უპოვიან ბაღჩაში, ბრეზენტგადაფარებულ „სტელსის“ ტიპის ბომბდამშენებს უპოვიან სახლის უკან, ცხადია, რაკეტებით აღჭურვილს და იარაღის უკანონო შენახვისთვის გაასამართლებენ.

**მართლა თავზარდაცემულნი არიან „ნაციონალები“. ივანიშვილის გარემოცვაში აგენტურა არ ჰყავთ, რომ მასთან საბრძოლველი სტრატეგია, შესაბამის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ივანიშვილის მოსალოდნელი ქმედებების გათვლით ააგონ. პირველ ეტაპზე, როგორც მოგახსენეთ, ბინძური პიარ-კამპანიით აპირებენ ფონს გასვლას და ეს იქნება საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტოდ ამაზრზენი პიარ-კამპანია, უპრეცედენტოდ თავზე ხელაღებული და სინდისგაყიდული პიარ-ტექნოლოგიების მიერ მომზადებული და იმ ჟურნალისტთა მიერ გავრცელებული, რომელნიც ყველაფერზე არიან წამსვლელნი, ოღონდ „ნაციონალთა“ გულები მოინადირონ და სამსახური შეინარჩუნონ,** თუმცა ისეთებიც არიან, წასასვლელი არსად რომ არ აქვთ. მაგალითად, ერთ ჩემს ტელე-კოლეგას სულ არ ეხალისება „ნაცმოძრაობის“ ქება და მისი ოპონენტების ლანძღვა, მაგრამ მამამისი „გაჭედეს“ თავის დროზე სამართალდამცავებმა, საპროცესო გარიგებას კი შვილმაც მოაწერა ხელი და, ცხადია, სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას ორივე ჟურნალისტი — მამაც და შვილიც — დათანხმდა. ერთ-ერთი ტელევიზიის კაშკაშა სახეა.

**აი, ასეთი არეულ-დარეულობა და ქაოსია „ნაცმოძრაობაში“. მისი ბოსები დაბნეულნი არიან, ერიდებიან, სააკაშვილს ცუდ ხასიათზე არ გადაეყარონ, გამარჯობის ნაცვლად ბიძინას ლანძღვა-გინებით ხვდებიან. მიხეილ სააკაშვილს ერთხელ უიმედოდ აღმოხდენია: შეუძლებელია, კაცს 4,5 მილიარდი დოლარი ჰქონდეს ნაშოვნი, მსოფლიოს უმდიდრეს 200 ადამიანთა შორის იყოს და მასზე ერთი კომპრომატი მაინც არ არსებობდეს, რომ გავაფუჭოთო. მერე უიმედოდ გაუშლია ხელები — ეტყობა, მართლა არ არსებობს, თორემ აქამდე მოვიძიებდიო.**

**სააკაშვილსა და მის გარემოცვას ისღა დარჩენია, რაც ბუნებაში არ არსებობს, ის ეძიონ, ეძიონ შავი კატა იმ ოთახში, სადაც ის არ არის. მოკლედ, „ნაცმოძრაობამ“ ბიძინა ივანიშვილთან ბრძოლაში გებელსისეული ლოზუნგი ააფრიალა: „რაც უფრო დაუჯერებელია ტყუილი, მით უფრო დამაჯერებელია!“ თანაც ფაშისტებს ამდენი მედიასაშუალება სად ჯანდაბაში ჰქონდათ და, ცხადია, არც თანამედროვე პიარტექნოლოგიებისა იცოდნენ რაიმე.**

სააკაშვილი ამ მხრივ აშკარად წინ წავიდა.

**ლევან ჯავახიშვილი**

# ბიზნესის დატერორების ახალი ეტაპი იწყება

**„ნაციონალურ მოძრაობაში“ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით გამოწვეული პანიკა ნელ-ნელა სრულდება. ელდანაკრავი „ნაციონალები“ კონკრეტულ ქმედებებზე გადადიან, რაც, ცხადია, ასევე კონკრეტულ, გაწერილ გეგმას ეფუძნება. სავარაუდოდ, ამ გეგმის შეცვლა-კორექტირება არაერთგზის მოუწევთ, რადგან ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ არაორდინალური პიროვნებაა და პოლიტიკაშიც თავად „ნაციონალებიც“ მისგან ბევრ სიურპრიზსა და მათთვის უჩვეულო ნაბიჯს ელიან.**



**„ნაციონალური“ კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ამ ეტაპზე, სიტუაციის სრული ბატონ-პატრონები გიგა ბოკერია, ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი არიან. მიხეილ სააკაშვილი მათ გარეშე არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებს. შესაძლოა, სააკაშვილი არაერთმა ადამიანმა მიატოვოს საკუთარი გარემოცვიდან, რომლებიც მას დღენიადაგ ერთგულებას ეფიცებოდნენ. ბოკერიაც ცდილობს, სააკაშვილის ამ მდგომარეობით ისარგებლოს და მისმა გუნდმა მაქსიმალური მოგება ნახოს — ვინც გასაქცევად მზადაა ან ეჭვმიტანილია, დატოვოს ნაციონალური ერთობა, ეს ადამიანები თავისი კადრებით ჩაანაცვლოს.**

სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში მიხეილ სააკაშვილი ახალ მინისტრთა კაბინეტს შესთავაზებს საზოგადოებას. ნიკა გილაურის საერთოდ გაშვებას არ აპირებს, ის გუნდში რჩება, მაგრამ **ქვეყანას ახალი პრემიერი ეყოლება. კანდიდატურაზე მსჯელობა მიმდინარეობს. შესაძლოა, ეს უშიშროების საბჭოს მდივნის — გიგა ბოკერიას მოადგილე ბათუ ქუთელია იყოს. ის ბოკერიას კადრია და ამერიკაში ელჩადაც მუშაობდა. ამ პოსტზე განიხილება ასევე ამერიკაში ნაელჩარი, მცირე ხნით თავდაცვის მინისტრის, დავით სიხარულიძის კანდიდატურაც. გილაურს, სავარაუდოდ, ისეთ პოსტზე გადაიყვანენ, სადაც წმინდა ფინანსური საქმეები ექნება საკეთებელი და პოლიტიკურ დატვირთვას მოუხსნიან, ანუ პოლიტიკურ სამზარეულოში არ ჩაახედებენ.** ნიკა გილაურს ჩინებულ მენეჯერს უწოდებდა მიხეილ სააკაშვილი. ის ერთადერთი მინისტრია, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შექმნილი პირველი მინისტრთა კაბინეტიდან დღემდე შემორჩა ამ კაბინეტს, პრემიერ-მინისტრიც გახდა, მაგრამ სააკაშვილი ახლა კვალიფიკაცია-პროფესიონალიზმის მიხედვით არ ირჩევს კადრებს, მათ მხოლოდ ერთგულების ნიშნით აწინაურებს და ათავისუფლებს.

**გამორიცხული არ არის ლევან ვარშალომიძის გაპრემიერება, მაგრამ ამის დიდად მოსურნე ბოკერია და მერაბიშვილი არ არიან, მაგრამ სააკაშვილი ცდილობს, თავისი გაიტანოს.**

შესაძლოა, სტრასბურგიდან ელჩი ზურაბ ჭიაბერაშვილი გამოიწვიონ და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსობა ჩააბარონ. ახლა ეს ვარიანტი განიხილება. ადმინისტრაციის ამჟამინდელ უფროსს, დათო ტყეშელაშვილს გაუშვებენ. ბოკერიამ კიდევ ერთხელ შეახსენა სააკაშვილს — ზურაბ ჟვანიას გუნდის ბოლომდე ნდობა არ შეიძლებაო. ცხადია, დიდი ეჭვი აქვს ოთხეულს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მიხეილ მაჭავარიანი და გიორგი ბარამიძე სათავეში ჩაუდგებიან სააკაშვილის გუნდის ნარჩენებს და ივანიშვილის ბანაკში გადაბარგდებიან.

სასწორზეა შეგდებული გოგა ხაჩიძეც. გარემოს დაცვის მომავალ მინისტრს სააკაშვილი არასამთავრობო სექტორში ეძებს, ცხადია, იმ „ენჯეოებში“, რომლებიც ბოკერიას კონტროლქვეშაა.

ხათუნა კალმახელიძე მინისტრთა კაბინეტში დარჩება, მაგრამ, შესაძლოა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრობა დატოვოს — კალმახელიძე ვიცე-პრემიერად, გიორგი ბარამიძის მაგიერ, განიხილება. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეობას, ალბათ, მამუკა ახვლედიანი გამოემშვიდობება, თუმცა მას უფრო მაღალი პოსტისთვის ამზადებენ. მინიმუმ, ის ისევ თბილისის ვიცე-მერი გახდება და გიგი უგულავას დაუბრუნდება ან, შესაძლოა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი გახდეს. **აშკარაა, „ნაციონალები“ საკანონმდებლო ორგანოებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ძირითადი დარტყმა ივანიშვილთან ბრძოლაში აღმასრულებელი ხელისუფლების განშტოებებს მოუწევს — სამინისტროებს, პრეზიდენტის რწმუნებულებსა და მათ აპარატებს, გამგეობებს.**

აქტიურად განიხილება პარლამენტიდან აკაკი მინაშვილისა და გიორგი კანდელაკის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლა. მათ, შესაძლოა, გივი თარგამაძეც მიჰყვეს და უკვე მინისტრის პოსტს შეუთავსოს ბიზნესის მთავარი სახელისუფლო რეკეტიორის საქმიანობა. **პოლიტიკაში, შესაძლოა, დაბრუნდეს დავით კეზერაშვილი. ყოველი შემთხვევისთვის, სააკაშვილი და სამეული შეხვედრიან მას და ამ თემაზე უსაუბრიათ. გიგი თევზაძესაც, ალბათ, ილიას უნივერსიტეტის რექტორის პოსტის დატოვება მოუწევს. ის უშიშროების საბჭოში, სავარაუდოდ, ბათუ ქუთელიას შეცვლის, თუ ქუთელია გაპრემიერმინისტრდება.**

თანამდებობის დატოვება ვერა ქობალიასაც მოუწევს. „ნაციონალური“ ელიტა უკვე ხმამაღლა ლაპარაკობს, რომ ბიძინა ივანიშვილი თუ დადებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროექტს და აუცილებლად დადებს, ის უზადო და ეფექტური პროექტი იქნება. ასეთ პროექტს კი ისეთ მინისტრს ვერ დაუპირისპირებ, რომლის მთელი ეკონომიკური ხედვა ტურიზმის განვითარება და პრივატიზაციაა. ქობალიას დღემდე რეალურად და დამოუკიდებლად არც ერთი გადაწყვეტილება არ მიუღია და მის ნაცვლად მისი მოადგილეები და მრჩევლები მუშაობენ. ყველა ეკონომიკური პროექტის ავტორები ისინი არიან და ქობალიას ამ პროექტებში ელემენტალური კორექტივების შეტანაც არ შეუძლია. **ქობალიას საკითხი, შესაძლოა, მარტივად გადაწყდეს — ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები კვლავ გაერთიანდება და მას რამაზ ნიკოლეიშვილი უხელმძღვანელებს.**

**უკვე დღის წესრიგში დგას პრეზიდენტის რწმუნებულების გამოცვლის საკითხი.** ჯერ უცნობია, თუ რომელ მათგანს მოხსნის სააკაშვილი, მაგრამ დაწინაურება „ემუქრება“ კახეთის რწმუნებულს. სასჯელაღსრულების მინისტრის პოსტზე მისი კანდიდატურაც განიხილება. მას თითქმის 20-წლიანი პროკურორობის სტაჟი აქვს და, ასე თუ ისე, ძალოვან უწყებაშია ნამუშევარი. **რწმუნებულთა კადრებს სააკაშვილი პარლამენტსა და საკუთარ ადმინისტრაციაში ეძებს. მათ შეცვლას თავისთავად მოჰყვება გამგებლებისა და ქვემდებარე უწყებების შეცვლაც. მოკლედ, მთელი ატრაქციონია ამჯერად მოსალოდნელი ტრადიციული სამთავრობო კარუსელის ნაცვლად.**

**მიხეილ სააკაშვილს კადრებთან ერთად ფულიც უჭირს. ამ დღეებში შავი დღე დაადგებათ იმ ბიზნესმენებს, რომლებიც „ნაციონალთა“ ფავორიტობით ჩაწყობილ ტენდერებს იგებდნენ და, ძირითადად, საბიუჯეტო სახსრებით მდიდრდებოდნენ.** რამდენიმე უწყება ერთდროულად მუშაობს ამგვარ ტენდერებში გამარჯვებული კომპანიების სიების შედგენაზე. დიდი ალბათობით, ამ ფირმებისა თუ კომპანიების მესვეურთ დიდძალ ფულს შეაწერენ. მალე დაიწყება ახალი ანტიკორუფციული ტალღა — დაჭერები. ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებში მალე გამოავლენენ ათასგვარი ტენდერების ხელის დამფარებლებს, კორუმპირებულ ჩინოვნიკებს. ფულს ცალკე ბიზნესმენებს დააბრუნებინებენ და ცალკე — მათ ხელშემწყობ ჩინოვნიკებს. **ოთხეულმა (სააკაშვილი-მერაბიშვილი-ბოკერია-ადეიშვილი) დაასკვნა, რომ 1 თვეში ერთი მილიარდი დოლარი უნდა შევიდეს ანტიკორუფციული ღონისძიებებით ბიუჯეტში. ეს კი ნიშნავს, რომ, გარდა სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებისა, ნებისმიერი დონის ბიზნესზე დიდი ზეწოლა განხორციელდება.** უმცირეს დარღვევას არ აპატიებენ არავის. სასამართლო და საარბიტრაჟო უწყებებმა უკვე მიიღეს მითითება — ნებისმიერი სახის დავა ბიზნესსა და სახელმწიფო უწყებას (საგადასახადო, ფინანსური პოლიცია, მერია, საბაჟო...) შორის სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყვიტონ.

**მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. მიხეილ სააკაშვილი, საბიუჯეტო 1 მილიარდის გარდა, კიდევ 1 მილიარდს ითხოვს თავისი პარტიისთვის — „ნაციონალური მოძრაობის“ ყულაბისთვის.**

ამ ფულს კი დაჭერებითა და საპროცესო გარიგებებით ვერ ამოიღებ. ეს უკვე გივი თარგამაძის კომპეტენციაა, ცხადია, პროკურატურისა და შს სამინისტროს ხელშეწყობით. ამ ფულს უკვე ბოზოლა ბიზნესმენები გაიღებენ, ზოგი პარლამენტშიც ზის (დავით ბეჟუაშვილი, კახა ოქრიაშვილი, კობა ნაყოფია, ბეჟან ბუცხრიკიძე, გოჩა ენუქიძე). არ არის გამორიცხული, ეს უკვე ისეთი სახის ზეწოლა იყოს ბიზნესზე, რომ ბევრმა ბიზნესმენმა უკვე მერამდენედ შეწერილი ხარკის გადახდაზე უარი თქვას და ბიძინა ივანიშვილთან გადაბარგდეს ან უცხოეთში გაქცევით უშველოს თავს.

**ლევან ჯავახიშვილი**

საქართველო და მსოფლიო
მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თბილისის მერიასავით, ნიუ იორკის მერიამ მეეზოვეთა ბრიგადები გაგზავნა ბრუკფილდის პარკში, მაგრამ აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ, და მერიას უკან დახევა მოუწია.**




# უოლ-სტრიტზე უკვე «ინტერნაციონალს» მღერიან!

## სამართლიანობა ყველა ჯანსაღი ადამიანის სურვილია, მაგრამ, როცა ამ სურვილს ფინანსური შეძლებაც უმაგრებს ზურგს, მიზანი უკვე ძალიან ახლოსაა!

**შეთქმულების თეორიის მტრებმა დიდი დარტყმა მიიღეს: მათ, ვინც ამრეზით უარყოფდა მსოფლიოს მართვის ფარულ სქემებს, ხოლო მიმდინარე პროცესებს „თავისუფალ ბაზარსა“ და ზოგადად, საბაზრო ეკონომიკას აბრალებდა, შვეიცარიის უმაღლესი ტექნიკური სკოლის სისტემური ანალიზის სპეციალისტთა დასკვნა ნამდვილად ვერ გაახარებს. მეცნიერებმა მსოფლიოს 37 მნიშვნელოვანი კომპანიიდან 43 ათასი ტრანსნაციონალური კორპორაცია შეარჩიეს და მათი ურთიერთკავშირების ქსელი შეადგინეს. რთული მათემატიკური გამოთვლებისა და სისტემური ანალიზის გზით ცხადი გახდა, რომ არსებობს კომპანიათა ჯგუფი, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს აკონტროლებს!**

პირველ რიგში, მეცნიერებმა აშკარად გამოკვეთილი კვანძის ანალიზი დაიწყეს, რაშიც 1318 კომპანია აღმოჩნდა ჩართული. თითოეული მათგანი ამ კვანძის გარეთ კიდევ 20 კომპანიასთან არის დაკავშირებული, მათთან ერთად კი რეალური ეკონომიკური სექტორის 60 პროცენტს აკონტროლებს! ამ ბლოკის შიგნით გამოიკვეთა 147 კომპანია, რომლებიც, თავის მხრივ, დასახელებულ 1318 კომპანიას აკონტროლებენ. სწორედ ამ გზით აკონტროლებენ ისინი მსოფლიოს ეკონომიკის 40 პროცენტს, ხოლო ამ კონტროლის საფუძველს ფინანსური ინსტიტუტები ქმნის.

ყველაზე გავლენიანი კომპანიების პირველი რვიანი ასე გამოიყურება:

1. Barclays plc
2. Capital Group Companies Inc.
3. FMR Corporation
4. AXA
5. State Street Corporation
6. JP MORGAN Chase & Co
7. Legal & General Group plc
8. Vanguard Group Inc.

ამ სიის ოცეულში ფიგურირებს ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორიცაა Goldman Sachs, Credit Suisse, Merill Lynch, Morgan Stanley, UBS, Deutsche Bank. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ერთმანეთთან წარმოებული ფინანსური ოპერაციების გამო ეს კომპანიები დღგ-სგან გათავისუფლებული არიან! ფაქტობრივად, კომპანიების (ძირითადად, ფინანსური ინსტიტუტების) 1 პროცენტი მსოფლიო ეკონომიკის თითქმის ნახევარს აკონტროლებს.

ვიდრე ჩვენი მესიმინდე ნიკიტა ხრუშჩოვივით ცდილობს, „ამერიკას დაეწიოს და გაასწროს“, თავად ამერიკული კვლევებით ირკვევა, რომ:

**ამერიკელთა 48,5 პროცენტი ამა თუ იმ ფორმით სახელმწიფო შემწეობაზეა.**

**ყოველი მესამე ამერიკელი ველარ გადაიხდის იპოთეკას ან იჯარას, თუ სამსახურს დაკარგავს.**

**ამერიკული ოჯახები დღეს სახელმწიფოსგან მეტ შემოსავალს იღებენ, ვიდრე გადასახადის სახით იხდიან.**

**საინვესტიციო ინსტიტუტის — BlackRock-ის გამოკითხვის თანახმად, ამერიკული ოჯახების ვალების შეფარდება შემოსავალთან 154 პროცენტს შეადგენს.**

**სტუდენტების ორი მესამედი კოლეჯის დამთავრების მომენტს სტუდენტური სესხით ხვდება.**

**უმაღლესდამთავრებულთა ერთი მესამედი საბოლოოდ ისეთ სამუშაოზეა დასაქმებული, რომელსაც უმაღლესი განათლება არ სჭირდება.**

**დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლესი განათლების მქონე 100 ათასი მეეზოვე, 317 ოფიციანტი და 365 ათასი მოლარე მუშაობს.**

**ამერიკული ნავთობკომპანიები წელს 200 მილიარდი დოლარის შემოსავალს მიიღებენ, ხოლო მთავრობა მათ 4,4 მილიარდის სპეციალიზებულ საგადასახადო შეღავათს ანიჭებს.**

**აშშ ყოველთვიურად 50 ათას სამუშაო ადგილს კარგავს იმის გამო, რომ 2001 წელს ჩინეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა.**

**18-დან 29 წლამდე ასაკის მამაკაცთა მხოლოდ 55 პროცენტს ჰქონდა სამუშაო გასულ წელს. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.**

**30 წლამდე ამერიკელთა მხოლოდ 14 პროცენტს აქვს უკეთესობის იმედი. ამერიკელთა 77 პროცენტს ხელფასიდან ხელფასამდე მიღწევა უჭირს. ყოველი მეექვსე ამერიკელი სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.**

**45 მილიონი ამერიკელი სასურსათო ტალონებით იკვებება. მაგალითად, ალაბამის შტატში ყოველი მესამე ადამიანი ამ ტალონებზე ცხოვრობს. ყოველი მეოთხე ამერიკელი ბავშვი ამ ტალონებზეა.**

**20 მილიონი ბავშვი სასკოლო კვების პროგრამაშია, რომ არ იშიმშილოს.**

**საშუალო რგოლის გენერალური დირექტორი ხელფასი 343-ჯერ აღემატება საშუალო ამერიკელის ხელფასს.**

**უმდიდრეს ამერიკელთა 1 პროცენტი ქვეყნის სიმდიდრის ერთ მესამედს ფლობს. სამაგიეროდ, ამერიკელთა უღატაკეს 50 პროცენტს ამ სიმდიდრის მხოლოდ 2,5 პროცენტი ეკუთვნის.**

**ფედერალურმა რეზერვმა უკანასკნელი ფინანსური კრიზისის განმავლობაში 16 ტრილიონი დოლარის საიდუმლო სესხი გასცა საკუთარ მეგობრებზე.**

**ამერიკელთა ერთ მესამედს არც კი სმენია ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის, ბენ ბერნანკეს შესახებ, ხოლო ვინც ამ ყაჩაღური სისტემის საქმიანობას იცნობს, ამერიკის ქუჩებში გამოვიდა და კლასობრივ უთანასწორობაზე ალაპარაკდა.**




მოძრაობა „დაიკავე უოლ-სტრიტი“ სწორედ ამ ყველაფრის გამოძახილია. თავდაპირველად საპროტესტო აქციაზე მსოფლიოს ფინანსურ ცენტრში — ნიუ იორკში 3 ათასი ადამიანი გამოვიდა, — ძირითადად, სტუდენტები და უმუშევრები. შემდეგ მათ ისეთი მსხვილი ორგანიზაციები შეუერთდა, როგორიცაა „ამერიკის მასწავლებელთა გაერთიანებული ფედერაცია“, „ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირი“, „კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირი“, „მომსახურების სფეროში დასაქმებულთა პროფკავშირი“. აქციის მონაწილეებმა გამოიტანეს პლაკატები, რომლებზეც ლოიდ ბლანკფეინი (Goldman Sachs-ის გენერალური დირექტორი) სარზე იყო გასმული, ხოლო ამერიკულ დროშაზე ფრთოსანი რაკეტები ეხატა ამერიკული საბანკო კორპორაციების ლოგოტიპებით.

**პროტესტის გეოგრაფია ფართოვდება, ასეთივე მიტინგები იმართება ლოს ანჯელესში, ვაშინგტონში, ბოსტონში, სენტ ლუისში, ჩიკაგოში, ჰიუსტონში, სან ფრანცისკოში, ახლა უკვე კანადაშიც – ოტავაში, მონრეალსა და ტორონტოში.** მოსახლეობა საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ სიმპათიითა და თანაგრძნობით არის გამსჭვალული. **„ჩვენთან პროდუქტები და საბნები მოაქვთ მთელი ქვეყნიდან. წარმოუდგენელი მხარდაჭერაა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც არც კი გვიცნობენ. ეს ადასტურებს, რომ ადამიანურობა ჯერ კიდევ არსებობს. ადამიანები თავისი ბუნებით სოლიდარულები არიან“,** — ამბობს ჟურნალისტებთან საუბარში ბანაკის მორიგე მეტ ინგრემი.

მოძრაობას კიბერსივრციდანაც დაუჭირეს მხარი. ჰაკერების დაჯგუფება Anonymous ნიუ იორკის საფონდო ბირჟის ინტერნეტიდან წაშლითაც კი დაიმუქრა. **„ჩვენ ველარ გავჩუმდებით, როცა ჩვენს მოქალაქეებს ექსპლუატაციას უწევენ და მსხვერპლად სწირავენ საკუთარ ფინანსურ მოგებას“,** — აცხადებენ ჰაკერები.

აქციის მონაწილეთა მიმართ თანაგრძნობა გამოხატეს ბარაკ ობამამ, ფინანსთა მინისტრმა ტიმ გაიტნერმა და თვით ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელმა ბენ ბერნანკემ! სამაგიეროდ, რესპუბლიკელთა წარმომადგენელმა კონგრესში – ერიკ კანტორმა მათ „ბანდები“ უწოდა. ასეთივე პოზიცია დაიკავა ნიუ იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა, ოღონდ საკითხს სხვა კუთხით მიუდგა. მან ზუსტად ის სიტყვები გაიმეორა, რასაც ჩვენი ხელისუფლება ამბობდა თბილისის აქციებისას: **„ხალხს სამსახურში მისვლა უნდა, ბავშვებს — სკოლაში, ეს ადამიანები კი ხმაურობენ, მოძრაობას აფერხებენ და ქალაქს ანაგვიანებენ. წარმოიდგინეთ, იქვე ისაქმებენ“!**

აქციის მონაწილეები ჭკვიანურად მოიქცნენ და ბრუკფილდის პარკში დასცეს ბანაკი. ჩვენი ხელისუფლებისა არ იყოს, **ნიუ იორკის მერიამ რამდენიმე წლის წინ „სთხოვა“ ბრუკფილდის კომპანიას, მისი კუთვნილი პარკი ქალაქელებისთვის 24 საათის განმავლობაში უფასოდ გაეხსნა. აქციის მონაწილეებმაც ისარგებლეს ხელისუფლების ამ საჩუქრით და პროტესტს იქ გამოხატავენ. ბლუმბერგს მოთმინების ფიალა ამოეწურა და პარკის პატრონს წერილობით „ათხოვნინა“ — ჩემს პარკში წესრიგი დამიმყარეო. თბილისის მერიასავით, ნიუ იორკის მერიამ მეეზოვეთა ბრიგადები გაგზავნა პარკში, მაგრამ აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ და მერიას უკან დახევა მოუწია.**

ამერიკელ პროლეტარიატს მობეზრდა ასე ცხოვრება. მათ ნაწილს სააკაშვილი ეხმარება და ჩვენი ბიუჯეტის ხარჯზე ინგლისურის მასწავლებლებად ასაქმებს; ამერიკელების ნაცვლად, ცხელ წერტილებში ქართველ ჯარისკაცებს აგზავნის და იმ დანაპირებსაც არ უსრულებს, რომლის გამოც ეს ბიჭები ოჯახის შესანახად სხვის ომში მიდიან; საკუთარ დამშეულ მოსახლეობას იმ შემწეობასაც კი არ უწევს, რომელსაც კაპიტალისტური ამერიკა აძლევს საკუთარ მოქალაქეებს; **ლიბერალიზმის აღმსარებელ სააკაშვილს არჩევნების წინ საკუთარი ხალხისთვის ცრემლი არ ენანება, ხოლო არჩევნებს შორის პერიოდებში იმავე ხალხს ცხარე ცრემლით ატირებს!**

**კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოქვეყნებიდან 150 წელზე მეტი გავიდა. კომუნიზმის აჩრდილი, რომელიც მაშინ ევროპაში დადიოდა, მსოფლიოს ჰეგემონობას მოწყურებულ ამერიკას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარდაცვლილი ეგონა, მაგრამ ახლა იგი ამერიკის ქუჩებში დადის. საპროტესტო აქციებზე უკვე წითელი დროშები გამოჩნდა და „ინტერნაციონალსაც“ მღერიან.**

ქართული სინამდვილე პარადოქსებითაა სავსე, ვიდრე სხვა ქვეყნის პროლეტარები ფინანსურ გიგანტებს ებრძვიან, ჩვენი ხელისუფლება საკუთარი მილიარდერის განადგურების ჟინით არის შეპყრობილი. ფრთხილად, თორემ ჩვენი გაზულუქებული ხელისუფლება მოძრაობა „დაიკავე უოლ-სტრიტის“ ლიდერთა შორისაც შეიძლება მოგვევლინოს. იგი ხომ ყვარყვარესავით მედროვეა!

**მავანს მიაჩნია, რომ მილიარდერი ღარიბების მხარეს ვერ იქნება, მაგრამ უნდა შევახსენო, რომ სოციალისტური მოძრაობის სათავეში ღატაკები არასოდეს მდგარან. რასაც ბიძინა ივანიშვილი ბოლო ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში აკეთებდა, ამას სწორედ სოციალური სამართლიანობა ჰქვია.**

და თუ ვინმეს ჰგონია, რომ მის წინააღმდეგ ღარიბ ადამიანებს (ასეთი კი დღეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაა) დაგეშავს, მწარედ ცდება: **სამართლიანობა ყველა ჯანსაღი ადამიანის სურვილია, მაგრამ, როცა ამ სურვილს ფინანსური შეძლებაც უმაგრებს ზურგს, მიზანი უკვე ძალიან ახლოსაა!**

**ნანა დევდარიანი**

„ცოტა საეჭვო ვითარება შეიქმნა, მაგრამ ასეთი რამ თუ მოხდებოდა და სპეცოპერაცია თუ ტარდებოდა ჩვენს წინააღმდეგ, მაგას ვერ ვიფიქრებდი. არავინ იცის, შესაძლოა, ელოდნენ კიდეც შეიარაღებულ წინააღმდეგობას ჩვენი მხრიდან, ეს შესაძლებელიც იყო, მაგრამ ასეთი საქციელი უაზრობა იქნებოდა და ამას მსხვერპლი მოჰყვებოდა.“

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დაკავებული ინკასატორები და მოლარეები სპეცოპერაციის დეტალებს იხსენებენ

**«როგორ შეიძლება, ერთი ბანკიდან — მეორეში ინკასაციით გადატანილი თანხა ფულის გათეთრებად მიიჩნიო? ფული თუ თეთრდება, ამას ორი მხარე აქვს და გამოდის, რომ „საქართველოს ბანკიც“ ათეთრდებდა ფულს? არადა, მათთან პრეტენზია არავის ჰქონია»**

**ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრების ბრალდებით, რამდენიმე დღის წინ, ბანკ „ქართუს“ 6 თანამშრომელი დააკავეს. შსს-ს ცნობით, მათ თან დიდი ოდენობით ნაღდი ფული ჰქონდათ. სპეცოპერაციის შედეგად ჩამორთმეული თანხა — ორი მილიონი აშშ დოლარი და ერთი მილიონი ევრო — ბანკი „ქართუსთვის“ ჯერაც არ დაუბრუნებიათ, თუმცა დაკავებულებისთვის ბრალი არ წაუყენებიათ. ისინი მოწმის სტატუსით დაკითხეს და იმავე დღეს გაათავისუფლეს. როგორც ბანკის თანამშრომლები აცხადებენ, მათ მიმართ აგრესიულ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, თუმცა სამართალდამცავებს არც პოლიციის ფორმა ეცვათ, არც დაკავების ორდერი წარმოუდგენიათ და არც დაკავების მიზეზი აუხსნიათ. მიუხედავად დანაკარგისა და ინციდენტისა, ბანკი „ქართუ“ ჯერჯერობით შეუფერხებლად აგრძელებს მუშაობას. „საქართველო და მსოფლიო“ ბანკ „ქართუს“ თანამშრომლებს, ინციდენტის უშუალო მონაწილეებს ესაუბრა.**



**„ქართუ ჯგუფის“ თანამშრომლების განცხადებით, ისინი მორიგ საბანკო ოპერაციას ასრულებდნენ, როდესაც მოულოდნელად პოლიციამ დააკავა.**

**ირმა ქეთიშვილი, „ქართუ ჯგუფის“ მოლარე:**

— „საქართველოს ბანკში“, ჩვეულებისამებრ, ინკასაციის მანქანით წავედით, რათა, სალაროს გამაგრების მიზნით, თანხა გამოგვეტანა. ყველა წესის დაცვით შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა, დავითვალეთ, შევამოწმეთ თანხა და გადავეცით ინკასატორებს. გამოსვლისას, „საქართველოს ბანკის“ შენობაშივე დაგვაკავა პოლიციამ.

**— თუ წარმოგიდგინეს სამართალდამცავის მოწმობა ან დაკავების ორდერი?**

— ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე წაგვიყვანეს და ჩვენთვის არანაირი საბუთი არ წარმოუდგენიათ, მიზეზიც არ უთქვამთ. მიგვიყვანეს ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოში და დაახლოებით ერთი საათის მანძილზე ისიც კი არ ვიცოდით, რისთვის დაგვაკავეს. როდესაც ვეკითხებოდით, რატომ დაგვაკავეთ-თქო, არაფერს გვეუბნებოდნენ. დაკავებულები თუ ვიყავით, ესეც არავის უთქვამს. ერთი საათის შემდეგ განგვიმარტეს, რომ დაკავებულები ვიყავით და დაახლოებით საღამოს ცხრა საათისთვის უკვე მოწმის სტატუსით დაგვკითხეს. თითოეულ ჩვენგანს გამომძიებელი მოგვიჩინეს და დაწვრილებით გამოგვკითხეს, თუ რა მიზნით, რა ოპერაციას ვასრულებდით და დაახლოებით ღამის 11 საათზე გაგვათავისუფლეს.

**როგორც „ქართუ ჯგუფის“ ინკასატორი არჩილ ჯაფარაშვილი ამბობს, მართალია, სამართალდამცავები კი ამბობდნენ, რომ პოლიციიდან იყვნენ, მაგრამ ოფიციალურად არც მათთვის აუხსნიათ დაკავების მიზეზი.**

— დაკავების ორდერი არ წარმოუდგენიათ, ისე ჩაგვსვეს ავტომანქანაში და პოლიციის განყოფილებაში წაგვიყვანეს. მე ინკასატორი ვარ და თანხა მეჭირა ხელში, მოვიდნენ და რა თანხაა და რამდენიაო. სიმართლე გითხრათ, მე არც ვიცოდი, რა რაოდენობის თანხა იყო, რადგან ფულის დათვლა და შემოწმება მოლარეების მოვალეობაა. მათ შეამოწმეს და დალუქეს თანხა. ჩემი მოვალეობა მხოლოდ უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

**— ამ დროისთვის ყველა დაკავებული გათავისუფლებულია?**

— ყველა გაგვათავისუფლეს, თუმცა ინკასატორები მოლარეებზე გვიან გამოგვიშვეს და გვთხოვეს, რომ, სანამ გამოძიება არ დასრულდება, ქალაქიდან არ გავიდეთ.

**— გავრცელდა ინფორმაციაც, რომ ბანკი „ქართუს“ თანამშრომლების პროვოცირება სურდათ ამ ნაბიჯით. თუ ჰქონდა პოლიციელების მხრიდან რაიმე მსგავს ქმედებას ადგილი?**

**ზაზა ყაველაშვილი, „ქართუ ჯგუფის“ ინკასატორი:**

— ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სამართალდამცავები თავადაც გაურკვევლობაში იყვნენ. ალბათ, ეგონათ, რომელიმე ჩვენგანი ბანკის თანამშრომელი არ აღმოჩნდებოდა. როცა საბუთები შეამოწმეს და დარწმუნდნენ, რომ არანაირ უკანონო ქმედებას არ ვასრულებდით, იარაღი და საბუთები დაგვიბრუნეს და გამოგვიშვეს.

აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს, „კურიერის“ საინფორმაციო გამოშვებაში გამოაცხადეს, თითქოს დაკავებულებს შორის ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრებიც იყვნენ, რაც აბსურდია. მხოლოდ ბანკის თანამშრომლები დაგვაკავეს, თუმცა არც სიმართლის გარკვევის შემდეგ არავის უთქვამს, რომ ტელევიზიამ მცდარი ინფორმაცია გადასცა.

სანამ დაგვაკავებდნენ, მოულოდნელად გაძლიერდა ბანკის დაცვა. მოგეხსენებათ, მე ინკასატორი ვარ და ვინაიდან, უსაფრთხოების უზრუნველყოფა ჩემი მოვალეობაა, სიტუაციას ვაკვირდებოდი. **ცოტა საეჭვო ვითარება შეიქმნა, მაგრამ ასეთი რამ თუ მოხდებოდა და სპეცოპერაცია თუ ტარდებოდა ჩვენს წინააღმდეგ, მაგას ვერ ვიფიქრებდი. არავინ იცის, შესაძლოა, ელოდნენ კიდეც შეიარაღებულ წინააღმდეგობას ჩვენი მხრიდან, ეს შესაძლებელიც იყო, მაგრამ ასეთი საქციელი უაზრობა იქნებოდა და ამას მსხვერპლი მოჰყვებოდა.**

**ინგა ჯავახია, „ქართუ ჯგუფის“ მოლარე:**

— ჩემთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო, თუ მსგავსი რამ მოხდებოდა. მართალია, ბანკში საუბრობდნენ, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების პოლიცია მოვიდაო, მაგრამ ჩვენს დასაკავებლად თუ იყვნენ მოსულები, ვერც წარმოვიდგენდი.

**უსაფრთხოებისა და ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი გოჩა ჩიკვილაძე ამბობს, რომ თანამშრომლების დაკავების შესახებ მოულოდნელად შეიტყო.**

— დაკავების მომენტში, სანამ ტელეფონს ჩამოართმევდნენ, ერთმა ინკასატორმა მოასწრო და დაგვირეკა. როცა ადგილზე მივედით, რა თქმა უნდა, იქ უკვე აღარავინ დაგვხვდა. „საქართველოს ბანკის“ დაცვის სამსახურმა გვაცნობა, რომ ინკასაციის მანქანიანად, ყველა ჩვენი თანამშრომელი წაიყვანეს. შემდეგ გავარკვიეთ, სადაც იყვნენ და მივედით, დავწერეთ განცხადება და ვთხოვეთ სამართალდამცავებს, კანონიერი ზომები მიეღოთ.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბანკ „ქართუს“ თანამშრომლები ფულის გათეთრების ბრალდებით დააკავეს. რა ხდება ამჟამად, ცნობილია თუ არა კონკრეტული ბრალდებულების ვინაობა?**

— ძველი თბილისის პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსმა ზურაბ პავლიაშვილმა მითხრა, რომ მათ მართლაც დააკავეს ბანკ „ქართუს“ ინკასაციის მანქანა, რადგან ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ფულის გათეთრებას ჰქონდა ადგილი, რაც წარმოუდგენელია. **როგორ შეიძლება, ერთი ბანკიდან — მეორეში ინკასაციით გადატანილი თანხა ფულის გათეთრებად მიიჩნიო? ფული თუ თეთრდება, ამას ორი მხარე აქვს და გამოდის, რომ „საქართველოს ბანკიც“ ათეთრდებდა ფულს? არადა, მათთან პრეტენზია არავის ჰქონია.**

ბანკში ყველაფერი წესრიგშია და შესაბამისი დოკუმენტაცია გვაქვს, ყველას შეუძლია იხილოს გადარიცხვის დოკუმენტები, რითიც დასტურდება რომ გერმანულ და ამერიკულ, საკმაოდ მსხვილ ბანკებთან არის გატარებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია და აბსურდია, რასაც ამბობენ. ამდენი თანხაც იმიტომ დაგვჭირდა, რომ ამ დღეებში ბანკიდან ანაბრების გატანის მაჩვენებელი გაიზარდა და, ჩვენი მომხმარებლებისთვის დისკომფორტი რომ არ შეგვექმნა, „საქართველოს ბანკიდან“ თანხის წამოღება გადავწყვიტეთ.

ბრალდებულად არავინ არ არის ცნობილი. ბანკის დაკავებული თანამშრომლები მოწმის სტატუსით დაკითხეს.

**— თანხა დაგიბრუნეს თუ კვლავ სამართალდამცველებთან რჩება?**

— მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, შესაბამის ორგანოებს კვლავ მივმართეთ წერილობით და ავტომანქანის და ფულის დაბრუნება მოვითხოვეთ. არაფერი დაუბრუნებიათ და პასუხიც არავის გაუცია. კანონის თანახმად, თუ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და თანხა ფიგურირებს საქმეში, ეს თანხა სისხლის სამართლის საქმის დასრულებამდე მფლობელს არ უბრუნდება. ამიტომ, ჩვენ იმედი არ გვაქვს, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვინმე თანხას დაგვიბრუნებს, მაგრამ ვინაიდან ჩვენ მართლები ვართ, ამ თანხას ბოლოს მაინც დავიბრუნებთ. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მესამე ნაწილით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრება) აღძრული, როდის დამთავრდება ეს სისხლის სამართლის საქმე, არ ვიცით.

**— ბანკ „ქართუს“ თანამშრომლების დაკავების ფაქტი, ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნომ ბიზნესმენის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ და კრიმინალურ შეტევად უკვე შეაფასა. რა ხდება ამჟამად, ბანკი შეუფერხებლად აგრძელებს მუშაობას?**

— ბუნებრივია, ეს ყველაფერი ჩვენი დამფუძნებლის საქმიანობას, მის პოლიტიკურ გააქტიურებას უკავშირდება. ჯერჯერობით მშვიდად ვაგრძელებთ მუშაობას, თუმცა თანამშრომლებმა არ ვიცით, რა შეიძლება მოხდეს, რადგან ჩვენთვის აღნიშნული ფაქტიც მოულოდნელი იყო.

**ეს თანხა არ არის ჩვენი დონის ბანკისთვის იმხელა მნიშვნელობის, რომ ბანკის მუშაობა შეაფერხოს, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ბანკები ჩვენთან თანამშრომლობას უკვე თავს არიდებენ. „საქართველოს ბანკმაც“ საკმაოდ გაგვიჭიანჭლა თანხის მოცემა. ჯერ გვაძლევდა თანხას, მერე უარი გვითხრა, ბოლოს დაგვეთანხმდა. ეროვნული ბანკიდანაც ძალიან მცირე თანხა მოგვცეს, უფრო მეტი გვსურდა და უარი გვითხრეს. ფაქტია, რომ ხელისშემშლელ პირობებს გვიქმნიან, მაგრამ ბანკში იმდენად კარგადაა საქმე აწყობილი, ჩვენს მუშაობას ასეთი მომენტები ვერ შეაფერხებს.**

აღსანიშნავია, რომ ამ ინციდენტის შემდეგ, ბანკის საქმიანობის შესამოწმებლად ეროვნული ბანკიდან მოვიდნენ. ბრძანების თანახმად, ბანკის ირგვლივ ბოლო დროს განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, გადაწყდა ჩვენი საქმიანობის შემოწმება და ეროვნულმა ბანკმა ორი თვის მანძილზე უნდა შეამოწმოს ბანკ „ქართუს“ საქმიანობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ ვართ. სხვა დროსაც შევუმოწმებივართ და არასდროს, არანაირი პრობლემა არ გვქონია.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**P.S. დაუბრუნდება თუ არა კუთვნილი თანხა ბანკ „ქართუს“ და როგორ დასრულდება საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მესამე ნაწილით აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრებას ითვალისწინებს, არავინ იცის. ამ ეტაპზე, ბრალდებულების ვინაობაც უცნობია.**

ჩელიბია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ, სასულიერო პირებს, გვმართებს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, რადგან, ვისაც მეტი მიეცა, მას უფრო მეტი მოეთხოვება. ეს დიდი პასუხისმგებლობა ფიცის დადებამდე ყველას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული. მე, მღვდელმთავარი, ასჯერ მეტად ვაგებ პასუხს უფლის წინაშე, ვიდრე თქვენ, რადგან ასჯერ მეტი მომეთხოვება.“**

მეუფე ილარიონი:

# ნურავინ იფიქრებს, რომ ძალაუფლება სულ ექნება... დრო ჩართულია...



**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსი მეუფე ილარიონი (ქიტიაშვილი).**

**— მეუფე ილარიონ, პირველ ყოვლისა, მადლობა მინდა გადაგიხადოთ საუბარზე დათანხმებისთვის. დღეს საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს სურვილი აქვს, გაიგოს იერარქიის ხმა ეკლესიასა თუ სახელმწიფოში მიმდინარე ძალიან ბევრ მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით. ეკლესია სასულიერო იერარქიისა და მრევლის ერთობლიობაა. აქვს თუ არა მრევლს უფლება, ჩაერიოს ეკლესიისთვის საჭირბოროტო საკითხებში?**

— დაგლოცოთ ღმერთმა! ეკლესია, რა თქმა უნდა, სასულიერო იერარქიისა და მრევლის ერთობლიობაა. ერიც და ბერიც ერთი ჰაერით სუნთქავს. ეკლესიაში მხოლოდ იერარქია კი არ მყოფობს, არამედ ის მრევლიც, რომლისთვისაცაა ის იქ დადგენილი. ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია, თავი ეკლესიისა მაცხოვარია, ჩვენ ყველანი კი მისი ორგანული ნაწილები ვართ. აქედან გამომდინარე, **ერის ადამიანს გარკვეულწილად აქვს უფლება, ჩაერიოს ეკლესიის არა კანონიკურ საკითხებში, არამედ იმაში, თუ რით ცხოვრობს, რით სუნთქავს ეკლესია, სასულიერო პირი, არ აქვს მნიშვნელობა დიდი იერარქია იგი თუ პატარა!**

ვფიქრობ, ჩვენ, სასულიერო პირები, ვალდებულნიც კი ვართ, ჩავაბაროთ ანგარიში ჩვენს სამწყსოს, რათა მან გვიერთგულოს, დაგვიჯეროს, უფლისთვის სათნოდ იცხოვროს. მრევლმა დიახაც უნდა იცოდეს მღვდელმსახურის ცხოვრების წესი, თვითონ რამდენად ასრულებს იმას, რასაც ამბიონიდან უქადაგებს მრევლს, რადგან, თუ თვითონ არ ხარ ზნეობრივი, თუ თავად არ ასრულებ უფლის სიტყვას, თუ თავად არ ხარ რწმენით, ზნეობით, სიყვარულით აღჭურვილი, პატიოსანი, მაშინ უფლება არ გაქვს, მიუთითო მრევლს და ამბიონიდან ჭკუა დაარიგო და ზნეობა უქადაგო. თუ ხარ უზნეო, ღალატობ უფალს, შენ არავინ გამოგყვება, არავინ დაგიჯერებს! თვითონ უნდა იდგე იმ ზნეობრივ სიმაღლეზე, რომ რწმენა, ერთობა და სიყვარული უქადაგო მრევლს.

ეკლესია ერთი მისტიური სხეულია ქრისტესი, ჩვენ, ყველანი — ერიც და ბერიც, ამ სხეულის ნაწილი ვართ. როცა რომელიმე ნაწილი სტკივა ამ სხეულს, ეს მთლიანად ამ ცოცხალი ორგანიზმის სატკივარია, ამიტომ ვერანაირად ვერ გამოვყოფ მრევლს ეკლესიიდან. ძალიან ფაქიზად უნდა მკურნალობა, რამეთუ ეკლესია წმინდაა და იგი წმინდად დარჩება მარად, როგორ უღირსადაც არ უნდა მოვიქცეთ თითოეული ჩვენგანი. ჩემი უღირსი საქციელით ეკლესიის სიწმინდეს ვერ შევლახავ, ისევ მევე ვიქნები შეურაცხყოფილი, საკუთარ თავს ვავნებ და იმ სამწყსოს, რომელიც მე შემომცქერის, ჩემი იმედი აქვს, რომ გავუკვალო გზა უფლისკენ მიმავალი. **„არა არს კაცი, რომელიც სცხონდეს და არა სცოდოსო,“** — ნათქვამია, მაგრამ ცოდვასაც ხომ გააჩნია. და **როდესაც ხედავ, რომ ამ ცოდვას შეგნებულად, მიზანმიმართულად სჩადიან, მიხვიდე და არ ამხილო, არ გააჩერო, ეს დანაშაულია!**

**— მეუფეო, თქვენ, სასულიერო პირები, ცდილობთ, თქვენი ცხოვრებით წმინდანებს მიემსგავსოთ; ჩვენ, უბრალო ადამიანები, მრევლი კი თქვენ შემოგყურებთ, თქვენს ცხოვრებას, რადგან თქვენ ხართ ხიდი ჩვენსა და უფალს შორის. ამიტომაც გვინდა, სასულიერო პირები იყვნენ ზნეობრივები, სუფთები, რათა ადვილად დაგეყრდნოთ და მივიდეთ უფალთან. ასე მტკივნეულად ამიტომაც რეაგირებს ხალხი ყველაფერზე, რაც ეკლესიისა და სასულიერო პირთა სიწმინდეს ეხება. თუმცა მუდმივად ის გვესმის, რომ სასულიერო პირის განკითხვის უფლება მხოლოდ იერარქიას აქვს და არა მრევლსო. უზნეობაზე ხმის ამოღება მხილება უფრო მგონია, ვიდრე განკითხვა. ვიცი, განკითხვა უდიდესი ცოდვაა, მაგრამ სად გადის ზღვარი განკითხვასა და მხილებას შორის?**

— ძალიან საინტერესო კითხვაა და მასზე ცალსახა პასუხი მაქვს — უფალი წმინდა წერილში ბრძანებს, თუ ძმაი შენი შესცოდავს, მიდი და ამხილე; თუ ის მოისმენს, კარგია და გადარჩება; თუ არ შეისმინა, მიდი და სამ ადამიანთან ერთად ამხილე; თუ მაშინაც არ შეისმინა, მაშინ საქვეყნოდ ამხილე კრებულის წინაშე; თუ ამის შემდეგაც არ შეისმინა, იყოს ურჯულო და წარმართი და მოშორებული წმინდა ეკლესიიდან, რომელიც არის ჩვენი მაცხონებელი და გადამრჩენელიო. **ჩვენ, სასულიერო პირებს, გვმართებს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, რადგან, ვისაც მეტი მიეცა, მას უფრო მეტი მოეთხოვება. ეს დიდი პასუხისმგებლობა ფიცის დადებამდე ყველას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული. მე, მღვდელმთავარი, ასჯერ მეტად ვაგებ პასუხს უფლის წინაშე, ვიდრე თქვენ, რადგან ასჯერ მეტი მომეთხოვება.**

რაც შეეხება სარწმუნოებრივ და ზნეობრივ საკითხებს, აქ კომპრომისი ჩემთვის დაუშვებელია! დავით მეფსალმუნე ბრძანებს: **„კაცი პატივსა შინა იყო, არა გულისხმა ჰყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყვსა უგუნურსა და მიემსგავსა მას“.** ადამიანი პირუტყვს რწმენის უქონლობით, უზნეო ცხოვრებით ემსგავსება. ადამიანის ღირსება არ განისაზღვრება არც მისი იერარქიული და არც მისი თანამდებობრივი მდგომარეობით. ღირსება — ეს არის რწმენა და ზნეობრივი ცხოვრება. **უღმერთობას მიჰყავს ადამიანი გადაგვარებამდე, შინაგან დეგრადაციამდე, მას ზნეობა და მორალი ველარ აკავებს და აშკარად, დაუფარავად მიექანება უფსკრულისკენ და ირგვლივ მყოფთაც ღუპავს.** არ შეიძლება, მშვიდად უყურო, თავიანთი უზნეო საქციელით როგორ ცდილობენ, დაღუპვის გზისკენ წაიყვანონ ადამიანი და საზოგადოება. **„ქმნა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადო,“** — ნათქვამია.

ჩვენი საქციელით ადამიანის დაბრკოლებას უფალი არ გვაპატიებს. უფალი ბრძანებს: **„ვაი იმას, ვინც ერთი მათგანი დამიბრკოლოს, მაშინ წისქვილის ქვა შეიბას, ზღვაში ჩავარდეს და შთაინთქასო“.** მართალია, ეს ძალიან ფაქიზი თემაა და ძალიან სათუთად უნდა მივუდგეთ, მაგრამ თევზის მდგომარეობაში ყოფნასაც არ გვაპატიებს უფალი — იცოდე სიმართლე და არ თქვა, დიდი ცოდვაა. ლამაზად დავხატოთ ყველაფერი მაშინ, როცა ეს ასე არაა, არ გვეპატიება. ყველაფერი განკითხვა არაა. ნაკლი უნდა გამოსწორდეს, მაგრამ, თუ არ ამხილე, დადუმდი, თვალი დახუჭე, ის არ გამოსწორდება, პირიქით, უსასრულოდ გაგრძელდება. მე ვფიქრობ, **დღეს სიმართლის დამალვა იუდას ცოდვის ტოლფასია. იუდა ზუსტად ამ თამაშით მივიდა იმ დონემდე, რომ გასცა ქრისტე. მხილებასა და განკითხვას შორის ძალიან დიდი ზღვარია. ყველაფერს განკითხვას ნუ დავარქმევთ.**

**— მეუფეო, იმ ავადსახსენებელი კანონპროექტის მიღების შემდეგ ვნებათაღელვა არ ცხრება და, როგორც უნდა აგვიკრძალონ მასზე საუბარი, მისგან გამომდინარე, ქვეყნისთვის სავალალო შედეგებს ვერსად გავექცევით — ორასამდე მეჩეთია რეგისტრაციაში გატარებული, სომხები ექვსასზე მეტ ეკლესიას გვედავებიან. თუკი ადრე თურქები აჭარაში ოთხი მეჩეთის აშენებას ითხოვდნენ და ამის საპირწონედ შეგვეძლო ტაო-კლარჯეთში ჩვენი ტაძრები მოგვეთხოვა, ახლა ეს ბერკეტიც დავკარგეთ — რამდენსაც უნდა, იმდენს ააშენებენ საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე. შედეგების მიხედვით ჩანს, რომ საზოგადოების, ერის ვნებათაღელვა ამ ანტიეროვნული, ანტისარწმუნოებრივი კანონის წინააღმდეგ საფუძვლიანი იყო...**

— მე ჩემს აზრს მოგახსენებთ ამ კანონთან დაკავშირებით. ჩემთვის ეს კანონი ცალსახად მიუღებელია და ჩემი დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია, რამეთუ ამ კანონით, იურიდიულად ერთ სიბრტყეში მოექცა ყველა კონფესია. ეს კანონი ძალიან ბევრი საფრთხის შემცველი იყო და ამიტომაც სინოდზე მოვითხოვეთ, რომ შემდგარიყო ორმხრივი — საპატრიარქოსა და სახელისუფლო კომისია, რათა ამ კანონში ჩვენთვის, მართლმადიდებლებისთვის, ჩვენი ეკლესიამონასტრებისთვის დამცავი მექანიზმები შემუშავებულიყო, რომ სხვა ეკლესიებს, თუნდაც სომხურს, ჩვენს საკუთრებაზე პრეტენზიის გამოთქმის უფლება არ მისცემოდა.

ჯერ კიდევ წინა მთავრობის დროს, კათოლიკებს ჰქონდათ ანალოგიური სურვილი და მოთხოვნა, რომ მათი სტატუსი მართლმადიდებლობას გათანაბრებოდა, მაგრამ ეკლესიის ძალიან მკაცრი პოზიციის შემდეგ მაშინდელმა მთავრობამ ამ კანონს ვეტო დაადო და ეს საკითხი ეკლესიის სასარგებლოდ დამთავრდა. დღეს კი რა რეალობის წინაშე ვართ, ყველა ვხედავთ.

**ვიცით, რომ სომხური ეკლესია ექვსასზე მეტ ტაძარს ითხოვს, უკვე ორასზე მეტი მეჩეთია რეგისტრაციაში გატარებული, ეს იმ ფონზე, როცა არაერთგზის თქმულა, იმავე საინგილოში ეთნიკურ ქართველებს ქართული სახელების დარქმევის უფლებასაც არ აძლევენ, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.**

**მე სულ ახლახან მოვილოცე ტაო-კლარჯეთი. რომ ნახოთ, იქ რა მდგომარეობაშია ჩვენი ტაძრები, აგეტირებათ — იავარქმნილი და შეურაცხყოფილია ჩვენი საუნჯე. თურქეთში ყველა უცხო ქვეყნის ძეგლი — სომხური, ბერძნული კარგად მოვლილი და ნაპატრონებია, მხოლოდ ქართული ძეგლებია განადგურების პირას.**

თურქეთს ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით პირობები წაუყენეს, რომ მან სხვისი ტაძრები დააბრუნოს. მათ უკვე დაუბრუნეს იმავე სომხებს, ბერძნებს თავიანთი კულტურული მემკვიდრეობა. მისმა უწმინდესობამ თურქეთის პრემიერ-მინისტრს თხოვნით მიმართა, ჩვენი ტაძრები — ოშკი, ხახული, იშხანი და სხვა საქართველოს დაუბრუნდეს და ყურადღება მიექცეს. იმედი მაქვს, უფლის ნებით, ეს საკითხი ჩვენთვის სასიკეთოდ გადაწყდება.

ქართულ ეკლესიას ტაო-კლარჯეთში ჩვენი ძეგლების საკითხი უყურადღებოდ არასოდეს დაუტოვებია, წლების განმავლობაში აყენებდა თხოვნას თურქეთის ხელისუფლებასთან. რამდენად მიიღო და გაითვალისწინა მეორე მხარემ, ეს სხვა საკითხია. აქ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე მხოლოდ ეკლესიას გაუჭირდება შედეგის მიღწევა. სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს თავისი დიპლომატიური ბერკეტები და ეკლესიასთან შეთანხმებით უნდა იმოქმედოს, რომ თურქეთში ანალოგიური სტატუსი მიიღოს ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ და ჩვენც ისევე დაგვიბრუნდეს ჩვენი ტაძრები, როგორც სხვებს დაუბრუნდა. **ჩვენ უნდა მოგვეცეს საშუალება, მივხედოთ და ვილოცოთ ჩვენს ტაძრებში, გადავურჩინოთ ისინი მომავალ თაობებს. თუ თურქეთის ხელისუფლება ამას არ გაითვალისწინებს, ძალიან ცუდი იქნება ისევ მათთვის, რადგან უფალი თავისი სახლის ასეთ უპატივცემულობას არავის აპატიებს!**

**— მეუფეო, სახელმწიფო რომ ეკლესიის გარეშე არ უნდა წყვეტდეს ეკლესიის საქმეებს, ეს დღესავით ნათელია, თუმცა ეს უკვე სახელმწიფო მოხელეებს ჩვევად ექცათ. ცნობილია, რომ სვანეთში დიდი ვნებათაღელვაა ატეხილი საგანძურთან დაკავშირებით, რომელიც მუზეუმიდან ეკლესიასთან შეუთანხმებლად კონტეინერებში გადაიტანეს. რა მდგომარეობაა ახლა და სად ბრძანდება ის უნიკალური ხატები და საეკლესიო სიწმინდეები?**

— სვანეთში მართლაც მთელი ქართველი ერის უდიდესი სიმდიდრე, საუნჯე და საეკლესიო სიწმინდეებია შემონახული; თვითონ ეკლესიებსა და ტაძრებში უნიკალური ფრესკებია შემორჩენილი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სვანეთში დიდი რწმენა იყო და როცა მეკითხებიან, არიან თუ არა სვანები მორწმუნეები, ამის პასუხია სწორედ ის ტაძრები, რომლებიც იქ ასე მრავლადაა. ეს სიწმინდეები — უნიკალური ჭედური თუ ფერწერული ხატები, ჯვრები, სხვა საეკლესიო სიწმინდეები იმყოფებოდა მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. დაახლოებით 3 თვის წინ გადაწყვიტეს მუზეუმის რესტავრაცია, დაიწყო შენობის დემონტაჟი. ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება — საგანძური მუზეუმიდან გამოიტანეს და განათავსეს სპეციალურად მომზადებულ კონტეინერებში. სამწუხაროდ, ეკლესია და პირადად მე, როგორც ადგილობრივი მღვდელმთავარი, არ ჩაგვაყენეს საქმის კურსში, რომ ერთობლივად მიგვეღო გადაწყვეტილება, ამ ხატებისა და სიწმინდეებისთვის გარემოს შექმნის შესახებ.

## «ხატის ადგილი ტაძარშია»

ჩემი აზრით, მიუღებელია, რომ ხატს თავისი დანიშნულება წაართვა. ეს უნდა ესმოდეს ადამიანს, ვინც ▶

„მე სულ ახლახან მოვილოცე ტაო-კლარჯეთი. რომ ნახოთ, იქ რა მდგომარეობაშია ჩვენი ტაძრები, აგეტირებათ — იავარქმნილი და შეურაცხყოფილია ჩვენი საუნჯე. თურქეთში ყველა უცხო ქვეყნის ძეგლი — სომხური, ბერძნული კარგად მოვლილი და ნაპატრონებია, მხოლოდ ქართული ძეგლებია განადგურების პირას.“

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «საკუთარი ხალხის ასე გამეტება, ასეთი სისასტიკით ხოცვა-ჟლეტა კაენის ცოდვაზე უფრო მეტია!.. ამხელა ბოროტება ღვთისაგან დაუსჯელი არ რჩება»



◀ გინდა იყოს ის. ხატი მადლით სავსეა, სიწმინდეა და იგი კუთვნილებაა მთელი ხალხისა, ერისა. ამ საკითხთან დაკავშირებით, უწმინდესთან შედგა შეხვედრა, მოიწვიეს მეცნიერები, ხელოვნებათმცოდნეები, კომპეტენტური პირები, რომელნიც გარკვეულნი არიან ამ საქმეში და გადაწყდა, რომ ამ კომისიამ შეამოწმოს, თუ რა მდგომარეობაშია ახლა ეს სიწმინდეები. ჩვენი მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ ამ ეტაპზე მაინც მოხდეს მათი გადაბრძანება მესტიის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში. **ხატები და სიწმინდეები უნდა იყოს ეკლესიაში, სადაც მათი ადგილია, იქაც შევძლებთ მათთვის სათანადო პირობების შექმნას. 200-ზე მეტ სიწმინდეზეა საუბარი. მე შესაძლებლად მივიჩნევ, რომ წმინდა გიორგის საკათედრო ტაძარში მოხდეს მათი გადაბრძანება.** ვნახოთ, კომისია რას გადაწყვეტს.

**— ვინ არიან ამ კომისიის წევრები?**

— ესაა სამმხრივი კომისია: საპატრიარქოს მხრიდან მიტროპოლიტი დავითი, ამბა ალავერდელია თავმჯდომარე, ასევე ვარ მე; სახელმწიფოს მხრიდან არიან ხელოვნებათმცოდნეები ეროვნული მუზეუმიდან და მესამე მხარე — საზოგადოების წარმომადგენლები — ადგილობრივი სვანები.

**— ანუ იმედი გაქვთ, რომ ეს სიწმინდეები დაბრუნდება იქ, სადაც მათი ადგილია — ტაძარში?**

— ამ ეტაპზე ასე ჩანს, მომავალში რა იქნება, ამაზე ახლა საუბარი ძნელია. მაგრამ მე ყველაფერს გავაკეთებ, ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ ხატები მათ ნამდვილ ადგილსამყოფელს დაუბრუნდეს!

**— აქედან გამომდინარე, ერთ კითხვას დავსვამ: უამრავი ხატი, მათ შორის, ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ანჩის ხელთუქმნელი ხატი, რომლის სახელობის ტაძარიც გვაქვს, ჯერ ისევ მუზეუმში ბრძანდება. მრევლის მოთხოვნაზე, რომ ხატი ტაძარში გადააბრძანონ, სახელწიფო პასუხობს, რომ იქ ხატი „გაფუჭდება“ შესაფერისი პირობების უქონლობის გამო. არ დადგა დრო, რომ ეკლესიამ დააყენოს საკითხი და ყველა ეს ხატი თუ საეკლესიო სიწმინდე ტაძრებში დაბრუნდეს?**

— რა თქმა უნდა, ცალსახად! ყველა ხატის, ჯვრის ადგილსამყოფელი ტაძარია, სადაც დაიბადა და ცოცხლობს. ხატთან მიდის ადამიანი და მადლს იღებს მისგან. ლოცულობს. რატომაა, რომ ხატებს მირონი, ცრემლი და ზოგჯერ სისხლიც სდით? მეცნიერებისთვის ეს მოვლენა დღემდე აუხსნელია. ხატი ცოცხალია და იმიტომ! **როცა ეს დატყვევებული ხატები და საეკლესიო სიწმინდეები ეკლესიას გადმოგვეცემა, ჩვენ არავისზე ნაკლებ პირობებს არ შევუქმნით მათ. სამების საპატრიარქო ტაძარში შესანიშნავი პირობებია ამ სიწმინდეებისთვის და პატრიარქმა შესანიშნავად, ყველაზე უკეთ იცის ხატების მოვლაც, სიყვარულიც და მათი პატრონობაც.**

**— მეუფეო, თქვენ ძალიან რთულ რეგიონში ბრძანდებით, მთას თავისი მკაცრი კანონები აქვს. იქ სიწმინდე ბევრია, თუმცა მთის ადამიანის ხასიათი ისეთივე გოროზია, როგორც ის ბუმბერაზი მთები, სადაც ისინი გაიზარდნენ. არ გაგიჭირდათ სვანურ ხასიათთან შეგუება?**

— რომ მივდიოდი, მერწმუნეთ, წინასწარ არ მიფიქრია, თუ სად და რა სირთულის რეგიონში მივდიოდი. ბოლომდე უფალს მივენდე. სვანები ვაჟკაცი ხალხია, მათ ბევრ საკითხზე განსხვავებული ხედვა აქვთ. ალბათ, წინასწარ რომ მოვმზადებულიყავი, უფრო მეტი პრობლემები შემექმნებოდა. მივედი იმის რწმენით, რომ უნდა გამეკეთებინა ჩემი საქმე. სულ მახსოვდა უწმიდესის სიტყვები — ეპისკოპოსად კურთხევისას სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში რომ მითხრა — შენ მიდიხარ ისეთ მხარეში, სადაც არის დიდი რწმენა, მაგრამ მათ ეკლესიური ცხოვრება უნდა ასწავლოო. უწმინდესის ეს სიტყვები ახლაც მაქვს გონებაში ჩაბეჭდილი.

**თავდაპირველად მართლაც დიდი წინააღმდეგობები იყო, მაგრამ არ მიმიქცევია ყურადღება. ადამიანი ხარ და ამ სირთულეებს ასე ადვილად ვერც დაითმენ, ვერც მიიღებ, ვერც შეძლებ, რომ გადალახო, მაგრამ სიყვარულით მივედი და უფლისგან, ღვთისმშობლისგან უდიდეს მფარველობას ვგრძნობდი. სვანეთში დავანებული სიწმინდეების მადლი მეწეოდა და მაძლიერებდა.**

სვანებს ძალიან ბევრი ისეთი ტრადიცია აქვთ, რომელიც არაა ქრისტიანული და უჭირთ ძვალსა და რბილში გამჯდარი მამა-პაპათა ამ ტრადიციების დათმობა. სვანი კაცის ბუნების ჩამოყალიბებაში მართლაც უდიდესი როლი ითამაშა სვანურმა ბუნებამ, მკაცრმა კლიმატმა, ცაში აზიდულმა მთებმა. მათ ძალიან მტკიცე ხასიათი აქვთ, მეგობრობაც იციან, გატანაც და გვერდით დგომაც. უყვართ თავიანთი კუთხე, სამშობლო. მათგან უდიდეს სითბოს ვგრძნობ. სხვათა შორის, ძალიან დაკვირვებულები არიან, ვერ გამოაპარებ ვერაფერს. გაკვირდებიან, გსწავლობენ, შენი ცხოვრების წესი თუ ემთხვევა იმას, რასაც ქადაგებ ამბიონიდან. მათ იმხელა სამართლებლივი ინსტიტუტი ჰქონდათ მახვშის სახით. ის კაცი საზოგადოების მიერ იყო არჩეული, მიუკერძოებელი, გამსასჯელი თუნდაც თავისი ახლობელი ყოფილიყო. სამართლიანობა იყო მათთვის მთავარი და უპირველესია.

**— საზოგადოების ერთგვარი გულდაწყვეტა და ტკივილი ეკლესიის მიმართ ძალიან მძაფრად გამოვლინდა 26 მაისის მოვლენების შემდეგ, როცა იერარქიის მხრიდან ხალხი უფრო მკაფიო განცხადებებს ელოდა. მაშინ მეუფე ეფრემმა 26 მაისის ღამეს კაენის ცოდვა უწოდა. ამ კითხვის დასმის გამო მე ლამის შემაჩვენეს, მეუფესაც „ამკობდნენ“ კულუარებში. ხშირად ისმის გულდაწყვეტილი ამოძახილები, რომ დაგვავიწყდა ეს ბართლომეს ღამე. მე ის საშინელი კადრები — ხელფეხშეკრული, სიკვდილამდე ნაცემი, დასისხლიანებული ჩემი მოძმეები არასოდეს დამავიწყდება. თქვენ რას ფიქრობთ?**

— მე სავსებით ვეთანხმები ამ შეფასებას, ეს გაუმართლებელი იყო! საკუთარი ხალხის ასე გამეტება, ასეთი სისასტიკით ხოცვა-ჟლეტა კაენის ცოდვაზე უფრო მეტია! ყველაფერი შეიძლებოდა უფრო სხვანაირად მოეგვარებინათ, რომ ადამიანები არ დაეხოცათ. თქვენ და, ალბათ, ის დავალების შემსრულებლები ვერც კი წარმოიდგენენ, რამხელა პასუხისმგებლობა ეკისრებათ! „არა კაც ჰკლა“ — ეს ხომ ათ მცნებაში გვიდევს. **ვაი იმ ადამიანებს, იმ საშინელების ჩამდენებს, თუ მათ ძალიან დიდი სინანული არ ექნებათ! ეს მათთვის საშვილიშვილო, მომაკვდინებელი ცოდვაა, რომელიც, ადამიანის გარშემო რაცაა, ყველაფერს ანადგურებს. ეს ცოდვა ნელ-ნელა ავიწროვებს იმ წრეს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება და ყოფა და როცა იქნება, მოაშთობს. ამხელა ბოროტება ღვთისაგან დაუსჯელი არ რჩება და მე გულწრფელად მინდა იმ ადამიანებმა შეინანონ!**

**— დღეს საზოგადოებას უიმედობა სჭირს. უფალი ჩვენი სიხარულისთვის მოვიდა ამქვეყნად, ჩვენი სიცოცხლისა და გადარჩენისთვის ევნო, მაგრამ ხანდახან ადამიანებს, ჩვენი სისუსტის გამო, გვიჭირს უფლის წიაღში ყოფნა, მასზე სასოება. როგორ უნდა ვიცხოვროთ, რომ ამ უკიდურესად რთულ დროში უფალი, ერთმანეთის სიყვარული და იმედი არ დავკარგოთ, სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდეთ?**

— პავლე მოციქულის სიტყვებს გავიხსენებ — რწმენა, იმედი და სიყვარული, რაც ყველაზე უპირველესია. ადამიანი სულდგმულობს რწმენით, ცოცხლობს იმედით და სასუფეველში უკვე სიყვარულში შედის და მარადიულობას იმკვიდრებს. რწმენა და იმედი აქ გვჭირდება ჩვენ. ეს ორი რამაა აუცილებელი და იქ უკვე აღარაა რწმენა და იმედი საჭირო, რადგან სიყვარულში და მარადიულობაში ხარ. მთელს ჩვენს ერს ვუსურვებ, რომ ღვთის რწმენა განამტკიცონ საკუთარ თავში. ყველაზე მთავარი — **სახელმწიფოს მოხელეებსაც ვუსურვებ, უფლისკენ მიბრუნდნენ, რადგან უმაღლესი ხელისუფალი თვითონ ღმერთია, ღმერთთან ბრძოლას კი ვერავინ მოიგებს, რადგან სამყაროში უფალი მეფობს, მხოლოდ უფლის მეუფებაა მარადიული!**

როცა დავით მეფსალმუნე გამარჯვებული შედიოდა იერუსალიმში, ქნარზე უკრავდა. მას დიდი სიხარულით, პატივისცემით შეეგებნენ, რადგან მან, ღვთისმოყვარე დავითმა, ერი შეკრა, გააერთიანა. განადიდეს დავითი. მან კი ისრაელის მკვიდრთ მიუგო — უფალი განვადიდოთ და უფალს ვცეთ თაყვანი, რადგან უფალი მეფობსო. ეს ყველა ხელისუფალმა უნდა შეიგნოს და გააცნობიეროს — ხარ ჭეშმარიტ ღმერთთან? მაშინ გექნება მშვიდობა! მშვიდობა დაგვიტოვა უფალმა ამ ქვეყანაზე, „მშვიდობა თქვენდაო,“ — ბრძანებს. ჩვენ ადამიანურად ვცდილობთ და გვგონია, რომ ჩვენი ძალებით დავამყარებთ მშვიდობას. ადამიანი სულ შფოთშია, დღეს თუ დაწყნარებულია, ხვალ ომს იწყებს. ახლაც რა ხდება ჩვენ გარშემო მსოფლიოში, ხომ ხედავთ? რაშია მთელი სიღრმე, აზრის საიდუმლო? მაღლა უნდა აიხედო, რომ ღმერთი არსებობს! მარადიულად დაბლა, დედამიწაზე არ უნდა იხედებოდეს ადამიანი და მხოლოდ მიწიერზე არ უნდა ფიქრობდეს.

**ნურავინ იფიქრებს, რომ ძალაუფლება სულ ექნება. ადრე თუ გვიან ამ ცხოვრების დატოვება ყველა ადამიანს მოუწევს. არავინ იცის, ეს როდის მოხდება. დრო ჩართულია, წამი, წუთი, საათი, დღე თუ წელიწადი გავა, მაინც ყველა იქით წავა, ან ამ ქვეყნიდან ვის რა წაუღია, გარდა ორი რამისა — სიკეთისა და ცუდისა? ეს იქნება საზომი და საწონი „იქ“ ღვთის წინაშე. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ არ სწამთ იმქვეყნიური ცხოვრებისა.**

ერთ წმინდა მამას მოჰყავს საოცარი მაგალითი — როდესაც ბავშვი მყოფობს დედის წიაღში, იმ ბავშვს გონება რომ მისცე და ჰკითხო, გინდა სხვაგან წასვლაო, ის აუცილებლად გიპასუხებს, არაო. ის იმ თბილ გარემოს, დედის თბილ წიაღსაა შეგუებული და იქიდან წასვლა არ უნდა. როცა ბავშვი იბადება, სხვა გარემოში ხვდება და ტირილს იწყებს. ანალოგიურად, ჩვენ ვიმყოფებით დედამიწაზე, ამ დედამიწის წიაღში და იმ ბავშვივით აღარ გვახსოვს, რომ ოდესღაც მოგვიწევს ამ წიაღის დატოვება, რომ ის ქვეყანა არსებობს და მოგვიწევს ყველას იქ წასვლა, ვებღაუჭებით ამ წიაღს, მაგრამ გვინდა თუ არა, გარდავიცვლებით — ამაზე ფიქრი არც ერთ ადამიანს არ უნდა ტოვებდეს! **გახსოვდეს სიკვდილი და გადარჩები!**

დღეს ადამიანებმა ერთმანეთის ნდობა და რწმენა დაკარგეს. მიმტევებლობა დავკარგეთ, ერთმანეთს მტრად მოვეკიდეთ! ეს იმიტომ, რომ ამას წინ უსწრებდა უფლის რწმენის დაკარგვა. გაცივდა სიყვარული. დაპატარავდა ადამიანში სიყვარული და თვითონ ადამიანიც დაპატარავდა! სიყვარულს ისევ უფალი გააცოცხლებს, გაზრდის და ადამიანიც გაიზრდება! ღმერთია თვითონ სიყვარული! ადამიანი კი დაიბნა, გზას ასცდა, ღმერთისკენ — სიყვარულისკენ მიმავალი გზა შეეშალა. ჩვენზე, სასულიერო პირებზე, ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული, მაგრამ ადამიანმა თუ თვითონ არ მოინდომა უფალთან ყოფნა, ის ვერ ცხონდება.

**არის ორი ნება — ნება ღვთისა და ნება ადამიანისა. ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება. თუ ის უღმერთობას ირჩევს, მას ვერავინ უშველის! თუმცა ადამიანი ღმერთმა თავისი ნებით, ადამიანის უკითხავად შექმნა, მაგრამ მისი ნების გარეშე არ აცხონებს. უფალთან მყოფობა კი პირველ რიგში, მოყვასის სიყვარულში ვლინდება. უნდა ვისწრაფვოდეთ ზევით, ღვთისკენ, ანუ მარადიული სიყვარულისკენ!**

უფალმა ორი მთავარი მცნება დაგვიტოვა, რომ გიყვარდეთ ღმერთი მთელი თქვენი არსებით, მთელი გონებით და გიყვარდეთ მოყვასიო. მე მინდა, ქრისტესი ვიყო. უფალი ამბობს, თქვენ იცით, რითი შეიცნობით? ერთმანეთის სიყვარულითო. ჩვენ კი ერთმანეთს რაღაცას ვწიწკნით, ვართმევთ, ვმტრობთ, სიტყვით ვკლავთ. ადამიანი მხოლოდ ტყვიით ხომ არ კვდება? ხანდახან ტყვიას გადარჩენილი ადამიანი სიტყვის მსხვერპლი გამხდარა. ამიტომ, სანამ რამეს ვეტყვით ერთმანეთს, კარგად დავფიქრდეთ.

**— მეუფეო, უფლის იერუსალიმში დიდებით შესვლა ამ ბოლო დროს ხშირად მახსენდება, ერთმა მამაომაც გამახსენა ამას წინათ, მას „ოსანაო“ ეძახდნენ და ბზას, ბაიას და საკუთარ ტანსაცმელს უფენდნენ, თუმცა ამას იმავე ხალხისთვის ხელი არ შეუშლია, ერთი კვირის შემდეგ მაცხოვარი ჯვარზე გაეკრა. „ჯვარს აცუ ეგეო,“ — ყვიროდნენ, თუმცა ბევრი ჩუმადაც იყო და ამ სიჩუმით თანხმობა მისცა უფლის ჯვარცმას. ქრისტე დუმილით გაიყიდა! მინდა გკითხოთ — დღეს უსამართლობაზე, უზნეობაზე, ვისი მხრიდანაც უნდა იყოს ეს გამოვლენილი, გაჩუმება ქრისტეს ღალატი, მისი ჯვარცმის ტოლფასი არ არის?**

— რა თქმა უნდა, ასეა! დუმილზე მინდა გავიხსენო საიდუმლო სერობის მაგალითი. უფალმა იცოდა, რომ მას იუდა გაყიდდა. 12 მოციქული მყოფობდა უფალთან ერთად საიდუმლო სერობაზე, დამწუხრდა უფალი, როდესაც პირიქით, მოციქულები უნდა გაეძლიერებინა. ის დამწუხრდა იმიტომ, რომ იცოდა, იქ ერთ-ერთი გამცემი იყო. **„ერთ-ერთი თქვენთაგანი მე გამცემსო,“** — ბრძანა უფალმა! დუმილით უპასუხა იუდამ! იოანე ღვთისმეტყველი ახლოს იყო და პეტრემ უთხრა — შენ ჰკითხე, ვისზე ამბობსო. იოანემ თავი მიაყრდნო უფალს, ჰკითხა და პასუხიც მიიღო. უფალს იმდენად დიდი სიყვარული ჰქონდა იუდასი, რომ კიდევ მისცა შესაძლებლობა, ეთქვა, უფალო შემინდეო, მაგრამ მან დუმილი ამჯობინა, ეზიარა, მადლობაც არ გადაიხადა, წავიდა, 30 ვერცხლი მიითვალა და გეთსამანიის ბაღში გასცა ქრისტე. **უსამართლობაზე თვალის დახუჭვა და დუმილი არის გამცემობა და ღალატი ქრისტესი!**

**— დაგვლოცეთ, მეუფეო!**

— ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ! ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ თქვენ რას იტყვით. ყველას ჩვენი ადგილი გვაქვს, რომელიც უფალმა მოგვცა, რა ნიჭიც გვიბოძა, ის ტალანტი უნდა გავამრავლოთ, ამიტომ ღმერთმა გაგაკეთებინოთ ბევრი სასიკეთო საქმე. შეიძლება ეს კითხვები ადვილად საპასუხო არაა, მაგრამ ძალიან კარგია, რომ გვისვამთ, რადგან რაკი კითხვები იბადება, პასუხიც უნდა გაეცეს, რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს ისინი. გისურვებთ წარმატებებს, სიკეთესა და მშვიდობას. დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ უფალმა თქვენ — ამ გაზეთის მკითხველები და სრულიად საქართველო, ამინ!

ესაუბრა
**შორენა სიხარულიძე**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„შეიძლება არ გიყვარდეს პუშკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, გოგოლის, ლერმონტოვის და ა.შ. მშობელი ერი?! ყოველთვის ვიყავი და ვარ მომხრე, ნორმალური ურთიერთობა გვქონდეს ამ ერთან. ნუ გადავიქეცით შოვინისტებად და ნაციონალისტებად!“

## გიგა ლორთქიფანიძე:

# ნუ გადავიქეცით შოვინისტებად და ნაციონალისტებად!

**დიდ ხელოვანთან, თანამედროვეობის დიდ რეჟისორთან გიგა ლორთქიფანიძესთან შეხვედრა უმაღლეს ღირებულებებსა და მაღალ მატერიებზე სასაუბროდ განგაწყობს — იმდენად მდიდარია მისი შემოქმედებითი სამყარო, იმდენად ძლიერია მისი პიროვნული ხიბლი. მორევივით ჩაგითრევს.
მაგრამ საგაზეთო დავალების მათრახი კანჭებში მწარედ რომ მოგხვდება, უკანვე შეგაგდებს A-3-ის ფორმატის ლახტის წრეში.**

**— შეაფასეთ, თუ შეიძლება, ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის რეაქცია ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლასთან დაკავშირებით.**

— მიმაჩნია, რომ საქართველოს ერთადერთი ხსნა დღეს ბიძინა ივანიშვილია.

ძალიან სასაცილოა, როცა ლაპარაკობენ, რომ ის ბიზნესმენია და არა პოლიტიკოსი. ამით უნდათ ჩრდილი მიაყენონ მას და ხალხს იმედი გადააუწურონ. თქვენს მკითხველებს შევახსენებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატში არ აგირჩევენ, გარკვეული ქონების პატრონი თუ არ ხარ. ჩვენ ხომ ვამბობთ, რომ ამერიკა დემოკრატიის საჩვენებელი მაგალითია?

**— დიახ, ვამბობთ და ვცდილობთ მივბაძოთ.**

— მაშ, რატომ უნდა მივიჩნიოთ ბიზნესმენ ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა ანომალიად?

**— რადგან ასე სურს ხელისუფლებას.**

— ბიძინა ივანიშვილი ფანტასტიური ნიჭიერების კაცია. მან სწორედ ამ ნიჭის წყალობით შეძლო ბიზნესში წარმატების მიღწევა.

განა არ შეუძლია ბიძინა ივანიშვილს არხეინად, მშვიდად გაატაროს თავისი ცხოვრება? რატომ აიტეხა პოლიტიკა?

პასუხი ერთადერთია: იგი უდიდესი პატრიოტია თავისი ქვეყნის. მან კითხვის ქვეშაც კი დააყენა საკუთარი სიცოცხლე და შევიდა ბრძოლაში.

ცოტა იუმორიც გავურიოთ. **დავუშვათ კაცი არის ჩემპიონი კრივში. ამ დროს მეორე კაცი აცხადებს ჩემპიონს უნდა შევეჭიდროო. იმან რომ თქვას, ეგ ცუდი ბიჭია და არ ვეჩხუბებიო, ხომ გამასხარავდება? თუ ცუდი ბიჭია, ცემე რა, კაცო, გადი რინგზე და მოუგე, თუ შნო გაქვს.**

**ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩაიყენა ხელისუფლებამ საკუთარი თავი. ხომ წერენ და ამბობენ, რომ ჩვენი მოსახლეობის 75 პროცენტი სააკაშვილისა და ამ ხელისუფლების მომხრეაო? ამბობენ. არჩევნების დროს თითოოროლა პროცენტს სხვა პარტიებიც აიღებენ, რა დარჩება „საწყალ“ ბიძინას? რატომ მიაჩნიათ, რომ დიდი საშიშროების წინაშე დგანან?!**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩემთვის არის შეურაცხმყოფელი. გუშინ ვუსმენდი „კავკასიის“ ეთერში, საუბედუროდ, ნიჭიერ კაცს — დარჩიაშვილს. შეურაცხყოფილი ვიყავი იმით, რასაც ის ლაპარაკობდა, მისი დემაგოგიით: იგი თავის განათლებას და ნაკითხობას იყენებდა, ხელისუფლების უხერხული მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

იმასაც გეტყვით, რომ ქვეყანა საოცრად მძიმე მდგომარეობაშია. ამ ვითარებაში ხალხმა დაინახა, რომ, ერთადერთი გამოსავალი, ერთადერთი ხსნა არის ბიძინა ივანიშვილი.

ტოტალურად გავრცელდა ასეთი დამოკიდებულება, ყოველგვარი პროპაგანდისა და რეკლამის გარეშე. მარტო იმიტომ კი არა, რომ იგი ქველმოქმედია. არა! ვთქვათ, ერთ მილიონ ადამიანს დაეხმარა, ორი მილიონი ხომ დარჩება ხელისუფლების მხარეს? დარჩება.

რატომ ეშინიათ?

**ივანიშვილის ეშინიათ იმიტომ, რომ ამ კაცში დაინახეს უპირველესი თვისება, რომელიც ქვეყნის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს — სიკეთე, ადამიანის სიყვარული, სურვილი იმისა, რომ ხალხს მოუტანოს მხოლოდ სიხარული, მხოლოდ ბედნიერება.**



**«ძალიან კატეგორიული იქნებოდა, მეთქვა, რომ მათ სძულთ ქართველი ხალხი. არა მგონია, ასე იყოს. მაგრამ ღმერთმა თუ არ მოგცა უნარი, ჭკვიანურად გაუძღვე ქვეყანას, ამის შემძლე კაცი რომ გამოჩნდება, მაშინ მაინც დაიხიე უკან»**

ამიტომაა ძნელი და საშიში მასთან ბრძოლა. ამ შიშით შეპყრობილები სრულიად გაუგებარ და გაუმართლებელ გადაწყვეტილებებს იღებენ.

**— საქართველოს მოქალაქეობას ართმევენ.**

— დიახ! ერთი წლის წინათ მოგეცი საქართველოს პასპორტი და დღეს გართმევ იმიტომ, რომ არჩევნებში არ მიიღო მონაწილეობა?!

სხვათა შორის, ამით მიშა სააკაშვილმა ყველა დიქტატორს მისცა მაგალითი (*ულვაშებში ეღიმება*): ვინც კი განაცხადებს მათ ადგილზე მოსვლის პრეტენზიას, დაუყოვნებლივ შეუწყვიტონ მოქალაქეობა და მორჩა საქმე!

**— მიშას „ნოუ ჰაუა“?**

— ეგრე გამოდის. მაგრამ ასე იოლად არ არის საქმე და ხალხს ეს ესმის. ხელისუფლების საუბედუროდ ხალხი ძალიან გაერკვა პოლიტიკაში.

**— ამ ხელისუფლებას თქვენ ყოველთვის კრიტიკულად ეკიდებოდით, განსაკუთრებით, კულტურის შეუფასებლობისა და მისი იგნორირების გამო. მაგრამ ერთ პერიოდში მთავრობამ თქვენი დაახლოება მოინდომა და შემოგთავაზათ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა. თქვენ დათანხმდით. მაგრამ მალევე დაცილდით. რატომ გაიყარა თქვენი გზები? არადა, მაშინ თქვით, რომ კულტურის მინისტრი ნიკა რურუა ისეთი კაცია, ვისთანაც შეიძლება ლაპარაკი.**

— მოზარდ მაყურებელთა თეატრის, რომელიც მაშინ იწოდებოდა ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალურ საბავშვო თეატრად, სამხატვრო ხელმძღვანელობას თავი დავანებე იმიტომ, რომ დირექტორმა, ვინმე მიშა ანთაძემ თეატრიდან გააგდო ყველაზე ნიჭიერი მსახიობები. თხუთმეტი ადამიანი, რომლებიც შერჩეული მყავდა, ვისთან ერთადაც შეიძლებოდა რამის გაკეთება.

**— რატომ გააგდო?**

— იმიტომ, რომ ისინი არ ეგუებოდნენ იმ უბედურებას, რომელიც წლების მანძილზე მოზარდ მაყურებელთა თეატრში ხდებოდა ამ ანთაძის მეთაურობით. მას უფლება არ ჰქონდა, ჩემი ნებართვის გარეშე გაეშვა ისინი. ჩემი პროტესტი თეატრიდან წამოსვლით გამოვხატე.

რაც შეეხება ნიკა რურუას, გეტყვით, რომ როცა მას ამ პრობლემაზე ველაპარაკებოდი, პირდაპირ სახეზე ეწერა — ჩემზე არ არის ეს დამოკიდებულიო.

საინტერესო კაცია, მაგრამ იმდენად დაემონა იმ საშინელ მდგომარეობას, რომელიც ქვეყანაშია, რომ, რა თქმა უნდა, მის მიმართ პატივისცემა, მასთან თანამშრომლობის სურვილი დამეკარგა და აღარც გამჩენია.

**— რუსთავის თეატრში დადგმულ სპექტაკლს — კოროსტილოვის „ასი წლის შემდეგ“ („დეკაბრისტები“) დღეს თუ დაუბრუნდებოდით, როგორი მთავარი აქცენტით?**

**— ჩემი აზრით, კოროსტილოვის ამ პიესის მთავარი თემა ყველა დროისთვის აქტუალურია, ის დიდი პრობლემაა, რომელიც დღესაც დგას ჩვენს წინაშე — ხელმწიფე და ხალხი, ძალაუფლება და სიმართლე.**

ვადიმ კოროსტილოვის ნიკოლოზ პირველი ნიჭიერი, ძლიერი პიროვნებაა. მაგრამ მას უპირისპირდება სიმართლე დეკაბრისტების სახით, რომლებიც ზრუნავენ არა საკუთარ აღზევებაზე, არამედ ხალხის, ერის ხვალინდელ დღეზე.

ამ თემას კვლავ წამოვწევდი. ეს სპექტაკლი ჩემი უსაყვარლესი სპექტაკლია და მაყურებელმაც, ხალხმა ფანტასტიურად მიიღო.

რახან რუსთავის თეატრზე ჩამოვარდა სიტყვა, გეტყვით, რომ არასოდეს შემშინებია, თავიდან დამეწყო ცხოვრება, არასოდეს მიზრუნია, შემენარჩუნებინა ის, რაც იმ მომენტისთვის მქონდა. ჩემთვის არავის უთქვამს, წადიო მარჯანიშვილის თეატრიდან, მაგრამ იქ თაობები დაუპირისპირდა ერთმანეთს. მე არ შემეძლო, ერთ თეატრში რომელიმე ერთი თაობის მხარეს დავმდგარიყავი. უფროს თაობას მაშინ გენიალური არტისტები წარმოადგენდნენ — ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი... ამიტომ გაცლა ვამჯობინეთ ახალგაზრდებმა. მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ ერთადერთი ადამიანი, ვინც უფროსი თაობიდან რუსთავში გადმოგვყვა, სესილია თაყაიშვილი იყო. ძალიან გვიჭერდა მხარს მედეა ჯაფარიძე, რომელიც ბოლომდე იბრძოდა ჩვენს პოზიციაზე.

27 კაცმა დატოვა მაშინ მარჯანიშვილის თეატრი და რუსთავში წამომყვა. ის მსახიობები დღემდე ითვლებიან საუკეთესო ძალად მარჯანიშვილის თეატრის ისტორიაში.

არაფერი დაშავებულა ამით. პირიქით, ახალგაზრდა ქალაქ რუსთავში შეიქმნა თეატრალური კულტურის ახალი კერა, რომელმაც თანდათან დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა.

**— ახალი ცხოვრების დაწყება ჩემთვის პრობლემა არასოდეს ყოფილაო, ბრძანეთ თქვენ, არც ძველის დავიწყება? ენციკლოპედიებში თქვენ მოიხსენიებით საქართველოს სსრ და სსრ კავშირის სახალხო არტისტად, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატად. დღეს ეს თქვენთვის წარსულის მძიმე ტვირთია? საბჭოთა სიმბოლიკა საქართველოში ხომ კანონით აკრძალეს?**

— კაცო, მე საბჭოთა კავშირის კაგებეს უფროსი ხომ არ ვიყავი?! (*იცინის*). სახალხო არტისტი ვიყავი! და ეს წოდება ჩემს თაობაში და ცოტა უფროსშიც ერთ-ერთმა პირველმა მივიღე. ბევრი რამ მაკავშირებდა რუსეთთან, იქ ვსწავლობდი, იქაურ თეატრებში ვმოღვაწეობდი... **აქსიომაა, რომ არის და ყოველთვის იყო განსხვავება მმართველებსა და რუს ხალხს შორის... შეიძლება არ გიყვარდეს პუშკინ- ▶**

მოკლედ

## დარჩა მხოლოდ საქართველო

**რუსეთმა და ევროკავშირმა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ბოლო ორმხრივი უთანხმოებები მოაგვარეს, — განაცხადა ვაჭრობის საკითხებში ევროკომისარმა კარელ დე გიუხტმა.** „ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას დარჩენილ ორმხრივ საკითხებთან მიმართებაში და ამით მიმდინარე წლის ბოლომდე რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისკენ გზა გავხსენით. ახლა დარჩენილია ძალიან ცოტა დრო იმისთვის, რომ ორმხრივი შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორისაც იქნეს მიღწეული,“ — განაცხადა მან.

## მაკკეინის ტარაკანები

**„ჩვენ ბატონი მაკკეინისგან პირველად როდი გვესმის მსგავსი ეგზოტიკური განცხადებები. არ ვფიქრობ, რომ მათზე სერიოზული კომენტარი უნდა გაკეთდეს. ის ცნობილი ადამიანია, მას თავისი ისტორია აქვს, თავისი ფობიები და, თუ გნებავთ, თავისი „ტარაკანებიც“ ჰყავს.** არ მიმაჩნია, რომ იგი ან ახლა განსაზღვრავს აშშ-ის პოზიციას, ან — მომავალში,“ — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. შეგახსნებთ, სენატორმა ჯონ მაკკეინმა განაცხადა, რომ ლიბიაში ოპოზიციის გამარჯვებისა და დიქტატორ მუამარ კადაფის მკვლელობის შემდეგ მსოფლიოში მცხოვრებ დიქტატორებს, ალბათ, ნერვიულობა შეეპარათ. მისი თქმით, შესაძლოა, სირიის პრეზიდენტს — ბაშარ ასადსა და რუსეთის პრემიერ-მინისტრს — ვლადიმერ პუტინს წუხელ ცუდად ეძინათ.

**„როდესაც ბათუმში დადგმულ „ქეთო და კოტეს" დროშად ააფრიალებენ და მთავარ წარმატებად გამოაცხადებენ, ნათელი ხდება, რა მოთხოვნებს უყენებს დღევანდელი ხელისუფლება ქართულ თეატრსა და ქართულ კინოს. დიდ ნაწყვეტებს ვუცქირე ამ ოპერის, რაც ტელევიზიით გადმოიცა. ეს იყო შემზარავი!"**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «ესენი სამუშაო ადგილებზე რომ ლაპარაკობენ, ოფიციანტებისა და დამლაგებლების ადგილებს გულისხმობენ და არა — რეჟისორებისა და მსახიობების...»

**◀ ის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, გოგოლის, ლერმონტოვის და ა.შ. მშობელი ერი?! ყოველთვის ვიყავი და ვარ მომხრე, ნორმალური ურთიერთობა გვქონდეს ამ ერთან. ნუ გადავიქცევით შოვინისტებად და ნაციონალისტებად!**

თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ საქართველოს, ქართული კულტურის მოღვაწეთა განუყრელი მეგობრები იყვნენ ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, ანდრეი ვოზნესენსკი, როგორი თაყვანისმცემლები იყვნენ ისინი ქართული პოეზიის, ქართული ლიტერატურის; თარგმნიდნენ, ჩვენებსაც გადმოჰქონდათ ქართულ ენაზე მათი შესანიშნავი ნაწარმოებები.

**— პასტერნაკი!**

— პასტერნაკმა, ტიციან ტაბიძე რომ დააპატიმრეს, მოსკოვიდან თბილისში დაურეკა გამომცემლობის დირექტორს — ზლატკინს და სთხოვა, ჰონორარი, რომელიც მას ეკუთვნოდა თბილისში გამოცემული ლექსების კრებულისთვის — 25 ათასი მანეთი (მაშინ ეს ფანტასტიური ფული იყო), მთლიანად გადაეცით ტიციანის ოჯახს, ოღონდ არ უთხრათ, რომ ჩემგან არის, რადგან თავმოყვარე ხალხია და არ გამოგართმევენო. უთხარით, რომ ტიციანის ჰონორარიაო...

რამდენად გონივრულია ამ ერთან, ამ ხალხთან და ქვეყანასთან დაპირისპირება?

ნუ ვკარგავთ თავგანწირვის უნარს და ნუ გადავიქცევით შარლატანებად — ცრუპენტელებად, მატყუარებად!

ღრმადა ვარ დარწმუნებული, — დღეს სასწორზე დევს ჩვენი ქვეყნის ბედი, ამიტომ გვმართებს საოცარი გონიერება და პრაქტიკული აზროვნება, სრული მობილიზება, რათა გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა.

**— თქვენ თქვით და ფაქტია, რომ ხელისუფლება ანგრევს ქვეყანას. უცოდინარობით მოსდით, თუ შეგნებულად აკეთებენ?**

— ძალიან კატეგორიული იქნებოდა, მეთქვა, რომ მათ სძულთ ქართველი ხალხი. არა მგონია, ასე იყოს. მაგრამ ღმერთმა თუ არ მოგცა უნარი, ჭკვიანურად გაუძღვე ქვეყანას, ამის შემძლე კაცი რომ გამოჩნდება, მაშინ მაინც დაიხიე უკან, განზე გადექი. იფიქრე, სხვამ, ეგებ, უკეთესად შეძლოს ქვეყნის მართვა!

უყურეთ, სადამდე მიდის დემაგოგია: ბიძინა ივანიშვილს არსად, არც ერთ გამოსვლაში არ უთქვამს, რომ რუსეთის მთავრობა კარგი მთავრობაა და პუტინი კარგი კაციაო. ამბობს, რომ ვალდებული ვართ, თანასწორი ურთიერთობა აღვადგინოთო. არადა, აბრალებენ, პუტინს აქებსო...

ერთი ტრაგიკული ფრაზა მახსენდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. როცა სოლომონ ლიონიძემ ერეკლე მეორეს დაეჭვებით ჰკითხა, ხომ არ ვცდებით რუსეთისკენ გეზი რომ ავიღეთო და პატარა კახი უპასუხებს: ქრისტიანი ხალხია და, იქნებ, ბოლომდე არ გაგვწიროსო.

**— თქვენ მიერ გადაღებული ფილმებიდან რომლის გადაღებაზე იტყოდით დღეს უარს?**

— არც ერთზე. მაგრამ, ალბათ, გულისხმობთ ფილმს „წიგნი ფიცისა", რომელიც გიორგიევსკის ტრაქტატს მიეძღვნა.

**— დიახ.**

**— ბევრი ტკივილი მომაყენეს „წიგნი ფიცისა" გამო. პირდაპირ გეტყვით, ვინც ამ უგვანო საქმეში აქტიურობდა, იმას ეს სურათი ნანახიც არ ჰქონდა.**

**ფილმი საკავშირო ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით იყო გადაღებული. მოსკოვში ჩასაბარებლად რომ ჩავიტანე, ნახეს და არ მიიღეს: შოვინისტურიაო. ისეთი ხაზია გატარებული, რომ საქართველო იძულებული იყო, რუსეთის მფარველობა მიეღო და არა — ბედნიერი.**

**მაშინ ვუთხარი: ერთი მითხარით, სად და როდის დაუკარგია ერს თავისუფლება სიხარულით-მეთქი?!**

**მაპატიეთ, მაგრამ თავდაჯერებით განვაცხადებ, რომ ეს ფილმი პატრიოტულია და არა კონიუნქტურული.**

ჩემი უსაყვარლესი ფილმი, რა თქმა უნდა, არის „დათა თუთაშხია". მაგრამ ეს ცალკე თემაა და შეიძლება ინტერვიუს ძირითადი ხაზიდან ამოგვაგდოს...

ყველაზე დიდი პრეტენზია ამ ხელისუფლების მიმართ ჩემი პროფესიიდან გამომდინარეა. არავითარი სურვილი პოლიტიკოსობისა არ მქონია: ყოველთვის ვიყავი რეჟისორი და ახლა ვარ ბებერი რეჟისორი (*ღიმილი*).

**განადგურდა ქართული კულტურა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გაქრა ქართული კინოს ფენომენი (უცხოელების შეფასებაა ასეთი), მხოლოდ ისტორიაში დარჩა ქართული თეატრის უდიდესი წარმატებები.**

**როდესაც ბათუმში დადგმულ „ქეთო და კოტეს" დროშად ააფრიალებენ და მთავარ წარმატებად გამოაცხადებენ, ნათელი ხდება, რა მოთხოვნებს უყენებს დღევანდელი ხელისუფლება ქართულ თეატრსა და ქართულ კინოს. დიდ ნაწყვეტებს ვუცქირე ამ ოპერის, რაც ტელევიზიით გადმოიცა. ეს იყო შემზარავი!**

მეც მაქვს „ქეთო და კოტე" ოპერის თეატრში დადგმული და 30 წელიწადი სცენიდან არ ჩამოსულა...

**— თქვენი პასუხი ასე გავიგე — წავიდეთ თეატრში, მაგრამ... თეატრი არ გვაქვს?**

— გვაქვს თუ არა, მაინც უნდა წავიდეთ, რადგან უნდა შევინარჩუნოთ ქართული თეატრისა და კინოს ფენომენი, ტრადიცია შემოქმედებასთან ზიარების.

ტელეკომპანია „იმედში" რომ მივდიოდი, ხომ უნდა გამევლო კინოსტუდიის — „ქართული ფილმის" ეზო, და ვხედავდი დიდი კინემატოგრაფისტების დაობლებულ ძეგლებს; უკაცრიელობა იყო ირგვლივ; იდგა ცარიელი შენობა, სადაც ერთ დროს დუღდა ცხოვრება, იქმნებოდა მსოფლიო შედევრები, ბრწყინვალე ფილმები... ეს ყველაფერი უნდა გაანადგურო, არაფერს არ მოერიდო, არაფერს არ გაუწიო ანგარიში?!

**— სხვის ხელზე მომსახურე ერად გვაქცევენ და რად გვჭირდება კულტურა, მეცნიერება?**

— ესენი სამუშაო ადგილებზე რომ ლაპარაკობენ, ოფიციანტებისა და დამლაგებლების ადგილებს გულისხმობენ და არა — რეჟისორებისა და მსახიობების...

თქვენს გაზეთში წავიკითხე, რა დღეშია საქართველოს მეცნიერებათა აკადემია — „ცოცხალთა პანთეონიო", გიწერიათ კიდეც.

ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში მიმდინარეობს საშინელი დაკნინება და დაცემა, რაც მთავარია — აზროვნების უნარის მოსპობის მცდელობაა. ვიყავით დაპყრობილი ქვეყანა, მაგრამ მონები არასოდეს ვყოფილვართ. ახლა ასეთებად უნდათ გვაქციონ...

**— ბებერი რეჟისორიო კი ბრძანეთ, ბატონო გიგა, მაგრამ სიბერისა არა გეტყობათ რა და, უთუოდ შემოქმედებითი გეგმებიც გაქვთ.**

— ფიზიკურად თუ შევძელი და თუ ვიშოვე ფული (*ეცინება*), იქნებ მოვასწრო კიდევ ერთი ფილმის გადაღება და ერთი სპექტაკლის დადგმა.

**— რაზე იქნება ფილმი?**

— ახლა ვერ ვიტყვი.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. 19 ოქტომბერს ბატონი გიგა ლორთქიფანიძე 84 წლის გახდა. ვულოცავთ!**

**„ხანდაზმულობის მიუხედავად, საკუთარ იმიჯს მტკიცედ ინარჩუნებს. ლიდერისათვის დამახასიათებელი ამბიციურობაც შვენის" (ამონარიდი მონოგრაფიიდან „გიგა ლორთქიფანიძე").**

**„საქართველო და მსოფლიოს" მკითხველი ამ ინტერვიუდანაც დარწმუნდება, რომ მართლაც ინარჩუნებს და მართლაც შვენის!**

# ქართველები და აფხაზები ერთმანეთთან დაახლოებას ცდილობენ

**ქართველებსა და აფხაზებს შორის განვითარებული ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად, ამ ორი მოძმე ერის შვილები მაინც ცდილობენ ერთმანეთთან დაახლოებას, ურთიერთობის აწყობას. სასიკეთო ტენდენციები ამ მიმართულებით უკვე შესამჩნევია. ვინაიდან აფხაზეთში ყველაფერი ძვირია, იქაური მცხოვრებნი, მათ შორის აფხაზი ეროვნების ადამიანები, ენგურს გამოღმა გადმოდიან და ზუგდიდში, თბილისსა თუ სხვა ქალაქებში იძენენ მათთვის სასურველ საქონელს და აფხაზეთში გადააქვთ.**

აფხაზეთიდან სავაჭროდ გადმოსული ქალბატონები, რამდენიმე წელია, ზუგდიდში გორგასლის ქუჩაზე, ბორის ხვიჩიას ოჯახში, როგორც საკუთარში, ისე ცხოვრობენ. **„თითქმის ყოველთვის ოჩამჩირიდან, ტყვარჩელიდან, სოხუმიდან გადმოსული თხუთმეტამდე აფხაზი ქალბატონი ჩვენს ოჯახში ჩერდება. ინახავენ ჩვენთან თავიანთ საქონელს და მათთვის სასურველ დროს გადააქვთ აფხაზეთში. ერთ-ერთმა აფხაზმა ქალბატონმა გული ინაპშბამ გამოთქვა სურვილი, რომ ჩვენს ოჯახში გაიხსნას სასტუმრო, რომელიც მოემსახურება აფხაზეთიდან გადმოსულ ადამიანებს. აქ ისინი ღამეს გაათევენ, დაისვენებენ, კვებითაც იქნებიან უზრუნველყოფილნი, გაეცნობიან ზუგდიდის ღირსშესანიშნაობებს, შეექმნებათ პირობები ბიზნესის განვითარებისა. ამიტომაც მე დავწერე პროექტი „ქართულ-აფხაზური შერიგების სახლი". პროექტი მიზნად ისახავს ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგის აღდგენას, ენგურს აქეთ გადმოსული აფხაზების მასპინძლობას, ბინით, კვებით. ამისათვის მე მჭირდება თანხა 6000 ევროს ოდენობით. ეს თანხა მოხმარდება აფხაზებისთვის საჭირო ფართის კეთილმოწყობას, კულტურული ღონისძებისთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობების და ეროვნული ფასიანი საჩუქრების შეძენას,"** — აღნიშნა ამ ოჯახის დიასახლისმა ქალბატონმა ნანა ნორაკიძემ.

რაც შეეხება ქართულ-აფხაზური ერთობლივი პროექტების განხორციელებას, ამას, ორ წელზე მეტია, ცდილობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები" (ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი). სწორედ რეზო ბენდელიანის ძალისხმევით ამ დღეებში ზუგდიდში მოეწყო ქართულ-აფხაზური ერთობლივი ბიზნეს-პროექტების პრეზენტაცია. სულ წარმოდგენილი იყო 5 ბიზნესპროექტი, მათ შორის — „ქართულ-აფხაზური შერიგების სახლი".

**ალნიშნული ოჯახის უფროსმა ბორის ხვიჩიამ კი წარმოადგინა პროექტი „ჰარა ჰაიცუპ" (ჩვენ ერთად ვართ), რომელიც ითვალისწინებს აფხაზებთან ერთად ერთობლივი ბიზნესის წარმართვას. კონკრეტულად ფაიფურის ნაკეთობებისა და ტანსაცმელ-ფეხსაცმლის ბითუმად ვაჭრობის განხორციელებას. ამისათვის მათ სჭირდებათ 5500 ევრო. ეს თანხა მოხმარდება ფაიფურის ნაკეთობების, ელექტრო მოწყობილობების შესყიდვას, ტრანსპორტირებასა და აფხაზეთში რეალიზებას.**

**ბესიკ შენგელიას და რეზო ჩიკვატიას ეკონომიკური პროექტი კი გულისხმობს ეკონომიკური თანამშრომლობის აღდგენას ქართველებსა და აფხაზებს შორის; კერძოდ, სოფელ განმუხურში თხილის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნას.**

„სოფელ განუხურსა და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო თხილია. თხილის შეძენა მოხდება როგორც ადგილობრივი მოსახლეებისგან, ასევე გალისა და ოჩამჩირის რაიონებიდან, რაც გაამყარებს ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობას. ამ პროექტის განხორციელებას სჭირდება 10000 დოლარი. ეს ბიზნესი მოგვცემს საშუალებას, შევქმნათ დამატებითი სამუშაო ადგილები, სადაც დასაქმდება 3 სპეციალისტი და 4 მუშა დევნილი მოსახლეობიდან," — ნათქვამია ამ პროექტში.

ეს პროექტები წარედგინება საელჩოებს, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებს. რამდენად მიიტანენ ისინი გულთან ახლოს პროექტების ავტორთა თხოვნას, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული ამ პროექტების განხორციელებით, რადგან ქართულ-აფხაზური ერთობლივი ბიზნესპროექტების ამოქმედება ამ ორი ერის დაახლოების საუკეთესო საშუალებაა. საგულისხმოა, რომ აფხაზები უდიდეს ინტერეს იჩენენ ამ პროექტების მიმართ.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

# აშშ-ის ჯარები ერაყიდან გადიან



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის — ბარაკ ობამას განცხადებით, **ამერიკელი ჯარისკაცები მიმდინარე წლის ბოლომდე ერაყს დატოვებენ და შინ დაბრუნდებიან.** ობამას თქმით, ამის შემდეგ მათ შეუძლიათ გამოაცხადონ დასრულებულად ერაყის ომი, რომელიც ხანგრძლივი და „ძვირადღირებული" იყო. „თითქმის 9-წლიანი ომი დასრულდება. ჰოლიდეის თვეებში ჩვენი ჯარისკაცები საკუთარ სახლებს დაუბრუნდებიან," — განაცხადა მან. ამ დროისთვის ერაყში 39 000 ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება. მათი გამოსვლა ერაყიდან 31 დეკემბრამდე განხორციელდება.

# ნატო ლიბიაში ოპერაციას ამთავრებს

ნატო, რომელმაც ლიბიელი ამბოხებულების დასახმარებლად მიმდინარე წლის მარტიდან 26 ათასი ფრენა განახორციელა, **უახლოეს დღეებში ოპერაციის შეწყვეტის შესახებ გამოაცხადებს.** შესაბამის გადაწყვეტილებას ალიანსის წევრი სახელმწიფოების სამხედრო მეთაურები მიიღებენ. პარალელურად ბელგიამ ლიბიას იურიდიული აპარატის ჩამოყალიბებაში დახმარება შესთავაზა. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, 40 წლის განმავლობაში ლიბიელი ხალხისთვის უცნობი იყო სამართლებრივი სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტები და სტრუქტურები.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცივილიზებულ ქვეყნებში, როგორც ყველაფერი, მომსახურების ეს სფეროც ძალიან ძვირია. ამიტომ სუროგატი დედების მაძიებლები ეტანებიან ეკონომიკურად დაუძლურებულ ქვეყნებს, სადაც ცხოვრების დონე ძალიან დაბალია. სუროგაციამ საქართველოშიც სერიოზულად მოიკიდა ფეხი.**

# სუროგაცია — ჰუმანური აქტი თუ ადამიანებით ვაჭრობა?

**რამდენჯერ გსმენიათ ან გითქვამთ ფრაზა, როცა რაიმე არასწორ, არამართებულ საქციელს ჩავდივართ, ან მომსწრენი ვხდებით, — „მერე რა მოხდა, XXI საუკუნეა?!“, მაგრამ ამჯერად ისეთ თემას შევეხებით, რომელიც XXI საუკუნეშიც ზოგისთვის უპატიებელი დანაშაულია, ზოგისთვის კი — ჰუმანიზმი და სიკეთე. ალბათ, იმის გამო, რომ ცივილიზებულ ევროპასა და ამერიკაში საგრძნობლად იმატა უშვილო წყვილთა რაოდენობამ, მედიცინამ გამოიგონა სუროგაცია, რაც უცხო ქალის ორგანიზმში ნაყოფის ხელოვნურ გადატანას ნიშნავს, შემდგომ მისი გამოზრდის მიზნით.**

**ეს უკვე საკმარისად აპრობირებული მეთოდი, თავის მხრივ, სხვა წინააღმდეგობას, კერძოდ, სუროგატი დედის მოძიების სირთულეს აწყდება. ბუნებრივია, რომ ამგვარ „მომსახურებაზე“ ქალბატონები მხოლოდ ჰუმანური მოსაზრებიდან გამომდინარე იშვიათად თუ თანხმდებიან. ძირითადად, ისინი პრაგმატული მომსახურებით, ანუ გასამრჯელოს მიღების მოტივით იღებენ ამგვარ გადაწყვეტილებას. ე. წ. ცივილიზებულ ქვეყნებში, როგორც ყველაფერი, მომსახურების ეს სფეროც ძალიან ძვირია. ამიტომ სუროგატი დედების მაძიებლები ეტანებიან ეკონომიკურად დაუძლურებულ ქვეყნებს, სადაც ცხოვრების დონე ძალიან დაბალია. სუროგაციამ, როგორც ჩანს, საქართველოშიც სერიოზულად მოიკიდა ფეხი.**

**სუროგატი დედა, არის ქალი, რომელიც უშვილო წყვილის ნაყოფს მუცლით ატარებს და არავითარი გენეტიკური კავშირი არ აქვს ჩასახულ ემბრიონთან. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ქალი თუ გაიგებს, რომ სულაც არ არის მარტივი, ცხრა თვის განმავლობაში ატარო ნაყოფი მუცლით, შეისისხლხორცო და ერთ დღეს თვალის დახამხამებაში გადასცე ბავშვი საკუთარ მშობლებს, თანაც ისე, რომ ამის შესახებ არასოდეს გაიხსენო მომავალში. სხვა სხვის საქმეში ბრძენიაო, რომ არ გამომივიდეს, მოვუსმინოთ მას, ვისაც გაცილებით მეტი ესმის და განუცდია ამასთან დაკავშირებით.**

**ქალბატონი მზია ამჟამად ფეხმძიმობის მეოთხე თვეშია. იგი, როგორც თვითონ ამბობს, მზადაა, კიდევ ერთი უშვილო ოჯახი გააბედნიეროს. ინტერვიუზეც უყოყმანოდ მთანხმდება. მეტიც, გადაწყვიტა ფინჯან ყავასთან ერთად გაეცა გულწრფელი პასუხები ჩემ მიერ დასმულ კითხვებზე. სანაცვლოდ კი მხოლოდ ანონიმურობის დაცვა მთხოვა, რაც სავსებით გასაგებია...**

**— ქალბატონო მზია, როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს თქვენი პირველი ფეხმძიმობა არაა, თქვენ უკვე მეორედ მოირგეთ სუროგატი დედის როლი. მიამბეთ ამის შესახებ...**

— არ იყო მარტივი... სოციალურმა, ეკონომიურმა პრობლემამ მიბიძგა ამ საქციელისკენ. ახლა უკვე მეორე ოჯახს ვაჩუქებ პატარას. ეს გზა გავლილი მაქვს და ვიცი, რომ ცუდს არაფერს ჩავდივარ...

**— არ იყო მარტივიო, — ბრძანეთ. რა იგულისხმეთ? რთული რა იყო?**

— უპირველეს ყოვლისა, გამიჭირდა ოჯახის, ახლობლების დაკარგვა, მათი მიტოვება...

**— როგორ თუ მიტოვება, რატომ უნდა მიგეტოვებინათ ახლობლები?**

— ყველა ვერ შეეგუა ჩემს გადაწყვეტილებას, რის გამოც ბევრი ადამიანი დავკარგე, მათ შორის, საკუთარი მშობელიც კი. ჩემთვის უცხო ქალაქში, უცხო გარემოში მიწევს ყოფნა, ჩემი სურვილის მიუხედავად, მაგრამ, სწორად გამიგეთ, ახლა თითქმის აღარ მაქვს საზრუნავი — არ მშია, არ მცივა და, რაც მთავარია, ჩემს შვილსაც უზრუნველყოფილი ბავშვობა შევუქმენი, თუმცა თავიდან ძალიან გამიჭირდა; მეგონა, რომ უმძიმეს დანაშაულს ჩავდიოდი. ხმამაღლა ნათქვამად ნუ ჩამომართმევთ, **ვერც კი გადმოგცემთ, ისე გამიჭირდა, ბევრი დრო დამჭირდა, რომ საკუთარი თავი დამერწმუნებინა ჩემი ნაბიჯის სისწორეში. რთული გადმოსაცემია, არც კი ვიცი, როგორ გითხრათ, მაგრამ ეს ძალიან რთული ფსიქოლოგიური ფაქტორია. როდესაც დამარწმუნეს, რომ ჩემთან არავითარი გენეტიკური კავშირი არ აქვს ჩემს სხეულში ჩასახულ ნაყოფს, რომ მე მხოლოდ მისი მატარებელი ვარ (ასე ვთქვათ) და არა დედა, ანუ ის ერთი პროცენტითაც არ არის ჩემი შვილი... ცოტა არ იყოს, დავმშვიდდი, მაგრამ, გიმეორებთ, დიდი დრო დამჭირდა, რომ ყველაფერი ეს კარგად გამეთავისებინა...** თქვენ წარმოიდგინეთ, მართლაც ასეა. მე ხომ ჩემი შვილიც მყავს, 7 წლის გოგონა. მე ხომ მასზე ფეხმძიმობის პერიოდიც მახსოვს... დამერწმუნეთ, ეს აბსოლუტურად სხვადასხვა განცდაა.

**— მაპატიეთ, რა განსხვავებაა?**

— თუნდაც ის, რომ ამ შემთხვევაში თავიდანვე გაცნობიერებული მაქვს, თუ რატომ ვარ ფეხმძიმედ, — რომ ეს მხოლოდ სამსახურია და არა... აი, წარმოიდგინეთ, რომ ისეთი სამსახური გაქვთ, რომელიც ძალიან შორსაა თქვენი პროფესიისგან, ან, უბრალოდ, საშინლად არ მოგწონთ თქვენი სამსახური, მაგრამ ის სამსახურია და სავალდებულოა, ხომ გესმით ჩემი? კი არ მავალდებულებს ვინმე რამეს, არა, ასე არ იფიქროთ, მხოლოდ გაჭირვება, მხოლოდ ეკონომიური პირობები და არაფერი სხვა.

**— რა აუცილებელი კრიტერიუმებია იმისათვის საჭირო, რომ გახდე სუროგატი დედა?**

— უპირველეს ყოვლისა, ასაკი. ანუ არ უნდა იყოთ 35 წელს გადაცილებული. უნდა იყოთ ჯანმრთელი. ამას, ცხადია, აუცილებლად დაადგენენ სამედიცინო გამოკვლევის შედეგად, კეთდება შესაბამისი ანალიზები და ა.შ. აგრეთვე, ხდება ფსიქოლოგიური შემოწმება და სხვა. უნდა გყავდეთ ერთი შვილი მაინც, შეიძლება მეუღლეც გყავდეთ და მხოლოდ მასთან შეთანხმებით მოხდება ყველანაირი პროცედურის ჩატარება.

**— რა პრინციპით ხდება შეთანხმება თქვენსა და უშვილო წყვილს შორის, იდება თუ არა ხელშეკრულება?**

— მთავარი, რაც განმიმარტეს, ის იყო, რომ მე არანაირი იურიდიული უფლება არ გამაჩნია ბავშვზე. ეს იგივეა, რომ მე სხვისი ბავშვი მოვითხოვო. ჩემი აზრით კი, მსგავსი ახსნა-განმარტებები სრულიად არაა საჭირო, რადგან, თუ ეს ყველაფერი გათავისებული არ გაქვს და არ იცი, რაზე მიდიხარ, ამას ფსიქოლოგი აუცილებლად მიხვდება საუბრის დროს. არც ყოფილა მსგავსი შემთხვევა, რომ სუროგატ დედას პრეტენზია გამოეთქვა ნაყოფზე.

**— ჩვენი კანონმდებლობით იკრძალება ერთსქესიანი წყვილების ქორწინება და, მით უმეტეს, მათ მიერ ბავშვის აყვანა, თუმცა ვარაუდობენ, რომ მალე მათთვის ეს პრობლემა აღარ იარსებებს. თქვენ რომ გცოდნოდათ, ბავშვი სწორედ ასეთი წყვილის ხელში აღმოჩნდებოდა, შეცვლიდა თუ არა ეს თქვენს გადაწყვეტილებას?**

**— რა თქმა უნდა — არა, რადგან, მე, როგორც სუროგატი დედა, არ ვკითხულობ ბავშვის მომავალს, ანუ არ ვინტერესდები ბავშვი სად ან ვისთან უნდა გაიზარდოს. ამით რომ დავინტერესე, ეს უკვე ბავშვის მიმართ ინტერესის გამოჩენა იქნება. მაგრამ ეს ბავშვი არ არის ჩემი შვილი, გესმით?! ესაა სუროგაციის მთელი ფილოსოფია და ფსიქოლოგია. ვინც მსგავს ნაბიჯს დგამს, აუცილებლად მსგავსი აზრის იქნება.**

— არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ თქვენ თითქოს პროფესიონალივით მსჯელობთ. თავდაჯერებული ხართ და ზუსტად იცით, რომ ეს კარგია, სინანულის ან სინდისის ქენჯნის მსგავსი განცდა არ გქონიათ?

— როგორ არ მქონია... თავიდან ძალიან განვიცადე და ვფიქრობდი, რომ საშინელი ადამიანი ვიყავი. თუმცა... (დუმს, მერე კი თვალებში მომაჩერდა და, როგორც მომეჩვენა, შემომედავა) თქვენ, როგორც ჩანს, არ გაგჭირვებიათ და ღმერთმა ნუ გაგიჭირვოთ... არ გამოგაცდევინოთ ის, რაც მე გამოვცადე. მე კი ჩემი შვილი პატარაობიდანვე ისეთი წვალებით გამოვზარდე, ამას რომ ვიხსენებ, იმაზე მეტად ვხდები ცუდად და ამიტომ ისევ დღევანდელი ყოფა მირჩევნია. სხვა თუ არაფერი, ახლა უზრუნველყოფილი მაქვს ჩემი და ჩემი შვილის ცხოვრება. სინანულით კი, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ იმას ვიხსენებ, რომ ჩემი სახლიდან შორს ვარ. ძალიან ბევრი ადამიანი დავკარგე და ბევრი მენატრება.

**— უზრუნველყოფილიო, მეორედ ამახვილებთ ყურადღებას... მაინც, რა თანხაზეა საუბარი?**

— პირველად 12 ათასი აშშ დოლარი ავიღე, სამედიცინო ხარჯები და ყველაფერი დანარჩენი მათია. მთლიან თანხას ცხრა თვის შემდეგ, ანუ ბავშვის გადაცემის შემდეგ მაძლევენ, ამჟამად ▶



## «მე, როგორც სუროგატი დედა, არ ვკითხულობ ბავშვის მომავალს, ანუ არ ვინტერესდები ბავშვი სად ან ვისთან უნდა გაიზარდოს»



თამარ ხაჭაპურიძე:

## იმდენად დიდია მოთხოვნა სუროგატ დედებზე, რომ ამ მხრივ კრიზისსაც კი განვიცდით

### აკრძალულ ზონაში

**ამერიკის დედაქალაქში მოიერიშე თვითმფრინავებმა ორი საფრენი აპარატის აკრძალულ ზონაში ფრენა აღკვეთეს.** პირველმა თვითმფრინავმა ავიადისპეტჩერების ყურადღება მაშინ მიიპყრო, როდესაც საფრენი აპარატის ეკიპაჟთან რადიოკავშირი გაწყდა. ამან განაპირობა ხელისუფლების მხრიდან ორი მოიერიშე „F-16“-ის ჰაერში აყვანა. კავშირის აღდგენისთანავე თვითმფრინავს ნება დართეს, ფრენა კვლავ თავისი კურსით გაეგრძელებინათ. ინციდენტიდან ერთი საათის შემდეგ, ვაშინგტონის აკრძალულ ზონაში კიდევ ერთი ამოუცნობი ნიშნების მქონე თვითმფრინავი შეიჭრა. მოიერიშეების გამოყენების შემდეგ, თვითმფრინავმა აკრძალული ზონა დატოვა.

### კადაფიმ ლიბიიდან 200 მილიარდი გაიტანა

**ლიბიის ექსლიდერმა მუამარ კადაფიმ ქვეყნიდან 200 მილიარდი აშშ დოლარის გატანა შეძლო.** ეს ციფრი ორჯერ აღემატება ადრე გავრცელებულ მონაცემებს და, თუ ის დადასტურდა, კადაფი ისტორიაში შევა არა მხოლოდ როგორც ყველაზე ექსცენტრიული ლიდერი, არამედ — როგორც ქვეყნის „ყველაზე ხარბი მეთაური“. ამ თანხის ყველა ლიბიელზე თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, თითოეული მათგანი 30 ათას აშშ დოლარს მიიღებდა. კადაფის აქტივში მოხვდა ინვესტიციები, ოქროსა და ვალუტის რეზერვები, უცხოეთის ბანკებში არსებული ანგარიშები.

საზოგადოება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სუროგაციის ორი ძირითადი მოტივაცია არსებობს — ჰუმანიზმი და პრაგმატიზმი. ძნელი სათქმელია — სხვაგან წმინდა ჰუმანური მოსაზრებით თანხმდებიან ქალბატონები სუროგატ დედობაზე თუ ფინანსური დაინტერესების გამო, მაგრამ საქართველოში ამას უფრო ხშირად პრაგმატული მოსაზრებით რომ აკეთებენ, უდავოა.**



მამა ტარიელი:

# მე, როგორც მღვდელი და ეკლესიის წარმომადგენელი, როგორც მოძღვარი, სუროგატ დედას არანაირ სასჯელს არ მივანიჭებდი

◀ 10 ათას აშშ დოლარზეა საუბარი. კიდევ გიმეორებთ, რომ ეს ჩემთვის მხოლოდ სამსახური და ხელფასია, მეტი არაფერი და, თუ ასე არ მივუდგები ამ საკითხს, მსგავსი ნაბიჯის გადადგმა ჩემი მხრიდან ნამდვილი სიგიჟე იქნება. საერთოდ კი, გაცილებით მარტივია, თუ იფიქრებ მხოლოდ იმაზე, რომ ეს სხვისი ემბრიონია შენში ჩასახული და მეტი არაფერი!

**ქალბატონ მზიასთან საუბრის შემდეგ, რასაკვირველია, ლოგიკური იქნებოდა, მიგვემართა იმ დაწესებულებისთვის, რომელიც სუროგაციითა და სუროგატი დედების მომსახურებითაა დაკავებული. ასეთი კი „ჰუმან ჯორჯიაა“, იგივე „დონაციისა და სუროგატ დედათა კვლევის ცენტრი“, რომლის ხელმძღვანელი ქალბატონი თამარ ხაჭაპურიძეა.**

**— ქალბატონო თამარ, რამდენი ხანია ემსახურებით ამ საქმეს და როდიდან არსებობს თქვენი ორგანიზაცია?**

— „ჰუმან ჯორჯია“ 2004 წლიდან არსებობს, მაგრამ მანამდე, 1999 წელს, დავაარსეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის იმედი“, რომელიც, აგრეთვე, მუშაობდა უშვილო წყვილების დასახმარებლად. ამრიგად, 1999 წლიდან ჩამოყალიბდა საქართველოში ორგანიზაციები, რომლებიც კანონის ფარგლებში იცავენ უშვილო წყვილების ინტერესებს და სულ 12 წელია, რაც პირადად მე ვმუშაობ დონორ-სუროგატებთან და უშვილო წყვილებთან.

**— რამდენი უშვილო წყვილი სარგებლობს ამჟამად თქვენი მომსახურებით და რამდენი სუროგატი დედა გყავთ?**

— ძალიან ბევრია. არ დამითვლია, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად დიდია მოთხოვნა სუროგატ დედებზე, რომ ამ მხრივ კრიზისსაც კი განვიცდით. ეს იმიტომ ხდება, რომ, სანამ სუროგატი დედა გახდები, უნდა აკმაყოფილებდე გარკვეულ პირობებს, კერძოდ, აუცილებელი პირობებია: სუროგატ დედას ჰყავდეს საკუთარი შვილი, ასაკი, რა თქმა უნდა, არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ გამოიყურება სუროგატი დედა, ანუ რამდენად ლამაზია და ამგვარ დეტალებს, მნიშვნელობა არ აქვს; იმ დაავადებებსაც, რომლებიც შთამომავლობით გადაეცემა, მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგან სუროგატ დედასა და ჩასახულ ემბრიონს შორის არავითარი გენეტიკური კავშირი არ არსებობს. რა თქმა უნდა, სუროგატი დედა უნდა იყოს ჯანმრთელი.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ სუროგატ ქალბატონს უნდა ჰყავდეს შვილი, რატომ?**

— იცით, როცა ქალს გამოცდილი აქვს დედობა, ანუ ის უკვე არის მშობელი, ჰყავს სიყვარულის ობიექტი – საკუთარი შვილი, მისთვის ადვილია, მას არ სჭირდება განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, რომ სამომავლოდ არ გაუჭირდეს ბავშვის გენეტიკური მშობლებისთვის გადაცემა. ისე კი, პოტენციური სუროგატი დედა უკვე თითქმის მომზადებული მოდის და კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ ბავშვი მისი არ არის, რომ მისი სხეული მხოლოდ მატარებელია სხვა ქალის ემბრიონისა, არც მეტი, არც ნაკლები.

**— თუ ყოფილა თქვენს პრაქტიკაში შემთხვევა, რომ სუროგატ დედას პრეტენზია გამოეთქვას ბავშვზე ან გაძნელებოდეს მშობლისთვის მისი გადაცემა?**



— დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველოს კანონი ძალიან კარგად არეგულირებს სუროგაციის თემას. იურიდიული უფლება რომ არ გააჩნია სუროგატს ბავშვისადმი, ეს გარკვევით წერია კანონში. **მოდით, ერთად ჩავიხედოთ, თუ რა წერია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 143-ე მუხლში: ნაწილი პირველი: ექსტრაკორპორირებული განაყოფიერება ნებადართულია:**

**ა) უშვილობის მკურნალობის მიზნით ან, აგრეთვე, ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის შემთხვევაში, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა.**

**ბ) თუ ქალს არ აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის (სუროგატი დედის) საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის შესახებ, წყვილის წერილობითი თანხმობა აუცილებელია.**

**ნაწილი მეორე: ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლად, აქედან გამომდინარე, — პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით; დონორს ან სუროგატ დედას არა აქვს ბავშვის მშობლად ცნობის უფლება.**

აი, ეს არის სულ, რასაც საქართველოს კანონმდებლობა ამასთან დაკავშირებით ამბობს.

ზოგიერთ ქვეყანაში სუროგაცია ნებადართულია, მაგრამ მათ კანონმდებლობაში ხაზგასმულია ერთი ფაქტორი, რომ სუროგატმა დედამ ეს მხოლოდ ჰუმანიზმის გამო უნდა გააკეთოს და არა გამორჩენის მიზნით, ზოგიერთ ქვეყანაში კი (მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში) აკრძალულია.

სუროგაციის ორი ძირითადი მოტივაცია არსებობს — ჰუმანიზმი და პრაგმატიზმი. ძნელი სათქმელია — სხვაგან წმინდა ჰუმანური მოსაზრებით თანხმდებიან ქალბატონები სუროგატ დედობაზე თუ ფინანსური დაინტერესების გამო, მაგრამ საქართველოში ამას უფრო ხშირად პრაგმატული მოსაზრებით რომ აკეთებენ, უდავოა.

**— ქალბატონო თამარ, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ორსულობა შეწყდა, მარტივად რომ ვთქვათ, სუროგატ დედას მუცელი მოეშალა, სპონტანურად, რა თქმა უნდა?**

— სუროგატი იღებს კომპენსაციას, ცხადია, იმ თანხას არა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაგრამ მას უნაზღაურდება სამედიცინო მომსახურება, ეძლევა აბორტის შემდგომი რეაბილიტაციის თანხა. ერთი სიტყვით, ვუხდით ყველანაირ თანხას, გარდა მშობიარობის შემდგომი რეაბილიტაციისა და დარჩენილ თვეებში მიუღებელი „სარჩო“ თანხისა.

**— რას ნიშნავს „სარჩო“ თანხა?**

— „სარჩო“ თანხას ვეძახით თანხას, რომელიც სუროგატმა დედამ უნდა მიიღოს ორსულობის პერიოდში და მშობიარობის შემდგომ რეაბილიტაციის პერიოდში. ეს თანხა იწერება სუროგატსა და წყვილს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. ამ თანხით სუროგატი დედა ვალდებულია, ნორმალურად იკვებოს და შეიქმნას ორსულობის პერიოდში საჭირო ნორმალური ცხოვრების პირობები.

**— რა თანხაზეა საუბარი?**

— დაახლოებით 12 ათასი აშშ დოლარი. ამაში შედის თვიური „სარჩო“ თანხაც, რომლის ოდენობაც დგინდება მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმებით.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ საკმაო წინააღმდეგობებს წააწყდით მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან...**

— მე გიამბობთ ერთ შემთხვევას, როდესაც 22 წლის გოგონას საშვილოსნოც ამოკვეთეს და ბავშვიც დაიღუპა, მაგრამ გოგონას საკვერცხეები იყო სრულიად ჯანმრთელი, წყვილმა ისარგებლა სუროგატი დედის დახმარებით და დღესდღეობით არაჩვეულებრივი, საკუთარი გენეტიკური შვილი ჰყავთ. მოდით, ახლა და ავუხსნათ მათ, რომ ეს ყველაფერი არასწორია, ან მიპასუხონ მათ, ვინც წინააღმდეგია სუროგაციის, რა არის ამაში ცუდი, ვის რა დაუშავდა მათი შვილის დაბადებით?!

**ბედნიერდება მრავალი წლის განმავლობაში შვილს დანატრებული ოჯახი, თქვენ გესმით, ეს რას ნიშნავს?! ოჯახში იბადება საკუთარი გენეტიკური შვილი, ეს ერის გამრავლებასაც უწყობს ხელს და, ამ მეთოდის წყალობით, ძალიან ბევრი ოჯახი გადაურჩა დანგრევას.**

**რელიგია ხომ ქადაგებს „გიყვარდეს მოყვასი შენი“, განა ეს მოყვასის სიყვარული არ არის, როდესაც, ხარ სუროგატი და ატარებ იმ ქალის შვილს, რომელსაც თავად არ შეუძლია 9 თვე მუცლით ატაროს თავისი შვილი. სუროგაცია ეს ძიძობის მსგავსი რამაა.**

მეტსაც გეტყვით, მე რომ უშვილო წყვილს ვურეკავ და ვეუბნები, რომ ორსულობა დადგინდა, ღმერთო ჩემო, ეს, იცით, რამხელა ბედნიერებაა მათთვის? ორმაგად ბედნიერი ვარ მეც, ის დღე ჩემთვის დღესასწაულია.

ჩემი აზრით, უკვე დროა, რომ ამ საკითხს უფრო მეტი გაგებით შეხედოს საზოგადოებამ, სუროგაციის მეთოდით მიიღწევა მხოლოდ დადებითი შედეგი, იბადება კიდევ ერთი სიცოცხლე, ბედნიერდება კიდევ ერთი უშვილო ოჯახი.

**სუროგაციის მიმართ მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება ცნობილია, მაგრამ ზოგიერთი დეტალის გასარკვევად მაინც მივმართეთ მეტეხის ტაძრის მოძღვარს — მამა ტარიელს...**

**— მამაო ტარიელ, რას ქადაგებს მართლმადიდებელი ეკლესია სუროგაციისა და სუროგატი დედების მისამართით და რამდენად შეუვალია ეკლესიის ის პოზიცია, რომელიც ამასთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის დღემდე არის ცნობილი?**

— ყოველი ახალი სიცოცხლე უფლის ნებით ჩნდება. ამიტომ მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სუროგაცია, ანუ ხელოვნური ჩარევა ამ საქმეში მიუღებელია, გასაკვირი არ უნდა იყოს. მართალია, მედიცინა ამტკიცებს, რომ სუროგატ დედასა და ემბრიონს შორის კავშირი არ არსებობს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს მაინც ხელოვნური ჩარევაა...

**— კი, მაგრამ წყვილებს, რომლებიც მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო უშვილოდ რჩებიან, რაც მათთვის შესაძლებელია ტრაგედიის ტოლფასი მოვლენა იყოს, რატომ უნდა ავუკრძალოთ, შვილის გაჩენის ბედნიერება განიცადონ?**

— თუ ღვთის ნება ისეთია, რომ ესა თუ ის ოჯახი უშვილოდ ცხონდეს, ხოლო ჩვენ ამას ხელოვნურად ვცვლით, გამოდის, რომ უფლის ნებას ვცვლით. ეს, რელიგიის თვალსაზრისით, ვერ იქნება მართებული და სწორი საქციელი. მეტიც, ასეთ საქმეში ჩარევა საშიშიც კია, მაგრამ, როგორც გითხარით, მეორე მხარეც არსებობს: რაკი ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება, ხოლო ამ შემთხვევაში სიცოცხლე მაინც გაჩნდა, ჩანს, რომ ესეც ღვთის ნება იყო. ღმერთმა ინება და სიცოცხლე გაჩნდა. ახალი სიცოცხლის გაჩენას წინ ვერაფერი აღუდგება... რთულია ეს ყველაფერი.

**— რამდენად ცოდვილია ის ქალბატონი, რომელიც სუროგატი დედა ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობის სხვა საშუალებას მოკლებულია?**

— **პირადად ჩემთან თუ მოვა ქალბატონი და მეტყვის, რომ გადაწყვიტა, გახდეს სუროგატი დედა, დამეკითხება, თუ რა სასჯელს მივცემ მას, მე, როგორც მღვდელი და ეკლესიის წარმომადგენელი, როგორც მოძღვარი, არანაირ სასჯელს არ მივანიჭებდი. ვურჩევდი, რომ ხშირად თქვას ალსარებები, ილოცოს, მოინანიოს და ა. შ. აუცილებლად ვეცდები, რომ მოვამზადო ზიარებისთვის და ვაზიარებ კიდეც...**

ესაუბრა
**ნინო კვარაცხელია**

**«რაკი ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება, ხოლო ამ შემთხვევაში სიცოცხლე მაინც გაჩნდა, ჩანს, რომ ესეც ღვთის ნება იყო. ღმერთმა ინება და სიცოცხლე გაჩნდა. ახალი სიცოცხლის გაჩენას წინ ვერაფერი აღუდგება...»**

**P.S.** საქართველოში სუროგაციის ბუმია. სპეციალისტების განცხადებით, აქ სუროგატი დედების დეფიციტიც კი აქვთ, რადგან ძალიან ბევრი შეკვეთაა უცხოელების მხრიდან. ამის მიზეზი კი მარტივია — საქართველოში სუროგატი დედა ზუსტად 9 თვეში 12 ათას დოლარს იღებს, ამერიკაში — 100 ათასს, ხოლო დიდ ბრიტანეთსა და ბელგიაში სუროგატ დედებს, კანონით, საერთოდ ეკრძალებათ ნებისმიერი თანხის აღება.

ამერიკა

## ცხოვრების უფლება ნახევარ მილიონად

**ამერიკელი სენატორები წინადადებით გამოდიან, ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების უფლება მისცენ მათ, ვინც ქვეყნის ტერიტორიაზე არანაკლებ ნახევარი მილიონი დოლარის ღირებულების უძრავ ქონებას შეიძენს.** ბიპარტიული კანონპროექტი აშშ-ის საემიგრაციო კანონში მთელ რიგ ცვლილებებს ითვალისწინებს. უძრავი ქონების მფლობელი შეერთებულ შტატებში მეუღლესთან ან მეუღლესა და 18 წლამდე ასაკის შვილებთან ერთად ცხოვრებას შეძლებს, თუმცა ვერ შეძლებს ადგილზე მუშაობას, თუ სტანდარტული სამუშაო ვიზა არ ექნება. ბინადრობის უფლება შეძენილი უძრავი ქონების სხვა პირზე მიყიდვამდე იმოქმედებს.



## გაერო გამოძიებას ითხოვს

**გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სამმართველომ ლიბიის ყოფილი ლიდერის — მუამარ კადაფის სიკვდილის მიზეზების გამოძიება მოითხოვა.** „გაურკვეველია, როგორ მოკვდა იგი. აუცილებელია მისი სიკვდილის გარემოებების გამოძიება,“ — განაცხადა სამმართველოს წარმომადგენელმა რუპერტ კოლვილმა.

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაშინ, როცა თბილისის სიონს ვერ მოუარა და უგუმბათო საყდრიდან მტარვალი დამპყრობელი მეტეხის ხიდთან ასიათას ქართველს ამზადებდა მოწამეობისთვის. მტკვარი სისხლისფრად მიედინებოდა, „ღრმადმორწმუნე“ რუსუდანი კი პაპს ერთგულებას ეფიცებოდა და „უგუნურ ჭიდილში“ თავდადებისთვის ემზადებოდა.**



# ისევ ბარაბა ავირჩიეთ...

## საზეპურო ერს ზედმიწევნით მოეკითხება ცოცხალი რწმენის სიყვარული

**„აჰა, მოდის ღრუბლებით და იხილავს ყოველი თვალი; იხილავენ ისინიც, რომელთაც განგმირეს იგი. და დაიწყებს გოდებას მის წინაშე დედამიწის ყოველი ტომი. ჰო, ამინ. მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული, ამბობს უფალი, რომელიც არის, იყო და იქნება, ყოვლისმპყრობელი“.**

შფოთავს სამყარო მეორედ მოსვლის მოლოდინში, უკანასკნელი მაჯისცემა შორიდან ჩაესმის და საშინელი სამსჯავროს წინაშე აურაცხელი ცოდვებით წარსდგება, რომლისგან გათავისუფლება ჯვარზე გაკრული ავაზაკის რწმენით არის შესაძლებელი —

**„მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“. „ინება მან ავაზაკის შეყვანა სამოთხეში; მყისვე სიტყვა თქვა და ავაზაკი სამოთხეში შეიყვანა. ქრისტეს არ დასჭირვებია ლოცვა, თუმცა კი მან ადამის შემდეგ ყველას იქ შესვლის გზა დაუხშო, რადგან დააწესა ცეცხლოვანი მახვილი სამოთხის დასაცავად, მაგრამ ქრისტემ თვითუფლებრივად გახსნა სამოთხე და შეიყვანა ავაზაკი“.**

უფალს განა მეორე ავაზაკისთვის დაენანებოდა სამოთხე? მან თვითონ თქვა უარი საუკუნო ნეტარებაზე და ღვთის გმობაში ჩავარდა, მაშინ, როცა მარჯვენით გაკრულმა ჯვარცმულ ადამიანში ღმერთი დაინახა და რწმენით შეჰღაღადა. დიადი რწმენაა! რა შეიძლება დაემატოს ამ რწმენას, არ ვიცი! ისინი, რომლებიც ხედავდნენ მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეს, მერყეობდნენ, მან კი ირწმუნა იგი, რომელსაც ხედავდა მასთან ერთად ჯვარცმულს. როდესაც ისინი მერყეობდნენ, მაშინ მან ირწმუნა, როგორი ნაყოფი მოიწია ქრისტემ ამ ხმელი ძელისგან! მართლაც, რა თქვა უფალმა? **„ამინ გეტყვი შენ, დღეს ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“**. იმ მონანულ ცოდვილთან ერთად ყველასთვის გახდა შესაძლებელი ცხონება, მაგრამ მთვარი იარაღი უნდა ავამოქმედოთ — რწმენა, რაც თავმდაბლობით და ისევ რწმენით მიიღწევა.

ჩვენ, ყველა დიდი მონდომებით „ვემზადებით“ უფალთან მეორედ შესახვედრად, რაც, ძირითადად, მხოლოდ საუბრებით და ცრუ სასწაულებით შემოიფარგლება. ყველა ეპოქას ახასიათებდა მეორედ მოსვლის ნიშნები და არც ჩვენ ვართ გამონაკლისი, მაგრამ წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი უკანასკნელი დროის მოღვაწეების შესახებ წმინდა მამათა სწავლების გათვალისწინებით შემდეგს ბრძანებდა: **„ისინი, ვინც ჭეშმარიტად იშრომებენ ღმერთისთვის, კეთილგონივრულად დაიფარავენ თავს ხალხისგან და განცხადებულ ნიშნებსა და სასწაულებს არ მოახდენენ. ისინი, ღვაწლით შემოსილნი, ცხოვრების გზას თავმდაბლად განვლენ და სასუფეველში იმ მამებზე უფრო დიდი აღმოჩნდებიან, ვინც მრავალი სასწაულით გაითქვა სახელი“.**

**„მიუგო უფალმა და უთხრა მათ: გაფთხილდით, ვინმემ არ გაცდუნოთ თქვენ; რადგან მრავალი მოვა ჩემი სახელით და იტყვის, მე ვარ ქრისტე და მრავალს აცდუნებენ. და გაიგებთ ომებზე და ომების ამბებს; იხილეთ და ნუ შეძრწუნდებით, რადგან ეს ყოველივე უნდა იყოს, მაგრამ ჯერ არ არის აღსასრული. რადგან აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ, და იქნება შიმშილი, ჭირი და მიწისძვრები ადგილ-ადგილ. ხოლო ეს ყოველივე ტკივილების დასაწყისია. მაშინ ჩაგაგდებენ თქვენ გასაჭირში და დაგხოცავენ თქვენ, და იქნებით მოძულებულნი ყველა წარმართისაგან ჩემი სახელის გამო“.**

ქრისტეს მეორედ მოსვლას ანტიქრისტეს გამეფება და დროებითი ბატონობა უსწრებს. ანტიქრისტეს პიროვნებაში თავს მოიყრის ბოროტება მთელი თავისი სისრულით და ძალით, რაც კი შეიძლება ზიდოს ადამიანთა ბუნებამ. მას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდება, რომელთა ნებისყოფა სუსტი და უსახურია, ძალაუფლების მოყვარე ადამიანები კი საკუთარ თავთან ერთად სხვებსაც დაღუპავენ, რადგან მათ ბოროტებასთან ექნებათ წილი ნაყარი. დაიწყება მორწმუნეთა დევნა და შევიწროება. იგი თითქმის ყველგან დაიდგამს საბრძანებელს, მაგრამ უფლის მსახურ ერს ვერ შეეხება მისი ბოროტი მზერა. **„ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ჩვენთვის, ქართველი ერი კი ბევრჯერ ეცვა ჯვარს ქრისტესათვის, საქართველოს მკერდი გადაუღეღეს და ამ მკერდზე, როგორც კლდეზე, სარწმუნოებას, საყდარი დაუდგეს, ქვად ჩვენი ძვლები იხმარეს, კირად — ჩვენი სისხლი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“.**

თუმცა ხშირად ვიდექით არჩევანის წინაშე და საკუთარი ტყავის გადასარჩენად, ვეძებდით „ხსნას“. პეტრე მოციქულის მსგავსად, ვიდრე მამლის ხმობამდე, არაერთხელ უარვყავით უფალი და სარწმუნოების „შენარჩუნების“ მიზნით, ისევ სარწმუნოებას ვღალატობდით. მეფე რუსუდანი, პაპ ონორიო მესამეს წერდა: **„უწმიდესს პაპს, მამას და ყველა ქრისტიანების მთავარს, წმიდა პეტრეს საყდარზე მჯდომარეს. ჩვენ მდაბალი რუსუდან აფხაზთა დედოფალი, თქვენი ერთგული მხევალი და ასული უმდაბლესად თავს გიკრავთ და მოგესალმებით“.** სიმართლე, ვიცით რომ მწარე მოსასმენია, მაგრამ თავის დროზე, მეფე რუსუდანს, უფლის წინაშე რომ დაედრიკა თავი, პაპთან არ მოუხდებოდა ასე „თავმდაბლურად“ წარდგინება. ეს ის რუსუდანია, საკუთარი ძმისწული რომ შეიძულა და საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, ქართველების ულამაზესი თამარი, გურჯი ხათუნად აქცია, მერე კი თბილისი გადაწვა, რადგან ქალაქი ასე უფრო ადვილად „გადაურჩებოდა“ ჯალალ ედ დინის შემოსევას.

საინტერესოა, რას წერდა, ასე „მოწყალე“ პაპს ბაგრატიონთა ასული: **„ხოლო აწ დიდად გავიხარეთ, რა შევიტყვეთ, რომ თქვენის ბრძანებით იმპერატორი სირიაში უნდა წავიდეს წმინდა ადგილების დასახსნელად. გთხოვთ, გვაცნობოთ, თუ როდის უნდა გამოიაროს იმპერატორმა, რათა ჩვენც წმინდა ადგილების დასახსნელად გავგზავნოთ ჩვენი მხედართმთავარი ივანე მთელის ჯარით იმ ადგილს, სადაც თქვენ ინებებთ. ეგრეთვე, გაუწყებთ, რომ ამ ჩვენმა მხედართმთავარმა და ჩვენის სამეფოს სხვა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა და წასვლას ელიან. ამ წერილის მომტანს, ჩვენს საყვარელ დავითს, ანის ეპისკოპოზს, ისე ერწმუნეთ ყველაფერში, ვითომც ჩვენის პირისაგან გსმენოდესთ. თქვენთა წმიდა ლოცვათა შინა მოგვიხსენიეთ“.**

წერილიდან ცხადად ჩანს, რომ რუსუდანი პაპს აღიარებს მამად და ყველა ქრისტიანის მთავრად. საინტერესოა, **რა გაუჭირდა თამარ მეფის ასულს ასე ძალიან, რომ მის ლოცვას მინდობილი ჯვაროსნებთან ერთად აპირებდა გალაშქრებას წმინდა ადგილების „გასათავისუფლებლად“, მაშინ, როცა თბილისის სიონს ვერ მოუარა და უგუმბათო საყდრიდან მტარვალი დამპყრობელი მეტეხის ხიდთან ასიათას ქართველს ამზადებდა მოწამეობისთვის. მტკვარი სისხლისფრად მიედინებოდა, „ღრმადმორწმუნე“ რუსუდანი კი პაპს ერთგულებას ეფიცებოდა და „უგუნურ ჭიდილში“ თავდადებისთვის ემზადებოდა** (მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ჯვაროსნული ლაშქრობები ცნობილია, როგორც უგუნური ჭიდილი, სინამდვილეში რომის პაპის მიერ მოწყობილი სასაკლაო, მიზნად აღმოსავლეთის სიმდიდრის დაპატრონებას ისახავდა, საბაბი კი ქრისტეს საფლავის გათავისუფლება იყო).

არანაკლებ მნიშვნელოვანია პაპის წერილი რუსუდანისადმი; **„მამობრივის სახიერებით მივიღეთ და გულმოდგინებით ყურადვიღეთ თქვენი უმაღლესობის წერილი, სავსე მხურვალე მორწმუნეობის სურნელებით. უფლისამიერ დიდათ განვიხარეთ თქვენის ერთგულებით ჩვენდამი და რომის ეკლესიისადმი, რომელიც არის დედა და მოძღვარი ყოველთა ქრისტიანეთა. გვასიამოვნა, აგრეთვე, თქვენმა კეთილმა სურვილმა წმიდა ადგილების დახსნისამ, იმ ადგილებისამ, სადაც გამოუთქმელის სიყვარულით ჯვარზედ სიკვდილი ინება უფალმა იესო ქრისტემ კაცთა ნათესავის სამარადისო სიკვდილისაგან დახსნისა და ცხონებისათვის“.**

საქართველოს მეფის ასეთი სიახლოვე რომის პაპთან იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს ქვეყანას გააზრებული არ ჰქონდა მართალი სარწმუნოების არსი და მნიშვნელობა. რა შედეგი მოუტანა მეცამეტე საუკუნის საქართველოს რომთან ასეთი „სასიყვარულო“ წერილების მიმოწერამ, ყველასთვის ცნობილია. **ყოვლადმოწყალე უფალმა განსაცდელი იმიტომ მოგვივლინა, რომ მის გზას გადავუხვიეთ და დოგმატებშიც ცვლილებების შეტანა მოვინდომეთ. ამის შედეგი იყო ის, რომ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში თავი იჩინა შინაგანმა კრიზისმა, რამაც შეარყია ქვეყნის ძლიერება და გახდა გარეშე მტერთან ბრძოლაში ქართველთა მძიმე დამარცხებების მიზეზი.** კერძოდ, საქართველოში რამდენიმეჯერ წარმატებით ილაშქრა ჯალალ ედ დინმა, რომლის შემდეგ მისი თარეშით დასუსტებული საქართველო უფრო ძლიერი მტრის – მონღოლების პირისპირ აღმოჩნდა. 1243 წელს რუსუდან დედოფალი იძულებული გახდა, ოფიციალურად ეცნო მონღოლთა ყაენის უპირატესობა. საბოლოოდ კი ჩვენი ქვეყანა სამეფოებად დაიშალა.

მეფეს, ნაცვლად იმისა, რომ გონიერება გამოეჩინა და საკუთარი შეცდომები შეენანა, სასოწარკვეთილი, 1239 წელს ისევ რომის პაპთან აგზავნიდა წერილს, უთვლიდა თავზე დამტყდარი უბედურების ამბავს და დახმარებას სთხოვდა, პასუხად მიიღო პაპის წერილი, დათარიღებული 1240 წლის 13 იანვრით, რომელიც არაფერს საიმედოს არ შეიცავდა: **„აწ საყვარელნო შვილნო, ნუღარ გაგიკვირდებათ, თუ რომის ეკლესიის მხედრობა არ მოდის თქვენ შესაწევნელად თათრების წინააღმდეგ. სარკინოზნი, რომლებსაც სირიაში ვეომებით, არ გამოუშვებენ მანდეთ ჩვენს მხედრობას. ამ თქვენმა ამბავმა ძლივს მოაღწია ჩვენამდე. ქრისტიანე სარწმუნოების დაცვისათვის დაუცხრომელად ვეომებით მტერსა იტალიასა, სირიასა და ესპანეთში. ამიტომ აღარ შეგვიძლია დაგეხმაროთ“.**

თავისთავად ამ წერილმა მეფისთვის მოლოდინს გადააჭარბა და უფალმაც ასე დაანახა პაპის „უცდომელობა“. თუმცა ჩვენს ქვეყანას ვატიკანთან „თამაში“, ვინ იცის, რა დაუჯდა. **„მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“,** პირველი მცნების დარღვევით სხვა დანარჩენი თავისთავად ირღვეოდა. მეთერთმეტე საუკუნეში გაყოფილი ეკლესიები ერთად ვერ ილოცებდნენ, რადგან მათ საერთო თითქმის არაფერი ჰქონდათ. ამიტომ დაიწყო ზრუნვა დიალოგისა და შერიგებისათვის; შედგა საეკლესიო კრება ფერარასა და ფლორენციაში (1438-39 წლებში), რომლებზეც მიღწეულ იქნა შეთანხმება, უნია, აქტი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტს მართლმადიდებლური

## იემენში არეულობას 20 ადამიანი ემსხვერპლა

**იემენის დედაქალაქ სანაში პრეზიდენტ ალი აბდულა სალეჰისა და ოპოზიციის მომხრეებს შორის შეტაკებას 20 ადამიანი ემსხვერპლა. მსხვერპლია მშვიდობიან მოსახლეობაშიც.** ანტისახელისუფლო აქციები იემენში იანვრიდან მიმდინარეობს. დემონსტრანტები მოითხოვენ პრეზიდენტ სალეჰის გადადგომას, რომელიც, 30 წელია, ქვეყნის სათავეში დგას. ამ ხნის განმავლობაში, შეტაკებების შედეგად, ასობით ადამიანი დაიღუპა. გაეროს უშიშროების საბჭომ 21 ოქტომბერს მიიღო რეზოლუცია, რომლითაც იემენის პრეზიდენტს უფლებამოსილების დათმობისკენ მოუწოდა.



## სიდნეიში დემონსტრანტები დააკავეს

**ავსტრალიაში პოლიციამ საპროტესტო აქცია „დაიკავე სიდნეი“ ძალის გამოყენებით დაშალა.** რამდენიმე კვირის განმავლობაში 70-მდე მანიფესტანტი სიდნეის ცენტრში მოწყობილ კარვების ქალაქში ცხოვრობდა. ხელისუფლების არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, მანიფესტანტებმა მოედნის დატოვებაზე უარი განაცხადეს. კარვების ქალაქი პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა. არეულობისას 40 ადამიანი დააკავეს. ანალოგიური ბანაკი სამართალდამცავებმა მელბურნშიც დაარბიეს.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„და როგორც იყო ნოეს დღეებში, ისე იქნება კაცის ძის მოსვლაც, ვინაიდან, როგორც წარღვნის წინა დღეებში ჭამდნენ და სვამდნენ, ცოლს ირთავდნენ და თხოვდებოდნენ, იმ დღემდე, როცა ნოე შევიდა კიდობანში, და არას დაგიდევდნენ, ვიდრე არ მოვიდა წარღვნა და წალეკა ყველანი; ასე იქნება კაცის ძის მოსვლაც“.**

## მეტეხთან კი ყოველ დეკემბერს მტკვარი ისევ იცვლის ფერს და უნებურად ასი ათასი მოწამის აღსასრული გახსენდება, თუმცა კი იმ ადგილს ევროპის მოედანი უწოდეს და ამით ცდილობენ დიადი წარსულის გადაფარვას, «ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია»

ეკლესიების მესვეურებმაც მოაწერეს ხელი, ეკლესიათა ერთიანობა არ აღდგა, პირიქით: ბერძნული ეკლესიების დიდ ნაწილში ანტიუნიატური აჯანყება დაიწყო. კონსტანტინეპოლის საკათედრო ტაძრებს, რადგან იქ წირვის დროს პაპის სახელი წარმოითქმებოდა, მორწმუნეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ბერების, ხუცებისა და მათი სულიერი შვილების დიდი არმია შეთანხმების უარყოფას მოითხოვდა და მასებს ანტისამთავრობო გამოსვლებისკენ მოუწოდებდა **(ეს, ალბათ, იმათ გასაგონად, რომლებიც სამშობლოს და უფლის სიყვარულით გულანთებულ სასულიერო პირებს „პოლიტიკოსობაში“ ამხელენ და გამოსწორებისკენ მიუთითებენ).** და ეს მაშინ, როდესაც მათი სამშობლოს, ბიზანტიის ბედი ბეწვზე ეკიდა.

ემოცია ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელზეც გავრცელდა და მათგან ერთ-ერთმა მინისტრმა, ლუკა ნოტარისმა, პაპის მოციქულს — კარდინალ ისიდორეს პირში მიახალა: **„ჯობია სულთანის ჩალმას დავემორჩილოთ, ვიდრე პაპის ტიარას!“.** მაშინდელი ბერ-მონაზვნები ავრცელებდნენ ხმებს და ხალხს აჯერებდნენ, რომ კონსტანტინეს ქალაქს ანგელოზები იცავენ, რის გამოც პაპისა და კათოლიკური ქვეყნების დახმარება მას არ სჭირდება; საგანგებო წამს, როდესაც მტერი კონსტანტინეპოლის კარიბჭეს მოადგება, ზეციური მხედრობა გამოჩნდება და ვაი მას, ვინც კურთხეულ ზღურბლს ავი ზრახვით გადმოაბიჯებს. მხოლოდ აია სოფიას კარის შელეწვამ და წამიერად ამდინარებულმა სისხლმა აუხილა მათ თვალი და დაანახა უგუნურების, ფანატიზმის, ცრუმორწმუნეობის და ზიზღის ნაყოფი. ასეთმა ფაქტმაც ვერ აუხილა რუსუდანს თვალი და მაინც ხელს პაპისკენ იშვერდა, ნაცვლად იმისა, მორწმუნე მრევლს გვერდით დადგომოდა და სარწმუნოებისათვის ის განეცადა, რაც ასი ათასმა ქართველმა იგრძნო — ქრისტესთვის სიკვდილი.

მეფემ მფარველობისთვის ცრუღმერთს მიმართა, ერმა კი ისევ უფალს მოუხმო და აბო თბილელის ბედი გაიზიარა. რუსი ღვთისმეტყველი ანტონ კარტაშევი ამბობს: **„ისინი თავად არიან დამნაშავენი ამ დაყოფებშიც და ამ დაყოფებით ტკბობაშიც. არ აღმოჩნდა საკმარისი ქრისტიანული სიყვარული; ადამიანურმა ვნებებმა გადაწონეს და, აი, ეკლესია გაიყო. თავად გაყოფის ფაქტი ადასტურებს ეკლესიათა შეცოდებებს მათივე ადამიანური ბუნების გამო... აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაწყებული უხეში საარტილერიო ბრძოლა, ანათემის ჭურვები და ერთმანეთის გამანადგურებელი, ვითომცდა მსოფლიო კრებები, მორწმუნე ისტორიკოსზე შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, ურწმუნოთათვის კი შესანიშნავ მასალას იძლევა“.**

**„განიხეთქა ძოწეული შუენიერი ერთმორწმუნეობისა,“** — ესაა კირიონ მეორის სიტყვები, ტრაგიზმის შეგრძნება და ეკლესიათა დაკარგული ერთიანობის მონატრება.

მეფე რუსუდანისა და ივანე მხარგრძელის მიერ პაპ ონორიუს III-სადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს, რომ საქართველო რომთან ეკლესიურ კავშირს XIII საუკუნის 20-30 წლებში ჯერ კიდევ ინარჩუნებს; ქართველები აღიარებენ, რომ რომის ეპისკოპოსი **„მთელი საქრისტიანოს მამა და მეთაურია“.** ასე მოიქცა ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ პალეოლოგი, რომელმაც 1274 წელს კათოლიკობა აღიარა და მთელ აღმოსავლეთს პაპის უზენაესობის ცნობისკენ მოუწოდა. ამ მოწოდებას საბერძნეთის ბევრი ეკლესია არ დაემორჩილა. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ათონის მონასტრებმა გასწიეს. იმპერატორის ნებართვით, ჯვაროსნები 1280 წელს შეესივნენ ათონს და ბერებს უნიის მიღება მოსთხოვეს, რასაც ყველა მონასტერი დათანხმდა ივერონის გარდა. ამის გამო ამ სავანის რბევა-აწიოკება დაიწყო.

**მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი დაცვა უმთავრესი ამოცანა იყო ჩვენი ქვეყნის მესვეურებისთვის, რაც დროთა განმავლობაში რყევას განიცდიდა. ასეთი აქტიური ურთიერთობა დასავლეთის ეკლესიასთან იმით იყო ნაკარნახევი, რომ ტახტის გადარჩენის მიზნით სარწმუნოების შეცვლასაც არ თაკილობდნენ, რაც თავისთავად არასასურველი შედეგებით მთავრდებოდა. XIII საუკუნიდან მოყოლებული რელიგიური პოლიტიკა მძიმე და იმდენად წარმოუდგენელი იყო ქართული ცნობიერებისთვის, რომ ქვეყანა დაშლამდე მიიყვანა.**

**„მართლმადიდებლობა არ იყო ჩვენთვის მხოლოდ რჯული, მხოლოდ რელიგია. ეს იყო ქართველობა, სრულიად საქართველო“.** ამიტომ რისხვა რისხვაზე მოდიოდა, ჯერ ხვარაზმელები, შემდეგ მონღოლები, მოგვიანებით კი თემურ ლენგის ურდოები მუსრს ავლებდნენ სულიერი კულტურის ძეგლებს და სარწმუნოების ერთგულებისთვის არაერთ მონასტერში ბერ-მონაზონთა მსხვერპლშეწირვა ხდებოდა.

მტკივნეულია, მაგრამ ეკუმენური შეხედულებები გიორგი ბრწყინვალის დროსაც არსებობდა. მონღოლთა ბატონობამ სახელმწიფოსა და ეკლესიის ნაწილობრივი გამიჯვნა გამოიწვია. ქართულ რეალობაში ტოლერანტობის თავისებური ელემენტი გაჩნდა. მაგალითისთვის გიორგი ბრწყინვალის რელიგიებისადმი დამოკიდებულებაც კმარა. კერძოდ, ცნობილია მისი ლოიალური მიდგომა ისლამისა და კათოლიკური ეკლესიის მიმართ. სწორედ მისი მეფობის დროს გადმოიტანა რომის პაპამ იოანე XXII-მ აღმოსავლეთის მისიონერული ცენტრი ქალაქ სმირნიდან თბილისში, სადაც რომის კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსოც დაარსდა, მრავალრიცხოვანი სამღვდელოებით. იგი ეგვიპტურ წყაროებში მოხსენიებულია როგორც **„იერუსალიმის წმინდა ადგილთა განმადიდებელი, ქრისტიანთა საყრდენი, რომის პაპის მეშველი, მუსლიმანთა მეგობარი“.**

**„ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემს წინააღმდეგაა,“** — ბრძანებს მაცხოვარი, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ცდომილებაში მყოფი ეკლესიის მიმართ უფრო მეტად დაფიქრებული დამოკიდებულება უნდა გვქონოდა. ვიცით, რა შეცოდების გამო დაეცა ბიზანტიის იმპერია და ჩვენთანაც წმინდა ნინოს ნაქადაგები სარწმუნოება **„ირხეოდა ვითარცა ლერწამი, ქართაგან ძლიერთა“.** არც რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე წარმოთქმული სიტყვები გვახსოვდა: **„არა გეცრუვენით შენ, ჩვენო სიწმიდით მსობელო კათოლიკე ეკლესიაო“...**

რწმენას ბზარი გაუჩნდა, რაც აზროვნებაში ცვლილებების შეტანით იყო ნაკარნახევი და ამიტომაც **„მარიამობის თვეს წმიდას პაპასთან წავედით, მის პატარა სამწირველოში ხუცესმა წირა ჟამი,“** — იგონებს საბა-სულხანი, რომელიც ქვეყნის სახსნელად რომის პაპს ეახლა და მისგან ელოდება გადარჩენას, აღიარა რა კათოლიკობა და კონსტანტინოპოლში წმინდა ბასილის ორდენის წევრი გახდა. ამიტომაც **„მერმე სამღვდელოთ შფოთი აღძრეს ჩემზედ, კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს, მაგრამ მეფე ვერ აიყოლიეს. სამი თვე კიდევ იბატონა და მერმე მეფე ბაქარ დასჯდა მეფედ, ვისთანაც ესოდენი ჭირი მენახა და ვისაც მეფობას ვცდილობდი, ათხუთმეტის წლისა იყო, მოატყუეს მცხეთას, ჩემი სიყვარული და სამსახური სულ დაავიწყეს, კრება მიყვეს და წმიდის პაპის გინება მომიდვეს, მე მართლმადიდებლობა ვერ უარვყავ (ანუ კათოლიკობა) და მრავალი ავი მოინდომეს“.**

ერმა „სიბრძე სიცრუისას“ ავტორს სარწმუნოებიდან განდგომა ვერ აპატია. განუდგა ერიც. ლოცვებში მისი მოხსენიება რომის პაპივით გვეკრძალება. წმინდა ილია მართალი ბრძანებს: **„სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს, როგორც ორსახე ჭეშმარიტებაა შეუძლებელი, ისე ორსახე სარწმუნოებაც, იგი ან ერთადერთია ერთ გულში, ან სულ არ არის სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერ წიაღშია, ორთვალა და ორგულა ვერ იქნება, რომ ჩვენიც იყოს და თქვენიც ერთსა და იმავე დროს. იგი ერთთვალა და ერთგულაა, თუ ასე ითქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს, რომ ერთსაც ჰხედავდეს მართლმადიდებლად და მეორესაც, ერთსაც განუზიაროს სასოება გულისა და მეორესაც. ამიტომაც შეურყეველი ერთგულება სხვის სარწმუნოებისა საკუთარის სარწმუნოების შერყევაა, უარყოფაა. თავდადებულნი ერთის სარწმუნოებისათვის, მეორესათვის თავდადებულნი ვერ იქნებიან და ნამეტნავად შეურყეველ ერთგულებისანი.**

**კაცი შეურყეველად მოსავია, მარტო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს, უამისოდ სარწმუნოება სარწმუნოება კი არ არის, სამოსელია, რომელსაც კაცი, როცა უნდა იხდის და როცა უნდა იცვამს“.**

გამოდის, ქართველებსაც ხშირად გვქონია ცდომილება სარწმუნოებაში, რასაც ხმამაღლა არ ვამბობთ, მაგრამ ნაყოფი მისი მწარეა. ასე იქნება მაშინაც, როცა ზეციური საყვირის ხმა გაისმება და მორწმუნე და ცრუმორწმუნე თავიანთი საქმეებით განისჯებიან. **საზეპურო ერს ზედმიწევნით მოეკითხება ცოცხალი რწმენის სიყვარული.** დღეს, სამწუხაროდ, ჩვენ თანამედროვე „კორექტულობა“ გაგვიჩნდა და ადამიანები მიისწრაფვიან საკუთარი თავის კეთილად წარმოჩენისკენ. საკუთარი „უმაღლესი ღირსების“ გამოვლენის სურვილს ისინი იქამდე მიჰყავს, რომ ქედს იხრიან ორრქიანი ეშმაკის წინაშე, **„დაე, იყოს ერთი რელიგია,“** — ამბობენ ისინი და ყველას ერთ სიბრტყეზე ათავსებენ. მოდერნისტული სული მიიჩნევს, რომ **“საერთო ბაზრის დახლიდან სულიერი საგნებითაც კი შეიძლება ივაჭრო“.**

თავის მაცხოვნებელ ვნებამდე და ჯვარზე სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე მოციქულებმა მაცხოვარს ჰკითხეს: **„გვითხარი, როდის მოხდება ეს ან რა იქნება ნიშანი შენი მოსვლისა და საუკუნო დასასრულისა“?** მან უპასუხა: **„ის დღე და ის საათი არავინ იცის: არც ციურმა ანგელოზებმა, არამედ მხოლოდ მამამ“. „და როგორც იყო ნოეს დღეებში, ისე იქნება კაცის ძის მოსვლაც, ვინაიდან, როგორც წარღვნის წინა დღეებში ჭამდნენ და სვამდნენ, ცოლს ირთავდნენ და თხოვდებოდნენ, იმ დღემდე, როცა ნოე შევიდა კიდობანში, და არას დაგიდევდნენ, ვიდრე არ მოვიდა წარღვნა და წალეკა ყველანი; ასე იქნება კაცის ძის მოსვლაც“.**

ებრაელებიც მხსნელს ელოდებიან, თუმცა ის მოსული იყო და არ მიიღეს, განუდგნენ მას და ისევ ლოდინი დაუწყეს, ოღონდ — მათ მიერ გამოგონილ მესიას. მეტეხთან კი ყოველ დეკემბერს მტკვარი ისევ იცვლის ფერს და უნებურად ასი ათასი მოწამის აღსასრული გახსენდება, თუმცა კი იმ ადგილს ევროპის მოედანი უწოდეს და ამით ცდილობენ დიადი წარსულის გადაფარვას, **„ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“.** ჩვენ ისევ არჩევანის წინაშე ვდგავართ — ბარაბა თუ უფალი? რა თქმა უნდა, — **„უფალი ჩემი, ღმერთი ჩემი“.**

ვენახის მუშაკი ვართ, მაგრამ გვიან მივედით, ან იქნებ გზაში ვართ და მაინც **„სწორ ჩუენდა ჰყუენ იგინი“.**

**მამა პეტრე (კვარაცხელია)**

## მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი დაცვა უმთავრესი ამოცანა იყო ჩვენი ქვეყნის მესვეურებისთვის, რაც დროთა განმავლობაში რყევას განიცდიდა. ასეთი აქტიური ურთიერთობა დასავლეთის ეკლესიასთან იმით იყო ნაკარნახევი, რომ ტახტის გადარჩენის მიზნით სარწმუნოების შეცვლასაც არ თაკილობდნენ, რაც თავისთავად არასასურველი შედეგებით მთავრდებოდა

მოკლედ

## ყაზახეთმა ტონი ბლერი დაიქირავა

**ყაზახეთის ხელისუფლებამ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ეკონომიკური რეფორმების საკითხებში კონსულტანტად დაიქირავა.** ბლერი ერთი წლის განმავლობაში 8 მილიონ ფუნტ-სტერლინგს მიიღებს, რაც 12,6 მილიონი დოლარია. ტონი ბლერის პრესმდივანმა დაადასტურა, რომ ყოფილი პრემიერი ასტანისთვის იმუშავებს, მაგრამ გასამრჯელოს თაობაზე ინფორმაცია არ დაუკონკრეტებია. ბლერი თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ამერიკის ბანკის, შვეიცარიის სადაზღვევო კომპანიის, კუვეიტის ხელისუფლების მრჩევლად მუშაობდა. არაოფიციალური ინფორმაციით, იყო მუამარ კადაფის მრჩეველიც ფინანსურ საკითხებში.



## ქურთი ბოევიკების წინააღმდეგ

**თურქეთის ხელისუფლება ქურთი შეიარაღებული დაჯგუფებების წინააღმდეგ მასშტაბურ ოპერაციას ატარებს.** თურქეთის ხელისუფლების განცხადებით, სამხედრო ოპერაცია ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარეობს და ერაყთან საზღვრის დარღვევის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. ამის მიუხედავად, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მიმდინარე სამხედრო ოპერაციისას საარტილერიო დარტყმების ზონაში ერაყის ტერიტორიაც ხვდება. სამხედრო ოპერაციაში 10 ათასამდე ჯარისკაცი მონაწილეობს. შეგახსენებთ, რომ გასულ შაბათს ქურთი ბოევიკების მიერ მოკლულ იქნა თურქეთის არმიის 24 სამხედრო მოსამსახურე.

საქართველო და მსოფლიო
დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სირიის საზოგადოებაში, ცხადია, დაპირისპირებაა, მაგრამ გარედან მხარდაჭერის გარეშე ეს დაპირისპირება არასდროს მიიღებდა იმ ფორმას, რომლის დროსაც მოსათვინიერებლად ტანკებითა და არტილერიით შეიარაღებული რეგულარული არმიის გამოყენება ხდება აუცილებელი.**

# სირიული ტრიპლეტი

**სირიის ირგვლივ მოვლენები არნახული სისწრაფით ვითარდება. იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც ერთმანეთს ომით ემუქრებიან, ძალიან სწრაფად იზრდება, რაც მომავალში მსოფლიო ხანძრის გაჩაღების უტყუარი ნიშანია. ფაქტობრივად, ტრიპლეტად გაისმა სამი უმნიშვნელოვანესი სიახლე:**

**1. სირიის არმია განაგრძობს ფართომასშტაბიან აქციას მთელი რიგი ქალაქების მეამბოხეებისგან გასაწმენდად, ზოგიერთი ქალაქი უკვე სრულად გაწმენდილიცაა;**

**2. ამ ფონზე რუსეთმა და ჩინეთმა დაბლოკეს სირიასთან დაკავშირებული რეზოლუცია, რასაც, სავარაუდოდ, დასავლეთის ისტერიკა მოჰყვება;**

**3. ამ ყველაფრის შემდეგ სირია იმუქრება ისრაელის განადგურებით იმ შემთხვევაში, თუ მას თავს დაესხმებიან.**





ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არმია რომელიღაც ქალაქებს ათავისუფლებს, იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყანაში მდგომარეობა უკიდურესად სერიოზულია და სირიას შიგნიდან სრული სვლით არყევენ — პოლიციასა და სახელმწიფო უშიშროებას, უკვე დიდი ხანია, მდგომარეობის დამოუკიდებლად კონტროლი აღარ შეუძლია, არმიაც, კარგა ხანია, მათ მიერ არეულობების ჩასახშობ შინაგან ჯარად გამოიყენება.

სირიის საზოგადოებაში კი, ცხადია, დაპირისპირებაა, მაგრამ გარედან მხარდაჭერის გარეშე ეს დაპირისპირება არასდროს მიიღებდა იმ ფორმას, რომლის დროსაც მოსათვინიერებლად ტანკებითა და არტილერიით შეიარაღებული რეგულარული არმიის გამოყენება ხდება აუცილებელი.

**სირიაში ახლა, ფაქტობრივად, სახეზეა დროში გაწელილი ამბოხი, რომელიც უცხოეთიდანაა ინსპირირებული და რომელსაც, ჯერჯერობით, არმია უმკლავდება.**

**ქალაქებში მიმდინარე წმენდა იმაზე მიანიშნებს, რომ ასადი მზადაა სანაცვლოდ რამდენიმე ათასი გვამის მისაღებად.**

მუბარაქისა და კადაფის მაგალითები იმაზე მეტყველებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში შედეგი ერთი და იგივეა, ამიტომ დანებებას აზრი არ აქვს. აშშ-მა შეცდომა დაუშვა, როდესაც თავისი სტრატეგიული ოპერაციისას მუბარაქის გასამართლება დაუშვა, რადგან ამით უმალ მოუჭრა ხელისუფლების ნებაყოფლობით დათმობის გზა ახლო აღმოსავლეთის სხვა ავტოკრატებს, მაგრამ აშშ-ისთვის ამგვარი შეცდომების დაშვება ჩვეულებრივი მოვლენაა.

რომ არა მუბარაქის სავალალო მაგალითი და სირიის მიერ ლიბიაში მოგებული დრო, ასადის საქმე უკვე დამთავრებული იქნებოდა ან ის ნებაყოფლობით გადააბარებდა ხელისუფლებას სახელმწიფო უშიშროების ძალებს და მუბარაქის მსგავსად განზე გადგომის

## ხელისუფლების დაკარგვის შემთხვევაში, ასადის ცოცხლად დარჩენის შანსი ნულის ტოლია

იმედი ექნებოდა. მაგრამ, ვინაიდან დასავლეთის დაპირებებისადმი ნდობა, როგორც ასეთი, არ არსებობს და ასევე არ არსებობს არმიისადმი სრული ნდობა (ეგვიპტის არმიის მხრიდან მუბარაქის ღალატი სამაგალითოა), ასადს არჩევანი არ აქვს — ბოლომდე უნდა იბრძოლოს საკუთარი სიცოცხლისთვის. **მას შემდეგ, რაც მან არმიას ამბოხების ჩახშობა უბრძანა, ხელისუფლების დაკარგვის შემთხვევაში, ასადის ცოცხლად დარჩენის შანსი ნულის ტოლია. მისთვის ხელისუფლების შენარჩუნება თვითგადარჩენის საკითხია.**

სწორედ ამიტომ ცდილობს ამბოხების ჩახშობას და, როგორც სირიიდან ისმის, ჯერჯერობით არც თუ ცუდად გამოსდის, მაგრამ ვინაიდან გაზაფხულიდან ამ დრომდე ბოლომდე მაინც ვერ ჩააქრო, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ არმიაში ყველაფერი კარგად არაა.

ამასთან დაკავშირებით, ცხადია, დგება საკითხი ამბოხებისთვის საერთაშორისო მხარდაჭერისა. მხარდაჭერა ისედაც მთელი ძალით ხორციელდება, რაზეც თვალნათლივ მიანიშნებს სანქციები, მასმედიაში ატეხილი ისტერიკა, ჩრდილოეთიდან მომავალი სამხედრო მუქარა. ამ ყველაფერს კი რუსულ-ჩინური ვეტო მოჰყვა გაეროს უშიშროების საბჭოში და სავსებით საქმიანად იქნა უარყოფილი გავრცელებული თეზისი, რომ რუსული ვეტო არაფერს ნიშნავს და, რომც ნიშნავდეს, ამერიკა არად ჩააგდებს.

გაიხსენეთ ამ არგუმენტის თაყვანისმცემლები, რომლებიც ცდილობდნენ, ლიბიასთან დაკავშირებული ვეტო გაემართლებინათ. რუსეთს ლიბიასთან დაკავშირებითაც შეეძლო ვეტოს უფლების გამოყენება, მით უფრო, რომ **ლიბიისა და სირიის სიტუაციები მისთვის პრინციპულად არაფრით განსხვავდება — ორივე ქვეყანაში გარედან ინსპირირებულ ამბოხს ახშობს არმია და რუსეთს ორივე ქვეყანაში ჰქონდა სერიოზული ეკონომიკური ინტერესები. მიუხედავად ამისა, ლიბია გაწირეს, სირიასთან დაკავშირებით კი ვეტოს უფლება გამოიყენეს.**

**ჩინეთის პოზიცია კი საერთო ჯამში გასაგებია. რუსეთს რომ ლიბიის რეზოლუციაზე ვეტო დაედო, ჩინეთიც ანალოგიურად მოიქცეოდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ლიბიაში ჩინეთს გაცილებით მეტი ინტერესები ჰქონდა, მაშინ მან დუმილი არჩია და კადაფისთვის იარაღის საიდუმლო მიწოდებით შემოიფარგლა.**

რუსეთის პოზიციაში ამგვარ ცვლილებებს თავისი მიზეზები აქვს და მათი საწყისი მიზეზები შიდაპოლიტიკურია. უახლოეს მომავალში ქვეყანაში დუმისა და პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. სულ ცოტა ხნის წინ განისაზღვრა მომავალი გამარჯვებულები, რასაც, ფაქტობრივად, დაუყოვნებლივ მოჰყვა კანონი პედოფილების კასტრაციის შესახებ, სირიასთან დაკავშირებული ვეტო და განცხადება მომავალ „ევრაზიის კავშირზე“. ამ სამივე მოვლენას უდიდესი ელექტორატორული მნიშვნელობა აქვს. საზოგადოების უდიდესი ნაწილი პედოფილებთან დაკავშირებით არა მხოლოდ კასტრაციის, არამედ თვით სიკვდილით დასჯის მომხრეა.

ლიბიასთან დაკავშირებით რუსეთის პოზიცია კი თავად რუსეთშიც გააკრიტიკა საზოგადოებამ. ამდენად, არჩევნების წინ სირიის გაწირვა ძალზე სარისკო საქმე იქნებოდა.

**შესაძლოა, ვინმემ გააპროტესტოს, რომ მხოლოდ არჩევნების პრიზმაში მდგომარეობის განხილვა ძალზე მარტივი გამოსავალია. ახლა სირიასა და ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებული სიტუაციები ძალზე წააგავს 2008 წლის მოვლენებს, როდესაც რუსეთ-საქართველოს ომი აშშ-ში მიმდინარე არჩევნებისა და ობამა-მაკკეინის დაპირისპირების პრიზმაში განიხილებოდა.**

**მაგრამ მხოლოდ წინასაარჩევნო მოტივებმა არ შეასრულეს საკუთარი როლი. დასავლურ მედიას პუტინის საწინააღმდეგო ისტერიკა შეეყარა, რადგან მან წასვლის ნაცვლად განიზრახა, გარკვეული დროით კიდევ მართოს რუსეთი. თანაც ეს ყველაფერი ხდება რუსეთზე ხანგრძლივი ზეწოლის ფონზე, რათა მან ლიბიასთან დაკავშირებული ნაბიჯი გაიმეოროს.**

**დასავლეთმა პრინციპული შეცდომა დაუშვა გადამეტებული ზეწოლით პუტინზე, რომელმაც უკვე არაერთხელ აჩვენა, რომ ამგვარი მოპყრობა არ მოსწონს — საკმარისია მიუნხენის გამოსვლისა და 888-ის გახსენება, რის შემდეგაც „გადატვირთვა“ გახდა საჭირო.**

ცხადია, ვეტოს შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება სწორედ პუტინმა მიიღო და ამით მან დასავლეთს აჩვენა, რომ მასზე ზეწოლა, ყოველ შემთხვევაში, ისე, როგორც ამას დასავლეთი აკეთებდა, არ ღირს. ამასთან, ცხადია, პუტინმა აგრესორებს გამოსავალიც დაუტოვა რეზოლუციის ფორმულირებაზე შემდგომი მუშაობის სახით. და, რა თქმა უნდა, ამგვარი სამუშაოები ჩატარდება, ოღონდ კი აგრესორებმა ხელში ჩაიგდონ ნებისმიერი დოკუმენტი, რომლის თვითნებურად გაგებასაც შემდგომ შეძლებენ. მაგრამ მოცემულ ეტაპზე აგრესორებმა პოტენციური მარცხი განიცადეს და ამისათვის შეუძლიათ თამამად უთხრან მადლობა პუტინს.

ამჯერად მათ იჩქარეს, არ გაითვალისწინეს რუსეთის შიდაპოლიტიკური სიტუაციის კონტექსტი და დაისაჯნენ. **„ტირანი ასადის მფარველი ცუდი პუტინის“ საწინააღმდეგო მთელი ისტერიკა მიმართულია იმ ფაქტის დასამალად, რომ სირიის წინააღმდეგ აგრესიის ორგანიზატორებმა იჩქარეს და ჩაფლავდნენ.** იმის ნაცვლად, რომ ნელ-ნელა აეძულებინათ რუსეთი, აგრესიაზე დათანხმებულიყო, ახლა ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევთ.

ამ და ლიბიაში ჯერაც მიმდინარე დაპირისპირების ფონზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემოდგომაზე დიდი ომი არ დაიწყება.

**უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ ინტენსიურ კონსულტაციებს გაეროში ახალ რეზოლუციასთან დაკავშირებით. ასევე, სავსებით მოსალოდნელია მოსკოვში ისეთი ამერიკული ჩინების ვიზიტები, როგორიცაა სახელმწიფო მდივანი ან ვიცე-პრეზიდენტი, რადგან სირია გასანადგურებელთა სიიდან ჯერ არავის ამოუშლია.**

რაც შეეხება ისრაელის განადგურების მუქარას, საეჭვოა, სირიას ახლა ისრაელის განადგურების შესაძლებლობა ჰქონდეს, მით უფრო, თუ ომი იმ კონფიგურაციით დაიწყება, რომლის დროსაც თურქეთი თავს დაესხმება სირიას და არა — ისრაელს.

სირიას შეუძლია დიდი დარტყმა მიაყენოს ისრაელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასობრივი განადგუ- ▶



## აშშ-ში საკმაოდ ძლიერია ისტებლიშმენტის ის ნაწილი, რომელიც თვლის, რომ ისრაელის მხარდაჭერის დრო წარსულს ჩაბარდა

**ნატოს წყალობით ლიბიის მთელი ქალაქები დაიცალა, მათ მოსახლეობას გარს შემოერტყნენ და დახოცეს. გადარჩენილები გაყარეს, მათი ქონება კი მიითვისეს. მაგალითად, ქალაქ ტავარგაში ათი ათასობით მოქალაქეს ამბოხებულებმა სამუდამოდ აუკრძალეს შინ დაბრუნება.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀რების, კონკრეტულად კი ქიმიურ იარაღს გამოიყენებს. ამგვარი შეიარაღების მარაგი მას საკმაოდ აქვს და მიწოდების საშუალებებიც საკმარისზე მეტია.

მიმდინარე ამბოხის პირობებში ისრაელის წინააღმდეგ სრულფასოვანი სახმელეთო ოპერაციის განხორციელება ავანტიურა იქნება. გარდა იმისა, რომ საჭირო იქნება ისრაელის თავდაცვითი პოზიციების გარღვევა, საჭირო იქნება ამგვარი დაჯგუფების მონტაჟის, მისი აღჭურვისა და ორგანიზების პრობლემების გადაწყვეტა. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ამგვარი მუქარა შეცდომა იყო, რადგან ის სირიას აგრესორების მოქმედებაზე დამოკიდებულს ხდის. სინამდვილეში ასე არ არის. ამა თუ იმ ფორმით აგრესია გარდაუვალია და, თუ ასადს ამბოხებით არ ჩამოაგდებენ, ადრე თუ გვიან თავდასხმა აუცილებლად მოხდება.

**ასადის ილეთი ახალი არაა — სწორედ ასე ემუქრება კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა აშშ-ს; თავდასხმის შემთხვევაში, ის სამხრეთ კორეისა და იაპონიის წინააღმდეგ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს.**

**სწორედ ასე ემუქრება ირანი აშშ-ს, რომ ომის შემთხვევაში გადაკეტავს პაკისტანის ყურეს და რეგიონში აშშ-ის მოკავშირეებს მიაყენებს დარტყმებს.**

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩრდილოეთ კორეა, ირანი და სირია აშშ-ს ვერ მისწვდებიან, მაქსიმუმ აშშ-ის ბაზებსა და მის სატელიტებს მისწვდნენ. ამიტომ მუქარა აშშ-ის სატელიტებისკენაა მიმართული, მათი განადგურება ან სერიოზული ზიანის მიყენება სავსებით შესაძლებელია.

ამ მხრივ ისრაელი ყველაზე თვალნათელი სამიზნეა. კიდევ ვის დაემუქრონ? ერაყში ისედაც ამერიკელები სხედან და სირიაზე შეტევა იქიდან განხორციელდება. ასე რომ, იქ მუქარით ვერავის შეაშინებენ. დამასკოს ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ თურქეთთან იარაღით შებრძოლება არ მოუწევს.

გარდა ამისა, თვალნათელია აშშ-ის ებრაულ ლობზე გათვლაც. ამ ლობმა ნამდვილი ხოლოკოსტის თავიდან ასაცილებლად აშშ-ში იმ წრეებზე უნდა მოახდინოს ზეწოლა, რომლებიც ახლო აღმოსავლეთს ცეცხლს უკიდებს.

ამიტომ ასადის მუქარა შეიძლება სამ ვარიანტად იქნეს განხილული: გზავნილი აშშ-ის ებრაულ ლობს, გზავნილი თურქეთს და ძალის ჩვეულებრივი დემონსტრირება.

ბოლო ვარიანტი ყველაზე მეტად რეალური და არც ისე სულელურია, როგორც უნდათ, რომ წარმოაჩინონ. ნათელია, რომ მსოფლიო ომი ყველას არ უნდა. ამიტომ პირდაპირმა გაფრთხილებამ იმ ქმედებების შესახებ, რომელიც სირიაზე თავდასხმას მოჰყვება, გაფრთხილება იქნება იმ წრეებისთვის, რომელთაც საერთოდ ან ამ ეტაპზე არ სურთ მსოფლიო ომი.

რაც შეეხება იმას, რომ სირიამ მოწინააღმდეგეებს ხელში ჩაუგდო კოზირი, რომელიც მის ქმედებებს პროგნოზირებადსა და სიტუაციაზე დამოკიდებულს გახდის, ეს კოზირები, უკვე კარგა ხანია, ასადის ხელშია. ომი არ დაიწყება მაშინ, როცა დამასკო რაიმეს გააკეთებს ან არ გააკეთებს, ომი დაიწყება მაშინ, როდესაც ვაშინგტონიდან მოვა საპასუხო ბრძანება და დიდი ომის სასხლეტს ხელს გამოკრავენ.

**სირიის რისკი სხვაგან იმალება. მისი მუქარა, გაანადგუროს ისრაელი, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დიდი ახლო აღმოსავლეთის დემონტაჟის ინიციატორთა მიერ. საიდუმლო არაა, რომ აშშ-ში საკმაოდ ძლიერია ისტებლიშმენტის ის ნაწილი, რომელიც თვლის, რომ ისრაელის მხარდაჭერის დრო წარსულს ჩაბარდა.**

**ამრიგად, თურქეთი, სირია და ეგვიპტე ისრაელის მესაფლავეებად იქცევიან. აშშ თავს დაიხსნის ძველი ტვირთისგან, მიიღებენ სასურველ დიდ ომს, ქაოსს და თავისი ფინანსური პრობლემების ნაწილობრივ მოგვარებას.**

ახლოაღმოსავლური კონფლიქტის ახალ კვანძში მთავარი არის ორი საკითხი: ვის დაესხმება თავს თურქეთი — სირიას თუ ისრაელს და მზადაა თუ არა აშშ-ის ადმინისტრაცია, ჩააბაროს ისრაელი უახლოეს ერთ წელიწადში.

ამ კითხვებზე პასუხზეა დამოკიდებული მომავალი ომის კონფიგურაცია. ახლა მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ არა მხოლოდ სირია აღმოჩნდა უცებ განადგურების საფრთხის წინაშე. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში რეგიონში მტკიცე სტრატეგიული პოზიციების მქონე ისრაელი ახლა გატეხილ ვარცლთან რჩება და მის წინაშე უკვე აფრიალდა იმ გამანადგურებელი ომის ნიშნები, რომელსაც დიდი ხანია ჰპირდებოდნენ.

უახლოეს მომავალში დავინახავთ, როგორ შეეცდება ისრაელი თავისი პრობლემების მოგვარებას და სულაც არ სცალია ირანზე შეტევისთვის; მთავარია, თავი გადაირჩინოს.

**ნებისმიერ შემთხვევაში აქედანვე ცხადია, რომ, როგორიც არ უნდა იყოს მომავალი ომის კონფიგურაცია, ის სირიასთან დაიწყება, ზუსტად ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო პოლონეთთან. თუნდაც ეს ფორმალური დასაწყისი იყოს, ამ ომის მომავალ მსხვერპლთათვის ფორმალურობას პრინციპული მნიშვნელობა აღარ ექნება.**

colonelcassad.livejournal.com

**ისრაელი ახლა გატეხილ ვარცლთან რჩება და მის წინაშე უკვე აფრიალდა იმ გამანადგურებელი ომის ნიშნები, რომელსაც დიდი ხანია ჰპირდებოდნენ**

# დავუწესოთ სანქციები გლობალისტებს!

**პირველი, რაც უნდა გაკეთდეს კარგად გამაგრებული მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, მისი დანარჩენი მსოფლიოსგან მოკვეთაა. ნატოს, აშშ-ის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, ყატარისა და სხვათა გლობალისტებმა ამ პრინციპის დემონსტრირება თვალსაჩინოდ მოახდინეს ლიბიაში. ჯერ ლიბიის ხალხს გარესამყაროსთან კონტაქტი გაუწყვიტეს, დააწესეს სავაჭრო და იარაღის ემბარგო ლიბიის ხელისუფლებისთვის, დაბლოკეს საზღვაო გზები და დაამყარეს კონტროლი საჰაერო სივრცეზე.**



## ლიბიაში «დაცვაზე პასუხისმგებლობა» ცალსახად მკვლელობების, რეჟიმის შეცვლისა და ნეოიმპერიალიზმის მშენებლობისკენაა მიმართული

მას შემდეგ, რაც ბენღაზის ამბოხებულთა ჯგუფებმა ნატოს ზურგით ქვეყნის რეგიონების წმენდა ჩაატარეს და თავიანთ გზაზე ძალადობა, მკვლელობა და სრული დაუნდობლობა დათესეს, გლობალისტებმა დაიწყეს ყველაზე მეტად დასახლებული ლიბიური ქალაქების ალყაში მოქცევა და იქ სურსათის, მედიკამენტების, ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდების შეწყვეტით ამბოხებათა პროვოცირება. მათ, პირდაპირი გაგებით, შიმშილითა და წყურვილით აიძულეს ადამიანები, გამხდარიყვნენ მორჩილნი. **ის, რომ ლიბიის ხალხს ჯერ კიდევ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ სტრატეგიას, ნატოს არაკომპეტენტურობისა და ლიბიელ ამბოხებულთა შორის ხასიათის, საერთო ადამიანური თვისებებისა და სულიერი ძლიერების არარსებობის დამსახურებაა.** როგორც ზემოჩამოთვლილის შედეგი, ქალაქების ალყაში მოქცევა და ლიბიელი ხალხის იზოლაციის პროცესი ჩავარდა.

**ნამდვილ მწვალებლობად გამოიყურება გაეროს სანქციები ლიბიაში ნატოს სამხედრო შეჭრასთან დაკავშირებით.**

„დაცვაზე პასუხისმგებლობის" აბსოლუტურად გაუმჭვირვალ ნორმაზე დაფუძნებული სანქციები უკვე გახდა ლიბიის ქალაქებიდან მოსახლეობის მასობრივი გაქცევის მიზეზი, მოსახლეობის, რომელიც ნატოს ადანაშაულებს გენოციდში, სკოლების, საავადმყოფოების, სახლების დაბომბვასა და უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობებში. გარდა ამისა, **ნატოს წყალობით ლიბიის მთელი ქალაქები დაიცალა, მათ მოსახლეობას გარს შემოერტყნენ და დახოცეს. გადარჩენილები გაყარეს, მათი ქონება კი მიითვისეს. მაგალითად, ქალაქ ტავარგაში ათი ათასობით მოქალაქეს ამბოხებულებმა სამუდამოდ აუკრძალეს შინ დაბრუნება.**

მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელებს დახმარება სთხოვეს ევროპაში ფაშიზმთან და ცენტრალურ აზიაში იმპერიალიზმთან ბრძოლაში, ხელი შეეშალა გერმანიისა და იაპონიის დანაშაულებებისთვის მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტის წინააღმდეგ. წარსულის გადახედვით შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანელები და ამერიკელები არანაკლებ დამნაშავენი იყვნენ საკუთარ იმპერიებში, მაგრამ დროებით დაივიწყეს იმპერიის კეთილგანწყობა ნამდვილად კეთილშობილური საქმისთვის — კაცობრიობის თავისუფლებისთვის. ახლა ვინ ჩაიდენს ამგვარ კეთილშობილურ საქმეს — გამოვა ნატოს, აშშ-ის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, ყატარისა და მათ წინააღმდეგ, ვინც მხარს უჭერს არალეგიტიმურ გაეროს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს და სხვა ანგარებიან საერთაშორისო ინსტიტუტებს?

**მხოლოდ ლიბია ხომ არ ჩავარდა ამ მდგომარეობაში? ავღანეთი ათწლიანი ოკუპაციისგან იტანჯება; ეს ომი ბანკირების, იმ კორპორატიულ-ფინანსური კარტელების ხელშია, რომლებიც საკუთარ თავს „გლობალისტებს" უწოდებენ. ერაყი ასევე იტანჯება უცხოელი ინტერვენტებისგან სამუდამოდ დავალებული მარიონეტული ხელისუფლების ხელში. უგანდელი ხალხი, ფაქტობრივად, ისე განადგურდა, რომ ანგლო-ამერიკელმა ბანკირებმა ვალუტის ნაცვლად „ნახშირბადის კრედიტებზე" დაფუძნებული მორიგი ფინანსური პირამიდა ააშენეს. ნებისმიერი, ვინც გაიაზრებს, რა ასტრონომიული მოცულობის რესურსებია „გლობალისტების" განკარგულებაში, უბრალოდ, განცვიფრდება და აუცილებლად გაუჩნდება კითხვა — ვინ და როგორ აღუდგება წინ მათ, ვისთვისაც ადამიანთა უფლებები და ადამიანის სიცოცხლეც კი აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს.**

პასუხი მუდმივად ჩვენს თვალწინაა, როდესაც კორპორაციების კუთვნილ გაზეთებს, ასეთსავე სატელევიზიო გადაცემებს ვუყურებთ — მუდამ, როცა სიტყვა „სანქციები" გვესმის, უბრალოდ, ვალდებულნი ვართ, თავზე დავამხოთ მათივე საკუთარი სანქციები და ამისათვის გაეროს ნებართვაც კი არაა საჭირო. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს არ შეუძლიათ რაიმე ისეთი გააკეთონ, რასაც თანამედროვე სახელმწიფოები ვერ შეძლებენ. ბევრ შემთხვევაში ადამიანებს შეუძლიათ ადგილობრივ დონეზე შეზღუდონ ამგვარი კორპორაციების მოღვაწეობა.

გლობალისტებმა მათ მიერვე გამოცხადებულ კანონზე დაფუძნებული „საერთაშორისო წესრიგის" დამყარების ორპირობა აჩვენეს — აქ კანონი ეხება ყველას, მაგრამ არა თავად მათ, ვინც თავხედურად არღვევს თვით საკუთარ მანდატებს, ბრძანებებსა და დადგენილებებს, როცა მოუნდებათ. **ლიბიაში „დაცვაზე პასუხისმგებლობა" ცალსახად მკვლელობების, რეჟიმის შეცვლისა და ნეოიმპერიალიზმის მშენებლობისკენაა მიმართული.** ეს ყველაფერი განხორციელდა იმდენად სწრაფად, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს №1973 დადგენილებაზე ტიპოგრაფიულმა საღებავმაც ვერ მოასწრო შეშრობა. **ცსს-ს მიერ ჯერ კიდევ 30 წლის წინ დაგეგმილი ლიბიის ასალები მოქმედებები მსოფლიო საზოგადოებას მიეწოდება „ჰუმანური ინტერვენციის" სახით. ამრიგად, გლობალისტებმა აჩვენეს, რომ მათ არ ძალუძთ კაცობრიობაზე ბატონობა და რომ აუცილებელია, ნებისმიერ ფასად განხორციელდეს კაცობრიობისგან მათი ჩამოშორება თავიანთი უაზრო „მსოფლიო მმართველობის" იდეებთან ერთად.**

გლობალისტებმა ასეთ შთამბეჭდავ სიმძლავრეს ჩვენი ყოველმხრივი მონაწილეობით მიაღწიეს. ჩვენ ყოველდღიურად, ყოველთვიურად, ყოველწლიურად თაობიდან თაობამდე ვუხდიდით ფულს იმ უზარმაზარ და მუდმივად მზარდ კორპორაციებს, რომლებიც დღეს მსოფლიო ელიტას შეადგენენ. ჩვენ ვირჩევთ საყიდლებისთვის მათ მაღაზიებს, ვყიდულობთ მათ საქონელს, ვსარგებლობთ მათი მომსახურებით, ვიყენებთ მათ ვალუტას და ვინახავთ მას მათსავე ბანკებში. ჩვენ ვხარჯავთ საკუთარ დროს, ენერგიასა და ყურადღებას მათ მიერ დაფინანსებული შოუების, თუნდაც ფეხბურთისა თუ კალათბურთის, ყურებაზე. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ქვეყნის ბედი არჩევნებზე წყდება, რომ რეალური ცვლილებებისკენ მიმავალი ერთადერთი გზაა რამდენიმე კორუმპირებული, ანგარებიანი, საკუთარი თავის მსახური პოლიტიკოსიდან ერთადერთის არჩევა. ეს პოლიტიკოსები, ცხადია, ემსახურებიან გლობალისტებს და არა ხალხს. **სინამდვილეში ჩვენ ხმას ვაძლევთ ყოველდღე, თანაც ბევრად უფრო ეფექტური და შორს მიმავალი ხმის მიცემის უფლებით, ვიდრე ეს არჩევნების დღეს ხდება. ჩვენ ხმას ვაძლევთ გლობალისტებს ჩვენი შენაძენებით, თავისუფალი დროის გატარების არჩევით და იმით, თუ როგორ ვიყენებთ ჩვენს განკარგულებაში არსებულ რესურსებს.**

**თუ არ გადავუხდით კორპორაციებს, არ დავტკბებით მათი გასართობებით, კორპორაციებს მათ მიერ დაგროვილი ძალის მნიშვნელოვან ნაწილს წავართმევთ. ცხადია, ეს ერთი დღის საქმე არაა, ეს დროს მოითხოვს, მაგრამ, თუ ვერ შევძლებთ, შესაძლოა, არც კი ვიმსახურებთ თავისუფლებასა და აყვავებას. შეიძლება შევეშვათ მხსნელი გმირების ძებნას, საჭიროა, უბრალოდ, სარკეში ჩახედვა. ჩვენი გადარჩენის გასაღები ჩვენვე ვართ, ჩვენს ინტერესებზე ვერავინ იზრუნებს იმაზე უკეთ, ვიდრე თავად ჩვენ.**

ამიტომ საკუთარ თავზე ავიღოთ ვალდებულება და დავუწესოთ „სანქციები" გლობალისტებს. მოვახდინოთ იმ დეგენერატული მანიაკების მსოფლიოდან იზოლირება, რომელთაც ასე სწყურიათ დომინირება. დაე, ცარიელი იყოს მათი სტადიონები, გაკოტრდნენ მათი ავიაკომპანიები, მაღაზიები, ბანკები... ჩამოვაშოროთ ბიზნესს სამუდამოდ. მათ ხომ უდავოდ მოახდინეს იმის დემონსტრირება, რომ არაფრით გვანან გამოქვაბულებში დამალულ ფუნდამენტალისტებს ან ლიბიელ პოლკოვნიკებს. ისინი კაცობრიობის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ.

mixednews.ru

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ობამას ადმინისტრაცია ავრცელებდა ინფორმაციას შახლაის ტერორისტულ წარსულთან დაკავშირებით, რათა გაეზარდა მკვლელობის მიზნით შეთქმულებაში მისი მონაწილეობის შესახებ განცხადებათა სარწმუნოობა.

# ამერიკის ხელისუფლება ცრუ ინფორმაციას ავრცელებს

**ბარაკ ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლები ბოლო დროს აქტიურად არიან დაკავებული თითქოსდა სადაზვერვო ინფორმაციის გაჟონვის საქმით და ამით ამყარებენ საკუთარ მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ ირანის ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის ორი მაღალჩინოსანი ჩართულია ვაშინგტონში საუდის არაბეთის ელჩის — ადელ ალ-ჯუბეირას მკვლელობასთან დაკავშირებულ შეთქმულებაში.**

ამგვარი „გაჟონვების“ შედეგად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩენილი სტატიები ხელს უწყობს პრესის ყურადღების მოდუნებას იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომ, მიუხედავად აშშ-ის ადმინისტრაციის მრავალრიცხოვანი განცხადებისა, თავდასხმის მოჩვენებით გეგმაში ოფიციალური თეირანის მონაწილეობის რაიმე მტკიცებულება არ არსებობს.

გახმაურებული ინფორმაციის მთავარი ფიგურანტი გახლავთ აბდულ რეზა შახლაი, რომელიც ობამას ადმინისტრაციამ ოფიციალურად ამოიცნო, როგორც ირანის ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის შემადგენლობაში შემავალი სპეცქვედანაყოფის „ალ-კუდსის“ მეთაურის მოადგილე. **ამერიკის ხელისუფლება, უკვე დიდი ხანია, შახლაის „ალ-კუდსსა“ და შიიტელი კლერიკალის მუქტადა ალ-სადრის ირანულ მახდის არმიას შორის მოკავშირედ მიიჩნევს. ახლა ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ივნისში დაწყებული ოპერაციის მიზანი ტერორისტულ შეთქმულებაში შახლაის მონაწილეობის დემონსტრირება იყო.**

ოფიციალურად ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობდა ადმინისტრაციის ნარკოტიკების გამოყენებაზე კანონების გამოყენების კონტროლის ინფორმატორი, ირანული წარმოშობის ამერიკელის — მანსურ არბაბსიარის გამოვლენას ისახავდა მიზნად.

ამ ინფორმატორისაგან ამერიკელებმა გაიგეს, რომ არბაბსიარი აცხადებდა, თითქოს შახლაი მისი ნათესავი იყო.

2008 წლის სექტემბერში აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ შახლაის უწოდა ადამიანი, რომელიც „ფინანსურ, მატერიალურ და ტექნიკურ დახმარებას უზრუნველყოფდა ძალადობის იმ აქტების განხორციელებისთვის, რომლებიც ერაყში მშვიდობასა და სტაბილურობას უქმნიდა საფრთხეს“ და მის წინააღმდეგ კონკრეტული ფინანსური სანქციები დააწესა. ამ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ შახლაი 2006 წელს „მატერიალურ დახმარებას“ უწევდა მახდის არმიას და რომ 2007 წლის იანვრისთვის გეგმავდა მახდის არმიის სპეციალური ჯგუფების თავდასხმას ამერიკულ ჯარებზე კარბელში, პროვინციულ კოორდინაციულ ცენტრში.

როგორც გამოძიების ფედერალური ბიურო აღნიშნავს, არბაბსიარი თავის აღიარებაში ირწმუნება, რომ შახლაი 2011 წლის გაზაფხულის დასაწყისში დაუკავშირდა მას და სთხოვა, ეპოვა „ვინმე ნარკობიზნესიდან“ აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩის გასატაცებლად. არბაბსიარი აცხადებს, რომ შახლაიმ მას ხარჯებისთვის ათასი დოლარი მისცა.

მაგრამ არბაბსიარის ბრალდებებში შახლაის წინააღმდეგ ანგარებიანი ინტერესები იმალება. არბაბსიარი აღმოჩნდა შახლაის წინააღმდეგ საქმის ცენტრში და სურს, რომ სასამართლომ მის მიმართ შემწყნარებლობა გამოიჩინოს განაჩენის გამოტანისას.

გამოძიების მსვლელობის თაობაზე გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ წარდგენილ ანგარიშში არაა არავითარი მინიშნება დამოუკიდებელ მტკიცებულებებზე არბაბსიარის ჩვენებასთან დაკავშირებით, რომ თითქოს შახლაი ელჩის მკვლელობის საქმეში იყო ჩართული.

**ობამას ადმინისტრაცია ავრცელებდა ინფორმაციას შახლაის ტერორისტულ წარსულთან დაკავშირებით, რათა გაეზარდა მკვლელობის მიზნით შეთქმულებაში მისი მონაწილეობის შესახებ განცხადებათა სარწმუნოობა.**

ჩაუყარა რა საფუძველი ამ თემაზე საგაზეთო მასალების მომზადებას, ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა შახლაის, არბაბსიარისა და „ალ-კუდსის“ სამი ხემძღვანელი პირის მხრიდან მკვლელობის მიზნით მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო მათ წინააღმდეგ სანქციების დაწესების თაობაზე.

მაიკლ აიზიკოფმა კი NBC News-დან იმავე დღეს გამოაცხადა, რომ შახლაი „ადრე ბრალდებული იყო რთული ტერორისტული აქტის მომზადებაში და ამ აქტს ერაყში ხუთი ამერიკელი სამხედროს სიცოცხლე შეეწირა. ამის თაობაზე აღნიშნული იყო რამდენიმე დღის წინ ამერიკელი ოფიციალური პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და დოკუმენტებში“.



**ამერიკის ხელისუფლება, უკვე დიდი ხანია, შახლაის «ალ-კუდსსა» და შიიტელი კლერიკალის — მუქტადა ალ-სადრის ირანულ მახდის არმიას შორის მოკავშირედ მიიჩნევს**

აიზიკოფმა, რომელსაც NBC News-ში „ჟურნალისტური გამოძიებების ნაციონალურ ავტორს“ უწოდებენ, აცხადებს, რომ 2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ შახლაი ტერორისტების სიაში შეიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ თავის განცხადებაში სამინისტროს არ გამოუყენებია სიტყვა „ტერორისტი“.

რამდენიმე დღის წინ „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა მასალა, რომელიც ძალიან ჰგავს აიზიკოფის სტატიას. მაგრამ ეს გაზეთი უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ აქვს შახლაის ბრალეულობის ნივთმტკიცებები, რაც 2007 წლის იანვარში მის მიერ ქაბულში შეტევის ორგანიზებას ადასტურებს. „ვაშინგტონ პოსტის“ რეპორტიორი პიტერ ფინი წერს, რომ შახლაი ცნობილია, როგორც დაუმარცხებელი ძალა, რომელიც კლერიკალ მუქტადა ას-სადრის ელიტური ქვედანაყოფების ბოევიკებს ეფარება, მათ კი, თავის მხრივ, 2007 წლის იანვარში ქაბულში ამერიკულ ჯარებზე თავდასხმა განახორციელეს.

**ფინს მოჰყავს ის გარემოებები, რომ ფინანსთა სამინისტრომ შახლაის ირანში სადრის ბოევიკების სწავლების საქმეში კოორდინატორი და საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ადამიანი უწოდა. მოცემული ფაქტი თავისთავად არ წარმოადგენს ამერიკელებზე თავდასხმებში მისი მონაწილეობის მტკიცებულებას. პირიქით, ეს იმაზე მეტყველებს, რომ შახლაი მახდის არმიის ოპერატიული საქმეებით არაა დაკავებული.**

ამის შემდეგ ფინს მოჰყავს 22-გვერდიანი სამუშაო ჩანაწერი, რომელშიც ოპერაციის მზადების დეტალებია აღწერილი და საუბარია „ალ-კუდსის“ მონაწილეობაზე. მაგრამ მას არ მოჰყავს არანაირი მტკიცებულებები ხსენებულ ოპერაციასთან შახლაის უშუალო კავშირის შესახებ.

სინამდვილეში ქაბულში თავდასხმიდან რამდენიმე თვეში ამერიკულმა მთავრობამ განაცხადა, რომ ოპერაციის განხორციელებაში ირანის მონაწილეობის დამამტკიცებელ ვერანაირ მტკიცებულებებს ვერ მიაგნო.

რამდენიმე კვირით ადრე აღმოჩენილ ამ სამუშაო ჩანაწერზე რეპორტიორებთან საუბრისას 2007 წლის 26 აპრილს გენერალმა დევიდ პეტრეუსმა აღიარა, რომ მასში არაფერი ადასტურებს თუნდაც ერთი ირანელის მონაწილეობას ქაბულის ოპერაციაში. როდესაც ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა მას, არსებობს თუ არა ქაბულის ოპერაციაში ირანული კვალის დამადასტურებელი მტკიცებულებები, პეტრეუსმა განაცხადა: **„არა, არა და არა. ჩვენ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ირანის მონაწილეობის პირდაპირი მტკიცებულებები არ გაგვაჩნია“.**

2007 წლის 2 ივლისს ბაღდადში გამართულ ბრიფინგზე გენერალმა კევინ ბერგნერმა დაადასტურა, რომ ქაბულზე განხორციელებული თავდასხმის ბრძანება ერაყელი ბოევიკების მეთაურმა კაის ხაზალიმ გასცა და არა ირანის წარმომადგენლებმა.

ქაბულის მეოთხე ბრიგადის საბრძოლო ჯგუფის მეთაურმა, პოლკოვნიკმა მაიკლ გერეტმა სტატიის ავტორს 2008 წლის დეკემბერში დაუდასტურა, რომ ქაბულზე თავდასხმა ცალსახად შიდა საქმე იყო.

**„ალ-კუდსის“ ქვედანაყოფის მეთაური გენერალ-მაიორი კასემ სოლეიმანი აღმოჩნდა იმ ირანელი ხელმძღვანელების სიაში, რომლებიც ტერორისტულ შეთქმულებასთან კავშირში ითვლებოდნენ, რადგან ის ხელმძღვანელობს ირანის ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსისა და „ალ-კუდსის“ იმ ოფიცრებს, რომლებიც თავდასხმის მომზადებაში მონაწილეობდნენ. ამის შესახებ საუბარია ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში.**

მაგრამ სააგენტო როიტერმა თავის რეპორტაჟში განაცხადა, რომ ამერიკის დაზვერვამ გამოაქვეყნა ცნობა ასი ათასი დოლარის ოდენობის ორი გადარიცხვის თაობაზე. ეს თანხა არბაბსიარის თხოვნით გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ კონტროლირებად საბანკო ანგარიშზე გაიგზავნა. სააგენტომ განაცხადა, რომ ეს ამტკიცებს სოლეიმანის მონაწილეობას მკვლელობის მიზნით ორგანიზებულ შეთქმულებაში.

„მიუხედავად იმისა, რომ დეტალები ამ დრომდე გასაიდუმლოებულია, ერთმა თანამშრომელმა თქვა, რომ გადარიცხვებზე იყო რაღაც განმასხვავებელი ნიშანი, რაც იმას აჩვენებდა, რომ ისინი პირადად სოლეიმანმა დაამტკიცა,“ — წერდნენ მარკ ჰოზენბოლო და კარენ ბოჰანი.

მაგრამ იმის ვარაუდი, რომ სასამართლო ექსპერტიზა როგორმე შეძლებს დაადგინოს, ვინ დაამტკიცა გადარიცხვები, დამაბნეველია. ფული შევიდა უცხოეთში მდებარე ორი სხვადასხვა არაირანული ბანკიდან, რაზეც გამოძიების ფედერალური ბიუროს ანგარიშშია ნათქვამი. ამიტომ დოკუმენტებით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ დაამტკიცა გადარიცხვები.

**„წარმოდგენა არ მაქვს, რა განმასხვავებელი ნიშანი შეიძლება იყოს ეს,“** — განაცხადა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონტრტერორისტული ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა პოლ პილარმა, რომელიც ასევე მუშაობდა ახლო აღმოსავლეთში ნაციონალურ დაზვერვაში 2005 წელს, გადადგომამდე.

პილარმა განაცხადა, რომ განმასხვავებელი ნიშნების თაობაზე განცხადებები ხშირად ჩნდება ტერორისტული აქტების შემდგომ კომენტარებში, მაგრამ ამ დროს, როგორც წესი, ამბობენ, რომ მოცემული ტერორისტული აქტის ჩატარებისას გამოყენებული მეთოდი შეესაბამება ამა და ამ დაჯგუფებას.

**„იდეა განმასხვავებელი ნიშნების თაობაზე, როგორც წესი, თავდასხმის ამა თუ იმ მეთოდს ამა თუ იმ დაჯგუფებას აკუთვნებს, მაგრამ სინამდვილეში ასე არაა. ვფიქრობ, იგივე შეიძლება ითქვას ფულის გადარიცხვის მეთოდებზე,“** — ამბობს პილარი.

**ქაბულში თავდასხმიდან რამდენიმე თვეში ამერიკულმა მთავრობამ განაცხადა, რომ ოპერაციის განხორციელებაში ირანის მონაწილეობის დამამტკიცებელ ვერანაირ მტკიცებულებებს ვერ მიაგნო**

warandpeace.ru

**მიუხედავად დაკავებებისა და სიცივისა, მთელს მსოფლიოში პროტესტების მონაწილეებმა გამოავლინეს ძლიერი ნება — დარჩნენ თავიანთი ქალაქების ქუჩებში მანამ, ვიდრე ხელისუფლება ყურად არ იღებს მათ მოთხოვნებს.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპის აღება

**მოძრაობა „აიღე უოლ-სტრიტი“, რომელიც ნიუ იორკში ერთ თვეზე მეტია, მძვინვარებს, ბოლო პერიოდში ნახევარ მსოფლიოს მოედო. ხელისუფლებისა და ფინანსური დაწესებულების პოლიტიკის მიმართ პროტესტის ნიშნად ასი ათასობით ადამიანი მსოფლიოს 82 ქვეყნის 951 ქალაქში ქუჩებში გამოვიდა. ზოგან დემონსტრაციები მშვიდობიანად მიმდინარეობდა, ზოგან — პოლიციასთან შეტაკებებით, მასობრივი დაკავებებითა და დარბევებით.**



განსაკუთრებით მღელვარენი აღმოჩნდნენ რომაელი მანიფესტანტები. ზოგიერთი მონაცემების თანახმად, იტალიის დედაქალაქში დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო 200 ათასამდე ადამიანმა, მათ მიერ ქალაქისადმი მიყენებულმა ზიანმა კი დაახლოებით ორ მილიონამდე ევრო შეადგინა (თუ მხოლოდ ქალაქის ქონებისა და ინფრასტრუქტურისთვის მიყენებულ ზიანს დავითვლით, ზარალი მილიონ ევროს შეადგენს, მაგრამ თუ ამას გაძარცვული მაღაზიებისა და დამწვარი ავტომანქანების მფლობელთა დანაკარგებსაც მივამატებთ, მაშინ ეს მაჩვენებელი ორ მილიონს აღწევს).

**აქტივისტთა ჯგუფები ამტვრევდნენ ვიტრინებს და ჩხუბობდნენ პოლიციელებთან; ვიღაცამ იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ხანძრის გაჩენაც კი მოინდომა. მხოლოდ 15 ოქტომბრის მოვლენების შედეგად რომში 135 ადამიანი დაზარალდა, მათგან 100 წესრიგის დაცვის ორგანოების თანამშრომელია.**

აღინიშნება, რომ დაზარალებულ მანიფესტანტებს შორის ყველაზე გავრცელებული ტრამვები იყო დამწვრობები და ხელების ტრამვები, რაც ასაფეთქებლებმა განაპირობა.

რამდენიმე დღის წინ რომის პოლიციაში განაცხადეს, რომ არეულობებთან დაკავშირებით დაკავებულია 20 ადამიანი. მას შემდეგ, რაც პოლიციელები ვიდეოდაკვირვების კამერების ჩანაწერებს სრულად შეისწავლიან, დაკავებულთა რაოდენობა, სავარაუდოდ, ბევრად გაიზრდება. იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა რობერტო მარონიმ უკვე განაცხადა, რომ ქალაქის დარბევაში მონაწილეებს სამაგალითოდ დასჯიან.

ამასთან, იგულისხმება, რომ არეულობების უკან დაახლოებით რამდენიმე ასეული ადამიანი დგას. გამორიცხული არაა, რომ, როგორც ეს ხშირად ხდება, ქუჩის მასობრივი გამოსვლებით შესაძლოა რომელიღაცა რადიკალურმა დაჯგუფებებმა ისარგებლეს. **პოლიციელები ეჭვობენ, რომ ამჯერად ამგვარი მოსარგებლეები ორგანიზაცია „შავი ბლოკის“ ანარქისტები იყვნენ. აღინიშნება, რომ დარბევების განსაკუთრებით აქტიური მონაწილეები ქუჩებში წინასწარი განზრახვით გამოვიდნენ დამცავი შლემებით. უფრო მეტიც, La Repubblica მოვლენების ერთ-ერთ მონაწილეზე დაყრდნობით იტყობინებოდა, რომ რომაელი დამრბევები რეგულარულად დადიოდნენ ათენში, სადაც ბერძენი თანამოაზრეებისგან „ქუჩის არეულობათა ხელოვნებას“ სწავლობდნენ.**

იმავე წყაროს ცნობით, რომელმაც, ცხადია, საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, რომის არეულობებში 800-მა პროფესიონალმა ქუჩის ხულიგანმა მიიღო მონაწილეობა. 500 მათგანი პოლიციასთან შეტაკებაში მონაწილეობდა, დანარჩენ სამასს კი ზურგის გამაგრება ჰქონდა დავალებული. მისივე მონათხრობიდან გაირკვა, რომ ამ გამოსვლებისთვის დამრბევები მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკის ანალოგიური ანტიკაპიტალისტური დემონსტრაციების სარჩული უბრალოდ ხელსაყრელად მოერგო ისედაც დაგეგმილ აქციებს.

ამას ისიც ადასტურებს, რომ ევროპის, აზიისა და ამერიკის დანარჩენ 950 ქალაქში, სადაც 15 ოქტომბერს ასევე გაიმართა ქუჩის მასობრივი გამოსვლები, არეულობები და დარბევები არ დაფიქსირებულა. უფრო მეტიც, სხვა ქალაქების აქციათა აქტივისტებმა მწუხარება გამოთქვეს იმის გამო, რომაელმა დამრბევებმა ბოროტად გამოიყენეს მათი პრინციპულად მშვიდობიანი დემონსტრაციების იდეა.

ამ ყველაფერთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მრავალ სხვა ქალაქში დემონსტრანტების რაოდენობა რომისას დიდად არ ჩამოუვარდებოდა. მაგალითად, **მადრიდში კიბელის მოედნიდან პუერტა-დელ-სოლის მოედნამდე მარშში რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი მონაწილეობდა. დაახლოებით ოცი ათასი (სხვა მონაცემებით — 50 ათასი) ადამიანი გამოვიდა ქუჩაში ლისაბონში, ანალოგიურ მარშში მონაწილეობის მისაღებად. ლონდონურ მარშში 10 ათასი მოქალაქე მონაწილეობდა, თუმცა მათ შორის იყვნენ ნიღბიანი დემონსტრანტებიც და პოლიციასთან წვრილმანი შეტაკებებიც დაფიქსირდა. კიდევ დაახლოებით 10 ათასი ადამიანი მონაწილეობდა ბერლინის დემონსტრაციებში. პოლიციელები იძულებულნი გახდნენ, შეეჩერებინათ ადამიანები, რომლებიც ბუნდესტაგის აღებას ცდილობდნენ, თუმცა, ამ ყველაფერს მოქალაქეთა დაკავება არ მოჰყოლია.**




მთლიანობაში გერმანიის 50 ქალაქში ქუჩაში 40 ათასამდე ადამიანი გამოვიდა. ფრანკფურტში, სადაც ადგილობრივ, ამერიკულის მსგავს მოძრაობას „აიღე ფრანკფურტი“ უწოდეს, პატარ-პატარა მიტინგები რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, ამის შემდეგ კი დაახლოებით 200 აქტივისტი ევროპის ცენტრალური ბანკის წინ გაშენებულ კარვების ქალაქში დარჩა.

**რაც არ უნდა უცნაური იყოს, ათენისა და სალონიკის მოსახლეობამ გადაწყვიტა, ამჯერად აქციებში მონაწილეობა არ მიეღო — ამ ქალაქებში ქუჩაში დაახლოებით ორი ათასი მოქალაქე გამოვიდა. უფრო ნაკლები მონაწილე იყო კანადის, შვედეთის, მექსიკის, პერუს, ჩილეს, ავსტრალიის, იაპონიის, სამხრეთ კორეისა და ჰონკონგის ქალაქებში გამართულ დემონსტრაციებში.**

ზოგან უმუშევრობითა და ბანკებისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფით უკმაყოფილო ამერიკელებს გამოუცხადეს სოლიდარობა, ზოგან კი აქციის მონაწილეებმა საკუთარი ხელისუფლების პოლიტიკა გააპროტესტეს.

გამოსვლები გრძელდებოდა საპროტესტო მოძრაობის სამშობლოში — ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ნიუ იორკში ტრანსპარანტებითა და პლაკატებით აღჭურვილი 10 ათასამდე ადამიანი მანჰეტენის ფინანსური ცენტრის გვერდით მდებარე ცუკოტის პარკში შეიკრიბა. დემონსტრაცია გაიმართა თაიმს-სკვერშიც. მხოლოდ 15 ოქტომბერს ქალაქში 70-ზე მეტი ადამიანი დააკავეს. ჩიკაგოში საპროტესტო აქციაში, რომელიც გრანტ-პარკში მიმდინარეობდა, სულ რამდენიმე ასეული ადამიანი მონაწილეობდა, მაგრამ მათგან 175-მა საკანში ამოჰყო თავი პარკის დაკეტვის შემდეგ მისი ტერიტორიის დატოვებაზე უარის გამოცხადების გამო.

**საერთოდ, მიუხედავად დაკავებებისა და სიცივისა, მთელს მსოფლიოში პროტესტების მონაწილეებმა გამოავლინეს ძლიერი ნება — დარჩნენ თავიანთი ქალაქების ქუჩებში მანამ, ვიდრე ხელისუფლება ყურად არ იღებს მათ მოთხოვნებს.**

ამავე დროს, ხელისუფლებასთან დიალოგის იმედი აქტივისტებს ნაკლებად აქვთ — თავად მიმტაცებლური მოძრაობის გაჩენა იმით იყო გაანპირობებული, რომ ადამიანები ხელისუფლებამდე ხმის მიწვდენის შეუძლებლობის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. გარდა ამისა, მოთხოვნები ჩამოყალიბებულია ძალზე არაკონკრეტულად: **„საკმარისია ჩვენი ფულის ხარჯვა“, „შეგვიქმენით სამუშაო ადგილები“, „გამოყავით ფინანსური დახმარება ხალხისთვის და არა ბანკებისთვის“** — ეს ყოველივე უფრო პროტესტის გამოხატვაა, ვიდრე კონკრეტული რეფორმებისაკენ მოწოდება. საუბარი აღარაა ლოზუნგზე **„მდიდარო, გაფრთხილდი!“** და სხვა რევოლუციურ სლოგანებზე.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოძრაობას პერსპექტივა არ აქვს. იმ ასი ათასობით დოლარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელსაც თანაგრძნობით აღსავსე ხალხი პროტესტანტების საჭიროებებისთვის ხარჯავს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „დამპყრობლები“ იქამდე არ გაჩერდებიან, ვიდრე მათი პრეტენზიები კონკრეტულ მოთხოვნებად არ ჩამოყალიბდება.

**Lenta.ru**

## საპროტესტო აქციების ახალი ტალღა

**შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და ავსტრალია საპროტესტო აქციების ახალმა ტალღამ მოიცვა.** „ოკუპაცია“ — ამ ლოზუნგით ათასობით ადამიანი პროტესტს სოციალურ უთანასწორობას უცხადებს. შეერთებულ შტატებში აქციას უკვე მდიდარი ამერიკელებიც შეუერთდნენ. ავსტრალიაში კი დემონსტრაცია პოლიციასთან შეტაკებით დასრულა.

## ირანი და სომხეთი ითანამშრომლებენ

**ირანი და სომხეთი სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ.** ირანის შინაგან საქმეთა მინისტრი მუსტაფა ნაჯარი სომხეთს სომეხი კოლეგის მიწვევით ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით 6-7 ნოემბერს ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში მხარეები ორმხრივი ურთიერთობებისა და სასაზღვრო სფეროში უსაფრთოების კუთხით თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ.



## საბერძნეთის პარლამენტმა ანტიკრიზისული გეგმა დაამტკიცა

**ანტიკრიზისული გეგმა, რომელსაც მომიტინგეები აპროტესტებენ, საბერძნეთის პარლამენტმა ათი ხმის უპირატესობით დაამტკიცა.** კანონპროექტის ერთ-ერთმა აქტიურმა დამცველმა, ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატების უმრავლესობის დარწმუნება გადაწყვეტილების სისწორეში მაინც მოახერხა. მიუხედავად იმისა, რომ ათი ათასობის მოქალაქე პარლამენტის გარეთ კანონპროექტის მიღებას აპროტესტებმა, კანონმდებლებმა შექმნილ ვითარებაში ხელფასების შემცირება და გადასახადების გაზრდა მაინც საჭიროდ ჩათვალეს. მსგავსი ანტიკრიზისული გეგმის მიღება საბერძნეთს ახალი, ას ცხრა მილიარდიანი ტრანშის მისაღებად სჭირდება.

მოკლედ

## ევროზონის გადასარჩენად

**ევროზონის გადასარჩენად ანტიკრიზისული სამოქმედო გეგმა საბოლოოდ 26 ოქტომბრისთვის იქნება წარმოდგენილი, თუ ამაზე ბერლინსა და პარიზს შორის აზრთა სრული თანხვედრა ექნება.** ჯერ კიდევ ივლისში გადაწყდა, რომ საბერძნეთისთვის დახმარების მეორე პროგრამის მოცულობა 160 მილიარდი ევრო უნდა ყოფილიყო, საიდანაც 109 მილიარდს მსოფლიო სავალუტო ფონდი და ევროზონის ქვეყნები რიცხავდნენ, დანარჩენი კი კერძო ბანკების მიერ განხორციელებული საბერძნეთის ვალის რესტრუქტურიზაციით იქნება მიღებული. საფრანგეთსა და გერმანიას შორის აზრთა სხვადასხვაობა სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია.



## ათენის ქუჩებში შეტაკებები გრძელდება

**ათენის ქუჩებში შეტაკებები გრძელდება. ბოლო მონაცემებით, არეულობის შედეგად დაღუპულია ერთი ადამიანი, ხოლო დაშავებულია — ასამდე.**

ანტიკრიზისული კანონპროექტის მიღების პროცესში ქალაქის ქუჩებში 70 ათასამდე მოქალაქე, ძირითადად, ახალგაზრდები გამოვიდნენ. სამართალდამცავებთან მათი შეტაკება რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა. მომიტინგეთა მოთხოვნები კვლავ უცვლელი რჩება.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტოლსტოი ომს უცხადებს ფილოსოფიის, რელიგიისა და ეთიკის ტრადიციულ გაგებას და ქმნის ახალ, ზენაციონალურ, ზოგადსაკაცობრიო კრიტერიუმებს. ის ახალი დროის უდიდესი ერეტიკოსია, სულის ერეტიკოსი. მის მძლავრ ინდივიდუალობას არ ძალუძს ჩაჯდეს არანაირ კალაპოტსა და ჩარჩოებში. ტოლსტოის ბრძოლა შექსპირთან, გოეთესთან, ბეთჰოვენთან — ეს არის ტიტანის ბრძოლა ღმერთებთან.**

## ზვიად გამსახურდია:

# ლევ ტოლსტოი

**ლევ ტოლსტოისადმი მიძღვნილი ნარკვევი ზვიად გამსახურდიამ 1993 წლის აპრილში დაწერა და ის მაშინვე გამოქვეყნდა „ლიტერატურნაია გაზეტაში". ამ ნაშრომში ზვიად გამსახურდია უფრო მაღლა დგას, ვიდრე პოლიტიკოსი. ის უფრო მეტია, ვიდრე საზოგადო მოღვაწე, უფრო ღრმაა, ვიდრე სტატისტიკოსი და შემფასებელი.**

ლევ ტოლსტოი — მებრძოლი გიგანტი, დაუცხრომელი სული! იგი წარმოადგენს კაცობრიობის სულიერი მოწამეობრიობის საოცარ პერსონიფიკაციას ორი ასწლეულის ზღვარის მსოფლმხედველობრივი კატაკლიზმებისა და სოციალური ძვრების ფონზე. ევროპა და რუსეთი გარდაიქმნენ თვისებრივად ახალ ამალგამად მის ტიტანურ აზროვნებაში. კაცობრიობის ყველა ინტელექტუალური ძიებანი, აღმასვლა და ვარდნა აისახა მის შემოქმედებაში. ამასთანავე, იგი უპირისპირდება როგორც ევროპას, ასევე ტრადიციულ რუსეთს, როგორც საკუთარი ცხოვრების წესით, ასევე შემოქმედებითაც, თუმცა ერთდროულად წარმოგვიდგება როგორც ევროპელი, ასევე რუსული სულის მატარებელ ადამიანად.

**ტოლსტოი ომს უცხადებს ფილოსოფიის, რელიგიისა და ეთიკის ტრადიციულ გაგებას და ქმნის ახალ, ზენაციონალურ, ზოგადსაკაცობრიო კრიტერიუმებს. ის ახალი დროის უდიდესი ერეტიკოსია, სულის ერეტიკოსი.** მის მძლავრ ინდივიდუალობას არ ძალუძს ჩაჯდეს არანაირ კალაპოტსა და ჩარჩოებში. ტოლსტოის ბრძოლა შექსპირთან, გოეთესთან, ბეთჰოვენთან — ეს არის ტიტანის ბრძოლა ღმერთებთან. ამ გენიოსების სწორად გაგებისა და შეფასებისათვის ასეთ ბრძოლას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ათასობით ერთგული კრიტიკოსების, ლიტერატურათმცოდნეების, ფილოლოგების, აკადემიკოსების მონურ თაყვანისცემას, რომლებიც ოთხად მოხრილნი ამ ავტორიტეტების წინაშე წარმოთქვამენ არაკრიტიკულ დითირამბებს მათი მისამართით. ტოლსტოი კი ებრძვის თავის თანასწორებს; ეს არის თანასწორთა ტურნირი, მკაცრი დაუნდობელი ბრძოლა. **ამ ბრძოლაში და უარყოფაში ბევრად მეტი აღიარებაა, ვიდრე ტრაფარეტულ ქება-ხოტბაში, რომელიც მათ მიაგეს მთელმა რიგმა თაობებმა. აქ არნახული სიცხადით იხატება არა მარტო თვით ტოლსტოის ინდივიდუალობა, არამედ ამ ავტორთა ინდივიდუალობაც. ტოლსტოის მრისხანების შეურიგებელი ცეცხლი ანათებს მათ და თვით ტოლსტოისაც.** ეს წააგავს, აგრეთვე, იმ რაინდთა ბრძოლას, რომლებიც ამოიზარდნენ მითიური დრაკონის კბილებიდან და რომელიც იხილა არგონავტების წინამძღოლმა იაზონმა კოლხიდაში.

**ბეთჰოვენსა და ტოლსტოის ანათესავებს კიდევ ის, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია ჩაეტიოს ადამიანური ხელოვნების ჩარჩოებში.** ბეთჰოვენი ამბობდა: „არ არსებობს ჰარმონიის ან კონტრაპუნქტის კანონი, რომლის დარღვევაც არ შეიძლებოდეს უფრო სრულყოფილის, ამაღლებულისა და მშვენიერების ძიებისათვის". იგივე შეიძლება ვაქციოთ ტოლსტოის მთელი შემოქმედების დევიზად. ბეთჰოვენსა და ტოლსტოის საერთო ტრაგედია აქვთ: მეტისმეტად ვიწროა ადამიანის წარმავალი ყოფიერების დილეგი ამ გიგანტური სულებისათვის, მეტისმეტად ბოჭავს მათ სულიერების საწინააღმდეგო მიწიერება და მატერიალურობა. ტანჯვაწამება მატერიის ბორკილებში — ეს ზეადამიანების ტრაგედიაა. „შენ მიშველე რა ტყვექმნილსა, ჯაჭვნი მაბიან, რკინანი!", — ასე ევედრებოდა ავთანდილი ღმერთს, გამოხატავდა რა თვით რუსთაველის ტრაგედიას.

ბეთჰოვენი მიისწრაფვის ადამიანური, სმენადი მუსიკისაგან ზევით — კოსმიური მუსიკისაკენ, უნივერსალური ჰარმონიისაკენ, რომლის ასახვაც — მიწიერი, სმენადი მუსიკა — ზღუდავს და ბოჭავს მას. მისი მუსიკის მოსმენისას ლენინსაც კი, რომელიც უარყოფდა ყოველივე ზემიწიერს, ზეადამიანურს, წამოსცდა: „არაადამიანური მუსიკაა!" ბეთჰოვენი ებრძვის ნივთიერ, მატერიალურ ბორკილებს მუსიკაში და მისი მეცხრე სიმფონია — ამ ბორკილების მსხვრევის მქუხარე გამოძახილია. მისი „აპასიონატა" და 32-ე სიმფონია — ეს მატერიალური ბორკილებით შებოჭილი და შებორკილი პრომეთეს ტიტანური კვნესაა. ტოლსტოის კი ბოჭავს ადამიანური მორალისა და ეთიკის, ნაირგვარი ეთიკური მიმდინარეობების პირობითობა. **ტიტანის სული ეძიებს ახალ უნივერსალურ ზნეობრიობას, მხოლოდ ქრისტიანული ზნეობრიობის საფუძველზე იგი გააფთრებით ებრძვის ტრადიციულ მორალისა და რელიგიის დოგმებს.** მაგრამ, ვაი, რომ არ ძალუძს მოკვდავს, გადალახოს ეს ზღურბლი — სიამაყის, ულმერთობისა და ღვთისგან განდგომილობის ცოდვის გარეშე, რადგანაც „მოკვდავთათვის მიუღწეველია ზეციური განგების წვდომა" (ნ. ბარათაშვილი). ღმერთი კი, წმიდა მამათა სწავლებისთანახმად, „ზომიერად გაიზიარება თავისი განუზომელობით და იხსნება ჩვენს წინაშე იმ ზომით, რომელსაც ჩვენ დავიტევთ". მაგრამ ძნელია ამასთან შეგუება იმ სულებისათვის, რომლებიც ცდილობენ, გადააბიჯონ ადამიანური შესაძლებლობების ზღვარს. აქედან იწყება დოგმების, ადამიანური პირობითობის ნგრევა, მაგრამ ამავე დროს იწყება დემონური ანარქიზმის აღმოცენებაც, რასაც თან მოყვება, აგრეთვე, ღვთაებრივი სასჯელი. **ბეთჰოვენი კარგავს მუსიკის სმენითობით აღქმას, ტოლსტოი კი — რელიგიის, ეკლესიის გაგებას, ვინაიდან უარყოფს არსებულს, კონვენციალურ, მისთვის უკვე მოძველებულ რელიგიურობას, ეთიკას და იღუპება ახლის ძიებაში ღმერთებისაგან დასჯილის — იკაროსის მსგავსად. ის — არწივია, დაჭრილი ფრთებით, როგორც თვითონ აღნიშნავს თავის თავზე, რომელიც ამაოდ უცდის, რომ შეუხორცდება იმისათვის, რომ ხელახლა გაინავარდოს ცაში.** ბეთჰოვენს სწყურია ახალი, არგაგონილი, არარსებული მუსიკა, ტოლსტოის კი — ახალი, არარსებული ზნეობრიობა, რელიგია და რელიგიათმცოდნეობა. კონფლიქტს ტოლსტოისა და ბეთჰოვენს შორის გააჩნია კიდევ ერთი ასპექტი. ეს არის კონფლიქტი ზნეობასა და მუსიკას შორის. ტოლსტოი, ზნეობის გენიოსი, აღშფოთებულია უზნეო მუსიკით, რაც ყველაზე მეტად მოხვდა თვალში ბეთჰოვენის „კრეიცერის სონატის" მოსმენისას. აქ თვითონ ზნეობრივმა სულმა გამოუცხადა ომი მუსიკის დიონისურ სულს. აქ ერთმანეთს შეეჯახა ორი გენიოსი: ზნეობრივი და მუსიკალური. თუმცა, როგორც ჩანს, ტოლსტოი სრულად აფასებდა მუსიკის როლს ადამიანის სულის კათარზისში, ამიტომ იგი არავითარ უარყოფითს არ გამოთქვამდა ბახის მუსიკაზე, პირიქით, აქებდა მის სავიოლინო არიას. ტოლსტოის აშინებს მუსიკაში დიონისური საწყისი, ვნებათა ანარქიის აფეთქება. რომენ როლანმა წარმატებულად აღნიშნა, რომ სწორედ ამით იყო გამოწვეული გოეთეს ბუნტი ბეთჰოვენის წინააღმდეგ (გოეთე, აპოლონური, მჭვრეტელი ბუნების მხატვარი, შეცბა ბეთჰოვენის მუსიკის დიონისური ქარბორბალასაგან, მისი მომაჯადოებელი, დამმონებელი ძალისაგან). როგორც მხატვარი, ტოლსტოიც ასევე ფლობს აპოლონურ ბუნებას, ამიტომ უყვარს ესოდენ ძლიერად ჰომეროსის სინათლე, ხოლო შექსპირისა და ბეთჰოვენის დიონისური ბნელი სიღრმეები მისთვის უცხოა.

**ტოლსტოის მხრიდან ახალი ევროპული კულტურის უარყოფაში თავს იჩენს სლავოფილური კულტუროფობია, როგორც დოსტოევსკის შემთხვევაში, თუმცა ტოლსტოი უარყოფდა სლავოფილობას, როგორც ინტელექტუალურ პლანში, ასევე ნაციონალურ-პოლიტიკურ სფეროში.** „რუსეთი კი არ უნდა გადავარჩინოთ, — ეკამათებოდა იგი სლავოფილებს, — არამედ საკუთარი სულები". ამას უპირისპირდებოდა სლავოფილების დევიზი: „გადავარჩენთ რუსეთსაც და ჩვენ საკუთარ სულებსაც, რადგან რუსეთი — ჩვენი სულია". მართლმადიდებლობის იდენტიფიკაცია სლავოფილურ მესიანიზმთან იმდენად უცხო იყო ტოლსტოისათვის, რომ ზოგიერთები აფასებდნენ ამას, როგორც ანტიპატრიოტიზმს.

მაგრამ ტოლსტოი ქვეცნობიერად მაინც რჩება კულტუროფობად, რითაც ის ენათესავება მაქს ნორდაუს ევროპულ მიმდინარეობას. ამასთან ერთად, მას, როგორც დოსტოევსკის, საკმაოდ ძლიერი ლტოლვა აქვს სალოსობისაკენ, მდაბიოთა ტრადიციული რუსული რელიგიურობისაკენ („მამა სერგი"), რამაც აგრეთვე დიდი როლი ითამაშა ტოლსტოის ოჯახიდან გაქცევაში. სალოსი გრიშა მისთვის ქრისტიანული სულის იდეალური გამოვლინებაა; აქედანვე გამომდინარეობს მისი სიმპათიები დუხობორებისადმი. დოსტოევსკის ალიოშა „ძმები კარამაზოვებიდან" და აგრეთვე მისი სხვა გმირი მამაკაცები და ქალები ატარებენ სალოსობის ნიშნებს, სალოსობა — ეს გულის გზაა მისტიკაში, ის განსხვავდება ინტელექტუალური მისტიციზმისაგან, რამაც განვითარება ჰპოვა ისეთ მოაზროვნეთა შრომებში, როგორებიც არიან სოლოვიოვი, ბერდიაევი, ილინი და სხვები.

ტოლსტოი მოგზაურობს ევროპაში, მხოლოდ გეოგრაფიულად, ისევე, როგორც დოსტოევსკი. გოეთეს „სპირიტუალური მოგზაურობა იტალიაში" მისთვის უცხოა. საფრანგეთში ის ინტერესდება მხოლოდ სკოლებით, მას არ აინტერესებს ლუვრი ან ახალი იმპრესიონიზმი. ახალ პოეზიაში ის ინტერესდება მხოლოდ ჰიუგოთი (სტენდალი და ფლობერი მისთვის ახალ საფრანგეთს განასახიერებენ, თუმცა მის რომანებში საკმაოდ საგრძნობია მათი გავლენა). მიქელანჯელო მას არ უყვარს იმავე მიზეზით, რითაც ბეთჰოვენი. ის მისთვის ისეთივე მეტოქეა ქვის სტიქიაში, როგორც შექსპირი სიტყვის სტიქიაში და ბეთჰოვენი მუსიკის სტიქიაში. საყოველთაოდ ცნობილია მტრობა და მეტოქეობა გენიოსთა შორის.

**ტოლსტოის მსოფლმხედველობრივი კატასტროფა გამოიწვია XIX საუკუნის რელიგიური შემეცნების სიმწირემ. ეს იყო პერიოდი, როდესაც კანტისეულმა რაციონალიზმმა და აგნოსტიციზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა თეოლოგიაში, რასაც მოჰყვა პროტესტანტული თეოლოგიური სკოლის დომინირება, რომელმაც წაართვა ქრისტიანობას სულიერება და გადავიდა ქრისტიანული დოგმების რაციონალიზირებაზე. პროტესტანტობა უარყოფდა ქრისტეს აღდგომას, როგორც კოსმიურ ფაქტს, უარყოფდა თვით ღმერთის გაადამიანების, ღმერთკაცობის იდეას. მან მოკლა ქრისტე ჯვარზე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ის** ▶





ლევ ტოლსტოი მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ასე რომ, ტოლსტოიმ საბოლოოდ გაიმარჯვა თავის ბრძოლაში — გაქცევით ოპტინის სავანეში, მან სძლია ასთავიან ჰიდრას — საზოგადოებას, ოჯახს, სკეპტიციზმს, მეშჩანურ „კეთილგონიერებას“ და ტიტანურ მღელვარებით ღვთაებრივი სიყვარული მაღლა დააყენა პირადულ ცხოვრებისეულ კეთილდღეობაზე. ამით მან უფრო ძლიერად შეიყვარა თავისი ახლობლები და საზოგადოება, რომელიც ადრე სძულდა, რითაც მათ დაუმტკიცა თავიანთი გზის მცდარობა და დამღუპველობა.**

**◀ უარყოფდა სასულიერო იერარქიების არსებობას და მათ როლს გოლგოთის მისტერიაში, ხოლო აღდგომასა და ევქარტიას მიანიჭებდა მხოლოდ სიმბოლურ მნიშვნელობას.** გერმანული პროტესტანტული კონცეფციების გავლენა ტოლსტოის საღვთისმეტყველო შეხედულებებზე ნათელია. ეს აისახა ტოლსტოის რომანში „აღდგომა“, სადაც ნეხლიუდოვი სახარებაში ხედავს მხოლოდ ზნეობრივ მოძღვრებას, გამოხატავს გაოცებას „ანგელოზების რაღაცა გამოცხადებაზე“ და ქრისტეს მიიჩნევს მხოლოდ ზნეობრივ ადამიანად და არა ღმერთკაცად. ასეთმა მიდგომამ ქრისტიანობისადმი გამოიწვია ტოლსტოის განკვეთა ეკლესიისაგან.

**ისტორიოგრაფიაში ტოლსტოი მოექცა შოპენჰაუერული ფატალიზმის ანტიქრისტიანული იდეის გავლენის ქვეშ, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა მის გრანდიოზულ ეპოპეაში „ომი და მშვიდობა“, სადაც მასონი პიერ ბეზუხოვი უპირისპირდება რუსულ ხალხურ ქრისტანობას პლატონ კარატაევის სახით.**

კანტისებრი და რენანისებრი მიდგომა ქრისტიანობისადმი ინტელექტუალურად უფრო ახლო აღმოჩნდა ტოლსტოისათვის, ვიდრე მაისტერ ეკჰარტის, ჰეგელის, შელინგისა და ლაფატერის მიდგომა. ინდურ და ჩინურ სიბრძნეში ის ასევე ეძებს ეთიკურ მოძღვრებას და არა მისტიკურ იდეებს ისევე, როგორც სოკრატისებრ სიბრძნეში. მეორე მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, ის იწევს რუსული ხალხური რელიგიურობისაკენ, სალოსობისაკენ.

მაგრამ მსოფლმხედველობრივმა რაციონალიზმმა ვერ შეძლო გენიალური მხატვრის ინტუიციის დათრგუნვა. ქვეცნობიერი მისტიციზმი თავს იჩენს რომანში „ომი და მშვიდობა“; მისით გაჟღენთილია ერონსკის გასაოცარი სიზმარი ანა კარენინას დაღუპვის წინ, აღწერილი ადამიანის მიერ, რომელიც ღრმად შეიგრძნობს იმქვეყნიურ სინამდვილეს, თუმცა თეორიულად მისი სწორად გამააზრებელი არ არის.

რაც შეეხება დოსტოევსკის, მან უსიტყვოდ ირწმუნა მართლმადიდებლობა, როგორც უფრო მეტად ღრმა მისტიკოსმა და მოაზროვნემ, რომელმაც განვლო ტანჯვა-წვალების უზარმაზარი გზა. ამიტომ მისი „ძმები კარამაზოვები“ — ეს „კეთილმოყვარულობის“, წმიდა მამათა სწავლების მხატვრული ხორცშესხმაა, სადაც მწერალმა განაჩენი გამოუტანა რაციონალიზმს, როგორც სატანისტურ მოძღვრებას ივანე კარამაზოვის სახით და მის ღვიძლ შვილს — სოციალიზმს, სმერდიაკოვის სახით. ალიოშასა და ივანეს დაპირისპირება — ეს მართლმადიდებლობისა და ევროპული კანტიანური რაციონალიზმის თეზა და ანტითეზაა, სადაც მწერალი აშკარად იხრება პირველისაკენ, ხოლო მეორეს კიცხავს. ეს ორი საწყისი ასევე ებრძოდა ერთმანეთს ტოლსტოისთან, თუმცა საბოლოოდ ვერც ერთმა ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მწერლის დიდი ინტუიციის, მისი ბუნებრივი ქრისტიანობის წყალობითა და, აგრეთვე, ტოლსტოის დის მაშას წერილებისა და ლოცვების შემწეობით, რომელიც იმყოფებოდა მონასტერში, მოხდა მოულოდნელი რამ: ტოლსტოი, რომელიც უარყოფდა ეკლესიას, გაიქცა ოპტინის სავანეში, მაგრამ გარდაიცვალა გზაში.

**რომენ როლანი ცდება, როდესაც ამბობს, რომ ტოლსტოის მსოფლმხედველობის შეუთავსებლობა მის ცხოვრებისეულ გარემოცვასთან, რომლის გადალახვა მან ვერ შეძლო, გამოწვეული იყო მისი სისუსტით და, რომ შუა საუკუნეების თითოეული ბერმონაზონი, რომელიც ტოვებდა ოჯახს, ამსოფლიურ ამაოებას და მიდიოდა მონასტერში, ტოლსტოიზე ძლიერი იყო.** გვაოცებს იმ ადამიანის ამგვარი აზრი, რომელიც ყოველმხრივ იცნობდა ტოლსტოის, როგორც პიროვნებას, ასევე იმ ეპოქას და იმ გარემოს, რომელშიც იგი ცხოვრობდა. რომენ როლანმა ერ შეძლო დაენახა მთავარი: რამდენად განსხვავდებოდა ის ეპოქა და ის საზოგადოება, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება ტოლსტოის — შუასაუკუნეობრივი ყოფისა და ფსიქოლოგიისაგან. ის, რაც ადვილი იყო შუა საუკუნეების ადამიანისათვის, უკიდურესად რთული იყო XX საუკუნის ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენლისათვის. შუა საუკუნეებში გამეფებული მორალი, მსოფლმხედველობა და საზოგადოებრივი აზრი თვითონ უბიძგებდნენ ადამიანს ამსოფლიურობის დატოვებისა და თავგანწირული სამოღვაწეო გზის არჩევისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ **ტოლსტოის ეპოქაში, რუსეთში განაგრძობდა არსებობას მონასტერი და ბერმონაზვნური ცხოვრება, თავგანწირულ სამოღვაწეო გზაზე დადგომა დაკავშირებული იყო მრავალი სიძნელის გადალახვასთან და წინააღმდეგობრივ ქმედებებთან, მით უმეტეს, გრაფისათვის, ინტელიგენციის მაღალი ფენისა და არისტოკრატიის წარმომადგენლისათვის. იმ დროისათვის კი ეს ნიშნავდა საზოგადოებრივი დინების საწინააღმდეგოდ სვლას.** ტყუილუბრალოდ არ წერს ტოლსტოი თავის დღიურში: „თუ აღვიკვეცები ბერად, მაშინ იტყვიან, რომ მოხუცი ჭკუიდან გადავიდაო“. შუა საუკუნეებში კი ეს ითვლებოდა ცხოვრების ნორმად, ცხოვრების დინების უკან მოყოლად. გაბატონებული ეკლესია და საზოგადოება თვითონ ეხმარებოდა ადამიანს, გაეკეთებინა არჩევანი. თქმა იმისა, რომ მოცურავე, რომელიც მიყვება დინებას, ძლიერია იმ მოცურავეზე, რომელიც ცდილობს დინების საწინააღმდეგოდ ცურვას, უდიდესი შეცდომაა. პირიქით, **ტოლსტოის დასჭირდა საოცარი ძალისხმევა იმისათვის, რომ გამაგრებულიყო ამ დინებაში ერთ ადგილზე, მაგრამ დინების საწინააღმდეგო ცურვისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა მისი ზეადამიანური ძალაც კი. აი, ამაშია ტოლსტოის ტრაგედიის არსი.**


ლევ ტოლსტოი ბავშვებს ზღაპარს უყვება

გარდა ცხოვრების პირობებისა და ეგრეთ წოდებული „მაღალი წრეების“ საზოგადოებრივი აზრისა, დანახულ უნდა იქნას აგრეთვე შემდეგი მომენტი. შუა საუკუნეებში არ იყო გაბატონებული მატერიალისტური მსოფლმხედველობა, სკეპტიციზმი, ნიჰილიზმი, რაციონალიზმი, რომლებიც გზას გადაუღობავდნენ ადამიანს მონასტრისაკენ, ხოლო მეოცე საუკუნეში ისეთი მოაზროვნესათვისაც კი, როგორიც ტოლსტოია, ძნელი იყო ბრძოლა საკუთარ თავში სკეპტიციზმის ჭიასთან. იმ დროში მაღალი ინტელიგენციის წარმომადგენლები ძალზე იშვიათად ირჩევდნენ სასულიერო ცხოვრების გზას. ხოლო ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები, რომლებიც შორს იდგნენ ეპოქის ინტელექტუალური ცხოვრების საწამლავისაგან, სავსებით უმტკივნეულოდ მიემართებოდნენ ოპტინის სავანეში, რაზედაც ოცნებობდა ტოლსტოი. ტოლსტოის დის — მაშასათვის ძნელი არ იყო მონაზვნად აღკვეცა, რადგანაც იგი შორს იდგა შემეცნებითი ცხოვრებისაგან. ნუთუ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მაშა უფრო ძლიერი პიროვნება იყო, ვიდრე ლევ ნიკოლოზის ძე? ტოლსტოის დღიურები, მისი სტატია „რაშია ჩემი რწმენა?“ წარმოადგენს ამ ტრაგიკული და ტიტანური ბრძოლის მატიანეს.

ბევრი უბრალო ადამიანი რუსეთში, ტოლსტოის მიმდევარი, გაცილებით იოლად ახორციელებდა პრაქტიკულ ცხოვრებაში იმ იდეალს, რომელსაც ქადაგებდა ტოლსტოი და ვერ შეძლო მისი ხორცშესხმა. ნუთუ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ისინი უფრო დიდი და ძლიერი პიროვნებები იყვნენ, ვიდრე ტოლსტოი? უნდა გვახსოვდეს, რომ მათ არ ბოჭავდა განგება ისეთი ბორკილებით, როგორიცაა გრაფობა, ადგილ-მამულები, მსოფლიო სახელი, მოვალეობა მრავალრიცხოვანი მკითხველის წინაშე, ლიტერატურული გეგმები და სხვ... და, ბოლოს, თავის როლს თამაშობდა მბრძანებელი „ქსანტიპა“, ტოლსტოის მეუღლე სოფიო ანდრიას ასული, საოცრად ძლიერი ხასიათის პიროვნება, რომელიც ბოლო წლებში გადაიქცა ტოლსტოის დილეგის ასთავალა გუშაგად, ყველაზე საშიშ იდეურ მოწინააღმდეგედ, და ყოველივე ამასთან უხდებოდა ბრძოლა მოხუცს, ფიზიკურად დასუსტებულ ადამიანს, და რამდენად დიდი იყო მისი სულიერი ძალა, რომ მაინც გადახარა სასწორი თავის მხარეს და გაიქცა ოჯახიდან. ამით მან საბოლოოდ გადალახა ორ უდაბნოს შორის არსებული პოპულარობა — „მაღალი“ საზოგადოების უდაბნოსა და ოპტინის სავანეს შორის, მაგრამ დაეცა შუა გზაზე. დიდი ადამიანები გამოირჩევიან იმითაც, რომ მათში ხშირად აისახება დროის მთელი სიდიადე და მანკიერებანი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

**ასე რომ, ტოლსტოიმ საბოლოოდ გაიმარჯვა თავის ბრძოლაში — გაქცევით ოპტინის სავანეში, მან სძლია ასთავიან ჰიდრას — საზოგადოებას, ოჯახს, სკეპტიციზმს, მეშჩანურ „კეთილგონიერებას“ და ტიტანურ მღელვარებით ღვთაებრივი სიყვარული მაღლა დააყენა პირადულ ცხოვრებისეულ კეთილდღეობაზე.** ამით მან უფრო ძლიერად შეიყვარა თავისი ახლობლები და საზოგადოება, რომელიც ადრე სძულდა, რითაც მათ დაუმტკიცა თავიანთი გზის მცდარობა და დამღუპველობა.

ტოლსტოიმ დაამთავრა თავისი სიცოცხლე მოწამეობრივი სიკვდილით. მან გაწირა თავისი თავი იდეის გამო და ამით ჩაიდინა გმირობა, მსგავსი ბუდას გმირობისა. ბუდა და ფრანსციზ ასიზელი — აი, მისი საყვარელი იდეალები. მან აუგო მათ საიდუმლო ტაძრები თავის გულის სიღრმეში. ის იყო მათი მიმდევარი რუსეთის აბსოლუტურ წყვდიადში მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ზღვარზე, ეპოქაში პოზიტივიზმის, რაციონალიზმისა და სკეპტიციზმის სრული ტრიუმფისა ინტელექტუალურ ცხოვრებაში, ზნეობრიობისა და რელიგიის დაცემის ეპოქაში. ის იყო მათი მიმდევარი სიტყვით, აზრით, შემოქმედებითა და ქველმოქმედებით და **სიცოცხლის დასასრულს თავისი პრაქტიკული ნაბიჯით დაუმტკიცა გულგრილ საზოგადოებას გულწრფელობა და სიმართლე თავისი ქადაგებისა, რითაც გაამართლა საკუთარი თავის არსებობა.**

რუსულიდან თარგმნა
**სესილი ხევსურიანმა**

ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“



# გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოცდამესამე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ვულკანი ოლიმპი

**კაცობრიობისთვის ცნობილი ყველაზე დიდი მთა მარსზეა.** გიგანტური ვულკანი „ოლიმპის" სიმაღლე 22 კილომეტს აღწევს, დიამეტრი კი 624 კმ-ს უტოლდება. ის დაახლოვებით 3-ჯერ მაღალია ევერესტზე. მისი კრატერის სიგანე 73 კილომეტრი, ხოლო სიღრმე 3 კილომეტრია. მასში ადვილად მოთავსდება ისეთი დიდი ქალაქიც კი, როგორიც ლონდონია.

# ეშმაკის ხაფანგი



**ეშმაკის ხაფანგი ერთ-ერთი ანომალიური ადგილია იტალიაში. კუნძულ სიცილიაზე მდებარე ქალაქ ტაკონაში გავრცელებული ლეგენდის თანახმად, არის ერთი იდუმალი და საშიში ადგილი, სადაც მეთვრამეტე საუკუნეში ადამიანები თვითმხილველთა თვალწინ უჩინარდებოდნენ.**

ქალაქში ცხოვრობდა ერთი სოლიდური და პატივცემული კაცი, სახელად ალბერტო გორდონი. ერთხელ, 1753 წლის 3 მაისს, თბილ დილას იგი თავის მამულში სეირნობდა. ამავე დროს ეზოში მასთან ერთად იმყოფებოდნენ ალბერტოს ცოლი, მისი მეგობარი გრაფ ზენეტი და კიდევ რამდენიმე ადამიანი. უეცრად გარკვეულ ადგილამდე მისული ალბერტო გაოცებული პუბლიკის წინაშე გაქრა. ამის შემხედვარე ადამიანები განცვიფრებულები იყვნენ, ცოლმა შეძრწუნებისგან გონი დაკარგა. სანახაობით გაოგნებულმა მოწმეებმა მთელი ეზო და გაუჩინარების ადგილი გადაქექეს, თუმცა ამ მოვლენის მიზეზი ვერ დაადგინეს. იმ ადგილას, სადაც გორდონი გაქრა, არათუ ჭა და ორმო, არამედ ერთი ჩაღრმავებული ადგილიც ვერ იპოვეს — ადგილი იდეალურად სწორი იყო. ერთი სიტყვით, ყველასთვის სრულიად უცნობი დარჩა, თუ სად გაქრა ალბერტო.

**აღწერილი მოვლენებიდან 22 წელი გავიდა და ერთ მშვენიერ დღესაც დაკარგული ალბერტო გორდონი იმავე ადგილას გაჩნდა, საიდანაც დაიკარგა.** იგი, უბრალოდ, არსაიდან გაჩნდა, ისევე, როგორც გაქრა. გარშემომყოფები მაშინვე მიცვივდნენ და ეკითხებოდნენ, თუ სად იყო ამ ხნის განმავლობაში. პასუხი იყო ის, რომ იგი არსადაც არ წასულა. ამის გამო იგი მოათავსეს საგიჟეში, სადაც შვიდი წელი გაატარა.

**შვიდი წლის თავზე გორდონს შეშლილთა კლინიკის ერთ-ერთმა დოქტორმა მარიომ მოაკითხა და გადაწყვიტა, გაუჩინარების თემაზე ესაუბრა მასთან. ალბათ, გორდონმა მას უამბო, რომ ოცდაცხრა წლის წინ მოხვდა ბნელ გვირაბში, რომელმაც იგი კაშკაშა და ბუნდოვან სინათლესთან მიიყვანა. მის წინ იყო სურათი, რომელიც მოფენილი იყო ვარსკვლავებითა და წერტილებით, რომლებიც პულსირებდნენ. იმ ადგილას, სადაც ალბერტო მოხვდა, არაფერი იყო, უცნაური დანადგარებისა და შეუცნობელი თმიანი არსების გარდა, რომელმაც მას უთხრა, რომ დროისა და სივრცის ნაპრალში იმყოფებოდა, საიდანაც გასვლა ძნელია.**

იქ ყოფნის დროს ალბერტომ შეიტყო ხვრელებზე, რომლებიც ბნელში იხსნება; თეთრ წვეთებზე და სინათლის სისწრაფით სივრცეში მოგზაური ფიქრების შესახებ; უსხეულო სულებისა და უსულო სხეულების შესახებ; მფრინავი ქალაქების შესახებ ახალგაზრდა და უკვდავი მცხოვრებლებით. შემდეგ გორდონი სახლში დაბრუნდა და სჯეროდა, რომ ძალიან ცოტა ხნით გაუჩინარდა, სულ რამდენიმე საათით. დოქტორმა მას დაუჯერა და წაიყვანა მომხდარის ადგილას, რათა კარგად გამოეკვლია.



როდესაც ეზოში შევიდნენ და გაქრობის ადგილს მიადგნენ, კვლავ მოხდა უბედურება — ალბერტომ როგორც კი ერთი ნაბიჯი გადადგა, კვლავ გაუჩინარდა, მაგრამ ამჯერად სამუდამოდ. დოქტორმა მარიომ ირწმუნა ეშმაკის ხრიკების, იმ ადგილის გარშემო კედელი აღმართა. ხოლო იმ ადგილს ეშმაკის ხაფანგი დაერქვა და ეს სახელი დღემდე შემორჩა.

### რაშია გაქრობის საიდუმლო?

**ამის ასახსნელად არსებობს ძალიან ბევრი ჰიპოთეზა — როგორც მეცნიერული, ასევე მისტიკური. მათ შორისაა პარალელური სამყაროების არსებობის, დროის ჩავარდნების, სივრცით-დროითი ანომალიური ზონების, ქრონალურ ზონებში შავი ხვრელების არსებობის და ასტრალურ სამყაროში გადასვლის ჰიპოთეზები.**

ასეთი ადგილი ჩვენს პლანეტაზე ბევრია და ყველა ანომალიურ ზონად ითვლება. ასეთ ზონებში თავს წარმოაჩენენ ხოლმე სივრცისა და დროის ანომალიები. ანომალიები იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ამ ზონაში მოხვედრისას უეცრად სხვა დროში გასხლტება, იგი ვერ გრძნობს დროის მსვლელობას და თვლის, რომ რამდენიმე წამი გავიდა, არადა, გარშემომყოფთათვის საათებია გასული.



ჯერ კიდევ უძველეს ზღაპრებში იყო აღწერილი მოვლენები, როდესაც ფერიების ცეკვით მოჯადოებული ადამიანები თვლიდნენ, რომ ხუთი წუთი გავიდა, არადა თვეებსა და წლებს ჩაუვლია. ყოველ ასეთ ზღაპარში სიმართლის ნატამალი არის და ეს იმას ამტკიცებს, რომ ხალხმა უძველეს დროშიც იცოდა ასეთი ანომალიური ადგილების არსებობის შესახებ.

**ყოველ ანომალიურ ზონას თავისი დამახასიათებელი პარადოქსები აქვს. პირველი მათ შორის ხალხის თვალწინ გაქრობას უკავშირდება. გამქრალი ხალხის ერთი ნაწილი საერთოდ ვერ ამჩნევს თავისსავე გაუჩინარებას, მეორე ნაწილს კი ეჩვენება, რომ უსაზღვროდ დიდხანს ეძებს თავის თანამგზავრებს.**

მეორე პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი შეხედვით, პატარა მანძილის გავლას გაუჩინარებულები ზოგჯერ საათობით უნდებიან, ზოგჯერ კი ძალიან დიდ მანძილს რამდენიმე წუთში გადიან.

მესამე პარადოქსი ისაა, რომ ზოგი გამქრალი ადამიანი დროში (წარსულში ან მომავალში) იკარგება, ზოგი კი – პლანეტის სხვა ადგილას ხვდება (უდაბნოში, ტყეში, ზღვის ნაპირას).

**ზოგი ჰიპოთეზის თანახმად, ჩვენ შეცდომას ვუშვებთ, თუ ვთვლით, რომ დროის მსვლელობა ყველგან ერთნაირია. ზოგ ანომალიურ ადგილას დროის მსვლელობა დარღვეულია. ჩვენი გაგებით, ამ ადგილებში დროის მსვლელობა აჩქარებული ან შენელებულია. ასეთ ადგილებს დარღვეული დროის ზონებად თვლიან. ეს ის ადგილებია: სადაც ჩამოვარდა ტუნგუსური მეტეორიტი, სადაც შემჩნეულია გამოუცნობი მფრინავი არსებების დაჯდომა, ბერმუდის სამკუთხედი, სატანის ზღვა, პოლიგონები ბირთვული ცდებისთვის და სხვ...**

# მეძავ მოხუცთა თავშესაფარი

**მექსიკაში არის „პენსიონერ" მეძავთა თავშესაფარი სახელად „სახლი ლამაზი ყვავილებისთვის".**

მექსიკელი მეძავების უმრავლესობას „პენსიაზე გასვლის" შემდეგ ღამის გასათევი არ ჰქონდათ, ამიტომ გახსნეს მოხუც მეძავთა თავშესაფარი, რომლის კარიც ყველა „პენსიონერი" მეძავისთვის ღიაა.





# ცხოვრება კედელზე

ბრაზილიელმა ძმებმა ტიაგო და გაბრიელ პრიმოებმა 1 თვე რიო დე ჟანეიროში საცხოვრებელი შენობის კედელზე იცხოვრეს. ძმებმა კედელი 1 თვით საკუთარ სახლად გადააქციეს და კედელზე დაკიდეს მაგიდები, დივანი, საწოლები და ჰამაკი.











**მსხვერპლშეწირვის ცერემონია კოცონის ირგვლივ ადგილობრივი მოსახლეობის რიტუალური ცეკვებით დაიწყო. შემდეგ ბრბოდან ერთი საცოდავი ქალი გამოათრიეს და შესაწირად მოამზადეს. მჩხიბავები ქალს ხისკენ უბიძგებდნენ და თან რაღაც შელოცვებს გაჰყვიროდნენ.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კაციჭამია ხეები



**არსებობს თუ არა სინამდვილეში ვამპირი მცენარეები? შეიძლება, რომ ბუნებაში ვხვდებოდეთ სისხლისმსმელ და ხორცის მჭამელ მცენარეებს? რასაკვირველია, ერთი შეხედვით, პასუხი უარყოფითი იქნება, თუმცა ნუ აჩქარდებით, რადგან მოგზაურებისა და ნატურალისტების მიერ მოყოლილ ისტორიებში ხშირად საშიშ კაციჭამია ხეებსაც შევხვდებით.**

იმის მიუხედავად, რომ მეცნიერული სამყარო ასეთი ხეებისა და მცენარეების არსებობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს, კატეგორიულად რაიმეს უარყოფა მაინც არ შეიძლება.

**კაციჭამია ხეების აღმოჩენის იმედით, სხვადასხვა დროს რამდენიმე ენთუზიასტი იმ დროს ადამიანისთვის მიუვალ ადგილებში გაეშურა. ყველაზე მეტად გაუმართლა გერმანელ კარლ ლიხეს, რომელიც მადაგასკარში შეესწრო, როგორ შეჭამა ჩვეულებრივმა ხემ ქალი.** ლიხეს მონათხრობის თანახმად, როდესაც კაციჭამია ხე პირველად იხილა, მასში ისეთი ვერაფერი აღმოაჩინა, რაც ხის სისხლისმსმელობისკენ „მიდრეკილებას" დაადასტურებდა. ხე, რომლის სიმაღლეც დაახლოებით 2,5 მეტრი იყო, პალმას ჰგავდა. მისი კენწერო დანის მსგავსი, ვიწრო ფოთლებით იყო შემოსილი. ხეს თეფშისმაგვარი „ხელები" ჰქონდა, რაც, ნატურალისტის აზრით, ადამიანის ხელისგულებს წააგავდა და ნებისმიერ დროს მზად იყო დასახურად.

**ხის ყველა მხარეს გველის მაგვარი საცეცები – ლიანები იყო გამოზრდილი. მათი სიგრძე ორ მეტრს არ აღემატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ უჩვეულო ხემდე ნატურალისტი თავად ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიიყვანეს, მას ბოლომდე არ სჯეროდა, რომ დანაპირები სისხლიანი სეირის მომსწრე გახდებოდა.** ერთხელ ლიხემ ინდიელი თარჯიმანისაგან შეიტყო, რომ აბორიგენები გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად მსხვერპლშეწირვის გამართვას აპირებდნენ და გერმანელიც „სეირის" სანახავად გაემართა.

**მსხვერპლშეწირვის ცერემონია კოცონის ირგვლივ ადგილობრივი მოსახლეობის რიტუალური ცეკვებით დაიწყო. შემდეგ ბრბოდან ერთი საცოდავი ქალი გამოათრიეს და შესაწირად მოამზადეს. მჩხიბავები ქალს ხისკენ უბიძგებდნენ და თან რაღაც შელოცვებს გაჰყვიროდნენ. როგორც ჩანს, საცოდავი ქალი წინასწარ იყო შეგუებული გარდაუვალ სიკვდილთან, რადგან იგი ხის ტანს უხმოდ მიუახლოვდა, მასზე ოსტატურად აცოცდა და ბლანტი, წებოვანი ხის წვენის ლოკვა დაიწყო. სულ მალე ტრანსში ჩავარდილ ქალს თეთრი ლიანები მიუახლოვდნენ, რომელთაც მსხვერპლი საბოლოოდ თავიანთ მარწუხებში მოაქციეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალის გმინვა, შემდეგ კი სულისშემძვრელი კივილი გაისმა და სულ მალე ვამპირი ხიდან მომწამვლელ, მყრალ წვენთან შერეული, მსხვერპლის სისხლი ჩამოედინა. ამ საშინელი შემთხვევიდან გარკვეული დროის შემდეგ ნატურალისტმა თანმხლებ პირთან ერთად მსხვერპლშეწირვის ადგილი კიდევ ერთხელ მოინახულა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ხის ქვემოთ, ბალახებში ადამიანის თავის ქალა და მიმოფანტული ძვლები აღმოაჩინა.**

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კარლ ლიხე მადაგასკარში შეძენილი რომელიღაც ტროპიკული დაავადების შედეგად გარდაიცვალა. ნატურალისტის მიერ დაწერილმა მოხსენებამ დღის სინათლე მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ იხილა და მეცნიერთა შორის დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ვამპირი ხის აღმოჩენის იმედით, მოგვიანებით კუნძულზე არაერთი ექსპედიცია გაემართა. ადგილობრივი მცხოვრებლები ბოტანიკოსებს გაუვალ ტყეებში ატარებდნენ, მაგრამ მწვანე მონსტრი არავის უნახავს.

მეცნიერები ყველა მონათხრობს ლეგენდად მიიჩნევდნენ, სანამ უღრან ტყეში მცხოვრებ გობორის ტომს არ მიაგნეს. ერთხელ ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის, პატრიცია როსკინის ყურადღება მიიპყრო ორმა ხემ, რომელთაც საერთო ფესვები ჰქონდა. ხეები ერთმანეთისგან დაახლოებით ერთი მეტრი მოშორებით იზრდებოდნენ. მათ გრძელი, ცხენის ფაფრის მსგავსი ლიანები ამშვენებდა. დაინტერესებულმა პატრიციამ ხის კარგად დათვალიერება გადაწყვიტა, მაგრამ მალევე უკან დაიხია, რადგან მათ შორის სამი თავის ქალა ეგდო. შეშინებულმა გოგონამ აღმოჩენის შესახებ ექსპედიციის სხვა წევრებსაც აცნობა.

ყველაფერი ტომის ბელადმა განმარტა: **„ეს სამართლიანობის ჯადოსნური ხეა. თუ ვინმე მკვლელობასა და ქურდობაშია ეჭვმიტანილი, მას გასასამართლებლად ხეს მიაბარებენ. თუ ბრალდებული დამნაშავეა, ხე მას სისხლს გამოსწოვს, უდანაშაულოს კი არაფერს დაუშავებს".** ამ ახსნა-განმარტების შემდეგ ყველა მწვანე ვამპირის სანახავად გაეშურა. პატრიციამ, რომელიც ექსპედიტორთა შორის ყველაზე ახალგაზრდა — 21 წლის იყო, ექსპერიმენტის ჩატარება მოინდომა. მან ხის ერთ-ერთ ტანთან მიირბინა და ჩაეხუტა. საცეცი ტოტები გოგონას ყველა მხრიდან შემოეხვია და მაშინვე გაათავისუფლა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მეგობრებმა თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრეს. ექსპერიმენტის მოყვარული პატრიციას თქმით, მან ენით აუწერელი შიში განიცადა. გოგონას თქმით, ხეს მაშინვე რომ არ გაეთავისუფლებინა, დაიხრჩობოდა.

მოგზაურებისა და ნატურალისტების მონათხრობის მიუხედავად, რომელთაც ვამპირი და კაციჭამია ხეები საკუთარი თვალით იხილეს, მეცნიერული სამყარო ამ რეალობის აღიარებას ნამდვილად არ ჩქარობს.

# ცათამბჯენები კარტებისგან



**კარტით არამარტო თამაშობენ და მკითხაობენ, არამედ ცათამბჯენებსა და ლამაზ შენობა-ნაგებობებსაც აგებენ. ვინც ფიქრობს, რომ ეს არასერიოზული საქმიანობაა, საკმარისია, ბრაიან ბერგის ნამუშევრები იხილოს და აზრი უმალ შეეცვლება.**

ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნამუშევარი მან ტეხასის გამოფენაზე წარადგინა. ცათამბჯენი სიმაღლით 7,85 მეტრს აღწევდა. მის აგებას ოსტატი დაახლოებით ერთი თვე მოუნდა და 1800 შეკვრა კარტი დახარჯა.

**საოცრება ისაა, რომ ბრაიანი არ ხმარობს არანაირ წებოსა და სხვა სამაგრს, კარტები ჩერდებიან თავიანთი სიმძიმის ძალით** (შვიდი შეკვრა კარტი დაახლოებით ნახევარ კილოგრამს იწონის).

**სხვათა შორის, ბრაიანი არ გახლავთ აზარტული მოთამაშე. მას, უბრალოდ, შენება უყვარს და კარტს ამ ერთადერთი დანიშნულებით იყენებს.**

უნდა ითქვას, რომ კარტებით მშენებლობა სულაც არაა ბრაიანისთვის მარტო გართობა, ამით ის ფულსაც შოულობს. ასეთი უჩვეულო სამუშაოს წყალობით, ის მოგზაურობს მთელ მსოფლიოში და აშენებს ცნობილი არქიტექტურული ძეგლების ასლებს, რა თქმა უნდა, კარტით.









# სიმართლისათვის მებრძოლ სამ ქართველ ჟურნალისტს ნაზი შამანაურის სახელობის ოქროს მედლები გადაეცათ

**მედია-კავშირ „ობიექტივის“ ინიციატივით დაწესებული ნაზი შამანაურის ოქროს მედლის მფლობელთა ვინაობა გაირკვა. გამარჯვებულები საზოგადოებრივმა გამოკითხვამ გამოავლინა. რადიო 105.0-ის მსმენელები, სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ აქტიური მომხმარებლები, ჩვენი თანამოქალაქეები, უცხოეთში გადახვეწილი თანამემამულეები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები ორი თვის მანძილზე ასახელებდნენ თავიანთ ფავორიტებს. 100-ზე მეტი ჟურნალისტი დასახელდა. რადიო „ობიექტივის“ ეთერში თითქმის ყოველდღიურად საუბრობდნენ ნაზი შამანაურის შესახებ და ქართული ჟურნალისტიკის სადღეისო პრობლემებზე.**



**20 ოქტომბერს სამეფო უბნის თეატრში გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. საღამოს მსახიობი ნანა შონია უძღვებოდა. მხატვარ დავით ლოდიას მიერ შექმნილი მომინანქრებული ოქროს მედლები სიმართლისთვის მებრძოლ სამ ქართველ ჟურნალისტს — გადაცემა „კვირის რეპორტაჟის“ ავტორსა და წამყვანს ნანა ლეჟავას, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს ელისო ჩაფიძეს და პრესა-გე.ტვ-სა და ტელეკომპანია „მაესტროს“ კორესპონდენტს სამეგრელოში ნანა ფაჟავას — გადაეცა.**

ნაზი შამანაურის სახელობის მედალოსნების გამოვლენის შემდეგ, სამეფო უბნის თეატრში მისულმა საზოგადოებამ სპექტაკლი „ურჩთა სარეცელი“ იხილა. ნაზი შამანაურის დღიურების მიხედვით შექმნილი პიესა მაია ჯაფარიძეს ეკუთვნის, მანვე შეითავსა რეჟისორის ფუნქციაც. სპექტაკლი მუსიკალურად ია საკანდელიძემ გააფორმა.

ნაზი შამანაურის დღიურები პირველად 1991 წელს გამოიცა. პიესის ავტორის თქმით, მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო, რომ 1983 წელს საქართველოში ხელისუფლება ჟურნალისტს ასე დაუნდობლად მოექცა და სასიკვდილოდ დასაჯა.

**„იმდენად შემძრა ამ ადამიანის მოწამეობრივმა ცხოვრებამ და სიკვდილმა, რომ მისი დღიურების მიხედვით პიესა დავწერე. გარკვეული მიზეზების გამო პიესა „თაროზე შემოვდე“. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო... და მეგონა, სპექტაკლი დღის სინათლეს ვერ იხილავდა. როდესაც მედია-კავშირმა „ობიექტივმა“ ნაზი შამანაურის სახელობის მედალი დააწესა, ორგანიზატორებს შევთავაზე, ნაზი შამანაურის ბიოგრაფია სცენაზე გადაგვეტანა“,** – განაცხადა მაია ჯაფარიძემ.

სამეფო უბნის თეატრის სცენაზე ნაზი შამანაურის როლი ნანა ხურითმა, ხოლო დედის — სარა ინაშვილის როლი ლილი ხურითმა შეასრულა.


ნაზი შამანაურის მედლის პირველი ლაურეატები — ნანა ფაჟავა, ელისო ჩაფიძე, ნანა ლეჟავა


ირმა ინაშვილი

საღამოს დასასრულ, სამეფო უბნის თეატრში შეკრებილ პოლიტიკოსებს, მსახიობებს, უფლებადამცველებს, სხვადასხვა მედიასაშუალებების ჟურნალისტებსა და მეცნიერებს იდეის ავტორმა, მედია-კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა მიმართა: **„დღეს ნაზი შამანაურის სახელი საზოგადოებას დაუბრუნდა, სწორედ ეს იყო ამ ღონისძიების მიზანი. ეს ჯილდო იქნება ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის სტიმული, რომ მათ პირნათლად შეასრულონ ჟურნალისტის მოვალეობა“.**

ღონისძიების შემდეგ ირმა ინაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ „ობიექტივმა“ დააჯილდოვა ის ჟურნალისტები, რომელთაც საზოგადოებამ ნდობის მანდატი მიანიჭა. **„ნანა ლეჟავა, ელისო ჩაფიძე და ნანა ფაჟავა საზოგადოებამ სიმართლისთვის მებრძოლ ჟურნალისტებად აღიარა. ჩვენ, „ობიექტივის“ ჟურნალისტები და კონკურსის საორგანიზაციო ჯგუფი, ამ პროცესში არ ჩავრეულვართ. გამოკითხვის შედეგების დათვლის შედეგად საზოგადოების არჩევანი ამ სამ ჟურნალისტზე შეჩერდა. მოხარული ვარ, რომ ამ სამეულში მოხვდა რეგიონული ჟურნალისტი, ჩვენი არაჩვეულებრივი კოლეგა, ნანა ფაჟავა, რომელიც ურთულეს საქმეს აკეთებს სამეგრელოში, ურთულეს რეგიონში – ეს ჟურნალისტი პირდაპირ არის დაჯახებული ახალაიების კლანთან და სხვადასხვა კლანთან, რომლებიც სამეგრელოს მართავენ. განსაკუთრებულად მიხარია ნანა ფაჟავას ოქროს მედალი, რადგან ნანა ამ მედალს იმსახურებს და დარწმუნებული ვარ, ეს ჯილდო მისთვის სტიმულის მიმცემი იქნება.“**


სცენა სპექტაკლიდან „ურჩთა სარეცელი“

ირმა ინაშვილმა, რომელმაც ყველა გამოკითხვის მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა და უპირობო გამარჯვებული იყო, მედლის მიღებაზე თავისი უარი ასე განმარტა:

**„მე ვარ ამ პროექტის ავტორი, ჩემი იდეა იყო ნაზი შამანაურის ოქროს მედლის დაწესება და ცოტა არ იყოს უხერხულია, თავად დააწესო ჯილდო და შემდეგ მკერდზე დაიკიდო. ამას არც ირმა ინაშვილი გააკეთებდა და არც „ობიექტივის“ რომელიმე ჟურნალისტი. ჩვენი მიზანი ის კი არ იყო, რომ მედლები ჩვენ დაგვეკიდებინა, არამედ ის, რომ ნაზი შამანაურის სახელის რეაბილიტაცია მომხდარიყო და ამავდროულად, ჩვენი კოლეგებისთვის სტიმული მიგვეცა. ვფიქრობ, ჩვენ ეს მოვახერხეთ.“**

ნაზი შამანაურის სახელობის ოქროს მედლით დაჯილდოვება ტრადიციულ ხასიათს მიიღებს და ყოველწლიურად გადაეცემა საზოგადოების რჩეულ ჟურნალისტებს.

**ლილი მიროტაძე**



## უგო ჩავესის ექიმი ქვეყნიდან გაიქცა

**ექიმი, რომელმაც განაცხადა, რომ ვენესუელის პრეზიდენტს — უგო ჩავესს მხოლოდ ორი წლის სიცოცხლე აქვს დარჩენილი, ქვეყნიდან გაიქცა. დოქტორ სალვადორ ნავარეს მიაჩნია, რომ მისი სიცოცხლე ამ განცხადების გამო საფრთხეშია.** პოლიციამ ექიმის ოფისში ჩხრეკა უკვე ჩაატარა და მისი პირადი დოკუმენტაცია დალუქა. ამავე დროს, თავად უგო ჩავესმა უკვე გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ მან დაავადება დაამარცხა და ჯანმრთელია. ექიმმა ქვეყანა ოჯახთან ერთად დატოვა და უცნობია, სად გაემგზავრა.

## ბულგარეთში არჩევნები ჩატარდა



**ბულგარეთში პრეზიდენტის, ქალაქის მერებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელების არჩევნები გაიმართა. გამარჯვებისთვის პრეზიდენტობის კანდიდატს ამომრჩეველთა ხმების 51% სჭირდებოდა.** ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულია 6 მილიონ 933 ათასი ამომრჩეველი. პრეზიდენტობისთვის 18 კანდიდატი იბრძოდა, ყველაზე მეტი პოპულარობით მმართველი პარტიის ლიდერი როსენ პლევნელიევი სარგებლობდა. მას მოქმედ პრეზიდენტ გეორგ პირვანოვზე მეტი მხარდამჭერი ჰყავდა. ბულგარეთში პრეზიდენტს, ძირითადად, სიმბოლური როლი აქვს, რეალური ძალაუფლება პრემიერ-მინისტრის ხელშია.








ესტუმრეთ ჩვენს საიტს

http://www.geworld.ge


**მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა**
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net